ჯვრის ხმა



1

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი – 1997

ჯვარი ვაზისა - შემკული მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს თმით. IVს.

ძლიერებაო ჯვაროო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ.

ᲫᲕᲔᲚი ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲘ



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ᲘᲚᲘᲐ II ლოცვა-კურთხევით



შევიდე სახლსა შენსა... თაყუანი ვსცე ჴმიდასა სახელსა შენსა

ესმოდათ აღსავლის კართაგან
ქვეყანად სიკეთის მთოველთა,
მათ გულს და მათ მაღალ გონებას:
„მშვიდობა, მშვიდობა ყოველთა!“
და ედგათ მარადი ნათელი
დაუღლელთ და დაუცხრომელთა...
ამბობდნენ მრავალგზის რბეულნი:
„მშვიდობა, მშვიდობა ყოველთა!“
გვერდთ ახლდათ ლომი და არწივი,
იმათაც-დათრგუნვად „ეჭუთა“...
მოხედეთ მათ მაღალ შარავანდს –
მთაწმიდელთ, მოდრეკილთ, მერჩულთა...
დაფარეს მტერთაგან, გადმოგვცეს
განდეგილთ და უდაბნოელთა...
და კვლავ ღაღადებენ სულგრძელნი:
„მშვიდობა, მშვიდობა ყოველთა!“

ანა კალანდაძე

უფალო, ძალი ერსა ჩუენსა მოეც

წმიდა მირონის კურთხევა

დიდი ხუთშაბათი, 20 აპრილი, 1995 წელი
მცხეთა, სვეტიცხოველი

შეიყუარე სიმართლე და მოიძულე ურჯულოებაჲ;
ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან
საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყუასთა შენთა.

ფსალმუნი. 6.44

17 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დაიწყო მირონის ხარშვა. სამი დღე-ღამის განმავლობაში მღვდელმსახურნი წესისამებრ აღავლენდნენ ლოცვას უფლისადმი. დიდ ხუთშაბათს, 20 აპრილს მისმა უწმიდესობამ ცაგერისა და სვანეთის მთავარეპისკოპოს თაღეოზის, სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოს ვახტანგის, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოს დანიელის, ურბნისისა და რუისის ეპისკოპოს ქრისტეფორეს, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს იობის, ალავერდელ ეპისკოპოს დავითის, ნიკორწმიდელ ეპისკოპოს აბრაამის, შემოქმედელ ეპისკოპოს იოსების და ამავე დღეს ხელდასხმულ ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოს ესაიასა და სერაფიმეს თანამსახურებით აკურთხა ქართული ეკლესიის მირონი.

უფალმა უბრძანა წინასწარმეტყველ მოსეს:

"აიღე საუკეთესო ნელსურნელებანი... დაამზადე ყოველივე ამისგან წმიდა მირონი... სცხე... და წმიდათა წმიდა გახდება ყველაფერი".

წმიდა მირონი განსაკუთრებული სიწმიდეა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ეკურთხებოდა. მირონით აკურთხა წინასწარმეტყველმა მოსემ ძველი აღთქმის სამსხვერპლო და საღვთისმსახურო ნივთები, მირონით იკურთხა პირველი მღვდელმთავარი აარონი, მირონს სცხებდნენ მეფეებს კურთხევისას.

საქართველოში წმიდა მირონის კურთხევა ხდება ათწლეულებში ერთხელ, დიდ ხუთშაბათს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, იქ, სადაც დასვენებულია კვართი უფლისა, რომელზეც აღმართული იყო "სუეტი იგი მირონმდინარე და გამოსცემდა სუნნვლებასა მიუთხრობელსა"...

წმიდა მირონის კურთხევის უფლება ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშანია და უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში.

მირონცხება არის ადამიანის სულზე ღვთის მადლის გარდამოსვლა. იგი მზადდება მკაცრად დადგენილი წესით. იხმარება ახალი აღთქმის საიდუმლოთა აღსრულებისას.

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია თავისი დაარსების პირველივე დღიდანვე დამოუკიდებლად ხარშავს მირონს.

მირონის კურთხევა ბოლოს მოხდა 1980 წელს, 3 აპრილს.

(ვრცელ წერილს მირონის შესახებ ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

ხელშეკრულება

1995 წ. 25 მაისი ქ. თბილისი

ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარებისათვის ქ. ქუთაისში დაარსდეს გელათის მეცნიერებათა აკადემია და ამით აღდგეს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემიის ტრადიცია.

საქართველოს რესპუბლიკის
პარლამენტის თავმჯდომარე,
სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ - გიორგი
შევარდნაძე

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

ქალაქ თბილისის მერს, ბატონ ნიკოლოზ ლეკიშვილს
ქალაქ თბილისის მთავარ არქიტექტორს,
ბატონ მერაბ ჩხენკელს

დავით სარაჯიშვილის სახელობის სააქციო და საქველმოქმედო საზოგადოებებმა და ფირმა "ბემ"-ის პრეზიდენტმა, ბატონმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა თხოვნით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და გამოთქვა მზადყოფნა საკუთარი სახსრებით ააშენოს ქაშუეთის ეკლესიის სამრეკლო, რაც აუცილებლად ესაჭიროება წმ. გიორგის სახელობის ტაძარს.

მოგეხსენებათ, დავით სარაჯიშვილი გახლავთ ქაშუეთის ეკლესიის განმაახლებელ-აღმაშენებელი. ახლა ქაშუეთის ეკლესიის სამრეკლოს აღმაშენებლად გვევლინება ჩვენი თანამედროვე, რაც ერთობ დასაფასებელია.

საქართველოს არქიტექტურულმა ცენტრმა განიხილა ქაშუეთის დასავლეთის ახალი კარიბჭის ავტორის, ბატონ ირაკლი მოსულიშვილის მიერ წარმოდგენილი სამრეკლოს პროექტი და გარკვეული შესწორებების შემდეგ მოიწონა იგი.

გთხოვთ თქვენს თანადგომას ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

ღრმა პატივისცემით

ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს საპატრიარქომ დავით სარაჯიშვილის სახელობის ქართული კონიაკის სააქციო და საქველმოქმედო საზოგადოებების თაოსნობით მიიღო გადაწყვეტილება ცნობილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი მეცენატის, ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის, ბატონ დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ქალბატონ ეკატერინე ფორაქიშვილის ნეშტთ განსასვენებელი მიუჩინონ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, იმ ტაძრის გვერდით, რომელიც ძირითადად ამ შესანიშნავ მამულიშვილთა სახსრებითაა აშენებული. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და დამსახურებული პატივის მიგება სამშობლოს ამ უერთგულეს შვილთადმი, ასევე, სამაგალითო ნიშანსვეტი მომავალი თაობებისათვის. გამოსვენება დაიწყება ვაკის სასაფლაოდან 24 ივნისს, შაბათს 18.00 საათზე. იმავე დღეს 19.00 საათზე ქაშუეთის ეკლესიაში შესრულდება პანაშვიდი. ქაშუეთის ეკლესიაში 25 ივნისს 10.00 საათზე დაიწყება წირვა. 17.00 საათიდან დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 18.00 საათზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთა-თბილისის სამღვდელოებასთან ერთად გადაიხდის პანაშვიდს. 19.00 საათზე ქაშუეთის ტაძრის ეზოში დაიკრძალება ბატონ დავითისა და ქალბატონ ეკატერინეს ნეშტი. უფალმან აცხოვნოს მათი უკვდავი სულნი.

საქართველოს საპატრიარქოს
პრეს-ცენტრი

მის ყოვლადუწმიდესობას ბართლომეოს I-ს, კონსტანტინოპოლის — ახალი რომის მთავარეპისკოპოსს, მსოფლიო პატრიარქს

თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო!

მოგიკითხავთ დიდი პატივისცემით და გაცნობებთ, რომ ჩვენ მივიღეთ წმ. მთის პანტელეიმონის მონასტრის იღუმენის, არქიმანდრიტ იერემიას წერილი (1/14 აპრილი, 1995, №34), რომელმაც მეტად გაგვაკვირვა და აღგვაშფოთა.

იგი გვატყობინებს, რომ "აფხაზი მართლმადიდებლების" თხოვნის საფუძველზე, საქართველოში, ახალ ათონში წმ. სვიმონ კანანელის მონასტერში გააგზავნა სასულიერო პირნი, რადგან თვლის, რომ ეს სავანე არის წმ. პანტელეიმონის მონასტრის ნაწილი.

ასეთი მსჯელობა სრულიად ანტიკანონიკურია. როგორც თქვენთვის ცნობილია, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, სადაც მდებარეობს წმ. სვიმონ კანანელის ტაძარი, შედის საქართველოს მართლმადიდებელი, ავტოკეფალური, სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპარქიის მმართველი, მთავარეპისკოპოსი დანიელი, მისი სამღვდელოებისა და მრევლის დიდი ნაწილი ამჟამად ლტოლვილია, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაზე აბსოლუტურად ვრცელდება მისი, როგორც კანონიერი მღვდელმთავრის, ხელისუფლება.

არქიმანდრიტი იერემია უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე გვაყენებს, რაც შეურაცხმყოფელი და ყოვლად დაუშვებელია. მისი მოქმედება ხელს უწყობს ცხუმ-აფხაზეთის ტერიტორიაზე სქიზმის წარმოშობას და ძაბავს ურთიერთობას ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის.

არქიმანდრიტ იერემიას ამ ანტიკანონიკური ნაბიჯის მოტივს წარმოადგენს ე. წ. "აფხაზეთის მართლმადიდებელი ქრისტიანების" თხოვნა. სინამდვილეში კი აფხაზეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მრევლი აღიარებს თავისი კანონიერი მღვდელმთავრის, მთავარეპისკოპოს დანიელის იურისდიქციას და იმყოფება მასთან კანონიკურ ერთობაში.

რაც შეეხება თვით წმ. სვიმონ კანანელის ტაძარს, აქ ღვთის სადიდებლად ეკლესია ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში ააგეს ქართველებმა, ხოლო დღევანდელი სახით წმ. სვიმონ კანანელის მონასტერი XIX საუკუნეში აშენდა, როდესაც საქართველოს ეკლესიას ანტიკანონიკურად ჩამორთმეული ჰქონდა ავტოკეფალია და მას რუსეთის ეკლესიის ეგზარქოსი მართავდა.

1917 წელს, როდესაც აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ტაძარი გადავიდა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, რაც აღიარებული იქნა, როგორც რუსეთის საპატრიარქოს, ისე სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა მიერ.

ამიტომ არქიმანდრიტ იერემიას მოქმედება ყოვლად გაუმართლებელია.

ვიმედოვნებთ, ათონის მთის წმ. კინოტი აღკვეთს მის მცდელობას, დაარღვიოს საქართველოს ეკლესიის უფლებები.

ღვთის წყალობითა და თქვენი თანადგომით, ვფიქრობთ, მდგომარეობა მალე გამოსწორდება და აღდგება სამართლიანობა.

ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

უფალო, ძალი ერსა ჩუენსა მოეც

მის უწმიდესობას ალექსი II-ს
მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო!

გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობიანსა და სიხარულით აღსავსე ხანგრძლივ სიცოცხლეს და ღვთის შეწევნას თქვენს მამამთავრულ მოღვაწეობაში.

ჩვენ უდიდესი გარდატეხებისა და კონფლიქტების ეპოქაში ვცხოვრობთ, და ეკლესიის მეთაურებმა და მისმა რიგითმა მსახურებმა, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რაც კი ჩვენს ძალას აღემატება, რომ პოლიტიკურმა და ერთაშორისმა კონფლიქტებმა ჩვენი ეკლესიებიც არ ჩაითრიოს.

1991 წლის 31 ოქტომბერს "დამოუკიდებელმა გაზეთმა" გამოაქვეყნა ჟანა მარუკიანის წერილი სათაურით: "სამხრეთ ოსეთის ქრისტიანები დახმარებას სთხოვენ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას", სადაც ნათქვამია: "მამა ვიტალი, ვლადიკავკაზის ღვთისმშობლის საჭურველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, თანახმაა თავის თავზე აიღოს მზრუნველობა სამხრეთ ოსეთზე, რომელმაც მათ თხოვნით მიმართა".

რა უფლება აქვს მამა ვიტალის უცხო საპატრიარქოს იურისდიქციაში ჩარევისა? თუკი ამ რაიონის რომელიმე მცხოვრებს, კანონიკური სამართლის უცოდინარობის გამო, შეუძლია მას ამგვარი თხოვნით მიმართოს, თვითონ მამა ვიტალის ევალება იცოდეს ეკლესიის კანონები, რომელთაც იგი უხეშად არღვევს.

მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ - გვაოცებს სტავროპოლისა და ბაქოს მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გედეონის პოზიცია, რომელსაც მე ვიცნობ, ვითარცა კეთილმწყემსმთავარს და კომპეტენტურ პიროვნებას კანონიკურ სამართლის საკითხებში. წერილში ვკითხულობთ: "მას ამისთვის კურთხევას აძლევს სტავროპოლისა და ბაქოს მიტროპოლიტი გედეონი, რომელმაც ამას წინათ გამოხატა თავისი აზრი ორი ოსეთის შეერთების თაობაზე".

უწინარეს ყოვლისა, მეუფე გედეონმა, ალბათ, უნდა იცოდეს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია არასოდეს ყოფილა გაერთიანებული ჩრდილოეთ ოსეთთან და რომ ის საქართველოს უძველესი მიწაა. თავისი განცხადებით მეუფე მტრობას სთესს არა მხოლოდ ქართველებსა და ოსებს შორის. ხოლო თუკი მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, მაშინ მას ამ სტატიის გამოჩენისთანავე წერილობით უნდა უარეყო იგი.

სტატია მთავრდება იმით, რომ რუსულ ეკლესიას მიტროპოლიტი გედეონის სახით სურს "სულიერი დახმარება გაუწიოს და მიიღოს სამხრეთ ოსეთი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის პროტექტორატის ქვეშ". ამისათვის, როგორც ნათქვამია, "მიტროპოლიტმა სრულიად რუსეთის პატრიარქს, ალექსი II-ს უნდა გამოსთხოვოს კურთხევა".

თქვენო უწმიდესობავ, მე შემეძლო საერთოდ არ გამოვხმაურებოდი ამ სტატიას, როგორც არასერიოზულ განცხადებას, მასში რომ რუსული ეკლესიის თვალსაჩინო მღვდელმთავრის, მიტროპოლიტ გედეონის სახელი არ იხსენიებოდეს. მე არც თქვენი შეწუხება მსურდა, მაგრამ ამ წერილს საქართველოს ტელევიზიამ უკვე გაუკეთა კომენტარი, რამაც მორწმუნეთა შორის მღელვარება გამოიწვია და იძულებული გავხდი თქვენთვის მომემართა.

რა თქმა უნდა, მე მჯერა, რომ თქვენ არ იზიარებთ მიტროპოლიტ გედეონისა და მამა ვიტალის შეხედულებას.

ძმური სიყვარული, ურთიერთგაგება და თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის არსებობს, ვერ უნდა დაარღვიოს მსგავსმა უპასუხისმგებლო განცხადებებმა.

კიდევ ერთხელ გისურვებთ, თქვენო უწმიდესობავ, ღვთის დიდ წყალობას.

გეხვევით ძმური სიყვარულით,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის დღესაც გრძელდება და გაგრძელდება, მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს, მაგრამ მთავარი აქ ისაა, თუ თავად ადამიანი რომელს აირჩევს, რომელ გზას დაადგება. როცა დავითის ძე სოლომონი, ღვთის განგებით ტახტზე ავიდა, უფალს, რომელიც მას სურვილის შესრულებას შეჰპირდა, გული გონიერი, ესე იგი, სიბრძნე სთხოვა, რათა ერთმანეთისაგან გაერჩია სიკეთე და ბოროტება. სწორედ, გული გონიერი გვჭირდება ჩვენ დღეს, როცა ბოროტება ასე მძვინვარებს და სიკეთის სახელით სიკეთის დათრგუნვას ცდილობს. სიკეთის საბოლოო დათრგუნვა შეუძლებელია. შეიძლება ბოროტებამ დროებით გაიმარჯვოს, მაგრამ მაინც წაგებულია, რადგან ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაემხობა, განგებით ღვთისა. ადამიანს, რომელსაც ბოროტი სული ეპატრონება, სასწაულის ჩადენაც კი შეუძლია, მაგრამ იგი მხოლოდ მოჩვენებითი და დროებითი იქნება. ბოროტი სულისაგან ბოძებული დიდება ამაო და ხანმოკლეა. ამგვარ დიდებას გამოდევნებული კაცი უცილობლად იღუპება. ძალა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ბოროტებასთან ბრძოლა, არის რწმენა, სიყვარული და სასოება. უნდა გვახსოვდეს, როგორც წმიდა ბასილი დიდი გვასწავლის, ბოროტება ბოროტებით კი არ იკურნება, პირიქით, ორმაგდება. მხოლოდ სიყვარულით, შენდობითა და მიტევებით შეიძლება მისი მოცილება.

რაც ბოლო დროს საქართველოში მოხდა, ეს უდიდესი განსაცდელია. გავა დრო და ისტორია განსჯის, ვინ მოამზადა ეს საზარელი, ძმათა მკვლელი ომი; მაგრამ ჩვენ დღესაც უნდა შევიცნოთ, სად არის სიკეთე და სად ბოროტება, რათა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ და რა ვაკეთოთ.

დღეს მხოლოდ უფალს შეუძლია ჩვენი ხალხის სიყვარულით გამთლიანება, მაგრამ ხანდახან ადამიანსაც ეძლევა ღვთისაგან მადლი და ძალა, ხელი შეუწყოს ამ გამთლიანებას.

ღმერთმა გვაკმაროს ეს საშინელი განსაცდელი. უნდა გვახსოვდეს, სადაც დიდი მადლი და ლოცვაა, იქ ეშმაკიც განსაკუთრებით იბრძვის. მე იმედი მაქვს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი თავის კალთას გადააფარებს თავის მამულს და იხსნის მას ხილული და უხილავი, გარეშე და შინაური მტრების ხელყოფისაგან.

ღმერთმა მშვიდობა და სიხარული მოგცეთ თქვენ და სრულიად საქართველოს. ამინ!...

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს ეკლესიის დიდება

შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის

ყოფილ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ეკავა ისტორიული შიდა ქართლის ნაწილი.

შიდა ქართლი უძველესი დროიდან იყო დასახლებული და აქ პალეოლითის (ძველი ქვის) ხანიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ადამიანის უწყვეტი ცხოვრება.

შიდა ქართლი ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული ყოფის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერაა. ტერიტორია, სადაც 1922 წელს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ისტორიული და თანამედროვე საქართველოა. შიდა ქართლი უძველესი დროიდან ქართველებით (ქართველთა წინაპარი ტომებით) იყო დასახლებული და ყოველთვის ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. შიდა ქართლი არის ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის, ქართული სალიტერატურო ენის, ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ცენტრი.

ოსთა სახელმწიფო არსებობდა და არსებობს საქართველოს მოსაზღვრე, კავკასიონის ქედს გაღმა. ჩრდილო კავკასიის ველებსა და კავკასიონის ჩრდილო კალთების ხეობებში მოსახლე მომთაბარე ტომებთან, რომელთაც ქართული შუასაუკუნოვანი წყაროები ოსებს (ოვსებს) უწოდებდნენ, ქართველებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა, სამხედრო კავშირები.

მჭიდრო კონტაქტები არსებობდა დასავლურქართულ სახელმწიფოს (აფხაზთა სამეფო) და ოსებს შორის. სამხედრო კავშირებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფხაზთა მეფეების მონაწილეობას დასავლეთ საქართველოს მოსაზღვრე ოსთა (ალანთა) გაქრისტიანების საქმეში, ხოლო ოსეთის აღმოსავლეთ რეგიონებში ქრისტიანობა ერთიანი ქართული სახელმწიფოდან ვრცელდებოდა.

IX-XIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში არსებობდა ალანთა (ოსთა) ადრეფეოდალური სახელმწიფო, რომელთანაც მჭიდრო პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს, ხშირი იყო დინასტიური ქორწინებანი. ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი მთავარი გზა ოსებზე, დარიალზე გადიოდა. ამ გზას უძველესი დროიდან ამაგრებდნენ ქართველი მეფეები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ამ გზას მეფე დავით IV აღმაშენებლის დროს, რომელმაც 1118 წელს "აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისასა და კავკასიისა მთისანი და შექმნა გზა მშვიდობისა". ამ გზას "ოსეთის გზას", ხოლო კარს "ოსთა კარსაც"უწოდებდნენ. ამ დროს ოსეთი საქართველოს სამეფოს ფსადნაფიცი იყო.

ისე, როგორც ყველა ურთიერთშორის მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის, აქაც საუკუნეთა მანძილზე ადგილი ჰქონდა მიგრაციულ პროცესებს. ეს ურთიერთობა ნორმალურად ვითარდებოდა, სანამ მასში გარეშე, მესამე ძალა არ ჩაერეოდა; მაგ. IX ს. შუა წლებში (853 წ.) არაბთა სარდალმა ბუღა თურქმა "დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს", ხოლო XIII ს. მონღოლთა ყაენის ბრძანებით, მეფე დავით ულუ იძულებულია მიიღოს მონღოლთა მოკავშირე ოსთა სამხედრო რაზმები, რომელთაც მან სადგომად დმანისი და ჟინვანი მისცა. დამპყრობნი, როგორც წესი, ცდილობდნენ უცხო ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლებას, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, და ეს ღონისძიებანი დაპყრობილ ქვეყანაში საკუთარი დასაყრდენის შექმნას, დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას და სხვა მიზნებს ისახავდა.

XIII ს-ში თათარ-მონღოლთა და XIV ს. თემურ ლენგის შემოსევების შედეგად, ალან-ოსთა სახელმწიფო დაემხო. დამპყრობთაგან შევიწროებული ოსები კავკასიის მთის ჩრდილო კალთებს აფარებდნენ თავს.

XIII ს-ის დასასრულს (1292 წ.) ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, "იწყეს ოვსთა ოხრებად,ხოცად და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თუსად დაიჭირეს ოვსთა". დაიწყო ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა, რომელშიც თათარ-მონღოლები ოსებს ეხმარებოდნენ.

მხოლოდ გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346), რომლის დროს საქართველო გათავისუფლდა მონღოლთა ბატონობისაგან, ოსებიც "განასხნა და აღფხურნა", განდევნა ქართლიდან. მშვიდობის დაცვისა და ჩრდილო კავკასიიდან უცხო ეთნიკური ჯგუფების შემოსვლისათვის გზის გადაკეტვის მიზნით, მეფე გიორგიმ საიმედოდ გაამაგრა ჩრდილო კავკასიაში გადამავალი გზები.

XV საუკუნის დასასრულისა და XVI საუკუნის დასაწყისიდან საქართველო მტრულ მაჰმადიანურ გარემოცვაში აღმოჩნდა. რთულ საგარეო და საშინაო პირობებში საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე ქართულ მიწა-წყალზე თითქმის გამუდმებული ბრძოლები მიმდინარეობდა თურქ-ოსმალთა იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის. ირბეოდა საქართველო, დამპყრობნი იყოფდნენ მას, ქართული სამთავროები თავს იცავდნენ.

გამუდმებულ საომარ მოქმედებათა პირობებში საქართველოში, და განსაკუთრებით მის ბარის რაიონებში, მცირდებოდა მოსახლეობა, რაც ბიძგს აძლევდა ქართველ მთიელთა მასობრივ ამოსახლებას ბარში, ხოლო საქართველოს მთას, თანდათან კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან გამოსული უცხო ეთნიკური ჯგუფები იკავებდნენ. ასე გაჩნდა კახეთში დაღესტნელთა (ჩვენ რომ ლეკებს ვუწოდებთ) დასავლეთ საქართველოში ადიღე, აფსუა (ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ), ხოლო შიდა ქართლში ოსთა დასახლებები.

XIII-XIV საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის ველებზე მოსახლე, მონღოლთა მიერ დარბეულმა ოსებმა თავშესაფარი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეებში ჰპოვეს. შემდეგ თანდათან, არსებობის საშუალებათა ძებნაში, მათ კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზეც დაიწყეს ჩამოსახლება, საიდანაც, როგორც უკვე ითქვა, ქართული მოსახლეობა მტერთან გამუდმებული ბრძოლით მოსახლეობაშემცირებულ ბარში ჩავიდა საცხოვრებლად.

ოსები მოდიოდნენ ოჯახებით, სოფლებად, თემებად, სახლდებოდნენ ქართველ თავადთა მამულებში ხიზნებად, ბატონ-ყმობის პირობით... ეს პროცესი ძირითადად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი.

ოსთა ადალშენები ქართლის მთიანეთში XVII საუკუნიდან ჩნდება. დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც ქართლის მთიანეთის რეგიონში ოსთა მოსახლეობის საკითხს ეხება, წერს: "ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენნი ოვსნი დავსწერეთ, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოვსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან".

XVII საუკუნის შუა წლებში სოფ. ზემო ჯავაში ჯერ კიდევ არ იყო ოსური მოსახლეობა. XVIIIს-ის დასაწყისში

კი, ერთი ქართული წყაროს ცნობით (მეფე ლუარსაბის მარტვილობა) "ჩვენი მახლობელი მთიელი ოსები ჩვენს მახლობლად დასახლდნენ" და, როგორც ამ თხზულებიდან ჩანს, ისინი, თავისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობას მიწისთვის ებრძოდნენ.

ოსური მოსახლეობა საქართველოს მთიან ზოლში თანდათან მატულობს. ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემებით XVIII ს-ის 30-იან წლებში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთის რიგ სოფლებში ცხოვრობდნენ. XVIII ს-ის 70-იანი წლებისათვის (გიულდენშტედტის ცნობები) ოსური მოსახლეობა საგრძნობლად მომრავლებული, მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთშია. XVIII ს-ის 70-იანი წლების შემდეგ შიდა ქართლში ოსური მოსახლეობა მატულობს. მაგრამ შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის ზოლში, კამერალური აღწერილობების მიხედვით, მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისიდან ჩნდება.

ქართლში დასახლებული ოსები ძირითადად არაგვისა და ქსნის ერისთავების, თავად მაჩაბლების, ნაწილობრივ მუხრან-ბატონების, ხერხეულიძეების, ფალავანდიშვილებისა და სხვა სათავადოებში დასახლდნენ, სადაც ისინი, როგორც უკვე ითქვა, ხიზნების და ყმა-გლეხების უფლებებით სარგებლობდნენ.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ (1801 წლიდან) ოსებით დასახლებული მიწა-წყალი, მთლიანად საქართველოსთან ერთად რუსული მმართველობის სისტემაში მოექცა. ცნება "სამხრეთ ოსეთი" შიდა ქართლის ოსებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონისთვის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ხელოვნურად მკვიდრდებოდა, ეს დამპყრობთა ინტერესებისათვის იყო საჭირო, რათა ხელი შეეწყოთ საქართველოს შიგნით ქართველ-ოსთა შორის ურთიერთობის დაპირისპირებისათვის. რუსეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა აქ ოსური მოსახლეობის გამრავლებას. ოსები უმრავლესად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სახლდებოდნენ. როგორც ვარაუდობდნენ, XIX ს. დასაწყისში საქართველოში 30 ათასამდე ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1897 წლის კამერალური აღწერილობის მონაცემებით კი 71,5 ათასი. ოსები საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენა ბოლშევიკურმა რუსეთმა 1918-1921 წლებში, როდესაც ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იბრძოდა. ამ წლებში ადგილი ჰქონდა ბოლშევიკების მიერ ინსპირირებულ ოსთა აჯანყებებს ე. წ. "სამხრეთ ოსეთის" დემოკრატიული საქართველოდან გამოყოფის, ოსეთში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების, ხოლო შემდეგ მისი რუსეთთან შეერთების მიზნით. 1920 წ. აჯანყებულმა სამხრეთელმა ოსებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა სცადეს; მათ აქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს და ე. წ. "სამხრეთ ოსეთი" რუსეთის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებამ ეს აჯანყება ჩაახშო.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, რის განხორციელებაში თავისი წვლილი სამხრეთელმა ოსებმაც შეიტანეს, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ 1922 წლის 20 აპრილს, იმ დამსახურებისათვის, რაც ოს ბოლშევიკებს ჰქონდათ, შექმნეს ე. წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" საქართველოს შემადგენლობაში. მანამდე ოსებს საქართველოში არავითარი ეთნოპოლიტიკური, ან ეთნოტერიტორიული ერთეულები არ ჰქონდათ.

ამ ოლქის დედაქალაქად ძველი ქართული ქალაქი ცხინვალი გამოაცხადეს, სადაც XIX ს. დასაწყისში ოსები საერთოდ არ ცხოვრობდნენ, ხოლო ცხინვალის დედაქალაქად გამოცხადების დროისათვის 613 ოსი ცხოვრობდა და მოსახლეობის უპირატესობას ქართველები (1436) შეადგენდნენ. მათთან ერთად ცხოვრობდნენ ებრაელები და სომხები.

ასეთი ოლქის შექმნისათვის არ არსებობდა არც ისტორიული და არც იურიდიული საფუძველი.

მარიამ ლოლთქიფანიძე

აჩაბეთი

ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან

ძველი დროიდანვე ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებობდა მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა. ამას საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო ხშირად იყენებდა ოსთა დაქირავებულ რაზმებს თავისი სამხედრო მიზნებისათვის. ოსებისათვის ბრძოლებში მონაწილეობას მოჰქონდა – ქირა, საჩუქარი, ნადავლი; მათთვის ომი და მისი ორგანიზაცია ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციების მატარებელი იყო.

ქართველ და ოს ხალხებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებანი. ისინი განსაკუთრებით გახშირდა XI-XII საუკუნეებში. სამეფო და ფეოდალურ კლანებს გარდა, ხშირი იყო ქორწინებანი რიგით მოსახლეობაში. ბოლო ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა შერეულ ქორწინებათა მეტი წილი ოსებზე მოდიოდა.

რამდენადაც ოსებს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთაგან, ძირითადად, ურთიერთობა ჰქონდათ შიდა ქართლთან და გვიან საუკუნეებში მათ გადმოსახლებას შიდა ქართლში ჰქონდა ადგილი, შეეჩერდეთ ამ პროვინციაზე.

საქართველოს მთავარი მდინარის – მტკვრის დინებამ განსაზღვრა ისტორიული ქართლის დაყოფა ზემო, შიდა (ანუ შუა) და ქვემო ქართლად. შიდა ქართლი აღმოსავლეთით შემოსაზღვრული იყო მდინარე არაგვით; სამხრეთიდან ფარავნის ტბით, დასავლეთიდან სურამის ქედით, ხოლო ჩრდილოეთიდან კავკასიონის წყალგამყოფი ქედით XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე შიდა ქართლში შედის, აგრეთვე, ხევი და დვალეთი (მდ. არდონისა და მდ. ფიაგდონის სათავეები – დღევანდელი ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა), რომლებიც განლაგებულნი არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. XIV-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლი დაიყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომელთაგან 1922 წელს შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შევიდა – ქსნის საერისთაო, სამაჩაბლო, სავახტანგო მთლიანად და საამილახვროსა და საფალავანდიშვილოს ზოგი სოფელი. მასში შევიდა, აგრეთვე, რაჭის ტერიტორიის ნაწილი.

შიდა ქართლის უძველესი მოსახლეობა ქართულია. აქ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ისევე როგორც ადრე, მიმდინარეობდა ქართული აღმშენებლობა, კერძოდ, ციხე-სიმაგრეთა და ეკლესიათა მშენებლობა, რომელთაგან ბევრი შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველხარისხოვანი ძეგლია. ბევრ მათგანზე ქართული წარწერებია შემორჩენილი, რომლებიც ხშირად ფრიად საინტერესო შინაარსისაა და ადგილობრივი ქართველი ფეოდალების სახელებს გვაცნობენ. ასეთი ძეგლებით დაფარული ყოფილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი ტერიტორია (არმაზის, ერედვის, დოდოთის, ტბეთის, ქასაგინას, სოხთას, ლისის, ცხვატის, წირქოლის, იკორთის, ყანჩაეთის, თიღვის და სხვა ეკლესიები).

ურთიერთობა საქართველოსა და ოსეთს შორის მეტწილად კეთილმეზობლური იყო ("ოსეთს" როდესაც ვწერთ, მასში ყოველთვის იგულისხმება ჩრდილო ოსეთი). მაგრამ საკმარისი იყო გარეშე, ანუ მესამე ძალის ჩარევა, რომ ეს ურთიერთობა დაძაბულ ხასიათს ღებულობდა.

XIII ს-ის მეორე ნახევარში ორი მონღოლური სახელმწიფოს – "ოქროს ურდოსა" და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში იდგნენ დარუბანდის გზით აქ შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ. მათ დაიპყრეს შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მეფე გიორგი V ბრწყინვალემ XIV ს-ის 20-იან წლებში, ჟამთააღმწერლის სიტყვით: "განასხნა და აღფხურნა" ოსნი" (ე. ი. აჰყარა და აღმოფხვრა). ქართლში მოთარეშე ოსური რაზმები განადგურებული, ან საქართველოდან განდევნილ იქნა.

ჯერ მონღოლებისაგან, ხოლო XVII ს-ში ყაბარდოსაგან შევიწროებული სარჩო-საბადებლის მძებნელი ოსები გზას ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ; ხშირად კი აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. XVII ს-ის დასაწყისში ოსები უკვე არიან დიდი ლიახვის სათავეებში; XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა კომპაქტურია; ლიახვის ზედა წელზე, მეჯუდის, ლეხურის და ქსნის ხეობათა სათავეებში კი, შედარებით ნაკლები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში მოკალათდნენ და ინტენსიურად დაიწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

მთავარი საფუძველი, რომლითაც საქართველო ოსეთსა და ოსებზე ავრცელებდა თავის კულტურულ გავლენას, იყო ქრისტიანული სარწმუნოება.

ქართლში პირველი საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში. ქართლის ეკლესიის მეთაური ატარებდა მთავარეპისკოპოსის ტიტულს.

V საუკუნიდან მთელი შიდა ქართლი დაყოფილი იქნა 6 საეპისკოპოსოდ (სამთავროს, წილკნის, სამთავისის,ურბნისის, რუისის, ნიქოზის).

სამთავროს საეპისკოპოსოს ემორჩილებოდა სოფლები მდ. ლეხურიდან მდ. დიდ ლიახვამდე.

წილკნელის საეპისკოპოსო-სამწყსო ტერიტორიას შეადგენდა მუხრანის ველი, ორივე არაგვი და ბაზალეთი. XVI-XVIII საუკუნეებში წილკნის საეპისკოპოში შედიოდა მთიულეთის, ხევისა და ქსნის ხეობის 52-ზე მეტი სოფელი. პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად იგი აერთიანებდა სამუხრანბატონოს მთლიანად, არაგვისა და ქსნის საერისთაოთა ნაწილებს. წილკნის საეპისკოპოსომ დაარსებისთანავე დიდი როლი შეასრულა კავკასიის მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებასა და ეკლესიების მშენებლობაში.

სამთავისის საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა მდინარეების – ქსნისა და ლეხურას სოფლები.

ნიქოზის საეპისკოპოსო დაუარსებია ვახტანგ გორგასალს (V ს.) წარმართული სალოცავის ადგილზე, სადაც დაკრძალული იყო სპარსელებისაგან წამებული რაჟდენი. ნიქოზის საეპისკოპოში შედიოდა ლიახვის ზემო წელი, დვალეთი და რაჭა (გლოლა-ღები), მისი კათედრალი ("ღვთიური ეკლესია") მდებარეობდა "დვალეთის გზაზე". ნიქოზის საეპისკოპოსოს მისია იყო ქრისტიანობის გავრცელება ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში.

ურბნისის საეპისკოპოსოში შედიოდა მდ. ლიახვის ქვედა წელის სოფლები.

რუისის ანუ მროველის საეპისკოპოში შედიოდა რუისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის სოფლები ლიხტაშისკარამდე; აგრეთვე გაღმა მხარის ზოგი სოფელი. აწყურის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ (XVII ს.) ხეობისა და სადგერის სოფლებიც მროველს დაექვემდებარა. 1715 წელს რუისის სამწყსოში შედიოდა 84 სოფლის 1839 კომლი.

გაღმა მხარის (მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორიის) სოფელთა უდიდესი ნაწილი შედიოდა მცხეთის საპატრიარქოს უშუალო გამგებლობაში.

"ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ პირველ საუკუნეში, ქართლის ქვეყნების მოვლის შემდგომ "დიდი ანდრია სიმონიოურთ (კანანელი, რედ.) შევიდა ქვეყანასა ოვსეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი ერნი მოაქცივნეს და განანათლეს"...

(ქართლის ცხოვრება, გვ.42, 1955 წ.) ამ ცნობას სხვა ავტორებიც იმეორებენ, მაგრამ VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი წერს: "იბერთა საზღვრებთან ახლოს ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიცა და აბასგებიც, რომლებიც ქრისტიანენი არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრებია".

ბიზანტიის მიერ ოსთა გაქრისტიანება ერთ-ერთი ნაბიჯი იყო მსოფლიო იმპერიის შექმნის გზაზე. VI საუკუნის შემდეგ ეს ინტერესი შენელდა, რადგან ოსთა სამხედრო ძალა დასუსტებული იყო. X საუკუნეში ოსეთის გაქრისტიანების ბიზანტიური პოლიტიკა კვლავ დღის წესრიგში დადგა. ბიზანტიის გავლენა ოსეთზე საქართველოს მეშვეობით წარმოებდა. 921-925 წლებში ქრისტიანობა ოსეთში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ეს ფაქტი დაკავშირებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის და ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგის სახელთან. მეფე გიორგი ნათლავს ალანეთის მმართველს და დიდებულებს. ახლად გაქრისტიანებული ოსეთი ბიზანტიის საპატრიარქომ თავის ეპარქიათა სიაში მოაქცია. ალანთა საეპისკოპოსო პირველად X საუკუნეში გვხვდება ეპარქიათა სიებში. ნიკოლოზ მისტიკოსის დროს იგი სამთავარეპისკოპოსო იყო. შემდეგ კი სამიტროპოლიტოდ იქცა და რუსეთის შემდეგ, 61-ე ადგილს იკავებდა.

თუ ოსეთის დასავლეთ ნაწილზე ვრცელდებოდა ბიზანტიისა და ეგრის-აფხაზთა სამეფოს გავლენა, ოსეთის აღმოსავლეთ რაიონებამდე ბიზანტიური გავლენა ვერ აღწევდა და აქ ქრისტიანობა საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან იკაფავდა გზას.

ოსეთში ქრისტიანობის განმტკიცება საქართველოს მეშვეობით მომხდარა. ამაზე მეტყველებს ოსურ ენაზე არსებული ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელიც ქართული ენიდან არის შესული.

ასე მაგალითად: ტუარ (ოსურად – ჯვარი, კუირი – კვირა, თარანჯელოს –მთავარანგელოზი, მარხო – მარხვა, ბარასკა – პარასკევი, მიქალ-გაბირთა – მიქელ-გაბრიელი, მაირამ-მარიამი, დეკანოზი – დეკანოზი და სხვ.

მდ. ყუბანის სათავის რაიონებში ათასამდე ტაძრის ნაშთი შემორჩა. ასეთი ძეგლებით განსაკუთრებით მდიდარია მდ. ზელენჩუკის ხეობა, სადაც ნაქალაქარზე აღმოჩნდა რამდენიმე ტაძარი. ისინი ქართული არქიტექტურის გავლენითაა შექმნილი. შემთხვევითი არ არის, რომ ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საკულტო ნაგებობას ოსური მოსახლეობა ტრადიციულად თამარ მეფეს მიაწერს, თუმცა ზოგი უფრო ადრეც, ზოგი კი გვიან შენდებოდა.

ქრისტიანობასთან ერთად ოსეთში ვრცელდებოდა ბერძნული და ქართული დამწერლობა. ქართული წარწერები გვხვდება რიგ ქრისტიანულ ტაძრებზე.

საქართველოდან ოსეთში გავრცელდა ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. ნუზალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რექომი ცეის ხეობაში, ძივგისის ტაძარი ჭურთათინის ხეობაში და სხვები ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის მაჩვენებელია. ტაძარი "ხოზიტა-მაირამი" მდ. არდონის შენაკად ზრუგის ხეობაში (ისტორიული დვალეთის ტერიტორია) ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ნიშანდობლით თვისებებს ამჟღავნებს. იგი ოსეთში ქართული საეკლესიო არქიტექტურის გავრცელების გზებსაც გვიჩვენებს. ასეთი გზები იყო დარიალისა და ოსეთის სამხედრო გზა.

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველო-ოსეთს შორის კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის განვითარების ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება ქართულწარწერიანი ზარები, რომლებიც ქართველ მეფეებს შეუწირავთ ოსთა ცალკეული ეკლესია-სალოცავებისათვის. სოფ. ზარამაგაში აღმოჩნდა XIII საუკუნის ქართული ხელნაწერი – ფსალმუნი, რომელიც ოსეთში XVII საუკუნის დასაწყისში მოხვედრილა. ზემოთ აღნიშნული ზარების ქართული

წარწერები მოწმობენ, რომ ოსეთში იმ დროისათვის სცოდნიათ ქართული ენა, ქართული დამწერლობა და მათი შემწირველნი ამ ფაქტიდან გამომდინარე, ზარებს ქართულ წარწერებს უკეთებდნენ.

ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა ნაბიჯები ოსთა თავისი გავლენის ორბიტაში მოსაქცევად უეჭველად გულისხმობს მათ შორის გარკვეულ სამისიონერო მოღვაწეობასაც. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ოსთა შორის არიან ქრისტიანები, რომელთაც ნათლისღება ქართლსა და რაჭაში აქვთ მიღებული. ამას გარდა, ცნობილია, რომ ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში გახიზნულ სასულიერო პირთაგან ბევრს სცოდნია ოსური ენა. ამიტომ მოულოდნელი არაა, რომ ოსთა შორის ქრისტიანობის მასობრივი გავრცელებისათვის სპეციალური კომისიის შექმნის იდეა მათ წამოაყენეს.

1742 წლის ნოემბერში მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელმთავრებმა – მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის წინამძღვარმა, მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა და მთავარეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს მოხსენება ოსეთში შერყეული ქრისტიანობის აღსადგენად ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ. ისინი მოახსენებდნენ, რომ ყიზლართან ახლოს ცხოვრობენ ოსები, რომლებიც 200 ათას სულს შეადგენენ, რომ ისინი ადრე მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. მათი ქრისტიანობის მაჩვენებელია ქვიტკირით ნაგები ეკლესიების ნაშთები; ისინი ახლაც იცავენ მარხვას და ამყარებენ დიდ სურვილს ქრისტიანობის აღსადგენად.

რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობის გაჩაღებისგან. ამიტომ გადაწყვიტა ქართველი სამღვდელოების ხელით მოეგვარებინა ოსთა გაქრისტიანების საქმე. კომისიის მხოლოდ ქართველი სასულიერო პირებით დაკომპლექტებით რუსეთი ცდილობდა გაეფანტა თურქეთ-სპარსეთის ეჭვები მისდამი, ხოლო კომისიის საქმიანობა წარმოეჩინა ქართველი მისიონერების კეთილგანწყობილ-ად; რუსული მხარისათვის ცნობილი იყო, რომ ქართველები ოსებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

სასულიერო კომისია 1745 წლის დამდეგიდან უკვე ოსეთში იმყოფებოდა. კომისიამ, ქართული შემადგენლობით, 1771 წლამდე იარსება, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომში რუსების გამარჯვების შემდეგ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების

ამოცანა არ მოიხსნა. შემდეგ კი რუსეთის მთავრობამ ქართული სასულიერო პირები რუსი სამღვდელოებით შეცვალა.

1746 წელს, სინოდის დავალებით, კომისიის წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე, ქართული შრიფტის საფუძველზე, საეკლესიო ხასიათის წიგნების თარგმნას შეუდგნენ.

1764 წელს გახსნეს სკოლა ახლად დაარსებულ ციხესიმაგრე მოზდოკში. ეს იყო პირველი სკოლა ოსი ხალხის ისტორიაში, რომლის ინიციატივა ქართველ სამღვდელო პირთაგან მომდინარეობდა.

1771 წლიდან ოსეთის სასულიერო კომისიაში რუსი სამღვდელო პირები შეჰყავთ. და აი, გასცეს განკარგულება, ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნა-გამოცემას, ქართულის ნაცვლად, რუსული გრაფიკა დასდებოდა საფუძვლად. მიუხედავად ამისა, ქართული გრაფიკის საფუძველზე ოსური წიგნების თარგმნა გაგრძელდა 1844 წლამდე.

ოსეთის კომისიის გარდა, ოსების გაქრისტიანების მიზნით, გარკვეულ სამისიონერო მუშაობას ეწეოდა საქართველოს ეკლესია. სამისიონერო მუშაობა არამარტო პირაქეთ ოსებს მოიცავდა, არამედ ჩრდილოეთ ოსებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია იოანე წილკნელის მოღვაწეობა.

1750 წელს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ "ნათელჰსცეს ოსთა". ერეკლე და მისი შვილები შემდეგშიც ყოველთვის ცდილობდნენ წაექეზებიათ ოსთა გაქრისტიანების საქმე და პირად ინიციატივასაც იჩენდნენ ამ მხრივ. ერეკლე და მისი შვილები ხშირად იყვნენ ოს წარჩინებულთა ნათლიები.

ანტონ კათალიკოსის საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1764 წ. მან თბილისში ჩამოიყვანა ოსი ახალგაზრდები) გამოიზარდა მთელი ჯგუფი ოსთა სამღვდელო პირებისა, რომელნიც კურთხევის შემდეგ დაინიშნენ ოსების მოძღვრებად. ოსებისათვის განახლებულ იქნა საეპისკოპოსო ტაძრები წილკნელისა და ნიქოზელისა. ამ ეპარქიათა ეპისკოპოსებს მიენდოთ ოსების რელიგიური საქმე.

1811 წლიდან საქართველოს საეპისკოპოსოების გაუქმებასთან დაკავშირებით, ოსების სასულიერო საქმე დაუკავშირდა საქართველოს ეგზარქოსის გამგეობას. ოსების საქმენი მიწერილ იქნა გორში მყოფ ეგზარქოსის ვიკარზე (გორის მღვდელ-მთავარზე).

ქრისტიანული სარწმუნოება წარმოადგენდა იმ დუღაბს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უწყობდა ხელს ქართველი და ოსი ხალხების სულიერ და კულტურულ დაახლოებას, მათ კეთილმეზობლურ თანაცხოვრებას.

ჯონდო გვასალია



ანანია ჯაფარიძე
მანგლელი მთავარეპისკოპოსი

XIX საუკუნე ქართველთა გაოსება

რელიგიური გზა

ოსურ გარემოცვაში მცხოვრები ქართველების მიერ ენისა და სარწმუნოების დაკარგვა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოში მყოფმა გერმანელმა მოგზაურმა გულდენშტედტმა აღწერა. საქართველოში სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ შიდა ქართლში მოსახლეობის გაოსებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა XIX საუკუნეში. ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელდა. უფრო მეტიც, – ქართველთა გაოსების პროცესი გ. ჯიბლაძის დაკვირვებით, დღემდე გრძელდება: პირველ ეტაპზე გაოსებულა წარმოშობით ნახურ-დვალური მოდგმის ქართველობა, მეორე ეტაპზე გაოსებულან ქართლელი მთიელები, ხოლო შემდგომ ეტაპზე ამ პროცესს ბარისაკენ გადმოუნაცვლებია და ბარელი ქართველების გაოსება დაწყებულა. ოსები ჯერ დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, ხოლო უფრო მოგვიანებით, ქსნის ხეობის სათავეებში ესახლებიან. დვალური მოსახლეობა ოსური დაფენების ქვეშ ექცევა. ოსური დაფენების ქვეშ მოექცა ადგილზე მოსახლე ქართველობაც. ეს პროცესი დაიწყო XIV საუკუნიდან და დღემდე გრძელდება.

თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუნეში მხოლოდ მაღალმთიან ხეობებს მოიცავდა, XIV-XX საუკუნეებში პროცესმა დაბლა და გარდამავალი ზოლისაკენ გადმოინაცვლა (გ. ჯიბლაძე, "ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. თბ., 1987 წ., გვ. 18).

ქართველთა გაოსების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია XIX საუკუნეში, რასაც საფუძვლად ედო სოციალური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზეზები. უფრო კი ქართველების გაოსების პროცესის ახსნა სოციალურ სფეროში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ცარიზმის ხელისუფლება სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებებით სოციალურ პრივილეგიებს ანიჭებდა ოსურ მოსახლეობას, ამის გამო შიდა ქართლში ჩამოყალიბდა ეთნოფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება "ოსობა" ვუწოდოთ. ქართველი კაცისათვის "ოსობა" მომგებიანი იყო. ჩამოყალიბდა მიდგომა "ოსობის" მიმართ. როგორც თურქთაგან დაპყრობილ მესხეთში ქართველებისათვის "თათრობა" იყო ეკონომიკურ-პოლიტიკურად მომგებიანი, "ლეკობა" – საინგილოში, "აფხაზობა" – ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, "სომხობა" – აღმოსავლეთის პროვინციებში, ასევე "ოსობა" ეკონომიკურ-პოლიტიკურად იყო მომგებიანი ცარიზმის დროს შიდა ქართლში. რუსეთის ხელისუფლება ოსურ მოსახლეობას პირველ ხანებში არავითარ პრივილეგიას არ ანიჭებდა. მან ოსების მიმართ მიდგომა მხოლოდ იმის შემდეგ შეცვალა, რაც ქართლის ოსური მოსახლეობა ქართველებთან ერთად მრავალჯერ აუჯანყდა ამ ხელისუფლებას. თავისი პოზიციების განმტკიცებისა და ქართული პოლიტიკური ძალების დასუსტების მიზნით ცარიზმმა ყურადღება მიაპყრო ოსურ მოსახლეობას, მიანიჭა მას პრივილეგიები, რის გამოც ქართველ გლეხთა თვალში "ოსობას" წონა დიდად მოემატა. მარტო ის რად ღირდა, რომ 1852 წელს სამაჩაბლოს ოსები ბატონობის უღლისაგან, ანუ ყმობისაგან გაათავისუფლეს. საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე გაცილებით ადრე, ამავე საუკუნის 30-იან წლებში პასკევიჩმა ქართველ მემამულეებს მთიელ ოს ყმებზე უფლებები ჩამოართვა და ისინი თავისუფლებად სცნო, ხოლო უფრო ადრე რუსული ეკლესია ოსებს ფულს უხდიდა "გაქრისტიანებისათვის", მის მეზობლად მცხოვრებ მოუნათლავ ქართველს კი არაფერს არ აძლევდა, სოციალური პრივილეგია და თავისუფლება – ოსი გლეხების დამახასიათებელ ნიშნად იქცა; თუ გავითვალისწინებთ, რა ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდა შიდა ქართლის მთიანეთისა და მთისწინეთის ქართველი გლეხობა, მათ სწრაფვას "ოსობისაკენ" გასაკვირად არ მივიჩნევთ. ცარისტულ ხელისუფლებას ოსები გადაჰყავდა სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში და ათავისუფლებდა ყმობისაგან; უფრო მეტიც, ხიზანი, რომელიც ოსის სინონიმად იქცა, ფაქტიურად თავისუფალი გლეხი იყო. "ოსობა" მრავალმხრივ იყო მიმზიდველი ქართველი გლეხისთვის.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობა ხშირად ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდა. მაგალითად, თურქეთის იმპერიაში ყველა მართლმადიდებელს, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, ბერძნებად თვლიდნენ (ბერძნებად ითვლებოდნენ თვით რუმინელები, ბულგარელები და სხვა მართლმადიდებელი ერებიც კი), "სომეხი" – ყველა გრიგორიანს ეწოდებოდა, "ფრანგი" – ყოველგვარი ეროვნების კათოლიკეს. ფაქტიურად ასევე იყო ამავე საუკუნის საქართველოშიც, ქართველთა ფსიქოლოგიით ყოველი ადამიანი, რომელიც მაჰმადიანურ სარწმუნოებას მიიღებდა, "თათარი" ხდებოდა. ასე იქცნენ მაჰმადიანი ქართველები "თათრებად", გრიგორიანები "სომხებად", ხოლო კათოლიკეები "ფრანგებად".

სარწმუნოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის ეროვნების განსაზღვრისას.

წარმართობაც სარწმუნოებაა. ქრისტიან ქართველებს, ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გამო, არაქრისტიანი, ანუ გაწარმართებული ქართველი შეეძლოთ ცუდ ქართველად, ანდა არაქართველად მიეჩნიათ; მით უმეტეს, რომ გვიან შუა საუკუნეებში "ქართველი" გარკვეული თვალსაზრისით მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველის აღმნიშვნელად იქცა. ცხადია, ასეთი თვალსაზრისის მატარებელი იყო მხოლოდ ფართო მასა.

ოსური ეროვნული სარწმუნოება (წარმართობა) ძლიერ განსხვავდებოდა მართლმადიდებლობისაგან, მაგრამ ამავე დროს, თავისი სიმარტივისა და უბრალოების გამო კავკასიელი მთიელების ერთ ნაწილზე ზეგავლენა მოუხდენია.

თემურ ლენგის შემდეგ კი კავკასიელ ტომებში გავრცელდა მაჰმადიანობა. მზოლოდ დვალები, ცენტრალური კავკასიის მცხოვრებნი, ძველებურად ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. ოსთა დამკვიდრების შემდეგ კი მათაც ოსური სარწმუნოება შეითვისეს და ქრისტიანული ელემენტებით შეაზავეს.

ვახუშტი ბაგრატიონს ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული ოსები მიაჩნია არა "ალანებად", არამედ დვალებად. დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცენტრალური კავკასიონის მთებში ცხოვრობდა, ხოლო ჩრდილოკავკასიაში დამკვიდრებული ოსები (ნარ-მამისონის ხეობის გარდა) ეთნიკური წარმომავლობით არადვალური წარმომობისანი იყვნენ (ე. ი. ალანური); ამიტომაც, ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრელი ოსების ერთიან წარმომავლობას" (ი. მეგრელიძე, "სიძველენი ლიახვის ხეობაში", 1984, გვ. 10).

დვალები "ალანების" (ოსების) მოსვლამდე, კავკასიაში მცხოვრები იბერიული (ქართველური) მოდგმის ხალხი იყო. მათ გაოსებაში უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის დაკარგვამ და ოსური წარმართული სარწმუნოების შეთვისებამ. დვალების მიერ ქრისტიანობის დაკარგვისა და გაწარმართების შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი. ისინი გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ქართლის მთიანეთში, დასახლდნენ ლიახვის, ქსნის ზემო წელსა და კუდაროში. ცხადია, აქ მათ დახვდნენ ქართველი მთიელები. ამ დროისათვის, ჩანს, აქაურ ქართველთა შორისაც შესუსტებული იყო ქრისტიანობა. ეს პროცესი მათში კიდევ უფრო გაუღრმავებია დვალების (ოსების) მეზობლობას. ამის შესახებ წერს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. "კავკასიელ მთიელთა შორის — განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს" (გიულდენშტედტი, "მოგზაურობა საქართველოში", ტ. 1, გვ. 185).

გაოსების ერთ-ერთი მიზეზი ქართველთა მიერ ქრისტიანობის დაკარგვაა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე ქართველი სამღვდელოება გარკვეული იყო საქმის არსში და ქრისტიანობაშესუსტებულ ქართველ მთიელებს (თუშ-ფშავ-ხევსურებს, მოხევეებს თუ ქართლის მთიელებს) შესაბამისი მეთოდებით ეპყრობოდა.

ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ, ეკლესიის ახალი, არაქართული ხელმძღვანელობა ძალზე სწორხაზოვნად უდგებოდა საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ მდგომარეობას; კერძოდ, თუკი აქამდე ქართველი ქრისტიანების, ქართველი კათოლიკების, ქართველი მაჰმადიანების არისტოკრატიული ნაწილი ქართველად ან "საქართველოს შვილად" თვლიდა თავის თავს და ასევე ითვლებოდნენ სამღვდელოთა მიერაც, ვითარება შეიცვალა რუსთა შემოსვლის შემდეგ. რუსულმა ხელისუფლებამ ყველა არამართლმადიდებელი ქართველი მათი სარწმუნოების შესაბამის ერებს მიაკუთვნა.

მოსახლეობის დაბალი და საშუალო ფენები ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთთან აიგივებდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი გრიგორიანები ენით, ადათ-წესებით, ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ, რჯულის გამო რუსეთის ხელისუფლებამ ისინი "სომეხი" ეროვნების გრაფაში შეიტანა. რჯულით სომხები ეროვნებით სომხებად იქცნენ. მათ აუკრძალეს ქართულენოვანი განათლების მიღება. ასევე, ქართველი მაჰმადიანებიც ეროვნებით არაქართველებად აღრიცხეს; თუმცა ქართული კულტურული წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი არა თუ ამ მაჰმადიანების ნამდვილი ეროვნება, არამედ წარჩინებულთა მრავალი ოჯახის მრავალსაუკუნოვანი ქართული გენეალოგიაც კი. როგორც ვხედავთ, რუსული ხელისუფლება საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ ვითარებას განიხილავდნენ არა დიფერენცირებულად, არამედ სწორხაზოვნად.

ასევე იყო შიდა ქართლშიც, აქ ჯერ დვალებმა, ხოლო შემდეგ ქართლელმა მთიელებმა სარწმუნოება (ქრისტიანობა) დაკარგეს, როგორც გიულდენშტედტი და ვახუშტი წერენ, ამ ეპოქაში, საქართველოს ეკლესიის გაუქმების მიზნით, რუსული სამღვდელოება ქართულს მრავალ სარწმუნოებრივ ცოდვა-უწესობას მიაწერდა. ქართველი სამღვდელოება აცხადებდა, რომ მათ მძიმე პირობებში შეძლეს შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა, რომ ყოველი ქართველი არის მტკიცე მართლამადიდებელი. ეს მტკიცება რუსულმა ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა — თუკი ყველა ქართველი მტკიცე ქრისტიანია, მაშასადამე, წარმართები და არაქრისტიანები ქართველები არ არიანო. მართლაც, მთიელები მოუნათლავები იყვნენ და ამიტომაც ისინი რუსების მიერ არაქრისტიანებად მიიჩნეოდნენ, ხოლო არაქრისტიანები მათთვის არაქართველები იყვნენ. ეს ძირითადად იმ მოსახლეობას შეეხება, რომელნიც, გიულდენშტედტის თანახმად, ოსურ გარემოში ცხოვრობდნენ და ამის გამო ქრისტიანობა დაკარგული ჰქონდათ.

ასეთი იყო რუსული მიდგომა უნათლავი ქართველებისადმი, რომელნიც, ცხადია, მრავლად ცხოვრობდნენ ოსთა (დვალთა) შორის, რუსებისათვისაც ისინი "ოსები" იყვნენ.

როგორია უნათლავი ქართველების დამოკიდებულება თავისი ეროვნების მიმართ? ამ ქართველებსაც სურდათ, რომ "ოსებად" წოდებულიყვნენ. რატომ? იმის გამო, რომ რუსულმა ხელისუფლებამ გაქრისტიანებისათვის ჯილდო დააწესა და ეს ჯილდო ძალზე დიდი იყო. ქრისტიანობის მიღების პირობად რუსული ხელისუფლება ოსური ეროვნების (და არა სხვა) გლეხებს ბატონობისაგან გათავისუფლებას და მიწის მიცემას პირდებოდა.

ქართული ბატონყმობის წესი, რომელიც შეცვალა რუსულმა ბატონყმობამ, სხვა რიგზე იყო მოწყობილი. თუ ადრე ქართველ ბატონსა და ყმას შორის არსებობდა ახლო ურთიერთობა, რაც განპირობებული იყო ძველი ბატონ-ყმობის გადმონაშთებით და არახელსაყრელი საგარეო ვითარებით (არსებობდა თვით დანათესავება — "ნათლიმამობაც" კი), ახლა შემოვიდა უმკაცრესი, სასტიკი დამოკიდებულება. რუსეთში ყმა — ფაქტიურად მონის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომაც ყველას სურდა ყმობისაგან გათავისუფლება, ვინც უნდა ყოფილიყო ის: ოსი (დვალი), თუ გიულდენშტედტის მიერ აღწერილი ოსთა შორის მცხოვრები ქრისტიანობადაკარგული ქართველი. ბარელ ქართლელ გლეხს არ სურდა განთავისუფლება? სურდა, მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ ოსური ეროვნების მქონე გლეხებს ათავისუფლებდა (ეს მართლაც ასე მოხდა სენატის რეზოლუციის წყალობით 1850-იან წლებში, მაგრამ ახლა ჩვენ ვეხებით XIX საუკუნის დასაწყისს - 10-იან-30-იან წლებს). გათავისუფლების პირობად ხელისუფლებამ "ოს" (ანუ უნათლავ) გლეხებს დაუდო — გაქრისტიანება. თუ გათავისუფლება გსურთ, უნდა იყოთ ეროვნებით ოსი (ანუ უნათლავი), და გაქრისტიანების შემდეგ მიიღებთ სასურველსო. გაქრისტიანებულ "ოსებს" "სახაზინო გლეხების კატეგორიაში" გადაყვანის წესით, მართლაც აძლევდნენ გარკვეულ ფართობს.

ქართველთა გაოსების საქმეში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ 1815 წელს აღდგენილმა ე. წ. "ოსეთის სასულიერო კომისიამ". ამ კომისიის მოქმედების არეალი არა მარტო ჩრდილო კავკასიას მოიცავდა, სადაც ოსთა ძირითადი მასა იყო თავმოყრილი, არამედ ოსებით დასახლებულ საქართველოს (თბილისის გუბერნიის მიწებსაც. ოსებით (დვალებით) დასახლებული არდონის ხეობის ნარ-მამისონის მიწა-წყალი 1858 წლამდე ისტორიულად მუდამ საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა. ამ წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ჩრდილო კავკასიაში წარმოებულ სამხედრო ლაშქრობებთან დაკავშირებით არდონის ხეობა (ნარის უბანი) ჩამოაშორა თბილისის გუბერნიას. საქართველოს ეს კუთხე — ისტორიული დვალეთი, რომელიც გაოსებული დვალებით იყო დასახლებული, განსახილველ პერიოდშივე ისევე, როგორც ოსებითა (დვალებით), და უნათლავი ქართველებით დასახლებული ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები, თბილისის გუბერნიას ეკუთვნოდა და "ოსების სასულიერო კომისიის" მოქმედების არეალში შედიოდა.

ოსების სასულიერო კომისიის ხელმძღვანელობამ უმოკლეს დროში "ცამეტი ათასამდე ოსი გააქრისტიანა" (ქ.ს.ე, ტ.7, გვ.

593). მაინც, როგორ შეიძლებოდა ეს? ასეთი კოლოსალური რაოდენობის მთიელების გაქრისტიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს მოსახლეობა ქრისტიანული იყო, მაგრამ უნათლავი და ამ დროს მოინათლნენ, ანაც რაღაც ჯილდოს ელოდა. მართლაც ასე მოხდა (იქვე, გვ. 593).

ეს, ცხადია "ოსეთის სასულიერო კომისიის" ინიციატივით არ მომხდარა. ამ კომისიის აღდგენამდე და მისი გაუქმების შემდეგაც ხელისუფლება გაქრისტიანების სანაცვლოდ ოს მოსახლეობას დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოებს აძლევდა. მაგალითად, 1811 წელს მთავარმართებელმა ტორბასოვმა ოსების გაქრისტიანების სანაცვლოდ იმპერატორისაგან ქსნის ხეობის გვერდის-ძირის ოსების ერისთავისაგან გათავისუფლება ითხოვა. ამის გამო მისთვის 10000 მანეთი უნდა მიეცათ ვერცხლით (სამხ. ოსეთის ისტ. ნარკვევები, I, გვ. 171).

ასევე იქცეოდა რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაშიც, აქაურებს გაქრისტიანების სანაცვლოდ ფულსა და მიწებს აძლევდნენ.

"რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ პირობად აქ ქრისტიანობის აღდგენას თვლიდა, ამიტომ ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მათ გაქრისტიანებას (მ. გონიკაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, 1984, გვ. 61).

რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს ყოველი კუთხე აჯანყების ცეცხლის ალში იყო გახვეული. შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ უფლისწულებს, ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ. ისინი გამეფებას ცდილობდნენ, სასტიკად ებრძოდნენ რუსულ ხელისუფლებას და ხშირად დასაყრდენს სწორედ ოსებში პოულობდნენ; არა მარტო შიდა ქართლის ხეობათა ოსებში, არამედ ჩრდილო კავკასიის ოსებშიც ბატონიშვილებს გავლენა ჰქონდათ; მაგალითად, როცა "ციციანოვი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა რუსეთში ძალით გადასახლებას შეუდგა, ამან ქართველ თავად-აზნაურთა უკმაყოფილება გამოიწვია... თაბაურის თავკაცები რუსეთის პოლიტიკისადმი უარყოფით დამოკიდებულებას აღარ მალავდნენ.

აქედან ჩანს, რომ შიდა ქართლის და საერთოდ მთიანეთის დამორჩილებისათვის საჭირო იყო ოსური წარმოშობის მოსახლეობის გამოყენა ქართველთა პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური გავლენის სფეროდან და ამ მოსახლეობის უშუალოდ რუსულ ეკლესიასთან დაკავშირება.

რუსული ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა ამ კუთხეში ქართული ქრისტიანობის აღმოფხვრისა და რუსული ორიენტაციის ქრისტიანობის დანერგვისათვის. აქამდე ქრისტიანობა იმ სახითაც კი, როგორითაც ის არსებობდა ოსეთში, იყო ქართული. ჩრდილო კავკასია და მათ შორის ცენტრალურიც, ქართული ეკლესიის არა თუ გავლენის, არამედ იურისდიქციის სფეროშიც შედიოდა. აქ მრავლად შენდებოდა ტაძრები ქართული არქიტექტურით და წირვა-ლოცვაც ჩრდილო კავკასიის ყველა ქრისტიანულ მხარეში ქართულენოვანი იყო. ამას მიუთითებს ქართული წარწერები ტაძრებსა, ნივთებსა და ქვებზე, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის გაუქმებულ ეკლესიაში აღმოჩენილი ქართული წარწერები, მათ შორის, ისტორიულ დვალეთშიც, ე. წ. "ზარომაგის ფსალმუნი". ეს ფსალმუნი აქ მაშინ უნდა გამოეყენებინათ წირვა-ლოცვის დროს, როცა დვალეთი საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა და მას არ ეწოდებოდა "ოსეთი". "ოსეთი" დვალეთს მხოლოდ მონგოლების შემდეგ შეიძლება ეწოდოს, რაც იქ ოსურ – "ალანური" მოსახლეობა შევიდა. სწორედ ამის შემდეგ იწყება დვალების დექრისტიანიზაცია და გაწარმართება, რაც ვახუშტის მიხედვით, XVIII საუკუნეშიც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. მონგოლების შემოსევამდე ისინი სულიერ-კულტურულად აბსოლუტურად ქართული ეკლესიის ორგანული წევრები იყვნენ და ისევე როგორც საქართველოში ყველა სხვა კუთხის მცხოვრებნი, იყენებდნენ ქართულ დამწერლობას. ქართული კულტურა მათი კულტურა იყო, ხოლო ქართული ეკლესია – დედა ეკლესია. მრავალი დვალი მოღვაწე ჰყავდა ქართულ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე, და მათგან მრავალი სწორედ კალიგრაფი, ქართულ წიგნზე მომუშავე იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ოსურ ენაში, ჩანს დვალების გავლენით, გადასულია ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია; ეს დვალების ქართულ ქრისტიანობაზე მიუთითებს; მაგალითად, ოსურად უმაღლეს ღვთაებას "ხუცავი" ეწოდება, ლეკურად – "ხუცრი", რაც ღმერთს ნიშნავს. ქართული ქრისტიანობა აქ თემურ ლენგამდე იყო გავრცელებული.

დვალებს ქართული ქრისტიანული სარწმუნოების ყველა ელემენტი ჰქონდათ შეთვისებული, მაგრამ იმის შემდეგ, რაც აქ ჩრდილო კავკასიის ველებიდან ოს – "ალანები" დასახლდნენ, შეიცვალა მათი სარწმუნოება. ვახუშტი წერს: დვალები "სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიკოზელისანი და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთა ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა უყოფენ, თაყვანს სცემენ და სხვისა სრულიად უმეცარნი, არა უვისთ მღვდელნი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირნი, ფაიქომნი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივე რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მსგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა... ენა აქვთ ძველი დვალური... (ქც., ტ. 4, გვ. 638-639). ვახუშტის დროს ოსეთის საზოგადოება, როგორც თვითონ წერს, ორი ფენისაგან შედგება, დაბალი ფენა – ეროვნული წარმოშობით დვალურია და ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ "უნათლისღებონი", ხოლო მაღალი ფენა – ოსურია. ისინი მაჰმადიანები არიან – "უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი" (გვ. 632). "წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი" (გვ.638), აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო უგვარითა – კვალად დვალადვე" (გვ. 634); "დაბალნი გლეხნი – ქრისტიანენი" (გვ. 638).

ვახუშტის ცნობით, ქართლის მთიანეთში გადმოსახლდნენ დვალები და არა ოს-"ალანები". ეს შემდგომში გამოვლინდა შემდეგი სახით; რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდგომ ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანი ხალხების ნაწილი თურქეთში გადავიდა. მათ შორის იყვნენ ჩრდილო კავკასიელი წარჩინებული ოსები თავიანთი ჯგუფით, – "ძირითადად ვადავიდნენ ოსები, ადიღე-ჩერქეზები, ნოღაელები და ყაბარდოელები" (მ. გონიკაშვილი, გვ. 160). "ჩრდილო ოსეთიდან პირველი გადასახლება 1859 წელს მოხდა. გადასახლდნენ ტუგანოვები, აბისალოვები და სხვანი თავიანთი გლეხებითა და მონა-ყმებით. გადასახლების მოთავე ოსეთის ფეოდალი აბისალოვი იყო. მეორე გადასახლება 1860 წელს მოხდა. ამჯერად დაახლოებით 300-500 კომლი გადავიდა თურქეთში. ამის თავკაცი ოსეთის ცნობილი ფეოდალი აჰმედ ცალიკოვი იყო" (იქვე, გვ. 160, შენიშვნები).

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის არა მარტო ჩრდილო კავკასიიდან, არამედ საქართველოდანაც წავიდა თურქეთში მოსახლეობის ერთი ნაწილი (აფხაზეთიდან და მესხეთიდან), შიდა ქართლიდან ოსური მოსახლეობა არ წასულა. ამისი მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ოსეთში, ანუ ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, წარჩინებულები მაჰმადიანები იყვნენ. ამიტომაც მათი ერთი ნაწილი, მსგავსად სხვა მაჰმადიანი ტომებისა, თურქეთში წავიდა, ხოლო შიდა ქართლში დამკვიდრებული ოსები, წარმოშობით დვალები, ქრისტიანული მიმართულების მქონენი, აქვე დარჩნენ.

როგორც აღინიშნა, 10-იან წლებში მრავალი ოსი (დვალი) მონათლეს, მაგრამ 20-იან წლებში ისინი კვლავ ძველ სარწმუნოებას – ოსურ წარმართობას დაუბრუნდნენ. დვალების მონათვლა კი ძნელი არ იყო; ისინი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ უნათლისღებონი – უნათლავნი.

10-იან წლებში, როგორც ითქვა, "ოსი გლეხების საბოლოო "დამორჩილების" მიზნით მეფის ხელისუფლებამ დიდი ძალა მოახმარა მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებას. 1814 წლის 17 ოქტომბერს მან დაამტკიცა შემდეგი ბრძანება: "საქართველოში იყოს ერთი ეგზარხოსი და სამი ეპარქია – ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა. მოზდოკის ოსური კომისიის მოვალეობა დაეკისროს თელავის არქიეპისკოპოსს. ოსი მოხუცების წახალისებისათვის გაიცეს 1500 მანეთი" (სამხ. ოსეთის ისტორიის ნარკვ., გვ. 245). ეს იყო უმაღლესი ბრძანება.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ გააუქმეს ქართული ეპარქიები. ეპარქიათა რიცხვი ორამდე დაიყვანეს საქართველოს ბარში. ხოლო მთისათვის შექმნეს ახალი და მას უწოდეს "ოსეთის ეპარქია". მთაში არა მარტო ოსები, არამედ ქართველი მთიელებიც ცხოვრობდნენ და ისინი უმრავლესნი იყვნენ; მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება მზად იყო საქართველოს მთიანეთში ყველა მცხოვრები ოსად გამოეცხადებინა. ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ არა მარტო საეკლესიო, არამედ ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც ახლად შექმნილ "ოსეთის ოკრუგში" მთიელები და მოხევეებიც შეიყვანეს. 1842 წელს – "ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში თავდაპირველად შეიყვანეს, აგრეთვე, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიულ-მოხევეები და ამ ოკრუგის ცენტრად მთიულეთის სოფელი ქვეშეთი აირჩიეს" (ჯ. გვასალია, ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, ლიტ. საქ., 1989 წ., 29.IX). მთიულეთის სოფელი რატომ უნდა ყოფილიყო "ოსეთის ოკრუგის" ცენტრი? თუ არა კავკასიის მთიანეთის ხევების გამო შექმნილი სატრანსპორტო დაბრკოლებები, ალბათ, ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა დიდხანს გაგრძელდებოდა, რაც, ალბათ, მთიელების ოსებად გამოცხადებასა და საბოლოოდ მათ გაოსებას გამოიწვევდა.

როგორც ვთქვით, რუსმა სამღვდელოებამ ქრისტიანულ, ღრმად მორწმუნე ქართველებს ეპარქიები შეუმცირა, ხოლო ნაკლებ ქრისტიანულს "ოსეთის ეპარქია" შეუქმნა, სადაც ოსების გარდა მთიანეთის მცხოვრებნიც იყვნენ გაერთიანებულნი. ეს მხოლოდ ქართველთა გაოსების სურვილის გამო მოხდა. იმ ბრძანებაში, რომელიც სწორედ ამ ეპარქიათა შემცირებასა და საქართველოში ეგზარქოსობის დაწესებას შეეხება, სწორედ ოსებისადმია განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი. აქ იხსენიება "ოსეთის კომისია" და ოსი უხუცესებისათვის ფულის – 1500 მანეთის მიცემა. ვითომდა, ამ ხერხებით მთიელ წარმართებსაც აქრისტიანებდნენ, სინამდვილეში კი შედეგი საპირისპირო იყო. საქართველოს ბარის მოსახლეობაში ამგვარი უზურპატორული მოპყრობის გამო ქრისტიანობა შესუსტდა.

პირველ ხანებში მართლაც ბევრი გაქრისტიანდა. მრავალი მონათლეს. ჩანს, ყველა მთიელ მონათლულს, ანუ "ოსეთის ეპარქიაში" მცხოვრებს, ეროვნებით ოსად აცხადებდნენ. ამას მონათლულთა კოლოსალური რიცხვი მიუთითებს.

"უკვე 1815 წელს მონათლული იყო 11 445 ოსი, ხოლო 1820 წლის პირველი ივლისისათვის მონათლული ოსების რიცხვმა 31 997 კაცს მიაღწია" (სამხ. ოსეთის ისტ. ნარკვ., გვ. 245).

მონათლულ "ოსთაგან" ეროვნებით ყველა ოსი რომ არ იყო, ეს იქიდან ჩანს, რომ არა თუ 1820 წელს, 1865 წელსაც კი პ. გუგუშვილის მონაცემებით მთელი მოსახლეობა 1.288 ათასია, მათგან ოსები არიან 3,1%.

1820 წლისათვის რუს სამღვდელოებას შეუმჩნევია, რომ მონათლული მთიელები, ანუ მათი სიტყვით "ოსები" კვლავ უბრუნდებოდნენ წარმართობას; ამის გამო საჭიროდ მიუჩნევიათ ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნების გადათარგმნა და გამოცემა.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მოუთმენელი იყო, მთიელებსა და ოსებში ღვთისმსახურება ტრადიციულად ქართულ ენაზე რომ აღესრულებოდა, რუსულ საეგზარქოსოს ამის დაშვება არ შეეძლო. ამიტომაც სურდა, აქ ქართულის ნაცვლად ოსური საეკლესიო მწიგნობრობა დაარსებულიყო. ეგზარქოსი სინოდს წერდა: "ქრისტიანობის წარმატებით გავრცელების გამაძნელებელ მიზეზთა შორის ოს ხალხში, რომელიც მონათვლის შემდეგ არაიშვიათად დაუბრუნდა კერპმსახურებას, უნდა მიეკუთვნოს: 1. ოსურ ენაზე არავითარი წიგნების არ არსებობა, 2. სამღვდელოების მიერ ოსურის უცოდინარობა და პირიქით, ოსების მიერ ქართულის ცოდნა, რომელზეც სრულდებოდა ხალმრთო ლიტურგია და ყოველი ქრისტიანული წესი" (ო. თედეევი, დასახ. ნაშრ., გვ. 73).

რუსმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, როგორმე აღმოეფხვრა ქართლის მთიანეთში ქართული საეკლესიო მსახურება, საერთოდ ქართული ქრისტიანობა. მართლაც, მალე XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ქართველ სამღვდელოებას აუკრძალეს ქართლის მთიანეთში სამსახური; ქართული წმიდა წიგნები ოსურ ენაზე ათარგმნინეს და გაავრცელეს. ხალხი კი ქართულენი ვან მსახურებას იყო მიჩვეული; დვალებს, მართალია, ოსური ენა შეთვისებული ჰქონდათ, მაგრამ მათი დედა ენა არა ოსური, არამედ დვალური იყო. ვახუშტი წერს, რომ საქართველოსთან კონტაქტის მქონე დვალებმა თავიანთ სამშობლოშივე დვალურ ენასთან ერთად იცოდნენ ქართული ენაც; "ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი"... (ქ.ც., IV, გვ. 639). რუსული ხელისუფლება ყოველი ღონისძიებით ებრძოდა ამ მდგომარეობას. ქართლში ჩამოსახლებულ დვალებს მათ არ აღუდგინეს დვალური ენა, არამედ განუმტკიცეს ოსური ენის ცოდნა, რომელიც მათთვის დედა ენა არ იყო, დვალებს საკუთარი ენა ჰქონდათ. ეს იყო დვალური. ხელისუფლებამ არავითარი ყურადღება არ მიაყრო დვალურს, ხოლო ქართულს სასტიკად შეებრძოლა – დვალებს ოსურენოვანი ქრისტიანული მსახურება დაენერგათ; თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მთლად წარმატებული არ ყოფილა. ხალხი ქართულენოვანს არ უარყოფდა და სიამოვნებით იღებდა მას. ამიტომაც აეკრძალათ შემდეგ ქართველ მღვდლებს ქართლის მთიანეთში სამსახური. აი, დავით ბეგიზოვის ნაამბობი: "ქრთამით აიღეს დოკუმენტი "ო ბლაგონადეჟნოსტი", მიმიყვანეს საქართველოს ეგზარხოსთან, რომელსაც აეკრძალა სამხრეთ ოსეთში ქართველის მღვდლად ან მასწავლებლად გაგზავნა, ეგზარხოსმა სწრაფად მაკურთხა, დამლოცა, ჩამიწყვეს წიგნებში ფურცლები, რა წამეკითხა ჯვრის წერაზე, რა პანაშვიდზე და რა რომელ დღესასწაულზე... მქონდა ჯამაგირი, დრამის ფულს არ ვიღებდი. ეს გადასახადი ოსებმა არ იცოდნენ. ჯავის ზევით მე ვიყავი პირველი ოსი მღვდლად და კიდევ იყო შემდეგ ორი ოსი, თორემ უწინ სულ ქართველები იყვნენ ჩვენში ამ სამსახურში" (ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 289).

მთა და მისი ხალხი, რომელიც ქართველი სამღვდელოების სამწყსო იყო ათასწლეულების მანძილზე, ხელისუფლებამ იძულებით წაგლიჯა ქართულენოვან ეკლესიას და მეთოდურად გაოსა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დვალები იბერიელი ხალხი იყო, ეთნიკურად ქართველებთან გაცილებით უფრო ახლოს მდგარნი, ვიდრე ოს–"ალანებთან". დვალები ქართველთა მონათესავე ტომია, ხოლო ოს-"ალანები" – ირანულენოვანი, ინდოევროპული წარმოშობისაა და მათთან ეთნიკურად არაფერი საერთო არ ჰქონდათ დვალებს. დვალები – იძულებით ჩამოაშორეს ქართულ ეკლესიას, რომელთანაც მას ათასწლოვანი ურთიერთობა აკავშირებდა და შეიყვანეს ხელისუფლების მიერ სახელდახელოდ შექმნილ ოსურენოვან საეკლესიო სამყაროში. უნდა ითქვას, რომ ამ ოსურენოვან საეკლესიო გარემოში დვალებთან ერთად მრავალი ქართველი მოექცა ზემოთაღწერილი მიზეზების გამო. ი. იალღუზიძეს ქართულიდან ოსურ ენაზე ათარგმნინეს საეკლესიო წიგნები, რაც შემდეგ გაავრცელეს. ის თავის თავზე წერდა: – "საქართველოს აზნაური იოანე გიორგის ძე იალღუზიძე... შობილი ვარ ოსეთსა. წარმოება ჩემი არს ბუნებით ოსთა აზნაურთაგან". ეს "საქართველოს აზნაური" ქართული ეკლესიის წევრი – ქართველი სამღვდელო პირი იყო. მას მრავალჯერ ჰქონდა (4-ჯერ) გადაწერილი სულხან-საბას "სიტყვის კონა", სხვა წიგნები. ქართული სახელმწიფოსა (ერეკლე მეფის) და ქართული ეკლესიის (ნათლისმცემლის

მონასტერში) მიერ იყო აღზრდილი. იყო ქართული საეკლესიო წიგნების დიდი მცოდნე, ქართულენოვანი პოეტი, შეიძლება ის თავის თავს "ოს-ჩერქეზთა" მეფის "ალღუზინის" შთამომავლად თვლიდა. მას მიუძღვნა თავისი პოემა.

მას 1820-1824 წლებში ქართულიდან ათარგმნინეს საეკლესიო წიგნები: "ყველა ჩამოთვლილ წიგნში მოცემულია ქართულ-ოსური ტექსტი: ქართული მარცხნივ და ოსური მარჯვნივ. ეს წიგნები ძველი ქართული ასოებით (ხუცურით) არის დაბეჭდილი. "თარგმანში არის ჩატოვებული ქართული სიტყვები: უმრავლესობა ამ სიტყვებისა მოხელეთა, მცენარეთა, მწერების სახელწოდებებია. მთარგმნელმა ვერ დაუძებნა ამ ტერმინებს შესაფერისი ოსური შესატყვისები, ვერც შეთხზა და ამიტომ ქართული სიტყვები ჩატოვა". მანვე თარგმნა წმიდა სახარება. ეგზარქოსმა შალვა ქსნის ერისთავს თხოვა თავის მამულში შეეკრიბა ქართულისა და ოსურის მცოდნე გაქრისტიანებული ოსი ყმები და მათთვის წაეკითხათ ეს ნათარგმნი სახარება, ჯერ ქართულ, ხოლო შემდეგ ოსურ ენებზე — რათა შეესწორებინათ ნათარგმნი. "შემოკრიბნა მუნ მცხოვრებნი ყმანი თვისნი უფროს უფროსნი კაცნი სმენად შემძლებელნი და სხვანიცა ხალხნი". პირობის თანახმად, მათ ქართულიც უნდა ცოდნოდათ. პირველად ქართულად კითხულობდნენ, ჩანს, ხალხს წანაკითხის აზრი რომ გაეგო, მერე კი ოსურად. აქედან ჩანს, რომ ხალხისათვის ქართული ენა არც ისე უცხო იყო. ცხადია, წმიდა წერილის ყოველ ენაზე თარგმნა კურთხეული საქმეა, მაგრამ ერთა ერთმანეთზე გადაკიდებისა და ურთიერთშორის გაუცხოვებისათვის, ერთი ერის მრავალ ტომად დანაკუწებისათვის მისი გამოყენება არასწორია.

რუსი ხელისუფლება ქართველი ერის დანაკუწებას რომ ცდილობდა, ეს ცნობილია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამას თვით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების უაღრესად დაბალი დონე უწყობდა ხელს. თვით ხალხი თავისივე ქვეყნის სხვა კუთხის მცხოვრებს ვერ ითვისებდა თავის წიაღში. საქართველოში "დაყავი და იბატონეს" პოლიტიკის გატარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ბატონყმობის (ქართლის მთიანეთში "ოსთა შორის" 1852 წელს) შემდეგ ქართლის ბარში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მთიელ ხიზანთა მასიური ჩასახლების შემდეგ.

ქართველები ეთნოგრაფიულ ნიშნებს ხშირად აიგივებენ ეროვნულ ნიშნებთან — ე. ი. ქართველი მთიელები ოსებს ჰგავდნენ ეთნოგრაფიული ნიშან-თვისებებით, წეს-ჩვეულებებით, ჰქონდათ წარმართულ-ქრისტიანული რიტუალები. ბარის ქართველები მთიელთა განსხვავებულ ეთნოგრაფიულ ნიშნებს არაქართულ ეროვნულ ნიშნებად მიიჩნევდნენ, ანუ ქართველ მთიელებს ოსებად მიიჩნევდნენ და ასე უწოდებდნენ.

ეს არ არის გამონაკლისი, რადგანაც მოსახლეობის საყოველთაო აღწერების დროსაც ეროვნულ კუთვნილებას სარწმუნოებრივი, ანდა ეთნოგრაფიული ნიშნებით განსაზღვრავდნენ. ქართლელი მთიელების ოსებად ჩაწერა რუსეთის ცარიზმის სურვილიც იყო.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა ყოველი ღონით ცდილობდა დაენაწევრებინა ქართველი ერის მთლიანი სხეული, შეეფერხებინა ეროვნული კონსოლიდაცია. ამიტომაც 1886 წელს ცალკე ეროვნებად აღრიცხეს ქართლელები, ხევსურები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სამურზაყანოელები და ქართველი ხალხის სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები (იხ. ვ. ჯაოშვილი, დას. ნაშრ. გვ. 111).

საერთოდ ხელისუფლება და მასთან დაახლოებული წრეების (მეცნიერების, ლიტერატორების, კულტის მსახურების) სურვილი და მისწრაფება იყო აღნიშნული ეთნოგრაფიული ჯგუფები სხვადასხვა ხალხებად წარმოედგინა.



საეკლესიო ცხოვრების

სვეტიცხოვლობა. 13 ივლისი

ფოტოალბომი



მცხეთა. ნათლისღება

მტკვრისა და არაგვის შესართავთან

ნუმცა ვემსგავსებით, ძმებო, ხეთა ზამთრისათა
უნაყოფოთა,ფურცელ დაცჯნებულთა ბელეკონთა,
რათა არა მოვიღოთ ჩუენ პატიჟი იგი უნაყოფოისა
ლეღვისათაჲ, რომელი წყევით განაკმო ქრისტემან,
არამედ ნაყოფიერ ვიქმნნეთ.

უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, ვითარცა მტერნი

პირველ რიგში მოკლედ შევეხოთ საკითხს, თუ ვინ არიან ოსები? ოსთა ეთნოგენეზისს ჯერ კიდევ XVIII-XIX სს-ში მიექცა ყურადღება (ი. კლაპროტი, შეგრენი, ვ. მილერი) და აქედან მოყოლებული, ეს პრობლემა მკვლევართა ინტერესის სფეროს არ მოსცილებია. მას 1965 წელს ორჯონიკიძეში სპეციალური საკავშირო სესიაც კი მიეძღვნა და მისი მასალები ცალკე წიგნადაც გამოიცა.

მთელი ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ ოსები არ არიან კავკასიის აბორიგენები. ისინი მიეკუთვნებიან ინდოევროპული ხალხების ჩრდილო ირანულ ჯგუფს; ოსური ენა ირანული ენების ჯგუფში შედის. მკვლევარები ოსებს ეთნოგენეტიკურად სარმატებთან და ალანებთან აკავშირებენ: ალბათ, ჩანს, მათი უახლოესი წინაპრები ალანები იყვნენ, რომლებიც სარმატების ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ და აზიური სარმატიის ველებში მომთაბარეობდნენ. ისინი ისტორიის ასპარეზზე ჩნდებიან I, ხოლო ჩრდილო კავკასიის ველებში II ს-დან. ისინი იყვნენ მოხეტიალე მეჯოგე ტომები. როგორც ოსი არქეოლოგი ტ. ტურგიევი აღნიშნავს, ყველა წყაროები ქმნიან სარმატ-ალანებში ნომადური მესაქონლეობის სურათს ადრეულ შუა საუკუნეებამდე: უფრო ზუსტად, VI-ს-ის ბოლომდე, იმ დრომდე, როდესაც ცენტრალური ჩრდილო კავკასიის ველები დაიპყრეს თურქული მოდგმის მოხეტიალე ტომებმა – ჰუნებმა და ალანების ნაწილი შეიერთეს. თვით ალანური ტომები (მათი გარკვეული ნაწილი) ჯერ (V-VI ს-ში) მთისწინეთს იკავებენ, შემდეგ (VII-XIX ს-ში) – მთის ნაწილს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მათი კავკასიელებთან აქტიურად შერწყმის პროცესი. ამ პერიოდში უკვე იხაზება ოსური ეთნოსის პირველი იერსახე. ამდენად, ორი კომპონენტის – მოსული ირანულენოვანი და დამხვდური კავკასიური ტომების, მათი ყოფითი კულტურის ურთიერთშერწყმის ნიადაგზე, სადაც აშკარად გაიმარჯვა კავკასიურმა ელემენტმა, მივიღეთ თვისობრივად ახალი, ანთროპოლოგიურად და კულტურულად კავკასიური ეთნიკური ერთეული ოსი ხალხის სახით. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც X-XII ს-ში დასრულდა.

XIII ს-დან კავკასიაში მონღოლები ბატონდებიან, ჩრდილო კავკასიის ბარის ზოლს, რომელიც ოსებს ეკავათ, ყაბარდოელები იკავებენ. ოსები იძულებულნი ხდებიან მთებს შეაფარონ თავი. ხეობათა გამოსასვლელები ყაბარდოელების კონტროლში ექცევა. აქ ოსების გამოჩენა იწვევდა მათ ფიზიკურ განადგურებას, დატყვევებას ან ძარცვას; ამიტომ ეს უკანასკნელნი მთის ზოლში მტკიცედ ჩაიკეტნენ. აქ შეიქმნა მათი სასოფლო-ტერიტორიული ერთეულები, თემები ძირითადი ხეობების მიხედვით. ოსებს სახელმწიფოებრივი წყობილება რევოლუციამდე არასოდეს ჰქონიათ. არ არსებობდა ოსეთის ერთიანი, ჩამოყალიბებული სახელმწიფო. როგორც თვალსაჩინო რუსი მოხელე კ. კრასნიცკი 1865 წლის პუბლიკაციაში მიუთითებდა, ნარის, მამისონის, ზაკისა და ზრუგის საზოგადოებები (ე. ი. ისტორიული დვალეთი) ძველთაგანვე საქართველოს ექვემდებარებოდა და ისინი ადმინისტრაციულად მხოლოდ ეხლახანს, ხუთიოდე წლის წინათ მიაკუთვნეს თერგის ოლქს; საზოგადოების წოდებრივი დიფერენციაცია ამ საზოგადოებებში არ ყოფილა. თუმცა ზოგიერთები თავიანთ თავს მაღალ სოციალურ ფენას მიაკუთვნებდნენ, რის მოწმობადაც ქართველი მეფეებისა და უფლისწულების მიერ გაცემული სიგელები ჰქონდათ შენახული. ისტორიული დვალეთი რომ ფარნავაზიდან (ძვ. წ. IV ს-ის ბოლოდან) მოყოლებული საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, ეს ქართული საისტორიო წყაროებითაც დასტურდება. ისინი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ თემებად იყვნენ დაშლილი, განაგრძობს კრასნიცკი, გამეფებული იყო საშინელი უწესრიგობა, გაუთავებელი განხეთქილება და სოფლების შეხლა-შემოხლა. გამორჩენის მიზნით მეზობლებს შორის უსასრულო შუღლი და სხვა, რაც ხშირად მთელი გვარის განადგურებით მთავრდებოდა.

ყოველივე ამის გამო, ოსების საზოგადოების გარკვეული ნაწილი სერიოზულად იყო შეშფოთებული. მათი განწყობილება

აისახა დიგორელი "თავადების" ჩერქეზიძეების და ბადელიძეების (მათ აზრს იზიარებდნენ — "თავადი" ყუბადიშვილებიც) მიერ 1815 წელს საქართველოს მთავარმმართებლისადმი წარდგენილ წერილში. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ოსების მოწინავე საზოგადოება დაინტერესებული იყო ბოლო მოღებოდა ოსეთის ცალკეულ თემებს შორის შუღლსა და მტრობას — "რადგან არ გვქონდა ხვთისადმი არავითარი შევრდომა... ჩუენ, თაგაურნი, ქურთათნი და ცუმეთნი უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, როგორც მტერნი"; ისინი მოითხოვდნენ შეწევნას, რათა ჰქონოდათ სავაჭრო გზებზე უსაფრთხოდ მოძრაობის შესაძლებლობა, აღეკვეთათ მძარცველური ბანდები და სხვა. წერილის ავტორები შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს მათ ტერიტორიაზე რუსის ჯარის ჩაყენებასა და საგანგებო წესების შემოღებაში ხედავდნენ. ჯარის ჩასაყენებელ ადგილსაც მიუთითებდნენ: "არდონის მდინარის პირზედ, რომელიც არის დიბორისა და თაგაურსა შორის... ადგილი ესე მდიდარ და განშუენებულ არს ყოვლის მხედრობისათვის".

საქართველოს დამოკიდებულებას ალან-ოსებთან იმ დროიდან ედება სათავე, როდესაც ისინი ჩრდილო კავკასიის ველებში გამოჩნდნენ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ისინი მოიწევენ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრებისაკენ და ყოველმხრივ ცდილობენ აქ შემოსვლას. ეს განსაკუთრებით საშიშ ხასიათს ღებულობს IV ს-ის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ქართლის სამეფო რთულ პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფება. მაგრამ სამეფო ტახტზე ავიდა ვახტანგ გორგასალი და მან, როგორც მისი ისტორიკოსი აღნიშნავს, "ლომთა ლომმა და გოლიათთა გოლიათმა" მოდრიკა მთა, დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი, შექმნა კარი დარიალისა და აღმართა იქ სიმაგრე. დვალეთის გზაზეც გაამაგრა კასრის კარი, "რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი". ამან რამდენიმე საუკუნით დააზღვია ქართლი ალან-ოსთა შემოსევებისაგან და დააყოვნა დვალთა ალანიზაციის პროცესი.

XIII ს. მეორე ნახევარში მონღოლთა რაზმებში გაერთიანებული ოსები დარუბანდის გზით შემოდიან საქართველოში. სხვა გზით არც შეეძლოთ შემოსვლა, რადგან ცენტრალური იმერკავკასიის მთიანეთი მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ათვისებული. ამ პროცესს ლაკონურად გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი: "იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარუტყუნეს და თავისად დაიჭირეს". ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა XIV ს-ის 20-იან წლებამდე, მანამ გიორგი ბრწყინვალემ ისინი სოციალურ-პოლიტიკურად არ დაიმორჩილა. საქართველოდან გადარეკა, თავის კუთხეში მისცა ყოველგვარი დახმარება, დაუნიშნა მოხელეები, რომელთა მეშვეობითაც იგი ამ კუთხეს განაგებდა, კრებდა ბეგარას, მაშველ ჯარს და ა. შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, ბუნებრივად ისმის კითხვა, როდის ჩნდება საქართველოში პირველი ოსური დასახლებები? პასუხი მხოლოდ ერთია, XVII-XVIII საუკუნეებში. ეს ტერიტორიაც ზუსტად შეიძლება შემოვიზაღოთ: დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში — მაღრან-დვალეთი; პატარა ლიახვის ხეობის ზოლში — გერისხევი, შუაცხვარი, აწრისხევს ზემოთ მდებარე ტერიტორია, ქსნის ხეობის სათავეებში — ჟამური; არაგვის ხეობის სათავეებში — თრუსოს ხეობა; კუდაროს ხეობის მთის ზოლი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლების და შემდგომ ბარში. შეიძლება ითქვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მათი განსახლების პროცესი მიმდინარეობდა მთელი XVIII და XIX საუკუნეების განმავლობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ შემდგომ პერიოდზე; მიმდინარეობდა მეთოდურად, მშვიდობიანი თუ ძალისმიერი გზებით. ოსები საქართველოში გლეხთა ხიზნების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და განსახლების პრობლემას, იმას, თუ რა ხასიათს ატარებდა ეს პროცესი, არაერთი ნაშრომი მიეძღვნა; ეს საკითხები აისახა ჩვენს ადრინდელ პუბლიკაციებშიც.

საქართველოს სამეფო ხელისუფლება საუკუნეების განმავლობაში ყველა პოლიტიკურ ხერხს მიმართავდა იმისათვის, რომ ოსები დაეოკებინა და მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა, გვერდით ჰყოლოდა ქრისტიანული, ცივილიზებული, ერთგული და საიმედო მეზობელი. ამ მიზანს ემსახურებოდა დინასტიური ქორწინებებიც, მაგრამ ეს არცთუ იოლად გვარდებოდა. ოსები დაუყოვნებლივ სარგებლობდნენ იმ შინა და გარე პოლიტიკური გართულებებით, რაც საქართველოში არცთუ იშვიათი იყო; ეფარებოდნენ საქართველოსაკენ დაძრულ უხეშ ძალას. ამით იყო გამოწვეული უკიდურესი საშუალებებიც — ძალის პოლიტიკა. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ გიორგი ბრწყინვალემ "განასხნა და აღფხურნა ოვსნი" და "დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან". შემდგომ გიორგი საეკლესიო, თბილისის, ცხინვალისა და "კავკასიის მთისა დვალეთისა" მოურავმა, გატეხა აჯანყებული ოსეთი და დაღესტანს მიუხდა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ V, "გამგე ქართლისა", "შევიდა ოსეთს, შემუსრა მათი კოშკები", სასტიკად გაუსწორდა ურჩებს, "ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ყელელს ხევი". კედელას გადმოვლით "მოვიდა კუდაროს და კუდაროდან ქართლს გამარჯვებული". XVIII ს-ის დასაწყისში ვახტანგ VI-მ ორგზის დალაშქრა ოსეთი, შემოიმტკიცა ეს მხარე და ქართლის საზღვრებიც გაამაგრა. აღა მაჰმად-ხანის შემოსევებმა კიდევ ერთხელ გაუხსნა ხელ-ფეხი ოსთა შეიარაღებულ ბანდებს, რომელთაც "ცხინვალის ხეობიდან და სხვა სოფლებიდამ" ათასობით კოდი პური გაჰქონდათ. შეიძლება ითქვას, XVIII და XIX ს-ის განმავლობაში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში), ოსიანობამ ამოჭამა ქართლის სოფლები. შექმნილი მდგომარეობით რუსი მოხელეებიც კი იყვნენ შეწუხებულნი და ეძებდნენ გამოსავალს; განაწამები, მშვიდობიანი ოსური მოსახლეობა სთხოვდა ხელისუფლებას, ბოლო მოეღო მათი თანამოძმეების თავაშვებული მოქმედებისათვის და ა. შ. მაგრამ ამ საკითხზე შეჩერებას ამჯერად არ ვაპირებთ.

ალან-ოსებში ქრისტიანობა VI-X სს-ში ვრცელდება ბიზანტიიდან და საქართველოდან. XI-XII სს-ის ქართველ ისტორიკოსთა შემოქმედებაში კავკასია ერთიანი კულტურული სამყაროა; წამოყენებულია კავკასიის ხალხთა ერთიანი წარმომავლობის თეორია; მთელ კავკასიაში იგება ქართული ქრისტიანული ტაძრები, ქართული წარწერებით და, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ამას აკეთებს თვით იქაური ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება. ამით ისინი ქართველობას იჩემებდნენ. კავკასიის მთიანეთი რაც უფრო მეტად ეზიარებოდა ქართულ კულტურას, მით უფრო შემოდიოდა ქართულ სამყაროში, ამ კულტურისა და ახალი ქვეყნის მშენებლობის მოზიარე და მონაწილე ხდებოდა.

1673 წელს მეფე გიორგი ზვლინის წმიდა გიორგის სწირავს ზარს ასეთი წარწერით: "ჩუენ ხელმწიფემან ქართლისა მეფემან გიორგი მცირემან შემოგწირეთ ზარი ესე ზვლინის წმიდა გიორგის ძლევისა მოწმად ჩუენდა ქორონიკონსა ტა". 1864 წელს შეწირულ რეკომის ზარს კი ასეთი წარწერა ჰქონდა: "ჩუენ ხელმწიფემან ბაგრატოვანმან დიდისა მეფისა შაჰნავაზისა ძემან, მეფემან გიორგი შემოგწირე ზარი ესე წმიდისა მამისა ქვეყნისა დიგორისა და დვალეთისა მოეცსა, სადღეგრძელოდ ჩუენდა და მეფობისა ჩუენისა წარსამატებლად ქორონიკონსა ტნიბ". 1812 წელს ნარელი ოსები ითხოვენ რა რუსეთის მფარველობაში შესვლას, ურთიერთვალდებულებათა ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: "უწინარეს ამისა, იყვნენ ჩვენს ნარის ხეობაში წინამძღვარნი და მღვდელნი და რომელნიმე ჩვენთაგანნი იყვნენ მისგან დაწესებული. რადგან ამ ხეობაში აქამდის არის საყდარნი და იარაღნი მისნი. ვითხოვთ კვალად განახლებას მისსა". ბუნებრივია, ტექსტი ქართულადაა დაწერილი, რადგან ამ დროს ოსებისათვის საწერლობო ენა ქართული იყო.

წილკნის მთავარეპისკოპოსი იოანე, რომელიც ერეკლე II-მ რვა წლის წინათ მთიანეთში, ქრისტიანობის განსამტკიცებლად მიავლინა, თავის 1801 წლის მოხსენებით ბარათში წერს, რომ

პირველად იგი მივიდა თავის სამწყსოში, გუდამაყარში და იქ დაიბარა კაწალხევის 15 საპატიო წარმომადგენელი, რომელთაც მთელი კაწალხევი (100 ოჯახი) ქრისტიანობაზე მოაქციეს. აქედან იოანე გადავიდა ბაკურხევში, სადაც ფშავლები ცხოვრობდნენ. სამ დღეს დარჩა და ოდეს ყოველი მოაგვარა, გზა ღუდასა და თრუსოსაკენ გააგრძელა. ოსები, აღნიშნავს იოანე, წმინდად იცავენ მარხვებს, ახსოვთ ბევრი წმიდანის სახელი, აქვთ რწმენა და სასულიერო სწავლების წინააღმდეგნი არ არიან. საინტერესოა, რომ ერეკლე II იოანეს სასწავლებლად აბარებს 8 წლის ოსის ბიჭს. სათანადო განათლების მიღების შემდეგ, იოანემ ეს ყმაწვილი დუშეთში განამწესა და ადგილობრივთაგან 30 ბავშვი მიაბარა წერა-კითხვის სასწავლებლად და მოსამზადებლად, რომ ისინი კავკასიის მთებში მღვდლებად დაეგზავნათ. თუ როგორ ზრუნავდა ერეკლე ოსებში ქრისტიანობის განმტკიცებისა და განათლების შეტანისათვის, ივანე იალღუზიძის გახსენებაც კმარა. იგი იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელი, ქართულ კულტურასა და განათლებას ზიარებული, წარმოშობით ოსი, რომელმაც უშუალოდ ერეკლეს მზრუნველობით მიიღო განათლება და შემდგომ ნაყოფიერად იღვწოდა ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის ასპარეზზე. მან პირველმა შეადგინა ოსური ანბანი ქართულის საფუძველზე; მართალია, რუსული კოლონიური პოლიტიკის პირობებში ამ ანბანმა ფეხი ვერ მიიკიდა, მაგრამ ამით ოსების კულტურისა და განათლების დარგში მაინც დიდი ნაბიჯი გადაიდგა.

ოსი ინტელიგენციის წარმომადგენელთაგან, რომელთაც ქართული განათლება მიიღეს და შეეცადნენ საქართველოს ოსებში განათლების შეტანას, ერთ-ერთი პირველთაგანი თომა ჩოჩიევი იყო. 1855-1856 წლებში იგი დიდი ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ კროსში და საერთოდ, სადაც კი შესაძლებლობა ეძლეოდა, კრებდა ბავშვებს და ქართულს ასწავლიდა. ხვეწეში მან სკოლაც დააარსა, იღვწოდა ჯავაშიც. როცა ჯავის სკოლა ფეხზე დააყენა, პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ორტევში გადავიდა. რისი მცდელობით მაღალმთიან სოფლებში: ყორნისში, როკაში, კოშკში გაიხსნა მართლმადიდებლური საზოგადოების სკოლები, ასევე სკოლები გაიხსნა წუნარში, ედისში და ძარსში.

XX ს-ის დასაწყისში მარტო გორის მაზრაში გახსნილია 16-მდე საერო და სასულიერო სკოლა მხოლოდ ოსებისათვის, სადაც განათლებას ღებულობდა 1500-მდე ბავშვი.

სათანადოდაა შეფასებული XIX ს-ის მეორე ნახევარში ათანასე გასიევის მოღვაწეობა. ის გამოხატავდა რა ოსი ინტელიგენციის ინტერესებს, მათ დამოკიდებულებას საქართველოსთან და ქართველი ხალხის ეროვნულ მიძრაობასთან, ამხელდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ქართველი ხალხისა და კავკასიის სხვა ხალხების მიმართ.

ქართველ საზოგადოებრიობას ამ კეთილშობილურ საქმეში ოსების ინტელიგენციის წარმომადგენლებიც უდგნენ მხარში, რომელთაც განათლება თბილისში მიიღეს და ქართულ კულტურას ეზიარნენ. 1855 წელს ი. ბერიძე აღფრთოვანებული წერს, რომ მისიონერების შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ოსები ხალისით ასრულებენ ქრისტიანულ მოთხოვნილებებს, მშვიდობიან, შრომისმოყვარე მოსახლეობად ჩამოყალიბდნენ და იმდენად ამაღლდნენ ზნეობრივად, რომ ჯავაში, თავისი ხარჯებით, ერთსართულიანი სახლიც კი ააგეს სასწავლებლად, სადაც განათლებას ქართულ და რუსულ ენაზე იღებენ. ვ. პერევალენკო კი ოსებში მიმდინარე საზოგადოებრივ ძვრებს რუსეთის დამსახურებად მიიჩნევს და სიამაყით აღნიშნავს, რომ ოსები რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათანობით უარს ამბობენ ველურ ჩვეულებებზე, მხეცები ადამიანებად იქცნენ. ოსების გარკვეულ წრეებში უკვე XIX ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება აზრი, რომ რუსული ენის ცოდნის გარეშე შორს ვერ წავიდოდნენ. ეს აზრი, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაღვივდა, ოსების საერთო აზრად იქცა და დაიწყო მათი აქტიური შერწყმა რუსულ ეთნოსთან, რასაც შედეგად მათი სრული ასიმილაცია უნდა მოჰყოლოდა. ეს შედეგიც შორს აღარ იყო.

ბახვა გამყრელიძე

შიდა ქართლის ეთნიკური შემადგენლობა და გეოგრაფიული სახელწოდებების გავრცელება

შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვარი ძველი პერიოდიდანვე სწორად იყო გააზრებული და იგი ძირითადად საზღვრების გატარების ბუნებრივ კანონზომიერებებს ემორჩილებოდა. ამასთან, ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრების ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა მისი არეალიც.

თავდაპირველად ტერმინი ქართლი ერქვა ქართლოსის (XI ს. ისტორიკოსის, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ეთნარქი) საცხოვრებელს — მთას, შემდგომი დროის არმაზს (ქ. მცხეთის მიდამოები), რომელიც ქართლის ტომის განსახლების ცენტრი, ხოლო მოგვიანებით მეფეთა რეზიდენცია იყო. ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში სახელწოდება "ქართლმა" ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა; დაერთო რა ადგილის მიმანიშნებელი სა-ო თავსართ-ბოლოსართი, ქართველებით დასახლებულ მთელს ტერიტორიაზე გავრცელდა სახელწოდება ქართლი, ანუ საქართველო. X ს. მწერალი გიორგი მერჩულე "ქართლს" მხოლოდ ეთნოგრაფიულ ერთეულად როდი თვლის, არამედ[illegible]გი საქართველოა ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება: "ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცუა ყოველი აღესრულების". თვით

ქართლი პირობითად დაიყო ზემო, შიდა და ქვემო ქართლად. ამ დროიდან "ზენა სოფელი" იქცა შიდა ქართლად (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 10). "ზენა სოფელი" კი ელინისტურ ხანაზე ადრეა წარმოშობილი.

შიდა ქართლი მტკვრის აუზს ეწოდებოდა სოფელ ტაშისკარიდან (ხაშურის რ.) თბილისამდე. მოქცეული იყო ლიხის ქედსა და არაგვს შორის. საქართველოს კლასიკური საზღვრებიდან ჩრდილო საზღვარი, ამავე დროს, შიდა ქართლის ჩრდილო საზღვარიც იყო. ამასთან, ისტორიულად საქართველოს ფარგლებში შედიოდა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მხარეები — დვალეთი და ხევი. ხევი დღესაც ქართული რაიონია, ხოლო დვალეთი გვიან შუასაუკუნეებში გადაიქცა ოსურ დასახლებად, საიდანაც ქართულმა მოსახლეობამ განიცადა მიგრაცია, ანუ ირონიზაცია (გაოსება) (იხ. გვ. 19). ცხადია, ამ პროცესს ქართველი მოსახლეობის ნაწილობრივი განადგურებაც მოჰყვა.

საქართველოსათვის შიდა ქართლი ისეთივე პროვინცია იყო, როგორც კახეთი, იმერეთი, გურია, აფხაზეთი, სვანეთი და სხვ. ხოლო, ამ ქართულ პროვინციებში მცხოვრები კახელი, იმერელი, გურული, აფხაზი, სვანი და სხვ. ქართველს ნიშნავდა. თუმცა, საქართველოში რუსთა ბატონობის დროს, ზოგჯერ მათ ამ პროვინციების სახელების მიხედვით ეროვნულობას ანიჭებდნენ. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს; უმეტეს რუსულ და უცხოურ სამეცნიერო პუბლიკაციებში ქართველი ხალხის ისტორიისა და მისი შინაგანი ეთნიკური სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი საკითხები არასწორადაა გაშუქებული.

შიდა ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები ძველი პერიოდიდანვე ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ადამიანთა მოზიდვისა და დასახლებისათვის. აქ ადამიანთა ცხოვრების კვალი უძველესი დროიდან ჩანს. იგი უწყვეტ ზოლად მიჰყვება შემდეგ პერიოდებსაც. მხარის ლანდშაფტისა და მოსახლეობის ისტორიულ- ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება და ასევე, გარეშე მტერთა შემოსევები საუკუნეების მანძილზე ცვლიდა შიდა ქართლის ბუნებრივ, ისტორიულ პირობებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა მოსახლეობის ეროვნულ და ეთნიკურ შემადგენლობაშიც, იცვლებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრები, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, გეოგრაფიული სახელწოდებები.

შიდა ქართლის ტერიტორია ქართველთა უძველესი საცხოვრისია. ამისი უშუალო დასტურია უამრავი ანტიკური და შემდგომი პერიოდის უცხოური და, ცხადია, უძველესი ქართული წყაროები და ის მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებითაც უმდიდრესია შიდა ქართლი.

საუკუნეების მანძილზე შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების შედეგად, იცვლებოდა მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული სტრუქტურა. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის ბოლომდე აბორიგენი მოსახლეობა გაცილებით ჭარბობდა არაქართულს. შემდეგ თანაფარდობა თანდათან დაირღვა და ამჟამად შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართველთა რაოდენობა 75 პროცენტია.

XVII საუკუნეში თავდაპირველად შიდა ქართლის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში ჩნდება ოსთა დასახლებები; XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი ისინი თანდათანობით ბარში ჩამოსახლებას იწყებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ოსთა დასახლება საქართველოში ძველი პერიოდიდანვე უმეტესად, ძალადობას ემყარებოდა. ასე მაგალითად, XII ს. 80-იან წლებში თათარ-მონღოლთა შემოსევებში მონაწილეობა მიიღეს ოსებმაც და აიღეს რიგი ადგილები შიდა ქართლში. XIV საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა მათი თარეში შიდა ქართლის ტერიტორიაზე (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 296). XVII საუკუნის ერთ საბუთში ნათქვამია: "ამასწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწმე, ასრე ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყორა..." (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, II, თბ., 1940, გვ. 363-364). ოსმა მკვლევარებმა ეს სრულიად გასაგები წინადადება ისე თარგმნეს, თითქოს ზემო ჯავაში ოსები ამოწყვეტილიყო. ოსების მიერ ქართველი მოსახლეობის დარბევა-დაწიოკება განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ბარის რაიონებში მიმდინარეობდა. XVIII ს. შუა წლებში ლეკებთან ერთად ოსებიც აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს შიდა ქართლის ბარის სოფლებში. ისინი უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძებნელად სამხრეთისაკენ ხიზნებადაც მოიწევდნენ. ქართველ კლასიკოს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ოსთა შემოსვლა და მათი მოქმედება შიდა ქართლის ტერიტორიაზე შესანიშნავად აქვს აღწერილი რომანში "ჯაყოს ხიზნები".

ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით გაჩნდა, აგრეთვე, თურქმანული ტომის ხალხი, ასევე სომხები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები და სხვ. განსაკუთრებით ჭრელი გახდა შიდა ქართლის მოსახლეობა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნეში. მიუხედავად ამისა, მათი რაოდენობა 6 პროცენტამდეა. შიდა ქართლის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში ქართველთა რიცხვი გაცილებით ჭარბობს სხვა ეროვნებებს; გამონაკლისი მხოლოდ ჯავის რაიონია.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III სს. მიჯნაზე, როცა ფარნავაზმა ქვეყანა საერისთაოებად დაჰყო, შიდა ქართლი სპასპეტს დაუმორჩილა. ასე შეიქმნა შიდა ქართლის საერისთაო. თვით საერისთაო დაყოფილი იყო შედარებით წვრილ ერთეულებად — ხევებად. შუა ფეოდალურ ხანაში შიდა ქართლი კვლავ ქართლის საერისთაოშია. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ცალკე გამოიყო ქსნის საერისთაო, XV საუკუნეში წარმოიშვა საამილახვრო და სამაჩაბლო, ხოლო XVI საუკუნეში სამუხრანბატონო. გვიან საუკუნეებში შეიქმნა სათავადოები — საციციანო, საჯავახო, სათარხნო. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის შიდა გუბერნიების წესისამებრ მოეწყო; ჩამოყალიბდა დუშეთისა და გორის მაზრები. ასე გრძელდებოდა 1922 წლამდე, რის შემდეგ ამ და რაჭის მაზრებისათვის ტერიტორიების ჩამოჭრის შედეგად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ძალადობის გზით, შუაგულ ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლის ცენტრად აირჩიეს ქართული ქალაქი ცხინვალი, სადაც 1886 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა. ოლქის სამხრეთ საზღვრებში მოექცა ქართველებით დასახლებული პუნქტები და ეს მოხდა ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. რომ პოლიტიკური ავტონომია უნდა შეიქმნას იქ. სადაც მოცემული

ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ გარკვეული მიზეზების შედეგად სხვა ძლიერი სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფება. ამდენად, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სადაც ოსები არასოდეს ყოფილა მკვიდრი მოსახლეობა, ეწინააღმდეგებოდა ავტონომიისათვის მისანიჭებელ ყოველგვარ პირობას.

ასე აღმოჩნდა ხელოვნურად შეკოწიწებულ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე არა მარტო უძველესი ხანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, არამედ თვით ქართველი ხალხი. ისიც აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლში იმ დროს შეიქმნა ოსთა ავტონომია, როცა ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსებს, სადაც ისინი გაცილებით ადრე დასახლდნენ, არავითარი ავტონომია არ ჰქონდათ. ხოლო საქართველოს ძირძველ მიწებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით მეზობელი ქვეყნების ფარგლებში მოექცნენ, დღემდე არ ღირსებიათ არა თუ პოლიტიკური, არამედ თვით კულტურული ავტონომიაც კი.

შიდა ქართლის რაიონებში და, მათ შორის, ლიახვის, ქსნისა და სხვა ხეობების შუა და ზემო ნაწილებში, თვით გვიან პერიოდებში ოსებით საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული სახელწოდებების უმეტესი ნაწილი ქართული წარმოშობისაა და დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან, ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რელიგიასთან და სხვ. ჯ. გვასალია თვლის, რომ "შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად. ამ სახის გეოგრაფიული სახელწოდებებია: კუცხოვეთი, კორა, საძეგური, ჩხორეთი, ცხმორი, წიფორი, ჩხუნეთი, გერი, ლომისა, ისროელი, ფაჩური, ლაფაჩი, საცხუმეთი, ლაგური და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სახელწოდება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზეა გავრცელებული. სხვა ქართული სახელწოდებები შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე იმდენად ბევრია, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელია.

აქ არაქართული მოსახლეობის მიგრაციულმა პროცესებმა ნაწილობრივ მაინც, გავლენა მოახდინა გეოგრაფიული სახელწოდებების გარდაქმნაზე. ამის შედეგია ის, რომ შიდა ქართლში უძველესი პერიოდიდან შერჩეული ზოგი გეოგრაფიული სახელწოდება შეიცვალა არაქართული სახელით, ან დამახინჯდა. მიუხედავად ამისა, ისტორიული წყაროებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, ეპიგრაფიკული წარწერებით, მოსახლეობის განლაგებით და დღემდე შემორჩენილი გეოგრაფიული სახელწოდებებით ნათლად დასტურდება, რომ შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე XVIII საუკუნემდე თითქმის ქართული წარმოშობის სახელები ყოფილა გავრცელებული. ამას ხელს უწყობდა აბორიგენი მოსახლეობის თითქმის ერთფეროვანი შემადგენლობა. XVIII საუკუნიდან კი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შეცვლასთან დაკავშირებით, მოხდა გეოგრაფიული სახელწოდებების გარდაქმნა. ეს პროცესი თანდათანობით და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. თუ დიდი ლიახვის სათავეებში XVIII ს. სახელწოდებათა სახეცვლა თითქმის დამთავრებული იყო (ნაწილობრივ ქართული სახელების გადაკეთებით, ან შეცვლით), დანარჩენ რაიონებში, სადაც მოგვიანებით ქართულ მოსახლეობას შეერივნენ ოსები, დიდად ვერ მოხერხდა სახელწოდებების შეცვლა. ქართული სახელები მოსახლეობაში მტკიცედ არის დამკვიდრებული. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით ცვლილება განიცადა მიკროტოპონიმიამ. ეს ქართული მოსახლეობის მიგრაციითაა გამოწვეული.

შიდა ქართლის მდინარეებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში დიდი ცვლილებები არ შეიმჩნევა. თითქმის ყველა მდინარე ატარებს თავის ძველ სახელს. გამონაკლისია მცირე ღელეები. რაც შეეხება დასახლებული პუნქტების სახელებს, 1065 ერთეულიდან 930, ე. ი. 87,3% ქართული წარმოშობისაა, 112 ოსური გაფორმების სახელწოდებიდან 84 ჯავის რაიონშია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ამ სახელწოდების ძირი ქართულია. ამასთან, როგორც ჩანს, მკვეთრი ცვლილებები მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო ნაწილში მოხდა, ძველი ქართული სახელების საკმაო ნაწილი ოსი მოსახლეობის მიერ თავისებური გამოთქმის გამო ოსური წარმოშობისად მიაჩნდათ. ამის მაგალითებია: ბრუტ — საბძელი და ბუჯ — სამჯელი, დულეთი და დოდეთი, ზეკარი და ზიკარა, მაღრან — დვალეთი და მაღრან - დორი, ქვითკირი და კვიჭირი, როკი და რუკი, ჟბა და სბა, ბჟისხევი და სბაიდონი და სხვა. თითქმის ყველა სახელწოდება, რომლებიც შეცვლილია, ამ სახით გვევლინება. მიუხედავად ამისა, შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მთლიანად ოსებით დასახლებულ სოფლებშიც კი, დღემდე შემორჩა ქართული სახელები — ციხისოფელი, წინუბანი, მამულაანთკარი, ზორბეგაანი, მონასტერი, მსხლები და სხვ. სახელწოდებების შეცვლა ძირითადად მოხდა იმ ადგილებში, სადაც ოსი მოსახლეობა ნასოფლარებსა, ან აუთვისებელ ადგილებში სახლდებოდა.

ყოფილი ოლქის მცხოვრებმა ოსთა ერთმა ნაწილმა, ისტორიული სინამდვილის დამახინჯებული ლიტერატურის წყალობით, თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ წარმოადგინეს სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთაოს ტერიტორია. ცხადია, ამის დასამტკიცებლად პირველ რიგში უნდა გარდაექმნათ ქართული სახელწოდებები. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში და პერიოდულად შემდეგაც, ოსმა ფუნქციონერებმა და მკვლევარებმა ოფიციალურად რამდენჯერმე სცადეს ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები ოსური ან ოსური ელერადობის სახელებით შეეცვალათ. მაგრამ ის აღარ გაითვალისწინეს, რომ ამ ტერიტორიის ძველი ქართული სახელწოდებები შემორჩენილია უძველეს და მოგვიანო პერიოდის როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. ერთ-ერთი დოკუმენტით დასტურდება, რომ ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე 686 გეოგრაფიული სახელწოდებიდან მოითხოვდნენ 411-ის შეცვლას. ცხადია, ყველას ვერ ჩამოვთვლით, დავასახელებთ ორიოდე მაგალითს: გორგაშენი — დალლაბ-ყუ,სარბიელი — ზანგ, ლომისა — ხუსარ, მეტეხი — ცაგათ, ნადაბური — ნოგ ძიმირ, კვერნეთი — კუფბიტე, საჯვარე - ულაფანა და სხვ. არადა თითოეულ ქართულ სახელში ადგილის ისტორიაა. ოფიციალურად მაინც მოხდა რამდენიმე დასახლებული პუნქტის სახელის შეცვლა. ასე მაგალითად, ყოფილ სოფელ ტყისუბანს ზნაური შეარქვეს, "რევოლუციონერ" ზნაურ აიდაროვის სახელი. ზ. ცხოვრებოვას მიხედვით, "იგი სახალხო გმირია,

რომელიც ხელმძღვანელობდა საერთო შეიარაღებულ აჯანყებას 1919 წელს ხაშურ-ხცისისა და ოქონის რაიონების ტერიტორიაზე". ასეთივე ბედი ეწია სოფელ წუნარს, რომელსაც ხეთაგუროვი უწოდეს. აღსანიშნავია, რომ აქ დგას XIV საუკუნის "ღვთისმშობლის" გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ძნელბედობის ჟამს, მონღოლთა ბატონობის ხანაშია აგებული, იმ დროს, როცა მატერიალური კულტურის ძეგლები ნაკლებად შენდებოდა, ხოლო გუმბათიანი ტაძრის აგება თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მსგავსი მაგალითების მოტანა სახელწოდებათა შეცვლაზე კიდევ შეიძლება.

ოსი მკვლევარები ცდილობენ ბევრ ქართულ გეოგრაფიულ სახელს არაქართული ახსნა მოუძებნონ. არ ერიდებიან არც წყაროების დამახინჯებას, არც ალოგიკურ მსჯელობას. ამისი მაგალითებია, ცხინვალის, წუნარის, ქსნის, ლიახვის, ვანელის, თიღვას, ქურთას, ჯავას, კოშკების და სხვ. სახელწოდებები, რომელთა ქართული წარმოშობა ეჭვს არ იწვევს.

ამრიგად, შიდა ქართლში ძველი პერიოდიდანვე ქართველური ტომები სახლობდნენ და შესაბამისად, გეოგრაფიული სახელწოდებებიც ქართული იყო. მის ტერიტორიაზე ყველგან ჩანს ქართული მატერიალური კულტურის უძვირფასესი ნიმუშები, ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები და, ცხადია, ქართველი კაცის ნაკვალევი.

კობა ხარაძე

ლომისა

ერთხელ კიდევ ოსების შესახებ

შტრიხები ეთნოგრაფიული პორტრეტისათვის

ოსები (თვით სახელწოდება "ირონ", "დიგურონ") ცენტრალური კავკასიის საკმაოდ ძირძველ მკვიდრთ და ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთ ირანულენოვან ხალხს წარმოადგენენ. მათი საერთო რაოდენობა 1989 წლისათვის 598 ათას სულს აღწევდა. ამ მაჩვენებლით ისინი კავკასიაში აღრიცხული 100-მდე ერისა და ეთნიკური ჯგუფის ფრიად ვრცელ ნუსხაში მხოლოდ რუსებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ქართველებს, ჩეჩნებს და ხუნძებს ჩამოუვარდებოდნენ. ოსების უდიდესი უმრავლესობა (402 ათასი სული, ანუ საერთო რაოდენობის 67%) რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა (მათ შორის ე. წ. "ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში", ანუ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოსეთში – 335 ათასი, ე. ი. საერთო რაოდენობის 56%), შედარებით მცირე ნაწილი (164 ათასი სული, ანუ საერთო რაოდენობის 27%), საქართველოში (მათ შორის 65 ათასი ოსი, ანუ საქართველოში მობინადრე ოსთა 39% – ე. წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში"), ხოლო 26 ათასი ოსი – ტაჯიკეთის, უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის და თურქმენეთის რესპუბლიკებში იყო განსახლებული. ამასთან, თავის ისტორიულ სამშობლოში (ოს. "ირისთონ"), რომელსაც ოსური საზოგადოებრიობისა და პირადად პრეზიდენტ ა. გალაზოვის ინიციატივით არცთუ დიდი ხნის წინ ხაზგასმით ეწოდა "ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანია", ოსები ადგილობრივი მოსახლეობის 51,5% შეადგენენ, საქართველოში კი სულ 3%. 1989 წლის სტატისტიკით ოსებს საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა შორის რიცხოვნობით მე-4 ადგილი ეკავათ, სომხების, რუსებისა და აზერბაიჯანელების შემდეგ.

ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, ოსები დიდი ევროპოიდული რასის ბალკანურ-კავკასურ ქვერასას განეკუთვნებიან, ხოლო ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციის თანახმად, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფში შემავალ ხალხთა სიას ავსებენ სპარსელების, ტაჯიკების, ქურთების, ავღანელების, ლურების, ბახტიარების, ბელუჯების, ნურისტანელების, თათებისა და თალიშების გვერდით. ოსური ენა გენეტიკურად უკავშირდება სკვითურ-ალანურ ენას, თუმცა მისმა ფონეტიკამ და ლექსიკამ დროთა განმავლობაში კავკასიური ენობრივი სამყაროს (განსაკუთრებით კი ქართული ენის) გავლენა განიცადა.

ოსური დამწერლობისა და მწიგნობრობის ფუძემდებლად ქართველი მისიონერები და ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ოსი მოღვაწეები გვევლინებიან. ასე, 1751 წელს ქართველი არქიმანდრიტის პახომის ინიციატივით გაიხსნა ოსური სკოლა მოზდოკში, სადაც სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლის პირველი მასწავლებლებიც ნიადაგ ქართველები იყვნენ. ეს იყო პირველი სკოლა არა მარტო ოსეთში, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. 1747-53 წწ. გამოვიდა იღუმენ გრიგოლ რომანიშვილის მიერ ქართული ასოებით შესრულებული პირველი ხელნაწერი წიგნები ოსურ ენაზე, რომელიც წარმოადგენდა ზოგიერთი სასულიერო თხზულების თარგმანს ქართულიდან ოსურად. მოგვიანებით მოზდოკის ეპისკოპოსმა გაიოზმა (ტოკაევმა) მღვდელ პავლე გენცაუროვთან ერთად შეადგინა ოსური ანბანი საეკლესიო-სლავური ალფაბეტის საფუძველზე და ქართული ენიდან ოსურად თარგმნა "Начальное учение человекам хотящим учиться книг божественного писания", რომელიც 1798 წელს დაიბეჭდა მოსკოვის სინოდალურ ტიპოგრაფიაში. ეს იყო პირველი ნაბეჭდი წიგნი ოსურ ენაზე. 1802 წ. საქართველოში (ჯავის ხეობაში), ოსი მღვდლის ოჯახში დაბადებულმა ივანე იალღუზიძემ (გაბარაევმა) (1770-1830 წწ.) ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც 1821 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. მაგრამ ი. იალღუზიძის გარდაცვალების შემდეგ, ოსური წიგნების ბეჭდვა ქართული გრაფიკის საფუძველზე შეწყვეტილ იქნა. 1836 წელს ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა შიო დვალიშვილმა "ზემოდან" მიიღო მკაცრი ინსტრუქცია: "Обучение детей горцев грузинскими буквами как вовсе ненужное совершенно отменить" (sic!). სულ მალე, რუსიფიკატორული პოლიტიკის ინტერესებში ქართული ანბანი შეიცვალა აკადემიკოს ა. შეგრენის მიერ 1844 წელს ძველი სლავური ანბანის საფუძველზე ოსთათვის შექმნილი დამწერლობით. 1923-38 წწ. ოსურ დამწერლობას დროებით საფუძვლად ედო ლათინური ანბანი, თუმცა 1938 წლიდან ე. წ. "ჩრდილოეთ ოსეთში" საბოლოოდ გაბატონდა რუსული გრაფიკა, ხოლო ე. წ. "სამხრეთულ ოსებში" ქართული ანბანი 1954 წლიდან შეიცვალა რუსული გრაფიკით.

ოსების უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი (ძირითადად ე. წ. "ჩრდილოელ ოსთა" დასავლეთი განშტოება) სუნიტური რწმენის მაჰმადიანი. ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა საქართველომ. აკი საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ოსთა შორეული ეთნოლინგვისტური წინაპრების, ალან-ოსების მოქცევა (X ს.) ბიზანტიისა და "აფხაზთა მეფე" გიორგის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. მოგვიანებით ბიზანტიის იდეოლოგიურ გავლენას ოსებზე უკვე საქართველოს ქრისტიანული კულტურის ზეგავლენა ენაცვლება. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ოსურ ენაში თითქმის მთლიანად ქართულიდან არის ნასესხები: ოს. Дзуар ← "ჯვარი". къуыри ← "კვირა", мархо ← "მარხვა", бараска ← "პარასკევი", таранджелос ← "მთავარანგელოზი", мыкалгабыртае ← "მიქელ-გაბრიელი", чырысти ← "ქრისტე", маирам ← "მარიამი", саниба ← "სამება", аларды ← "ალავერდი", джеоргуба ← "გიორგობა", деканоз ← "დეკანოზი" და ა. შ. მართალია, XIV-XVIII სს.-ის მანძილზე ოსეთში ქრისტიანობის პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა, მაგრამ რუსეთში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა ინიციატივით შექმნილი "ოსეთის სასულიერო კომისიის" მეცადინეობით, (1745-1771 წწ.) იქ მაინც მოხერხდა ქრისტიანული რწმენის ერთგვარი რეანიმაცია. რაც შეეხება მაჰმადიანობას, ის ოსეთში ჯერ კიდევ XII-XIV სს-ში იკიდებს ფეხს. XX ს-დან ოსეთში ბაბტისტური სექტებიც ჩნდება. საქართველოში მცხოვრები ოსების აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და მათთვის სრულიად უცხოა კონფესიური განშრევების ტენდენცია.

ოსების აღმნიშვნელი ეგზოეთნონიმებია: ვაინახური (ჩაჩნურ-ინგუშური) – хIири! ავარული (ხუნძური – хириол , ბალყარული – дюгерли (аб таули), ყარაჩაული – дюгерли (аб тегъеили), აფხაზური – оуапс (შდრ. апса – აფხაზთათვის). ადიღეური – осетин! დარგოული – асатин, აბაზური – асатин, ყარაბარდოული – къущхьа, ნოღაური – осетин, რუსული осетин, ინგლისური – ossetian, გერმანული – ossetien, ფრანგული – ossetien და ა. შ. მათი უმეტესობა ქართული "ოსისგან" ნაწარმოები ტოპონიმის "ოსეთისგან" მომდინარეობს, თუმცა ზოგიერთი სახელწოდება (მაგ.: ბალყარული და ყარაჩაული "дюгерли" ჩაჩნურ-ინგუშური хIири, ავარული хириол) უთუოდ ოსური ავტოეთნონიმებისგან – "ирон" და "дыгурон" არის წარმომდგარი.

ოსი ხალხის შიდაეთნიკური სტრუქტურა და ამ უკანასკნელთან შეფარდებული ეთნიკური ნომენკლატურა იშვიათი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თანამედროვე ოსი ეთნოსი შედგება ორი უმთავრესი სუბეთნიკური ჯგუფისაგან: აღმოსავლეთის ოსებისაგან – "**ირებისგან**" (ოს. "ир") და დასავლეთის ოსებისაგან – "**დიგურებისაგან**" (ოს. "дыгур"), რომელნიც რუსულენოვან ლიტერატურაში, როგორც წესი, ფიგურირებენ "**ირონების**" ან "**ირონელების**" ("ироны", "иронцы") და "**დიგორელების**" ("дигорцы") სახელწოდებით. მართალია, ხსენებული ეთნონიმები ჯერაც განაგრძობს ფუნქციონირებას ოსთა მიერ გამოყენებული ორი ეთნიკური თვითსახელწოდების დონეზე, მაგრამ ესოდენ ღირსშესანიშნავი ეთნონიმური ტრადიციის შესაშური გამძლეობის პირობებში, ტერმინს "ირ" II "ირონ" უკვე კარგა ხანია აქვს შეძენილი მთელი ოსი ერის აღმნიშვნელი ზოგადნაციონალური სახელწოდების სემანტიკაც: დღესდღეობით ხომ ეთნონიმი "Ир" ნიშნავს საერთოდ "ოსებს" (აქედანაა ტოპონიმი "Ир", "Иристон" – "ოსეთი"), ხოლო "Ирон" – "ოსს" კონკრეტულად.

საინტერესოა, რომ დიგორები (დიგორელები) მდ. თერგის მარცხენა შენაკადის – ურუხის (ან ირაფის) აუზის ზემო და შუა წელზე ცხოვრობენ, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე – თერგის მარცხენა შემდინარეების ფიაგდონის, გიზელდონის და არდონის ხეობებში, აგრეთვე თერგისპირა დაბლობებზე, ირები (ირონები) არიან განსახლებულნი. თავის მხრივ, ირების (ირონების) შიგნით გამოიყოფიან ოსეთის ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ("ალაგირი", "თუალგომი", "ქურთათი", "თაგაური") მიხედვით განთავსებული "**ალაგირელები**", "**წველები**", "**ქურთათელები**", "**თაგაურელები**", "**თუალები**" და "**ზახელები**", რომელნიც დასავლეთ ოსეთის თემებში ("უალაგქომი", "დიგურგომი") მცხოვრებ "**უალაგქომელებთან**" და საკუთრივ "**დიგორებთან**" ("**დიგორელებთან**") ერთად რვა ძირითად ეთნოტერიტორიულ ჯგუფს ქმნიან ე.წ. "ჩრდილოელ ოსთა" შემადგენლობაში. ამდენად, "ირი" II "ირონი" და "დიგური" II "დიგურონი" პოლისემანტიკური ცნებებია. პირველი აღნიშნავს როგორც მთელ ოს ხალხს, ისე მის აღმოსავლეთ განშტოებას, ხოლო მეორე, ოსი ხალხის დასავლეთ განშტოებას და იმავდროულად მის ერთ-ერთ ლოკალურ ეთნოტერიტორიულ ჯგუფსაც.

საყურადღებოა, რომ სწორედ ირონების (ან ირების) სუბეთნოსს მიაკუთვნებენ საკუთარ თავს საქართველოში მცხოვრები ოსებიც, რომელნიც თავის ჩრდილოელ თანამოძმეთა მსგავსად, სამოსახლო ალაგების მიხედვით წარსულში იყოფოდნენ ცალკეულ ეთნოტერიტორიულ ჯგუფებად: "**თრუსოელებად**", "**ღუდლებად**", "**ჟამურელებად**", "**ქსნელებად**", "**ჯაგისხეველებად**", "**ურსთუალთელებად**", "**ქნოღოელებად**", "**კუდაროელებად**" და "**წონელებად**". მასთან, ე.წ. "სამხრეთელი ოსები" ისტორიული ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებთან (ე.ი. "ჩრდილოელ ოსებთან") ცნობილნი არიან უპირატესად "**კუდაიარაგების**" (ოს. кудираг "კუდაროელი"), უფრო იშვიათად კი "**ხუსაირაგების**" (ოს. хусираг, "სამხრეთელი") ზოგადი სახელწოდებით. ცხადია, მათი მისამართით ტერმინ "სამხრეთელის" გამოყენების მოტივი ჩვენთვის სრულიად ნათელია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ე.წ. სამხრეთელ ოსთა "კუდაროელებად" სახელდებაზე, ვინაიდან "кудираг " რაჭის ერთ-ერთ ხეობაში მცხოვრებ ოსთა ტერიტორიული ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინია და მაშასადამე, მისი განვრცობა ყველა "სამხრეთელ ოსზე", რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია.

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ოსი ხალხის ეთნოგენეზისში მონაწილეობა მიიღეს ერთი მხრივ ირანულენოვანმა სკვითებმა, სარმატებმა და განსაკუთრებით ახ.წ. I ს.-დან ისტორიულ ასპარეზზე გამოსულმა "**ასებმა**" ან "**ალანებმა**" (ძველი ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, სომხური, არაბული მატიანეების "ასიები", "ასაიები", "ალანები", "იაზიგები"; ჩინური, სპარსული, მონღოლური წყაროების "ასები", "ასსები", "ასუტები"; ქართული მატიანეების "ოვსნი", რუსული, უნგრული წყაროების "იასები", "იაზოკები"), ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივმა კავკასიელმა ტომებმა; სწორედ ირანულენოვანი ნომადების (ვითარცა ეთნიკური სუპერსტრატის) და მკვიდრი კავკასიელების (როგორც ეთნიკური სუბსტრატის) შერწყმის რთული და ხანგრძლივი პროცესის შედეგად იქნა ჩამოყალიბებული ოსი ხალხი, რომელიც, მართალია, ენობრივი მონაცემებით უდავოდ ირანელია, მაგრამ კულტურულ-ყოფითი პარამეტრებით და ანთროპოლოგიური ნიშნითაც ტიპიური კავკასიელია.

მართალია, სწავლულთა შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი ოსთა ეთნოგენეზისში მონაწილე ამ ორი უმთავრესი ეთნიკური კომპონენტიდან ერთ-ერთის წამყვანი როლის განსაზღვრის საკითხში და ოსთა ორბუნებოვნების (Fesp. ეთნიკური სინკრეტიზმის) მანიშნებელ ცალკეულ ეთნონიმთა წარმომავლობის ახსნაშიც (ასე მაგ., მკვლევართა ერთი ნაწილი ეთნონიმ "ირ II ირონს" ძველირანულ aryana-სგან მომდინარედ თვლის, მეორე ნაწილი კი იმავე ტერმინს კავკასიურ ძირის ეთნონიმად მიიჩნევს; ანალოგიური სურათი იხატება "დიგურ II დიგურონთან" მიმართებაშიც, როცა მას ერთნი კავკასიურ, სხვანი კი ირანულ ეთნონიმად წარმოაჩენენ), მაგრამ, ამისგან დამოუკიდებლად, ერთი რამ სრულიად უდავოა – **ოსების ეთნოგენეზისის ისტორიულ არეალად ჩრდილოეთ კავკასია გვევლინება.** ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ყველაზე ავტორიტეტული ოსი მეცნიერებიც ვერ უარყოფენ. ამდენად, ოსური ცივილიზაციის ფესვების საქართველოს მიწა-წყალზე ძიება და ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთი სექტორის (ყოფილი ე.წ. "სამხრეთ ოსეთის აო"-ს ტერიტორიის "ოსთა ისტორიულ სამშობლოდ" გამოცხადების ნებისმიერი ცდა სინამდვილის უხეირო გაყალბების ტოლფასია.

ვახტანგ ითონიშვილი

ოსთა სამოსახლოები დიდი ლიახვის ხეობაში

მდინარე დიდი ლიახვის ხეობა და მისი შენაკადების ხეობები (ლიახვის აუზი) მდებარეობს გორის რაიონისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიდამოებში.

როგორც საქართველოს სხვა მხარეების, ისე ლიახვის აუზის ტერიტორიაზე გვხვდება ისტორიული მნიშვნელობის საცხოვრებელი მღვიმეები, სახლები, თავდაცვითი (ციხეები, კოშკები) და საკულტო (ეკლესია-მონასტრები) ნაგებობანი, სასაფლაოები და ჩუქურთმიან-წარწერებიანი საფლავის ქვები, სხვადასხვა დანიშნულების არქეოლოგიური საგნები. რიგ მათგანზე ძველი და შედარებით ახალი ქართული წარწერებიცაა შემორჩენილი. აქა-იქ ვპოულობთ ქართული მხედრული ასოებით შესრულებულ შედარებით გვიანდელ ოსურ წარწერებსაც. როგორადაც ახალი და ფრაგმენტული არ უნდა იყოს, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ს. ხვწეში საფლავის ქვებზე ქართული ასოებით შესრულებული ოსური წარწერები არსებობს; სოფელ სპაში ვერცხლის ჯვარზე ქართული ასოებითვე იკითხება ოსური სიტყვები: "სიღზარინ ძუარ", რაც ოქროს ჯვრად იფარგმნება.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით, ასეთივე ოსური წარწერები გვხვდება არა მხოლოდ სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ ოსეთშიც.

მდინარე ლიახვის ხეობა ქართლის ნაწილია ძველთაგან, მაგრამ მასში ცხოვრობდნენ არა მხოლოდ ქართველები: აქ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ასახელებენ, მაგალითად, ცხინვალსა და თამარაშენში მცხოვრებ ქართველთა შორის ებრაელებსა და სომხებს, შემდეგ კი ოსებიც ჩანან.

ოსური ენისა და ისტორიის მკვლევარნი: ვს. მილერი, ა. შეგრენი, ჰ. ჰუფშმანი, გ. ახვლედიანი და სხვები აღიარებენ, რომ ოსები ირანული მოდგმის ხალხია. პროფესორი ვ. აბაევი, რომელმაც შეაჯამა მეცნიერების მონაცემები ამ საკითხზე და ოსმცოდნეობა საგრძნობლად წინ წასწია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსები ინდოევროპული ოჯახის ირანული განშტოების ხალხი კია, მაგრამ ისინი პირდაპირ ირანიდან არ მოსულან. მათ ურალში და როსტოვ-დონის მხარეებშიც უცხოვრიათ, შემდეგ დასავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში ცხოვრობდნენ და ბოლოს სამხრეთ კავკასიაშიც დამკვიდრებულან.

III-V საუკუნეების შემდეგაც ჩანს ოსთა ნაწილი აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და მდინარე დონის (შდრ. ოსური სიტყვა დონი – წყალი, მდინარე საერთოდ), ახლანდელი კრასნოდარისა და როსტოვის მიდამოებში.

ოსები რომ ძველად ბალყარეთსა და ყარაჩაეთშიც ყოფილან, ამის ფაქტად ის მიაჩნიათ, რომ მეგრელები ას-ს (ანუ ოს-ს) უწოდებენ ბალყარელებს, ალანებსა და ყარაჩაელებს.

ძველი რუსული და სომხური წყაროებით, ოსები და ალანები ერთი და იგივე ტომია, მაგრამ პირველმა უფრო მაინც ოსი (შდრ. ოსი). იცის და მეორემ – ალანი (შდრ. ირონ). ქართველები კი ორივე ტომს იცნობდნენ და ამიტომ ძველ ქართულ წყაროებში ჩვეულებრივ არა ერთ-ერთი სახელი, არამედ ორივე ერთად – ოვსნი და ალანნი – იხსენიებიან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ოსი და ალანი ერთი და იმავე ტომის ორი სახელი კი არაა, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ ერთი ხალხის ორი ტომია, რომელთაგან ოსები უფრო რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ. მაშასადამე, რუსებს მეზობლობდნენ და სწორედ ამიტომ იცნობდნენ რუსები ოსებს უმთავრესად ოსის სახელით, ხოლო ალანები მათგან აღმოსავლეთით (შდრ. დარ-ა-ალან – ალანების ანუ ოსების კარი) სახლობდნენ და ამიტომ მათ ამ სახელით იცნობდნენ სომხები.

ოსების დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, მასობრივად დაძვრის ძირითად მიზეზად მათზე ჰუნებისა და მათგან შევიწროებული ადგილობრივი ტომების თავდასხმები ითვლებოდა.

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოსების მოძრაობა გააძლიერა, აგრეთვე, ჯერ სამხრეთ რუსეთისა და შემდეგ დასავლეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი ტომების ექსპანსიამ. უეჭველად საგულისხმოა, რომ ოსებს კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ კავკასიელ ხალხებს შორის ეძებნება თავისი ისტორიული ადგილი და ისინი აქ ახალ კავკასიურ ტიპად ჩამოყალიბდნენ. სახელდობრ, ძველ მკვლევართაგან განსხვავებით, ჯერ ნ. მარი და შემდეგ უფრო საფუძვლიანად ვ. აბაევი ამტკიცებს, რომ ოსები რომელიღაც მოსული ირანული ტომის უბრალო გაგრძელება არ არიან; მათ დამხვდური მცხოვრებნი არც გაუჟლეტიათ და არც გაწყვეტილან, არამედ შეხამებიან, მოხდა ასიმილაცია და ამის შემდეგ წარმოიშვა ახლანდელი ოსური ტიპი.

ვ. აბაევი ასკვნის: "ოსურში ჩვენ საქმე გვაქვს კავკასიურის არა მარტო გავლენებთან, არამედ სუბსტრატთან... ოსების ეთნოლინგვისტური კულტურის ჩამოყალიბებაში კავკასიური ელემენტი მონაწილეობდა, არა როგორც მხოლოდ გარეგანი, უცხოური, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორიც".

ქართველების შეხვედრები ოსებთან ჯერ კიდევ ფარნაოზ მეფის დროს ჩანს. ამაზასპის შემდეგ გორგასლამდე კი ასფატური აგროვებს ოსთა ჯარს დარიალის გადაღმით.

"ქართლის ცხოვრება" გაკავკასიელებული ოსების საქართველოში პირველშემოსვლის თარიღად ქართლის მეთვრამეტე მეფის, ფარსმან III-ის ძის ამაზასპის დროს ასახელებს. ამისა მეფობასა "გარდამოვიდნენ ოვსნი", სპანი დიდნი, "გზასა დვალეთისასა" და რვა დღე დარჩნენ აქაო...

ვახტანგ გორგასალსა და ოს-ბაღთარს შორის შეჯახების დროს ვახტანგმა გაიმარჯვა; ქართველებმა და ოსებმა ზავი შეკრეს; ზავი დადეს სომხებთანაც და "მიერითგან იქმნეს მოყუარენი სომეხნი და ქართულნი და ოვსნი და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა", ე. ი. მაშინდელი საერთო მტრის – სპარსელების წინააღმდეგო, იუწყება მემატიანე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა.

ოსები საქართველოში პირველად ჯერ დვალეთის მხრიდან ჩნდებიან, შემდეგ კი დარიალის კარის მისადგომებიდანაც შემოდიან. დვალეთის გზით ოსთა გადმოსახლება აკად. გ. ახვლედიანის აზრით, VII საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს მოძრაობა გააძლიერა არაბების შემოსევამ და საქართველოს დასუსტებამ (VII ს.). ქართველებსა და ოსებს შორის გადაჭიმული მთავარი კავკასიონი თანდათან გადმოილახა. ამას ისიც დაემატა, რომ არაბობის შემდეგ აღდგენილმა საქართველომ ჩრდილო კავკასიის ხალხები გაიხადა თანამებრძოლებად საერთო მტრის წინააღმდეგ. "ქართული კულტურული გავლენა ოსებზე განსაკუთრებით გაძლიერდა მათ მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღების დროიდან (X ს.)".

ზოგი თვლის, რომ ადრე ბიზანტიამ გააქრისტიანა ოსები. მისი იდეოლოგიური გავლენა ოსებზე X საუკუნიდან – "საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან, – წარმატებით იცვლება ქართული გავლენით".

დიდი როლი ითამაშა დავით აღმაშენებლის მიერ ოვს-ყივჩაღთა შერიგებამ; ეს იყო ჩრდილოეთიდან საქართველოს ზურგის გამაგრების მნიშვნელოვანი აქტი.

მეზობლობა და მეგობრობა დინასტიურ ქორწინებაში გადაიზარდა, რასაც, უეჭველია, პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა.

ეს ნათესაური კავშირები მყარდებოდა არა მხოლოდ უმაღლეს,

არამედ საშუალო და დაბალ ფენებშიც. ტრადიციები გრძელდებოდა და მსგავსი შეუღლებები ჩვენს დროში ხომ კიდევ უფრო ხშირია. ოსების გადმოსახლება ჩრდილოეთიდან სამხრეთით შემდგომში გააძლიერა მონღოლების შემოსევამ. ცნობილია, რომ მონღოლები მხარს უჭერდნენ ოსებს, რათა ქართველ ფეოდალთადმი მათი დაპირისპირებით საქართველოში თავიანთი ბატონობა განემტკიცებიათ".

საქართველო-ოსეთის "პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა XIII-XIV საუკუნეებში" შეიქმნა საფუძველი "შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსთა დასახლებისა".

საქართველოში წინათ დასახლებულ ოსებს XVI-XVII საუკუნეებში ემატებათ ახალ-ახალი ნაკადები: შემოსულნი უმთავრესად საქართველოს მთიან ნაწილებში, ლიახვის, ქსნის, და არაგვის სათავეებში სახლდებიან.

ოსებს კარგად ეპყრობოდა და კულტურულ საქმიანობაში ხელს უწყობდა არჩილ მეფე, იცავდა მეფე ვახტანგ VI, ოსების დიდი მოამაგე იყო ერეკლე მეორე; მისი დავალებით შეისწავლა ანტონ კათალიკოსმა ოსური ენა. ივივე ანტონი იყო შემდეგ ოსეთის საქრისტიანო კომისიის მეთაური; თელავის სემინარიის (ოსებიც სწავლობდნენ) რექტორის გაიოზ ნაცვლიშვილის მეშვეობით 1770 წელს მოზდოკში და შემდეგ ყიზლარშიც ოსური კერძო სტამბა გაუმართავთ. მეფე ერეკლე მეორის აღზრდილად ითვლება ოსთა განმანათლებელი ივანე იალღუზიძე (გაბარაშვილი, გაბარაევი, გაბარათი).

ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრელი ოსების ერთიან წარმომავლობას. მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: დვალებს "ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა". ვ. გამრეკელი განმარტავს: ვახუშტის აზრით, დვალური უფრო ჩერქეზულს უახლოვდებაო.

ოსოლოგი ვასილ აბაევი კატეგორიულად უარყოფს ამ აზრს. იგი წერს: სამხრელი ოსობა რომ ჩრდილოელი ოსობის გაგრძელებაა, ეს ანთროპოლოგიურად და ეთნოგრაფიულ-ლინგვისტურად არავითარ ეჭვს არ იწვევსო.

ადრევე იაკობ გოგებაშვილიც "ბუნების კარში" აღნიშნავს: ოსებს "უჭირავთ შუა წელი კავკასიონის ქედისა... ზოგნი მათგანი ცხოვრობენ ქედს იქით, ქედის ჩრდილო კალთებზედ; ზოგნი — აქეთ, სამხრეთის კალთებზედ. ამის გამო ოსეთი ორ ნაწილად განიყოფება — ჩრდილო ოსეთად და სამხრეთ ოსეთად. ოსებს მთლიანად ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან". აქეთა ოსები ჩვეულებებით ქართველებს უახლოვდებიან, იქეთა — რუსებს.

ნ. მარი წერს: ჩრდილო ოსების კულტურული ორიენტაცია რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსულია; სამხრეთ ოსებისა კი — კვლავ ქართულიო.

ენობრივი მონაცემებით ვ. აბაევი თვლის, რომ ჩრდილო ოსური ენა უკანასკნელი ორასი წლის მიხედვით უფრო რუსული ენის გავლენას გვიჩვენებს, ხოლო სამხრეთ ოსური — ქართული ენისას. ეს იმის შედეგია, რომ აქეთ ოსეთი უმეტეს ნაწილად "საქართველოს მეფეებს ეკუთვნოდათ, ჩრდილო ოსეთი ცალკე სამთავროს შეადგენდა." ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული კავშირები ქმნიდნენ ამის საფუძვლებს.

1801 წელს რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და მისი გუბერნიებად დაყოფის შემდეგ, დიდი ლიახვის ხეობა მთლიანად გორის მაზრაში შედიოდა. ამ მაზრის ნაწილს ჯავიდან დაწყებული როკა-ერმანის გადასასვლელამდე ოსების უბანი ეწოდებოდა. მაგრამ ოსები ფაწისა და პატარა ლიახვის ხეობებსა და საქართველოს სხვა მიდამოებშიც სახლობდნენ.

იოსებ მეგრელიძე.





შიდა ქართლის საეკლესიო ხუროთმოძღვრება

საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის შემსწავლელთა საერთო დასკვნებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ზოგადად ერთნაირი სურათია. სხვადასხვა ეპოქაში რეგიონებს შორის განსხვავებები ჩანს, მაგრამ ძირითადი და მთავარი, ის, რასაც მერე დაერქმევა ქართველური, ყველგანაა. იგი წითელ ზოლად გასდევს ათასწლეულებს. ქვეყნებისათვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებაში ერთიანობა აშკარაა, განსაკუთრებით ხუროთმოძღვრებაში. აქ ერთიანი ჯაჭვია, უფრო ადრიდან თუ არა, ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულიდან მაინც. განვითარების ამ გრძელ გზაზე ეს ასხმა, ერთიანობა, განსაკუთრებით რელიეფურადაა შუა საუკუნეებში, ფეოდალურ ეპოქაში.

ცნობილია, რომ წარმართულმა ქვეყანამ IV ს. 30-იან წლებში მიიღო ქრისტეს ახალი მოძღვრება. ქვეყნის განმანათლებელმა, წმ. ნინო კაბადოკიელმა, მირიან მეფის ნებართვით ააგო მცირე ზომის ეკლესია, რომლის ნაშთი, ამ სამი ათეული წლის წინათ აღმოჩნდა სვეტიცხოვლის ტაძრის შიგნით. მისი ნახვა ახლაც შეიძლება ეკლესიის სამხრეთის კარის სიახლოვეს.

ქრისტიანობის გავრცელებას პირველ ხანებში ქვეყნის ცენტრალურ მონაკვეთებზე მოჰყვა პატარა ზომის ეკლესიების მშენებლობა. მალე კი დაიწყო დიდი ეკლესიების აგება.

ქართლის ცენტრალურ მონაკვეთზე ე. წ. შიდა ქართლში, ვახტანგ გორგასალმა ააშენა სამნავიანი ბაზილიკა V საუკუნის ბოლოს, მცხეთასა და ურბნისში, VI საუკუნის დასაწყისში. მისი ამგებნი არიან ვინმე კონსტანტი და "მამა მიქაელი". პირველში რეზიდენცია დაიდო კათალიკოსმა, მეორეში — ეპისკოპოსმა.

ვახტანგ მეფის მიერ აგებულმა სვეტიცხოვლის ეკლესიამ იარსება XI ს. დასაწყისამდე. მის ნანგრევებზე აგებულ იქნა დიდი ზომის გუმბათოვანი ტაძარი — სვეტიცხოველი. მისი დამკვეთია მელქისედეკ ქართლის კათალიკოსი, ამგები ხუროთმოძღვარი არსუკიძე.

ურბნისის დიდმა ტაძარმა გადაკეთება ბევრჯერ განიცადა, მაგრამ იგი დღესაც იმპოზანტურად გამოიყურება. პირველი შესამჩნევი ზიანი ტაძარს მოსვლია არაბების თარეშის დროს, IX-X საუკუნეების მიჯნაზე. დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია ახლადდანიშნულ თეოდორე ეპისკოპოსს. შემდეგი, ასევე დიდი მასშტაბის აღდგენითი მშენებლობა აწარმოა 1668 წელს მეფე ვახტანგ V-ის მეუღლემ, დადიანის ასულმა მარიამ დედოფალმა. შენობის ზედა ნაწილი მთლიანად მისი ოსტატების მიერაა აგებული.

ურბნისთან დაკავშირებით თავისთავად საინტერესოა იმისი გახსენებაც, რომ ჯავახეთიდან მცხეთას მიმავალმა წმიდა ნინომ ურბნისში ერთი თვე დაჰყო.

ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება შიდა ქართლის გულში მდებარე სამთავისიც. ცნობილია, რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა სამთავისელი ეპისკოპოსი. ვახუშტის ცნობით, სამთავისის ეკლესიაᲐ ააშენა ეპისკოპოსმა ისიდორემ.

ადრეული ეკლესიის კვალი ახლა არ ჩანს. ის ტაძარი, რომელიც დგას, 1030 წელს აუგია ილარიონ ვაჩე ყანჩაელს. სამთავისელი ილარიონის მიერ აგებული ტაძარი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ნაწარმოებია. მისმა ავტორმა შექმნა ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიის ტიპი, რომელიც მომდევნო ხუროთმოძღვრებისათვის გახდა ამოსავალი. მოხდა ისე, რომ მომდევნო რვა საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ამ ტიპის ეკლესიები შენდებოდა.

ძეგლს შესამჩნევი ზიანი მოსვლია. როგორც ეტყობა, მიწისძვრის შედეგად, გუმბათი გადმონგრეულა და მთლიანად თან დაუტანია დასავლეთის კედელი. დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებიათ XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე. დასავლეთის კედელი და შიდა საყრდენები აღუდგენიათ, ხოლო გუმბათის ყელი ახალი დაუდგამთ. მომდევნო პერიოდში ეკლესია შიგნით კიდევ დაზიანებულა. აღდგენითი სამუშაოები და კედლების ხელახლა მოხატვა ჩაუტარებიათ 1679 წელს ამ რეგიონის მეპატრონის, გივი ამილახვრის სახსრებითა და სამთავისელი ეპისკოპოსის მელიტონის ხელით.

ზემოთ განხილული ძეგლები განლაგებულია შიდა ქართლის ცენტრალურ მონაკვეთზე, მტკვრის აუზში, დაბლობზე. ცოტათი ზემოთ ავიწიეთ და დავაფიქსირეთ მთისწინა ზოლში სამთავისი. ახლა კიდევ ზევით, ჩრდილოეთით ავიწიოთ და განვიხილოთ ძეგლთა ის სიმრავლე, რომელიც განლაგებულია კავკასიონის მთავრქედის ჩრდილოეთის მხარეს. მისი ერთი მონაკვეთი, საქართველოს ტტრებმა ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, ოსეთის ხალხთან დააკავშირეს, ხოლო 1922 წელს დააკანონეს "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი". კარგა ხანია ცდილობენ ამ შორს გამიზნულ პოლიტიკურ "შეცდომას" მოუბრუნონ ისტორიული გამართლება და ამტკიცებენ, რომ აქ ოსები გვიან კი არ არის მოსულნი, არამედ ათასეული წლების უკან. ქართველმა მეცნიერებმა ყოველმხრივ შეისწავლეს ეს საკითხი და დაამტკიცეს, რომ ეს მხარე მთლიანად და ყოველთვის ქართველებით იყო დასახლებული. ასევე გაანალიზებულია დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელიც გამოვლინდა ამ ვრცელ ტერიტორიაზე. მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათში არ ჩანს არა ქართული. მით უფრო ზედმეტია ეთნიკურ ცვლილებებზე საუბარი. ოსური თუ სადმე რამეა, ესაა XVII-XVIII საუკუნეებისა.

ყველა ხალხი, მათ შორის ქართველებიც, იქ, სადაც ცხოვრობდნენ, თავიანთ აშკარა კვალს ტოვებდნენ. ამ საკითხს ჩვენ ადრე მივუძღვენით ვრცელი სტატია, სადაც აშკარად, მაგალითებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, რომ აქ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რაც დგას, უკლებლივ ქართველის მიერაა აგებული. სწორედ ხუროთმოძღვრულ ნაგებობებზე დაყრდნობით, შეისწავლება მსოფლიოში სხვადასხვა გამქრალი ერების ხელოვნების ამ დარგის ისტორია და საკმაოდ წარმატებითაც. რას ვხედავთ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე? ძველი საცხოვრებელი სახლები, ციხეები, კოშკები და ეკლესიები აგებულია ერთი ხალხის მიერ. ეს ხალხი ქართველებია.

ქვემოთ, ვეცდებით ამ მხარის ეკლესიების მოკლე ქრონოლოგიურ განხილვას. მათი რიცხვი ძალიან ბევრია. წარმოვადგენთ მხოლოდ მნიშვნელოვანს, ძირითადს.

ერთი მათგანი, და განსაკუთრებით გამორჩეული, ნიქოზია; იგი აუგია ვახტანგ გორგასალს, V საუკუნის ბოლოს. მემატიანე ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ეკლესია აგებულია "საგზებელსა თანა ცეცხლისასა". აქ აშკარად ჩანს მეფის გამიზნული პოლიტიკა, რომ ახალი რელიგიის სალოცავი აეგო სწორედ იქ, სადაც მანამდე ცეცხლთაყვანისმცემლები იკრიბებოდნენ. ნიქოზის საეპისკოპოსოზე წერს ვახუშტი ბაგრატიონი: ნიქოზის ეპისკოპოსი "მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა ლებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, შუენიერი". როგორც ვხედავთ, ნიქოზის საეპისკოპოსო კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას განაგებდა. იგი ხელმძღვანელობდა არა მარტო ქრისტიანობის გავრცელებასა და დამკვიდრებას, არამედ იცავდა ამ მხარეს სხვა რელიგიების შემოჭრისაგან.

ნიქოზის სამნავიანი ბაზილიკა მომდევნო საუკუნეებში საფუძვლიანად გადაუკეთებიათ და ჩვენამდე გუმბათოვნად მოაღწია. რადგან აქ რელიგიის შესამჩნევი ცენტრი იყო, ანსამბლის გაზრდა



იკორთა

ლარგვისი

გამუდმებით ხდებოდა. X-XI საუკუნეებში იქვე შენდებოდა მეტად მცირე ზომის საინტერესო გუმბათოვანი ეკლესია, ხოლო გვიან საუკუნეებს მიეკუთვნება ორსართულიანი სამრეკლო და ამავე ანსამბლში შემავალი ეპისკოპოსის სასახლე.

მომდევნო ეპოქის მრავალრიცხოვანი ეკლესიებიდან შერჩევით და ქრონოლოგიურად თუ მივყვებით, გამოიყოფა VIII-IX საუკუნების ერთი მეტად საინტერესო ჯგუფი. ესენია ქსნისა და რეხულას ხეობებში მდგარი არმაზის, წირქოლისა და ყანჩაეთის ეკლესიები.

საქართველოში გავრცელებულია ცალნავიანი, ბაზილიკური და გუმბათოვანი საეკლესიო არქიტექტურა. ამათგან განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა გუმბათოვანი ეკლესიები. ჩვეულებრივ, გუმბათოვან არქიტექტურაზე საუბრისას იგულისხმება ყელიანი გუმბათები. ეს გუმბათები გარედან კარგად ჩანს და იგი პირამიდული კომპოზიციის დამამთავრებელია. თავისთავად გუმბათოვანი არქიტექტურის განვითარება საქართველოში VI საუკუნიდან იწყება. VII-IX საუკუნეებში გაჩნდა გუმბათოვანის ახალი სახე; ესაა უყელო გუმბათები. ამ ტიპის ნაგებობებში ეკლესია შიგნით გუმბათოვანია, გარედან კი – ორფერდა. სწორედ ასეთ ტიპს მიეკუთვნება არმაზი და წირქოლი. ტიპით მათთან ახლოსაა ყანჩაეთი.

არმაზის ეკლესია მდინარე რეხულას ღრმა ხეობაშია. მის სამხრეთ ფასადზე არსებული ასომთავრული წარწერის მიხედვით, იგი აგებულია 864 წელს მამასახლის გიორგის მიერ. ეკლესიის კორპუსი, სამხრეთისა და დასავლეთის გარშემოსავლითურთ, კარგადაა მოღწეული, მხოლოდ გუმბათია ჩაქცეული.

მდინარე ქსნის მარჯვნივ, მაღლა, მთაზე მდგარი წირქოლის ეკლესიაა. იგი ორფერდა სახურავით გადახურული გრძელი შენობაა. შიგნით ცენტრი გადახურულია გუმბათის სფეროთი, ხოლო დასავლეთით ორსართულიანია. ქვემოთ მლოცველთა დარბაზია, ზემოთ კი – პატრონიკე. ფასადები მცირედაა თაღებით მორთული.

ქსნის ხეობაში მდგარი ყანჩაეთის კაბენი შუა საუკუნეებში განთქმული სამონასტრო ცენტრი იყო. აქ დიდ ფართობზე ნაგებობათა ნაშთებია; ხოლო თავდაპირველი VIII-IX საუკუნეების გუმბათოვანი ტაძარი რამდენიმეჯერ გაუფართოებიათ. განსაკუთრებით მასშტაბური რეკონსტრუქცია მომხდარა XIII ს. პირველ ნახევარში, როცა ძეგლის ფასადები ჩუქურთმით მდიდრულად მოურთავთ.

მომდევნო ეპოქის მრავალრიცხოვან ეკლესიებში გამოირჩევა მდ. პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. მის სამშენებლო წარწერაში მოხსენებულია ივანე ტბელი. ტბელთა საგვარეულო, ქყვეყნის ძლიერ მმართველთა შორისაა. მათი აღმავლობა განსაკუთრებით შესამჩნევია X-XI საუკუნეებში. მათ ტერიტორიაზე აღმავლობის პერიოდის ეკლესიებია – სოფ. ხეითის საბა-წმიდა (X ს), ერედვისავე ბერის საყდარი (X საუკუნე), ზემო ნიქოზის მცირე გუმბათოვანი ტაძარი (X-XI ს-თა მიჯნა), დოდოთის ცხრაკარა, რომელიც იმავე ხანში ივანე ტბელის მიერაა აგებული და კიდევ ერთი დიდი დარბაზული ეკლესია სოფ. ტბეთში. აქ წარწერაში ტბელები არიან მოხსენებულნი. როგორც ვხედავთ, ეს ტერიტორია იმ ეპოქაში ყოველმხრივ ძლიერი ყოფილა.

ერედვის ეკლესია ორიგინალური გეგმისაა. მისი ცენტრალური მონაკვეთი დიდი ზომის დარბაზულია, ოთხივე მხარეს გარშემოსავლელით, რაც არაა ტიპიური. ძეგლი მდიდარია მორთულობებით და ზედ უამრავი ასომთავრული წარწერაა. მთავარი წარწერის მიხედვით, ეკლესია აგებულია 906 წელს ივანეს ტბელობის დროს, თეოდორე თაფლაისძის დაკვეთით, მაშინ, როდესაც ნიქოზში ეპისკოპოსად იჯდა სტეფანე.

იმავე ეპისკოპოსის დროისაა ხეითის საბაწმიდა. მის გეგმაზე ჯვარია გამოსახული, კომპოზიცია დარბაზულია, გვერდებზე ვრცელი მკლავებით. მთელ დასავლეთის მონაკვეთს სამი მხრიდან გარსშემოსავლელი ახლდა. მის კედლებზე არსებულ წარწერებს, მათ საერთო სახეს, მდიდარ, მრავალფეროვან მორთულობას, X ს. პირველი ნახევრით ათარიღებენ.

სამწუხაროდ, ეკლესია დიდი ხანია ნანგრევებში ზის და ჩუქურთმასა და რელიეფებს ეზიდებიან.

რადგან ხეითზეა საუბარი, არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ გადმოცემა, რომ იქვე მდგარ კოშკში უკანასკნელი დამე გაუთევია რუსეთში ამალით მიმავალ მეფე ვახტანგ VI-ს.

მთიულეთში ყველაზე სახელგანთქმული ეკლესია ლომისაა. იგი დგას ქსნისა და არაგვის მდინარეების წყალგამყოფ მაღალ ქედზე და ორივე მხრიდან კარგად ჩანს. ლომისის ეკლესია დიდი ზომის დარბაზული ნაგებობაა. ასომთავრული წარწერა მხოლოდ რკინით მოჭედილ კარზეა. ლომისობაზე აქ ზღვა ხალხი მოდის ხოლმე სალოცავად.

საგულისხმოა, რომ მთელი ამ მხარის ტერიტორია მოფენილია პატარა ცალნავიანი ეკლესიებით. ასეთებიდან აღსანიშნავია – აჩაბეთი, ცხინვალი, ტბეთი, სოხთა, ფრისი, მერია, კასაგინა, კვაისა და სხვა. ამათგან მხოლოდ რამდენიმეს შევეხებით.

პირველ რიგში აჩაბეთს.

აჩაბეთი მატიანეებში იხსენიება VII ს-დან. მატიანეებში არსებული წყვეტილის შემდეგ ამ გვარის წარმომადგენელთა აქტიურობა იწყება XIV ს-დან. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: "გორის ძირს არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა". სამაჩაბლო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა ორივე ლიახვის ხეობა, ცხინვალის ხეობა როქამდე, ყვირილას დასავლეთის მონაკვეთი და დვანის წყლის სათავეები.

აჩაბეთში მაჩაბელთა რეზიდენციიდან დაცულია ვრცელი ციხის ნანგრევები, ნაგებობათა ნაშთები და ეკლესია.

აჩაბეთის ეკლესიაც დარბაზულია, მაგრამ ორიგინალურია, რადგან საკურთხეველი აფსიდალური კი არ არის, არამედ მხოლოდ სწორკუთხაა. ამ ტიპის ეკლესიები საქართველოში მხოლოდ ქართლის მთიანეთშია გავრცელებული. აჩაბეთის ეკლესიას მორთულობა არა აქვს. ზოგადი მონაცემებით იგი VIII-IX საუკუნეებში აგებული ჩანს.

მაჩაბლების საგვარეულო საძვალე თირის მონასტერში იყო. ის მონასტერი იქვე მახლობლადაა, სამიოდე კილომეტრზე. მონასტრის ნაგებობებში გამოირჩევა მდიდრულად მორთული ეკლესია, რომელიც აგებულია XIII ს. ბოლოს.

შიდა ქართლის იმ მონაკვეთში, რომელსაც უსაფუძვლოდ "სამხრეთ ოსეთს" ეძახიან, დგას სამი სიამაყე, ქართული ხუროთმოძღვრების სამი ძეგლი – თიღვა, იკორთა და ლარგვისი.

თიღვის მონასტერი მდებარეობს ფრონეს გაშლილ ხეობაში. იგი ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიათა ტიპს მიეკუთვნება. მის კედელზე ლექსად არსებული წარწერის მიხედვით, ეკლესია აგებულია თამარის მიერ 1152 წელს. ეს თამარი არის მეფე დავით აღმაშენებლის ასული, დემეტრე I-ის და, გიორგი III-ის მამიდა,

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ XI-XIII საუკუნების დიდი და პატარა ეკლესია მდიდრულადაა მოჩუქურთმებული და რელიეფებით დაფარული. თიღვის ტაძრის კედლები თითქმის შიშველია. მხოლოდ ორი ადგილია მოჩუქურთმებული. ნაგებობის ასეთ სიმკაცრეს ხსნიან დამკვეთის განსაკუთრებული მდგომარეობით; დედოფალყოფილი მონაზვნად აღიკვეცა, მას არ შეეფერებოდა საზეიმო ხასიათის ტაძარი. იგი ნამდვილად ასკეტურად განწყობილი ადამიანის დაკვეთითაა ნაგები.

იმავე ტიპის მეორე ტაძარი, იკორთის დიდებული ძეგლი, მდებარეობს გორის ჩრდილოეთით, მდ. მეჯუდას გაღმა. მის კედელზე ჯერ კიდევ ორასიოდე წლის წინ არსებული ასომთავრული წარწერის მიხედვით, იგი 1172 წლით თარიღდება.

გუმბათოვანი ნაგებობა დიდი გემოვნების მქონე ხუროთმოძღვრის მიერაა აგებული. თლილი ქვის ფასადები ოთხივე მხარეს უწყვეტად მრავალფეროვანი თაღებითაა შემოსილი. კარ-ფანჯრების ზედაპირი დაფარულია მრავალფეროვანი ჩუქურთმით: სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინათ ამ რეგიონში დატეხილმა ძლიერმა მიწისძვრამ გუმბათი მცირედ დაზიანა.

ლარგვისის ეკლესია შუა საუკუნეების ბოლო პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი მდებარეობს ქსნის ლამაზი ხეობის ზემო წელში, მდინარის ორი ტოტის შესაყარზე. საუკუნეების განმავლობაში აქ იყო ქსნის ერისთავთა რეზიდენცია. ამ ადგილზე მდგარი ადრეული ეკლესიები სხვადასხვა დროს ზოგი მტერმა დაანგრია, ზოგიც წყალდიდობამ. დიდი გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც ახლა დგას, ისტორიული ცნობების მიხედვით, წმიდა თეოდორეს სახელობისაა. აუგიათ ერისთავ დავითსა და დედამისს – ქეთევანს 1759 წელს.

ლარგვისი და ისტორიულ ხევში მდგარი გერგეტის სამება ქართლისთვის იმავე დროს წარმოადგენდა სამალავს. საქართველოს როდის არ უჭირდა და, სწორედ გასაჭირის დროს, ეკლესიების განძეული ქვემოდან აჰქონდათ ამ ეკლესიებში.

ცხინვალსა და მის გარშემო არაერთი ეკლესიაა. მათში გამოირჩევა გვიანი პერიოდის მოზრდილი გუმბათოვანი ტაძარი. იგი აგებულია ვახტანგ VI-ის მეფობის დროს 1718 წ. ესაა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. წარწერის მიხედვით, იგი აუშენებიათ ვინმე გივის და ქაიხოსროს. ეკლესია, ეპოქის შესაფერისად მცირედაა მორთული.

ცხინვალში და მის გარშემო მდგარი პატარა ეკლესიებიდან აღსანიშნავია ზღუდრის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც, მის კედლებზე არსებული წარწერების თანახმად, აგებულია XVII ს. შუა ხანებში, მარიამ დედოფლის ხელშეწყობით.

ისტორიული მონაცემებით, ცხინვალი იყო გალავანშემორტყმული პატარა ქალაქი. მის შიგნით იდგა ათზე მეტი მცირე ეკლესია. სხვადასხვა ავტორთა ცნობებით, ამ ქალაქში ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. ოსები აქ ჩნდებიან მხოლოდ ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან. რაც შეეხება არქეოლოგიურ მონაცემებს, ამ ვრცელ ტერიტორიაზე დასახლების კვალი ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულებიდან ჩანს.

შიდა ქართლის ჩრდილოეთის მონაკვეთის ეკლესიებისა და სხვა სახის ძეგლების მიმოხილვა შეიძლება კიდევ გაგრძელდეს და ბევრი დაიწეროს. მათი რიცხვი, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ბევრია.

ამ რეგიონის ციხე-დარბაზებთან და სხვა სახის ძეგლებთან ერთად, ყველა ეკლესია, რომელიც აქაა განლაგებული, აგებულია ქართველის მიერ და ისინი სტილისტურად მთლიან ქართულს ენათესავებიან.

სამწუხაროა, მაგრამ ხაზგასმით უნდ აღინიშნოს, რომ ათეული წლების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე გვიან მოსული ხალხის ზოგიერთი წარმომადგენელი იბრძოდა და იბრძვის ისტორიული ხსოვნის ამოსაძირკვად და სპობს ქართულ ფუძისეულ ნაკვალევს, ისტორიულ ძეგლებს. დღეს ვის მოვთხოვოთ პასუხი იმაზე, თუ ვინ დაანგრია X-XII საუკუნეების ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორიცაა – ერედვთან არსებული ეკლესია – ბერის საყდარი, ხეთის საბაწმიდა, ტბეთი, კუდარო, დოდოთი, კვაისა, კასაგინა და მრავალი სხვა?

ქართველი კაცი თავის ფუძეზე ყოველთვის აშენებდა და ცხოვრობდა და მომავალშიაც ასე იქნება.

პარმენ ზაქარაია.

ქვათახევი





ქართული კედლის მხატვრობა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე

საქართველოში შემორჩენილია მონუმენტური ფერწერის მრავალი ძეგლი, რომელთაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს საკულტო ნაგებობების — დიდი და მცირე ეკლესიების მოხატულობათა სახით. ლიტერატურულ წყაროებშიც მოცემულია ცნობები საერო ნაგებობების, სასახლეების მოხატულობის არსებობის შესახებ.

ბიზანტიასა და ქრისტიანულ აღმოსავლეთთან დაკავშირებულმა შუა საუკუნეების ქართულმა ფერწერამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასახავდა ქრისტიანული რელიგიის ძირითად დოგმებს, განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, ამავე დროს, იგი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ადგილობრივი ტრადიციის საფუძველზე. თავისებური სტილისტური ნიშნები განსაზღვრავს ჩვენი ფერწერის თვითმყოფად, ეროვნულ ხასიათს.

ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა ის გარემოება, რომ ქართველ ოსტატთა მიერ შესრულებული ზოგიერთი ნაწარმოები საქართველოს დღევანდელ საზღვრებს გარეთაა. ასეთია ჩრდილოეთ ოსეთში, მდინარე ზრუგდონის (მდინარე არდონის შენაკადი) ხეობაში მდებარე, დღეისათვის საგრძნობლად დანგრეული ხოზიტა მაირამის — ღვთისმშობლის ტაძარი. ტერიტორია, სადაც ეს ეკლესიაა, დვალეთის სახელწოდებით იყო ცნობილი და V საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.

ხოზიტა მაირამის ტაძარი, უკვე დანგრეული, XIX საუკუნის ბოლოს ინახულა ვ. მარკოვიჩმა. მან აღნიშნა ტაძრის მოხატულობის მაღალი მხატვრული დონე, რაც ნათლად შეიმჩნეოდა ძეგლის დაზიანების მიუხედავად.

1951 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო ესპედიცია ჩრდილოეთ ოსეთში, იქ გადარჩენლი ქართული ძეგლების შესწავლის მიზნით. მაშინ ჩატარდა ხოზიტა-მაირამის ტაძრის აზომვა, ფოტოფიქსაცია, დაზუსტდა მისი აგების თარიღი — XI საუკუნის დასაწყისი. სტილისტური ნიშნების ანალიზის საფუძველზე, ეს ძეგლი აღნიშნული დროის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპიურ ნაგებობად იქნა მიჩნეული.

უკვე მაშინ ტაძარს აღარ ჰქონდა კამარა, ჩამონგრეული იყო ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები, გადარჩენილ კედლებზე კი მოჩანდა მოხატულობის ფრაგმენტები. ექსპედიციამ შეძლებისდაგვარად შეისწავლა ეს მოხატულობა, რომელიც ტაძრის ინტერიერში სამ რეგისტრად იყო განთავსებული.

საკურთხევლის აბსიდის კედლებზე ამოიკითხებოდა მოციქულთა და მღვდელმთავართა ორი მწკრივი. შედარებით უკეთესად იყო შემონახული წმ. მამების გამოსახულებანი: თითოეულს ხელში დახურული სახარება უჭირავს, ხოლო მეორე ხელი კურთხევის რიტუალითაა გამოსახული. წმ. მამების 12 ფიგურა მონუმენტურია, გამოსახულებები მკაცრად ფრონტალური, სილუეტი ლაკონიური.

სამხრთ კედელზე, რომელიც პილასტრებზე დაყრდნობილი ორი თაღითაა გაყოფილი, შეიმჩნევა კომპოზიციების ცალკეული დეტალები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ზოგი ეპიზოდის განსაზვარა: ეს არის "წმიდა მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა", "ჯვარცმა", "შენელსაცხებლე დედანი ქრისტეს საფლავთან", აგრეთვე, "ევსტათეს ხილვა ნადირობის დროს". ალაგ-ალაგ შენარჩუნებულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტები.

ყველაზე კარგად იკითხება "ჯვარცმა", რომლის კომპოზიციური წყობა და ნახატის ხასიათი მოხატულობის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებაზე მსჯელობისა და მისი თარიღის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. იკონოგრაფიული თვალსაზრისით, იგი შუა საუკუნეების საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) გავრცელებული კომპოზიციის ტიპიური ნიმუშია; მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მასში XI საუკუნისათვის დამახასიათებელი მკაცრი სტილის პარალელურად (ფიგურების მონუმენტურობა, კომპოზიციის წყობა, სიმეტრიულად განლაგებული გამოსახულებები) აისახება ამ სტილის პრინციპებიდან ჩამოშორების ნიშნები. შეიმჩნევა არქიტექტურული წყობის დადგენილი საზღვრების რღვევა, უგულვებელყოფილია კედლის შეტეხილობა პილასტრებზე და აბსიდის თაღებზე გადასვლისას; ასეთივე წყობის კომპოზიციებს ვხვდებით XII ს. დასაწყისის ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიაში, ახალი დეკორატიულ-დინამიური სტილის ნიშნებს ავლენს ნახატის ხასიათიც, რომელიც გამორჩეულად შეიგრძნობა; ასევე მაცხოვრის გამოსახულება, რაც მას XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისის ქართული ფერწერის ძეგლებთან აახლოებს (ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები, ბეთანიის მოხატულობა), თუ გავითვალისწინებთ, რომ სტილისტური ნიშნების ევოლუცია ერთნაირი თანმიმდევრობით არ ვითარდება (ზოგ შემთხვევაში უფრო ადრეული ხანის ძეგლი წინ უსწრებს მოგვიანო ხანის ძეგლს ზოგიერთი ახალი ნიშნის ჩამოყალიბებაში და პირიქით, მოგვიანო ხანის ძეგლში ახალი ნიშნების გვერდით შეიძლება შენარჩუნებული იყოს წინა ხანისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები), მაშინ ხოზიტა მაირამის მოხატულობის შესრულების ხანა XII საუკუნითა და XIII საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება. ეს მოხატულობა ორგანულად ეწერება ამ პერიოდის ქართული მონუმენტური ფერწერის ისტორიაში.

ჩრდილოეთ ოსეთში შემორჩენილია კიდევ ერთი ქართული ძეგლი — სოფელ ნუზალის (ალაგირის რაიონი) დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიის მოხატულობა. ეკლესიას არ გააჩნია საკურთხევლის აბსიდა. თავისი ტიპით ნაგებობა წააგავს

ჩრდილოეთ კავკასიის, კერძოდ – ჩრდილოეთ ოსეთის მიწის ზედა სამარხებს. ფერდა სახურავით. ამის საფუძველზე ზოგი მკვლევარი მას ადგილობრივი ოსტატის წამუშევრად მიიჩნევს.

ეს ეკლესია პირველად მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.). შემდგომში იგი ხშირად გვხვდება მოგზაურთა ნაწერებში. სადაც მისი აღწერაცაა მოცემული. მკვლევარნი მას მიაკუთვნებენ XIII-XIV საუკუნეებს.

ეკლესია შიგნით მოხატულია ქართველი მხატვრის მიერ, რასაც ადასტურებს ქართული ასომთავრული ასოებით შესრულებული წარწერები, მათი პალეოგრაფიული ანალიზი და თვით ფერწერული დეკორის ხასიათი, რომელიც პარალელს ქართულ ძეგლებში პოულობს. ამაზე მიუთითებს არა ერთი მკვლევარი (კ. ბერლადინა, ვ. კუზნეცოვი, თ. ბარნაველი, გ. ღამბაშიძე).

ამ მოხატულობის შემკვეთნი იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები. ქტიტორთა გამოსახულებანი (სულ 6 ფიგურაა, მათ შორის – ორი ქალია, – ერთი ბავშვით), ქართულ შუა საუკუნეების მხატვრობაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მოთავსებულია ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში, ე. ი. იმ კედელზე, რომელიც კარგად და უფრო ხანგრძლივად ნათდება სამხრეთის სარკმლებიდან შემოჭრილი მზის სხივებით.

ბავშვის გამოსახულებას თან ახლავს წარწერა, რომელშიც ცხადად იკითხება სახელი – სოსლანი. ალბათ, ამ საფუძველზე წარმოიშვა ლეგენდა იმის შესახებ, რომ აქ დაკრძალული იყო თამარ მეფის მეუღლე – დავით სოსლანი. მაგრამ შემდგომმა მეცნიერულმა კვლევებმა უარყო ეს ვარაუდი.

ორ რეგისტრად განთავსებული მოხატულობის წყობა, მისი ლაკონური იკონოგრაფიული პროგრამა ტიპიურია XI-XII სს. ქართული მცირე ეკლესიების ფერწერული დეკორისათვის.

კამარით გადახურულ ნუზალის ეკლესიას არ გააჩნია აბსიდა, მის ნაცვლად აღმოსავლეთ მხარეს სწორი კედელია, რომელსაც ზედა ნაწილში კამარის ორი ქანობი შემოსაზღვრავს. აქ იქმნება სამკუთხედის ფორმის არე. ამ არეში მოთავსებულია ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება, რომელიც საქართველოში X საუკუნიდან და შემდგომ – შუა საუკუნეების ხანაში განსაკუთრებით გავრცელებულ ვედრების საკონქო კომპოზიციას მიეკუთვნება. ამ კომპოზიციის დანარჩენი ფიგურები (ამ შემთხვევაში ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ორი მთავარანგელოზი), მხატვარმა ორივე ქანობის აღმოსავლეთ ნაწილზე გადმოიტანა და მთელი სიმაღლით გამოსახა.

საკურთხევლის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია წმ. მამების ოთხი ფიგურა, ამოიკითხება სახელები – ბასილი და რომანოზი.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის კამარის ქანობებზე მათ დასავლეთ, უფრო დიდ მონაკვეთზე მოთავსებულია: სამხრეთით – ცხენოსანი წმიდა გიორგი, რომელიც გმირავს გველეშაპს, ჩრდილოეთით კი წმიდა ევსტათის ცხენოსანი ფიგურა ნადირობის კომპოზიციაში. როდესაც მას ირმის რქებს შორის ქრისტეს გმოსახულება მოვლინა. ორივე წმიდანის ფიგურა მოთავსებულია ეკლესიის ზედა, უმაღლეს (ე. ი. ზეციურ) ზონაში, რაც განპირობებული უნდა იყოს საქართველოში მათი განსაკუთრებული თაყვანისცემით. მაგალითად, წმ. გიორგის გამოსახულება ზეციურ ზონაში მოთავსებულია ზემო სვანეთის იფხის და აცის ეკლესიებში (XI ს. დასაწყისი), წმ. ევსტათის ნადირობის ეპიზოდი გვხვდება ზემო სვანეთის ეკლესიების ფასადების მოხატულობაში. იფარი (XII ს). ლაღამი, ლენჯერი, (XIV ს).

დასავლეთ კედელზე შესასვლელის თავზე მოსჩანს ჯვარი, ასომთავრული წარწერით – "ჯვარი ქრისტესი".

მოხატულობის კოლორიტი თავშეკავებულია, გამოყენებულია მხოლოდ რამდენიმე ფერი – თეთრი, ოქროყვითელი და მოყავისფრო წითელი. ასეთივე კოლორიტულ გამაშია გადაწყვეტილი ზემო სვანეთის არა ერთი ეკლესიის მოხატულობა: ალბათ, ეკლესიის ცუდმა განათებამ განაპირობა ფონების ფერის შერჩევა: ზედა ზონის ფონი – ღია ნაცრისფერია, ხოლო ქვედა – თეთრი.

მოხატულობის კომპოზიციური წყობა თითქოს ჯერ კიდევ მისდევს მონუმენტურ სტილს, რომელიც XI-XII საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი (გამოსახულებათა სიმეტრიული განლაგება, მათი მონაცვლეობით შექმნილი ბშვიდი რიტმი). ნუზალის ეკლესია შეიძლება XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნოს. (მოხატულობაც ეკლესიის მშენებლობის თანადროული უნდა იყოს).

ნუზალის მოხატულობა მოწმობს, რომ შუა საუკუნეების ხანაში საქართველოსა და ოსეთს შორის მჭიდრო კულტურული კავშირი არსებობდა.

ანელი ფოლსკაია

სად ცხოვრობდნენ ოსები?

(კ. ტაციტუსისა და ფ. დიუბუას მიხედვით)

თვალსაზრისი



საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილმა სტატიებმა და წიგნებმა კიდევ უფრო მეტი სიბნელე შეიტანეს ოსების სავარაუდო წარმოშობის საკითხებში. კომუნისტური პარტიის დავალებით, კავკასიის დაქუცმაცების და ეროვნულად აღრევის მიზნით, დაიწერა სიყალბით, სიცრუით სავსე სტატიები და წიგნები ქართულ, რუსულ, ოსურ, აბსუურ ენებზე. ასე გავრცელდა კავკასიის მოსახლეობაში მცდარი, თანაც საეგებიო ვარაუდებზე დაფუძნებული ცრუ შეხედულებები კავკასიაში არაკავკასიელი ეროვნებების საგანგებო უფლებების შესახებ.

მაგალითად, ზ. ვანეევის წიგნში "ისტორია ოსეტიი", რომელიც სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი, შეტანილია ქართველების შესახებ საბუთები, რომელთაც ოსებთან და ოსეთთან კავშირი არა აქვთ; ავტორმა ეს საბუთები წიგნის მოცულობის შესავსებად ჩართო. დღეს ამ წიგნების ავტორები ედავებიან სხვა მეცნიერებს იმის გამო, რომ ათი წლის წინ გამოქვეყნებული ოსეთის და აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოები ახლა გააკრიტიკეს, მანამდე კი ხმას არ იღებდნენ. ცრუმეცნიერებმა თავის დროზე მათი დუმილი თანხმობის და მოწონების ნიშნად მიიღეს. ასეთი მიდგომა მიუღებელია, რადგან სიცრუე (საერთოდ და არა მხოლოდ ამ საკითხში) მეცნიერებაში დაამკვიდრეს ძალმომრეობით, დაშინებით, მეცნიერთა გადასახლებით ციმბირში, მათი წამებითა და ხოცვით, ოჯახების აწიოკებით.

მაგრამ ეს წიგნები მაინც იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა; მათი უარსაყოფი რეცენზიების გამოქვეყნებას კი პატიოსანი მეცნიერები ვერ ახერხებდნენ მთავრობის (საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აპარატის) ჩარევის გამო, მათ ამას უკრძალავდნენ.

საქართველოს ტერიტორიის და მოსახლეობის, ოსებისა და აბსუებისათვის სხვათაგან გამორჩეული უფლებების მინიჭების უკანონობის დასაბუთება მრავალჯერ სცადეს ქართველმა

მკვლევარებმა, მაგრამ ეს არ გაითვალისწინეს საკავშირო და კავკასიის ადგილობრივმა მმართველმა ორგანოებმა და დღევანდელი სისხლისღვრის, ალბათ, უნებური და არა გამიზნული, გამომწვევი მიზეზები გახდნენ.

საისტორიო საბუთების პირუთვნელი შეჯერებით, ძნელი არ არის დადგინდეს, რომ ირონებისა და ალანების იგივეობა დაუსაბუთებელია. ამასთან, არც ირონებს, არც ალანებს დღეს კავკასიაში სხვა არაკავკასიელებისაგან გამორჩეული უფლებები არ უნდა გააჩნდეთ, თუმცა, მათაც უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო სამართლით დადგენილი სათანადო უფლებები.

X

დღემდე, ამა თუ იმ ერის კანონიერი საცხოვრისის განსაზღვრისას, ითვალისწინებენ წარსული ხანის მეცნიერების მიერ დატოვებულ ცნობებს. ამ მეთოდზე დაყრდნობით, გვინდა განვიხილოთ ჩვენთვის ერთი საინტერესო საკითხი — სად იყო ოსების სამშობლო. საიდან და როდის მოვიდნენ, როდის ჩამოსახლდნენ ისინი კავკასიაში? ამ კითხვას პასუხობს რომაელი პოლიტიკოსი ტაციტუსი (I ს), რომელიც რომის იმპერატორის მმართველ წრეს ეკუთვნოდა და დაწერა დოკუმენტური სამეცნიერო ნაშრომი, სადაც აღწერა მრავალი ქვეყანა, ხალხი და ტომი. ევროპის აღწერისას ტაციტუსმა მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ გვაცნობა, რომ ოსები მის დროს (I ს.) ცხოვრობდნენ მდინარე დანუბის ხეობაში. მდინარე დანუბს დღეს "დუნაის" უწოდებენ. ოსებს ტაციტუსი უწოდებს "ოსი". დუნაის ხეობაში დღეს უნგრეთი მდებარეობს. უნგრეთი კი კავკასიიდან დიდი მანძილით არის დაშორებული. ტაციტუსმა ყურადღება მიაქცია ოსების ენასაც, მეტყველებასაც. ოსური მას მიაჩნია დამოუკიდებელ ენად, რომელიც სხვა ენას არ ენათესავება. ოსების მახლობლად მდინარე დუნაისთან პანონიელები ცხოვრობდნენ. ტაციტუსი წერს, რომ ვერ დაადგინა, ოსური პანონიურ ენას ენათესავება თუ არა. საერთოდ, ტაციტუსის ნაშრომში ტექსტი ოსების შესახებ მცირეა, მაგრამ მკაფიო: სახელწოდება ზუსტად იგივეა ("ოსი" ლათინურ ენაზე), მითითებულია ოსების საცხოვრისი I საუკუნეში — მდინარე დუნაისთან, მითითებულია ოსების ენა, როგორც დამოუკიდებელი და ხაზგასმულია, რომ არც პანონიელების, არც გერმანიკული ტომების ენებს ოსური არ ენათესავება. დაუშვებელია ფიქრი, რომ ტაციტუსს განგებ მცდარად შეეძლო მიეთითებინა ოსების საცხოვრისი. მან მხოლოდ ფაქტი აღნიშნა — ოსები მდინარე დუნაისთან ცხოვრობენო. ოსებს ლათინურ ენაზე ტაციტუსი უწოდებს "ოსი", რაც დოკუმენტურად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ I ს-ში და, ამდენად, მანამდეც ოსებს ჩრდილო კავკასიაში, არც, მითუმეტეს, ამიერკავკასიაში, არ უცხოვრიათ. აქედან გამომდინარე, მათი კულტურის დამამტკიცებელი საბუთები, ნაშთები I საუკუნემდე მაინც მდინარე დუნაისთან ყოფილა საძებელი და არა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. ტაციტუსი რომის იმპერიის დიდი მოხელე იყო და მას მიუწვდებოდა ხელი ოფიციალურ, სახელმწიფო საბუთებზე. იგი მსოფლიოს თანამედროვე მეცნიერების, მათ შორის, საქართველოს მეცნიერების მიერ მნიშვნელოვან ავტორად არის მიჩნეული. მის სხვა ცნობებს სხვა ეროვნებების საცხოვრისის დადგენისას ენდობიან. ამიტომ სანდოდ უნდა მივიჩნიოთ მისი ცნობა I ს-ში ოსების მდინარე დუნაისთან განსახლების შესახებ. ტაციტუსის სამეცნიერო ნაშრომის ტექსტი მრავალჯერ გამოქვეყნდა ორიგინალის ენაზე — ლათინურად, მისი სრული თარგმანები გამოქვეყნდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაწყვეტები, მათ შორის ტექსტი ოსების მდინარე დუნაისთან განსახლების შესახებ. რუსულ ენაზე ეროვნების სახელი "ოსი" თარგმნილია, როგორც Осы (იხ. სამეცნ. ჟურნ. "ვესტნიკ დრევნეი ისტორიი", 1947 წ., ტ. 1, გვ. 305).

შესაბამისი ტექსტი გამოქვეყნებულია ლონდონის გამოცემაში გვ. 302 და 322 ლათინურად, ხოლო გვ. 303 და 323 ინგლისურად. ქართულად ეს ტექსტი ასე იკითხება: "მდინარე დუნაის ჩრდილოეთით ცხოვრობენ მარსინები, კოტინები, ოსები, ბურები, ოსები პანონიური ენის მსგავს ენაზე მეტყველებენ და გერმანელებს არ ენათესავებიან, რასაც მოწმობს ის, რომ ხარკს უხდიან სარმატებს და კვადებს".

იგივე ტექსტია გერმანულ ენაზე. ამ ცნობას ყურადღება მივაქციე 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში ტაციტუსის ნაშრომის, "გერმანია", ლონდონური გამოცემის მთლიანად გაცნობისა და მისი იქვე ინგლისურ თარგმანთან შეჯერების დროს.

ტაციტუსის ცნობა ოსების შესახებ რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს საქართველოს ისტორიის დოკუმენტურ წყაროებში დაცულ ცნობებს ოსების შესახებ. იგი ქართულენოვან ცნობებზე გაცილებით ძველია. ტაციტუსის ცნობამ მოხსნა ვარაუდი იმის თაობაზე, თითქოს "ოსი" ქართველებმა უწოდეს მათ. საბჭოთა კავკასიოლოგები ამ ჰიპოთეზას საქართველოში ოსების მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების და მათი ამ ტერიტორიაზე სხვა არაქართველებთან შედარებით განსაკუთრებული უფლების დასამტკიცებლად იყენებდნენ. ეს ჰიპოთეზა, ეს ვარაუდი, როგორც ვხედავთ, მცდარია. ოსებს უკვე I ს-ში უწოდებდნენ "ოსი"-ს რომაელი მმართველები. წესიერად მოწყობილ ქვეყანაში მისი ერის საზიანოდ მოტანილ მცდარ ვარაუდზე ქვეყნის პოლიტიკის აგება წარმოუდგენელია. საქართველოში ოსების, როგორც საქართველოს მკვიდრი ერის, თითქოს უხსოვარი დროიდან ქართველებთან ერთად თანაცხოვრების მცდარ ვარაუდზე სწორი პოლიტიკის აგება შეუძლებელი იყო. საქართველოში არაბებიც ცხოვრობდნენ, ებრაელებიც, თურქებიც, თათრებიც, ვიურეტნბურგელი გერმანელებიც, არმენებიც, რუსებიც. ყველა მათ ავტონომია უნდა მიეცეთ?

ოსები დუნაისთან ახსენა პტოლემეოსმაც II ს-ში.

ამის შემდგომ ოსები მრავალი საუკუნის მანძილზე ევროპელთაგან აღარავის არსად უხსენებია. ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენთვის ეს ცნობილი არ არის.

XIX ს-ში ევროპელმა მეცნიერმა, სტრასბურგის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგემ, ეროვნებით შვეიცარიელმა, აკადემიკოსმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ მიმოიხილა ოსების შესახებ მანამდე გამოთქმული ვარაუდები და თავის სამეცნიერო შვიდტომიან ნაშრომში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა. პირველი ტომი 1837 წელს გამოვიდა პარიზში, დანარჩენები — მომდევნო წლებში. ფრედერიკ დიუბუას ამ ნაშრომის სათაურია "ვუაიაჟ ოტურ დე კავკაზ" (მოგზაურობა კავკასიაში). ტექსტი ექვსი ტომია, მეშვიდე ტომია რუქების და

ჩანახატების "ატლასი". მეექვსე ტომის ბოლოს სახელთა საძიებელია, "ოსსი" სიტყვის გასწვრივ მითითებულია ამ ნაშრომის ის ტომები და გვერდები, სადაც განხილულია ოსების საცხოვრისის, ენის, ზნე-ჩვეულებების, ეროვნული თვითშეგნების დონის, სტატისტიკის (ოსების რაოდენობის) საკითხები: I ტომი, გვ. 71, 75, 43. II ტომი, გვ. 27. 36, 33, 51, 54, 78, 91, 95. IV ტომი, გვ. 320-457, (1840 წ.).

აკადემიკოს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს შეხედულება (ტომი 4, გვ. 364-65) ოსების შესახებ:

"ქართველები XIX საუკუნეში ოსებით დასახლებულ კავკასიონის მაღალ მთაში მდებარე რაიონს ძველი საუკუნეებიდანვე ქართულ სახელებს უწოდებდნენ.

"დვალეთი" და "მაღრანდვალეთი"... მაღრანდვალეთი მაღლა მდებარე დვალეთს ნიშნავს: "ეს დვალეთის ყველაზე უკაცრიელი, მაღალმთიანი რაიონია, ახლოს გუდამაყარია. მოსახლეობა თუმცა ოსებია,,მაგრამ საერთოდ მთლიანად გაქართველებულია და საქართველოს სამეფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ამ ოსებით დასახლებული ადგილის სახელები (დვალეთი და მაღრანდვალეთი) ქართული ტოპონიმებია. ხეობებს ქართული სახელწოდებები აქვს (იხ. კლაპროთი, "ვუაიაუ ო კავკას", ტ I და II ისევ გიულდენშტედტი – "ბეშრეიბუნტ" გვ. 138). ქართველები და ოსები წინათ ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს.

როგორც ჩანს, ყოველთვის განარჩევდნენ ოსების ორ რასას, ორ ეროვნებას: საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსები ეროვნულად სხვაგვარები იყვნენ. ჩრდილო-კავკასიის ჩრდილოეთით დღეს მცხოვრები თავისუფალი ოსები სხვა რასას მიეკუთვნებიან. ეს უკანასკნელები **უარს ამბობენ, რომ მათ ოსები ან ოვსები უწოდონ:** თავიანთი თავი ირონებად მიაჩნიათ, თავიანთ საცხოვრებელ უბანს ირონისტანს უწოდებენ და ამტკიცებენ, რომ სპარსეთიდან ჩამოსახლდნენ ამ ახალ საცხოვრისში. (იხ. ტ. 1, 468, შენიშვნა 4).

იქნებ ისინი ეროვნულად ერთი და იგივე ხალხი იყო წინათ, მაგრამ რადგან ოსები საქართველოში ცხოვრობდნენ, მათ მიივიწყეს თავიანთი ნამდვილი სახელი.

ირონ-ოსები თავიანთ სახელზე უარს ამბობენ. **ისინი სხვას უწოდებენ "ას"-ებს და უცხოელებად თვლიან:** "ასსი"-ს უწოდებენ ირონები ყაბარდოში მცხოვრებ მალხარებს და ჩეგემელებს (ახალ რუკებზე ეწოდებათ "ჩეგემი" და "ბაიკარი". ისინი ჩერქეზული ნარევი ეროვნებებია და ცხოვრობენ ელბრუსის (იალბუზის) ჩრდილოეთით, დასავლეთის ოსებთან ახლოს". დიუბუა, ტ. IV. გვ. 374-75).

934 წელს არაბმა მასუდიმ დაწერა, რომ ალანები კავკასიონის ქედთან ცხოვრობენ, დარიალის იქით, რომელსაც ალანთა კარს უწოდებენ, მის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის სათავემდე, ვაკეზე, მათ შემდეგ ხაზართა სამეფოა. ისინი ქრისტიანები არიან.

931 წელს მასუდი შეხვდა ალანთა ეპისკოპოსებს. მათგან დასავლეთით, იქ, სადაც დღეს ჩერქეზეთია, მან დაასახელა კეშეკები.

959 წელს იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა ეს საკითხი თითქმის ისევე აღწერა, როგორც მასუდიმ, მაგრამ კეშეკებს მან კაზახია უწოდა.

სახელოვანმა სლავმა მემატიანემ, ნესტორმა, 965 წელს დაწერა, რომ სვიატოსლავმა დაიპყრო ბელოვეჟე, ანუ სარქელი, ანუ ხაზარების ქალაქი მდინარე დონზე, ეომა იასსებს და კასსოგებს. იქნებ "იასსი" იგივეა, რაც მანამდე ცნობილი ავტორების მიერ მოხსენიებული "ალანებიო" – წერს ფ. დიუბუა. (ტ, IV, გვ. 374).

XIII-XIV ს-ში მოგზაურმა ბერებმა პიანო კარპინიმ, რუბრუკვისმა და სხვებმა ცნება "ასსი" ცნება "ალანის" სინონიმად ჩათვალეს.

1227 წელს იტალიელმა ბერმა პიანო კარპინიმ ჩამოთვალა თათრების მიერ დაპყრობილი ხალხები – მათ შორის "ალანები, ანუ ასსები (ალენზ უ ასსიზ), ობეზები, ანუ გეორგები (ობეზეზ უ ჟორჟიენზ)".

– "მე მგონია, რომ "ობეზები" უწოდა მან საქართველოს ქვეშევრდომ ოსებს, რომელთაც ქართველები "ოვსებს" უწოდებენ, ხოლო ალანები და ასსები უწოდა თავისუფალ, დამოუკიდებელ ოსებს" – წერს დიუბუა (იქვე).

დიუბუას ცნობით, 1253 წელს მეფე ლუი IX-მ დესპანი რუბრუკვისი გაგზავნა ელჩად თათრების მანგუ-ყაენთან. რუბრუკვისმა დაწერა, რომ იყო "გაზარიაში" (ყირიმში). იქ მან იხილა ვიღაც ალანები (ქრისტიანი ბერძნები), რომელთაც თათრები უწოდებდნენ "ასიას", ანუ "აკა"-ს (იხ. ბერჟერონის შედგენილი კრებული ფრანგულ ენაზე: ვუაიაჟ და პიან კარპენ ონ ტარტარი, გვ. 24 და 58. თბილისში ორიგინალი ვერ მოვიძიე, მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში არის ა. ი. მალეინის მიერ რუსულად თარგმნილი: "პუტეშესტვია პიანო კარპენი ი რუბრუკვისა", შასტინას რედაქციით). მთლიანად მოვიტანთ ამ პატარა ქვეთავს.

"მონღოლებმა დაიპყრეს შემდეგი ხალხები და ქვეყნები: ჩინელები, მაიმანები, სოლანგები, ყარაჩინელები, კომანა, თუმატ, ვოირატ, კარანიტები, გუიურ, სუმონღალის, მერკიტები, მეკრიტები... ალანები ანუ ასსები, ობეზები ანუ გეორგები, ნესტორიანები, არმენები..."

მხოლოდ ამ უბრალო ბერის ფრაზაზე: "ალანი ანუ ასსი" არის დამყარებული კავკასიოლოგიაში ალან-ასსების იგივეობის ვარაუდი. "ოსი", "ოსსი" არც კარპინის, არც რუბრუკვისს არ უხსენებია.

მთავარია, რომ ბერმა ასსები დაასახელა ალანების იგივურად და არა ოსები. კიდევ უფრო უმთავრესი კი ის არის, რომ მომდევნო გვერდებზე იგივე ბერი ასსებს და ალანებს ცალ-ცალკე ჩამოთვლის და იგივურად არ მიიჩნევს: ... ასსები, ალანები... ელჩი ბერი კავკასიაში თავად არ ყოფილა. მის მიერ გაკვრით ნახსენები ასსები ცხინვალის ან ჯავის რაიონის მაცხოვრებლად კი არ დაასახელა, არამედ მდინარე დონის ჩრდილოეთით მდებარე ველზე მოსახლედ. არც სლავ ისტორიკოსს, ნესტორს, დაუსახელებია "იასსები" ცხინვალის ან ჯავის რაიონში. ისინიც დაუზუსტებლად, სადღაც მდ. დონის ჩრდილოეთით ახსენა გაკვრით. კავკასიის მთებში თურმე დღესაც ცხოვრობენ ასსები – მხოლოდ სამ მომცრო სოფელში, იალბუზის ჩრდილოეთით. მათ ირონებიც "ასსებს" უწოდებენ დღეს. ზემოთ დასახელებულ საბუთებში სწორედ ასსებია დასახელებული ალანების ოჯახის წევრად და არა ირონები. ასსების ენა დღეს არ არის ოსური, ან ოსურის მონათესავე. ალანები პოლონეთში, უნგრეთში, რუსეთში და სხვაგანაც

ცხოვრობდნენ. რაღა მაინცადამაინც საქართველოს ტანჯული და შაგრენის ტყავივით დამცრობილი მიწა უნდა გახდეს ირონების ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ადგილი. განა უმჯობესი არ არის ამგვარი აღორძინება უფრო შესაფერის ქვეყანაში მოხდეს?

ფრედერიკ დიუბუას ამ მსჯელობიდან ნათელია, რომ ოსების წარმოშობის საკითხი მისთვის ისეთივე ბუნდოვანი და უცნობი დარჩა, როგორც მის დრომდე იყო სხვებისთვის. ოსების წარმოშობა ენიგმაა, ამოუცნობიაო, წერდა დიუბუა. მანამდე მეცნიერი კლაპროთი წერდა, რომ წერილი მისწერა სახელოვან ენათმეცნიერს ჰუმბოლდტს, სადაც ივარაუდა ირონების ნათესაობა ფინელებთან და ჩამოთვალა 69 სიტყვა ლათინური ანბანით, რომლებიც მას მსგავსად მიაჩნდა. ასე რომ, ირონები ხან ფინელების ნათესავებად მიაჩნიათ, ხან სპარსელებისა, ხანაც ალანებისა.

საყურადღებოა, რომ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ფეხით, ცხენით, ეტლით მოიარა მთელი კავკასია. დაათვალიერა ყირიმი და სამხედრო გემით ჯარისკაცებს ჩამოჰყვა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე.

სამხრეთ ყირიმში ნახა აიას კონცხი (!), ყირიმში დაასახელა ძველი ქალაქი ქუთაია (მკითხველს ნუ გააკვირვებს ქალაქ ქუთაიას ყირიმში ხსენება. ყირიმში ქართული დასახელების ქალაქები შორეულ წარსულშიც იყო. ძველი ისტორიის მკვლევარებმა ეს კარგად უწყიან... თუმცა, ბევრი რამ ხელახლაა წარმოსაჩენი). ყურადღება მიაქცია გეორგების საკითხს ყირიმში, ჩაუარა სოფელ დობე-ს, შემდგომში დობე-სუ, შემდეგ დუბსე, ტუაპსე. იქვე, დაბა კუთლიძეში კუთლიძესთან, დაბის პატრონ ქართველ თავადთან ორი თვე იცხოვრა და მადლიერებით მოიხსენია მასპინძლობისათვის. ჩავიდა ბიჭვინთაში, ცხუმში... ოთხი თვის შემდეგ შეიარა კუთლიძეში — დაბა რუსეთის ჯარისგან გადამწვარი დახვდა. დაბის მმართველი კუთლიძე აღარსად იყო. დიუბუამ ვერ შეძლო მისი კვალის მიგნება...

ცხენით გადავიდა რაჭიდან, სოფელ გლოლადან კავკასიის მთათა შორისში (მას "ქართლი" ეწოდებოდა, შემდეგ რუსმა იმპერატორმა იმერეთის გუბერნიის ნაწილი უწოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-1921 წწ. "საქართველო" ერქვა, ხოლო მრავალეროვანი წითელი არმიის შემოსვლის შემდგომ ლენინმა წაართვა საქართველოს ეს ნაწილი და მას ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი უწოდეს).

რასაკვირველია, საქართველოს მიწა იყო შემდეგში უკანონოდ აღმოცენებულ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემავალი ცხინვალის, ჯავის რაიონები და მიმდებარე ტერიტორია.

ფრედერიკ დიუბუამ მიუვალი, ძნელად მისადგომი სოფლებიც კი მოიარა. კავკასიაში მცხოვრები ადამიანების შესახებ მისი ცოდნა მათთან უშუალო საუბრის, მათ ოჯახებში ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა.

ფრედერიკ დიუბუამ აღნიშნა, რომ ოსების შესახებ გამოქვეყნებული ვარაუდი ალანებთან მათი შესაძლო ნათესაობის თაობაზე დამაჯერებელი ვერ არის: ევროპელი და რუსი სპეციალისტები წერდნენ, რომ სახელწოდება "ოსი" ყველაზე უფრო წარმოთქმით, ჟღერადობით უახლოვდება სიტყვას "ასს" (Ass). ასსები ცხოვრობდნენ სადღაც ევროპაში. ტაციტუსის ცნობა "ოსი"-ს შესახებ სამეცნიერო მიმოქცევაში ჯეროვნად არ ჩაურთავთ დღემდე. XIII ს-ში ვინმე იოსაფატ ბარბარომ თავისი მოგზაურობის აღწერაში დაწერა: "ალანები ანუ ასსებიო". ე. ი. ასები ალანებად ჩათვალა. იქვე ახსენა ობეზები ქართველებიაო (ობეზები ანუ გეორგებიო).

სამაგიეროდ იმავე პერიოდის სხვა ევროპელმა მოგზაურებმა ასსები არ მიიჩნიეს ალანების ნათესავებად და ცალ-ცალკე დაასახელეს — ასები და ალანები...

"რუსია" და "პრუსია" სხვადასხვაა, თუმცა განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია. ასევე სახელწოდებები "ოსი" და "ასი" განსხვავებულია და ისინი ერთსადაიმავე ეროვნებას არ აღნიშნავენ. ასევე სახელები "ქართი" და "ქურთი" წინათაც და დღესაც სხვადასხვა ეროვნებებს აღნიშნავენ. სიტყვებში "ქართი" და "ქურთი" განსხვავება ერთმა ასომ გამოიწვია "ა" — "უ". სიტყვებშიც "ასი" და "ოსი" განსხვავება ერთი ასოა: — ასი — ოსი (ვადარებთ ლათინურ დასახელებებს).

"ასი" და "ოსი" რომ სხვადასხვაა, ერთსადაიმავე ეროვნებას რომ არ გამოხატავს, ჩანს ამ საკითხით დაინტერესებული სახელოვანი მეცნიერების ცნობიდან, რომ არც ოსები (ოსეტინები), ასევე არც ირონები თავიანთ თავს ერთსადაიმავე ეროვნებას არ აკუთვნებდნენ. XIX ს-ში თავადვე მიაჩნდათ, რომ ოსი სხვაა, ირონი — სხვა. რაც მთავარია, თვითონ ოსებიც და ირონებიც "ასსებს" სხვა ეროვნების ადამიანებს უწოდებდნენ, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ ორ-სამ პატარა სოფელში. იქ დღესაც არის მდინარე ასსი, სწორედ მის ხეობაში ცხოვრობდნენ ასსები. ირონებმა დაუთმეს (?!) ასსებს ირონების ძველი სახელწოდება "ასსი"-ო, წერენ ოსი ისტორიკოსები დღეს.

ასსები მეტყველებდნენ არა ოსურ, არამედ სხვა ენაზე. ეს აღნიშნეს, როგორც ფრედერიკ დიუბუამ, ასევე პროფესორმა ვსევოლოდ მინორსკიმ. ვ. მინორსკი წერდა, რომ ბათუ-ყაენის შემოსევის დროს ჩარდილო-კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მცხოვრები ხალხები, მათ შორის ირონები ამოჟლიტეს. მათი მცირე გადარჩენილი ნაწილი მაშინდელ საქართველოში შემოიხიზნა და დასახლდა კავკასიონის ქედის მიუვალ მთებში, დღევანდელ ბალყარეთში, დანარჩენი ნაწილი სხვა ქვეყნებს შეეფარა. ირონები ბალყარელებმა ამოხოცეს და განდევნეს და თვითონ დასახლდნენ იმ ადგილებში; ირონებმა ისევ გადაინაცვლეს სხვაგან. ევროპელების ეს აზრი ოსების სახელმძღვანელოებშიც შეიტანეს და ხალხისთვის ცნობილია.

XIX ს-ში პიოტრ კარლოვიჩ უსლარი, რუსეთის ერთ-ერთი მოხელე, წერდა, მცირე ეროვნებები, რომლებიც დღეს კავკასიაში ცხოვრობენ, წინათ სხვა ადგილებში ცხოვრობდნენ, ისინი სხვაგან ამოწყვეტილი ხალხების ნარჩენებიაო.

"კავკასიის ამჟამინდელი მთიელები ადრე სხვა ადგილებში ამოხოცილი მოსახლეობის მცირე, გადარჩენილი შთამომავლები არიან". — უსლარის წერილი პროფესორ ვ. ი. შერცლთან. (ა. მაჰომედოვი — პ. უსლარი. - 1979 წ. გვ. 24. რუსულ ენაზე). დასავლეთ კავკასიაში დღეს მცხოვრები მოსახლეობა სამხრეთიდან მოვიდაო, წერს უსლარი (იქვე, გვ. 24).

"დასავლეთ კავკასიელები სამხრეთიდან მოვიდნენ, იგი აკავშირებს ფასის (фасин) ფაშ-ს (საიდანაც ბერძნებმა მიიღეს სიტყვა "ფაზისი") ადიღურ "პსი"-სთან. აფხაზეთში არის მდინარე ბზიბ-ი. უსლარის მიხედვით, "ბზი" უბიზურიდან

მომდინარეობს, ჩრდილოეთიდანაა წამოსული დაღესტნის მოსახლეობაც".

პ. უსლარისა და ვ. მინორსკის უთავბოლო, დაუსაბუთებელმა, მცდარმა ნააზრევმა ძირი გამოუთხარა საქართველოს ტერიტორიისა და ქართველების შესახებ სწორი შეხედულებების გავრცელებას. სწორედ ამიტომ განაგრძო საბჭოურმა მეცნიერებამ უსლარის მრუდე გზით სიარული, რომელძაც ჩიხში მოაქცია კვლევა და ადამიანებს უბედურება, სიკვლდილი, ნგრევა მოუტანა.

ეს წინათაც ძალდატანებით ხდებოდა, რასაც აღნიშნავდა აკადემიკოსი ნიკო მარი თავისი შეხედულებების შეცვლის მიზეზის მითითებით: აფხაზებს წინათ ქართველებად ვთვლიდი, დღეს ასე აღარ ვფიქრობო (რჩეული ნაწერები. ტ. V. გვ. 310, რუსულ ენაზე)...

ამგვარი ძალდატანებით ნიკო მარმა დაწერა: ოსები ალანებია, ალანები ალბანებიაო; მაგრამ ალბანები ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ვრცელ რაიონში ცხოვრობდნენ, დღევანდელ დაღესტანში და აზერბაიჯანში, ხოლო თანამედროვე ოსები მათს სამართალმემკვიდრეებად ვერ ჩაითვლებიან.

ნათელა ფოფხაძე.



დაიცევ უფალო, ერი ჩუენი და სამკვიდრებელი ჩუენი.
ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედან მოგვანიჭენ და
განგვინათლე ღამე ბნელი.

ცხინვალი...

უფალო,
ძალი ერსა
ჩუენსა
მოეც...



მ ო ხ ე დ ე ნ



1922 წლის აპრილში რუსი კომუნისტების მითითებით, ქართველმა კომუნისტებმა ოსებს ძირძველი ქართული მიწის ნაწილი აჩუქეს (3,8 ათასი კვ.მ.) და ეგრეთწოდებული "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" შექმნეს. ისტორიაში არ არსებობს "სამხრეთ ოსეთი", არც როგორც გეოგრაფიული, არც როგორც პოლიტიკური რეალობა. ოსების სამშობლო მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში. საქართველოსა და ოსეთს შორის ბუნებრივი საზღვარი კავკასიონის ქედზე გადის. "სამხრეთ ოსეთი" ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ნაყოფია, რაც გამოიხატება ფორმულირებაში: "დაჰყავი და იბატონე". ეს იყო მზაკვრული ჩანაფიქრი, რომელსაც თავისი ნაყოფი უსათუოდ უნდა გამოეღო. მსგავსი ნაღმები საქართველოს მიწაზე სხვაგანაც ბევრგან ჩათესეს. არა მხოლოდ ოსეთში, არა მხოლოდ აფხაზეთში...

ქართველი ხალხის ზრუნვის უპირველესი საგანი ყოველთვის იყო თავისუფალი, ქრისტიანული და თავისი თავის ბატონ-პატრონი საქართველო. ამავე დროს, ისინი არასდროს ივიწყებდნენ მის ტერიტორიაზე მცხოვრები პატარა, მცირერიცხოვანი ხალხებისა და ეროვნული უმცირესობების ინტერესებს, აღიარებდნენ მათთვის ეროვნული თანასწორობის უფლებას. მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დამადასტურებელ პირველსავე საკანონმდებლო აქტში ჩაიწერა: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა..." რომ იგი "განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს".

ტერმინი "სამხრეთ ოსეთი", როგორც სამხრეთელ ოსთა გარკვეულ ტერიტორიაზე ბინადრობის აღმნიშვნელი გეორგაფიული ცნება, ჩნდება რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ამ ტერმინის შემოღებით სათავე დაედო ოსთა ტერიტორიულ პრეტენზიებს, მათ აშკარად გამოკვეთილ ნაციონალიზმს.

1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რის საფუძველზეც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს უდავო შემადგენელ ნაწილებად გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, ოსებმა ჩრდილოეთიდან გადმოყვანილი რაზმების დახმარებით, როქსა და ახლომახლო სოფლებში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

და აი, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, ამ ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის შემდეგ, 17 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი, საბჭოთა მთავრობის, პირადად ლენინის დავალებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უგზავნის საპროტესტო ნოტას: "... ჩვენ შეშფოთებით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელშეკრულების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა გაუმართლებელი ჩარევა უცხო ქვეყნის საქმეებში (საქ. ცსსა, ფ.13, ს.69, ფ.42).

ამის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 20 მაისს ჩიჩერინს ატყობინებდა:

"საქართველოს მთავრობა უაღრესად შეშფოთებულია თქვენი ნოტით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს მთავრობის განზრახვაზე, იარაღის ძალით ჩაახშოს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთი არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობს ოსური სოფლები... ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას. ეს ტერიტორია ხელშეკრულებით შედის საქართველოს საზღვრებში და იქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა, დაუშვებელია (იქვე.. ფ.13, ს.69, ფ.43,63)...

მაგრამ სულ მალე საქართველო თავად გახდა საბჭოთა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი. მოხდა მისი ოკუპაცია და ძალით გასაბჭოება. ოსებს კი არ დაუკარგეს "დიდი ღვაწლი" და ქათულ მიწაზე ხელოვნურად მოუზომეს არაბუნებრივი ერთეული, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ქართველ მეცნიერებს უფლება არ ჰქონდათ ხმა ამოეღოთ და სიმართლე ეთქვათ. ასე გაიზარდნენ თაობები...

მაგრამ უკვე მოვიდა სიმართლის თქმის ჟამი.

ოსეთთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებდა, რომელიც ხშირად კეთილმეზობლური იყო. ბოლო საუკუნეებში კი ცხინვალის მხარეში (იგივე სამხრეთ ოსეთში) ისინი ხიზნებად შემოვიდნენ და მათ ჩამოსახლებას ხალხთან ერთად, თვით ქართველი მეფეები უჭერდნენ მხარს.

დღეს კი, ორ, ურთიერთკეთილმოსურნე, ერთმორწმუნე ხალხს შორის ჩამოდგა მტრობა, დაიღვარა სისხლი.

საქართველოს საუფლისწულო მიწიდან აჰყარეს და ლტოლვილებად აქციეს ძირძველი ქართული მოსახლეობა. უთიერთობა დაიძაბა არა მხოლოდ ცხინვალის მხარეში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში – თბილისში, კახეთში, ქართლის მთიანეთში, სადაც მრავლად ცხოვრობენ ოსები... ბევრი მათგანი აიყარა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. ეს ურთულესი პროცესია... დაიტანჯნენ ადამიანები აქითაც, იქითაც...

გვართმევენ მიწას, სადაც ჩაისახა ქართული ენა, სადაც დაირწა ქართველი ხალხის აკვანი... სადაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოებრიობა.

გვართმევენ მიწას, სადაც განისვენებენ კახეთის 1659 წლის აჯანყების მოთავეები, მტრის ხელისაგან მოწამებრივად აღსრულებული, წმიდანებად შერაცხილი გმირები – შალვა, ელიზბარ ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი.

გვართმევენ მიწას, სადაც აღმართულია უნიკალური, ქართული ქრისტიანული ეკლესიები და მონასტრები... არაფერი არაქართული იქ არ არსებობს.

ერთი სცენარით გვებრძვის მტერი აფხაზეთშიც... ცხინვალის მხარეშიც...

ხალხს კი მშვიდობა ენატრება.

ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჯერ არ დამთავრებულა. წინ კიდევ დიდი განსაცდელია, მაგრამ დიდ არს უფალი ღმერთი ჩვენი და გვწამს, მისი შეწევნით, მისი ძალით, იზეიმებს სიმართლე. ბრძოლა სისხლხორცეული მიწის დაბრუნებისა და ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ტომის ადამიანთა (იქნებიან ესენი ქართველები, ოსები თუ სხვები) მშვიდობისათვის წმიდათაწმიდა ბრძოლაა და იგი ნაკურთხია ღვთისაგან.



განუსუენე მაცხოვარო ჩუენო, მართალთა თანა მონათა შენთა... საქართველოსთვის აღსრულებულთა... დაუმკვიდრე მათ სასუფეველი ცათა შინა.





მხოლოო ცხოველსმყოფელო. უფ-
სკრულო სახიერებისაო, სულნი
მიცვალებულთანი სასუფეველსა შენ-
სა დააწესენ და განსუენებად მიჰმა-
ღლე მათ მხსნელო.

ჟამი ავად დარიალდა,
ალგეთს გადმოალაჯა.
არვინ დარჩა დარიალთან
საქართველოს დარაჯად?..

ხმალზე ჟანგის ნაძახია,
მკლავიც გადამეფისა.
ერეკლეს ძვლებს გასძახიან
ძვლები დავით მეფისა.

გიორგი ოდიშვილი



აღვავლენთ ლოცვებს ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გამთლიანებისა და აღორძინებისათვის. აღვავლენთ ლოცვებს ტვირთმძიმეთა და ჭირთა შინა მყოფთათვის, სნეულთა, ღატაკთა და ტყვეთათვის, აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან ლტოლვილთათვის.

ჩვენ განსაკუთრებულად აღვავლენთ ლოცვებს მათთვის, რომელთა გულები სავსეა ბოროტებით, შურითა და ღვარძლით. შევთხოვთ უფალს, ყველა განწმინდოს და გაათავისუფლოს ამ საშინელი ცოდვებისაგან; მაცხოვარმა მოგვმადლოს მიმტევებლობის ნიჭი და შინაგანი მშვიდობა.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ღმერთო შეწევნასა

თუ დაგივიწყო...

"თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ, დამივიწყოსცა უზენაესმა!" – ასე გოდებდა სამშობლოდან გაძევებული ებრაელი ხალხი. ეს ხალხი რწმენამ იხსნა. ვინ არ ლამობდა "ციური იერუსალიმის", "დიდი მშვიდობის მიწის" დამორჩილებას – ბაბილონელი, თურქი, არაბი, პტოლემეოსი, რომაელები, რომელთაც ტიტუსის ჟამს ის მიწასთან გაასწორეს, მაგრამ იმძლავრა რწმენამ, ტიტუსი შავ მიწაშია, იერუსალიმი კი კვლავაც "ციურ ქალაქად", მშვიდობის სავანედ რჩება. ეს მაგალითი ყველასათვის მისაბაძია.

X X X

თამარის ჟამის მშვენიერი, პატარა ქალაქია ცხინვალი... აქ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში უკვე გვქონია სამოსახლოები; მერვე საუკუნეში უკვე იდგა კავთის წმიდა გიორგის ეკლესია, ხოლო მოგვიანებით აშენდა ღვთისმშობლის, კვირაცხოვლობის, ზღუდრისა და მიძინების ტაძრები; აქ ყოველ საუკუნეში და აგერ, ჩვენი თაობის ჟამსაც უმრავლესობა მუდამ მორწმუნე ქართველები იყვნენ... ამჟამად კი ლამის ქართველის ხსენება აღკვეთეს.

ჩვენი ხელისუფლება დაჟინებით ლამობს კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგებას, იქაც კი, სადაც საამისო იმედი თითქმის წყალწაღებულია; ისე ჩანს, თითქოს უამრავი პრობლემებით დამძიმებული ქვეყანა ცხინვალის მხარეს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. იქ ბედის უკულმართობით გაბატონებული ექსტრემისტების მცირე ჯგუფი გულმოდგინედ კეცავს მშვიდობის ხალიჩებს, ამცირებს ძირძველი ქართული ეთნოსის კეთილ როლს, ჩქმალავს ეროვნული კულტურის სიძველეს. აქამდეც უნდა აღკვეთილიყო მათი ძალადობა და აღდგენილიყო ქართველთა და ოსთა ძველი მეგობრობა. მეცნიერებმა უფრო მტკიცედ უნდა გააშიშვლონ სიმართლე და საქონლისა და ადამიანთა გამტაცებლებს არ დაანებონ მაჩაბლის მამული; განმარტონ, ვინ, როდის და რა მიზნით მოსულა აქ; ვინ ეხმარებოდა მონღოლებს და ვინ იცავდა ქართულ ეკლესიას ამ აზიური ბარბაროსებისაგან.

არაერთხელ გულისტკივილით გვითქვამს: ზედმეტმა შემწყნარებლობამ და ლმობიერებამ ერი უფსკრულთან მიიყვანა: სადაც საჭიროა ბრძოლა, უნდა ვიბრძოლოთ, როგორც იბრძოდნენ გიორგი ბრწყინვალე, სიმონ დიდი, ერეკლე მეფე. უნდა მოვიქცეთ ისე, რომ არ განმეორდეს ილიას "ბედნიერი ერის" მოტივი. საჭიროა ერთ მუშტად შეკვრა, მეტი ენერგია და არდავიწყება იმისა, რომ ცხინვალიც ისეთივე ძირძველი საქართველოა, როგორც სოხუმი, ზუგდიდი, მესტია.

სამხრეთ ოსეთი ახალი, კომუნისტური ეპოქის ტერმინია და ეწოდება იმ მიწას, სადაც მუდამ იყო ცხინვალის მხარე, ნიქოზი, სამაჩაბლო, საერთოდ შიდა ქართლი, ეკლესიები, რომელთა ისტორია ქართული ეკლესიების ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ყოველი დიდი და მცირე ერი თითქოს ახლად იღვიძებს, გონს მოდ..ს, თავის ძირებს იძიებს. საამისოდ ისტორიას იშველიებს, აყალიბებს და ზოგი კალმოსანი აყალბებს კიდეც. თვით გერმანელებმა და რუსებმა საქვეყნოდ განაცხადეს: შევიკრათ, თავს მივხედოთ და თუ ვინმე ისტორიას გვიმახინჯებს, მაშინვე გავილაშქროთო.

ჩვენ, შენებითა და სტუმართმოყვარეობით გართულთ, საამისოდ, სამწუხაროდ ჩვენდა, ბევრი არ გვიზრუნია თავის დროზე და დღეს საქმეს ესეც გვირთულებს, მაგრამ ძეგლად აღმართული ტაძრები ღაღადებენ ჭეშმარიტებას. ესაა განძი განუსხვისებელი. ვერავითარი ნაჯახი და ხანძარი ვერ დათრგუნავს ამ ჭეშმარიტებას. ესაა დიდი წარსულით სხივმოსილი რწმენა.

"წარსული" ცარიელი სიტყვა როდია. ზოგი ტომის ზოგი კალმოსანი ახლა იწყებს წარსული ისტორიის შეთხზვას, მაგრამ ისტორიას მხოლოდ ფაქტების ენა სწამს. თუ ხალხს არ გააჩნია საკუთარი ანბანი, არ აუგია არც ერთი ტაძარი, არც ერთი კაპიტალური ხიდი, გალავანი, არ შეუქმნია მწერლობა და არ უთარგმნია ბიბლია, სადავო რა არის? თუ ვინმე საქვეყნოდ და ქედმაღლურად გვიცხადებს, საქართველოში ქართველებზე სამი ათასი წლით ადრე მოვედითო, ამას დამტკიცება სჭირდება. ნუთუ ამ სამი ათასი წლის განმავლობაში ვერ მოასწრეს დამწერლობის შექმნა, თუნდაც ბაალის ტაძრის აგება?

ყოველი კულტურა ის სალი კლდეა, რომელზედაც განათლებული ერი თავის მომავლის ტაძარს აგებს.

აქ სადავო არაფერია. ფინიკიამ საოცარი ანბანი შექმნა (ვინმე ტურჩანინოვის "აზრით", მან ეს ანბანი თურმე აფსუებისგან გადაიღო). ებრაელებმა ბიბლია შექმნეს და იერუსალიმის ტაძარი აგეს... ქართველი ერის ვარსკვლავიც ამ დიდ ცივილიზებულ ხალხთა ცარგვალზე ციმციმებს, მასთანვეა ამირანი, გილგამეშისა და პრომეთეს ორეული. ერთი გერმანელი ჟურნალისტი წერს: ქართველი ხალხი იმ საძირკვლის მშენებელთაგანია, რომელზედაც თანამედროვე ევროპის კულტურა აღორძინდაო.

საქართველოში დაახლოებით 25000 ტაძარი, ნატაძრალი და ხიდია. ამათგან ორასზე მეტი ცხინვალის მხარეშია. ყოველივე ეს მეტყველებს ქართული კულტურისა და რწმენის სიძველეზე. საკითხავია, რა დაგვიტოვა იმ ხალხმა, რომელიც საქართველოში, თურმე, სამი ათასი წლით ადრე მოვიდა?

ამ ტაძართა ასაკია არა 10, ან ორასი წელი, არამედ 800,

ჩუენსა მოხედენ

1000, 1200 და კიდევ მეტი... ამაზე მეტყველებენ ძეგლები, და ვის აქვს უფლება იდავოს მიწაში ჩაკირული ძეგლების ენაზე? ქვა ბევრად მეტყველია ზერელე კალმოსანთა "არგუმენტებზე".

მრავალი მათგანი დაზიანდა, დაიწვა ან შემორჩა გორ-ცხინვალ-აჩაბეთ-ქურთა-კეხვ-ედის-ერმანის გზებზე. ეს ჩვენი სიწმიდეებია, ჩვენი წარსულია, ჩვენი მიწაა, და თუნდაც ერთი ნატაძრალის, ერთი ქვის მითვისება გაბედოს ვინმემ, მთელი ერი ფეხზე უნდა დადგეს; არამარტო ცხინვალის მხარის მკვიდრნი!

ჟამთა სიავემ იმსხვერპლა გორის ციხე, მაგრამ მისი სიმტკიცე საანდაზო დარჩა: ეგაა და გორის ციხეო! იქვე, გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესია აღმართულია გორაკის თავზე. აქ იწყება შიდა ქართლის მატიანის ფურცელი.

გორის ზემოთ ლიახვს ერთვის ნაჭარმაგევის წყალი. აქ იყო მეფეთა სანადირო და მოსასვენებელი ადგილი, კარალეთი. აქვე ორი ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ ისტორიულ ადგილებთანაა დაკავშირებული ცნობილი ლექსი, რაც გადმოცემით თამარის ჟამს, ან მის უადრეს, აღმაშენებლის დროსაა ქვაზე მინაწერი. ავტორად აღიარებულია ცნობილი საეკლესიო მოღვაწე არსენ იყალთოელი:

"როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად
დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ
გამესხნეს..."

ნაჭარმაგევშია დავით აღმაშენებლის დროის ორი ეკლესია, შემდეგ — ძევერის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც ჰქონია ზარი და სამრეკლო — ვახტანგ გორგასლის დროისა.

ცხინვალიდან სამ კილომეტრზეა მაჩაბლის კარის ეკლესია, მთავარანგელოზისა თუ იოანე ნათლისმცემლისა. იქვეა სასაფლაო, საიდანაც წინაპარნი ასე ხშირად იგერიებდნენ სათარეშოდ შემოსულ გადამთიელებს.

ცხინვალის აღმოსავლეთ ნაწილში, დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზეა ზღუდერის (ე.ი. ცხინვალის ზღუდესიმაგრის) წმ. გიორგის ეკლესია, ნუსხური წარწერით: "წმიდაო გიორგი ზღუდერისაო, მწე და მფარველო ტაძრისა..." იქვეა სასაფლაო სოსიაშვილთა, ფუტურიძისა და სხვ.

ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოთხი კილომეტრის დაშორებითაა საბაწმიდა, X საუკუნის ძეგლი თითქმის დაუზიანებლად შემონახული, დედათა სავანითა და ციხე-კოშკებით, მღვიმეებით, წარწერებითა და მოჩუქურთმებული სვეტისთავებით. აქ ოდესღაც მეღვინეთუხუცესი მარი ბროსეს გამასპინძლებია. შესანიშნავი ნაგებობაა საბაწმიდის მრგვალი კოშკი, ზემო ხეითის მაცხოვრის ეკლესია და ოთხკუთხა კოშკი XVII საუკუნისა, ხეითის დედათა სავანე, მიწაში ჩაკირული ძეგლი ძველ ქართველ მშენებელ ოსტატთა რწმენისა და ნიჭისა. რომელ მკრეხელს შეუძლია ამ ფაქტებთან შეკამათება? (ეკლესიის ერთ-ერთი სარგებლობა ისიცაა, რომ ერის ისტორიის საბუთად ასეთი ძეგლები აუგიათ). აქედან შორს არაა ჭალის მთავარანგელოზის (გოჩაშვილებისეული) ეკლესია, ჯვრიანი სამარის ქვა, ტბეთის მახლობლად ნაგები წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც ღვთისმშობლის ტაძარსაც უწოდებენ. ის ჟამთა სიავეს დაუზიანებია და XIII საუკუნეში გადაუკეთებიათ.

ხეითის მთას ამშვენებს ბარძიმ მაჩაბლის ეკლესია და კოშკი, ორივე ძველი და მონუმენტური (გაიხსენე, მკითხველო, მკრეხელ "სწავლულთა" მსჯავრი, სამაჩაბლო მოგონილი ტოპონიმიაო). ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით, ფაქტებს ვასახელებთ.

განვაგრძოთ დასახელება: ქემერტის დიდი მრგვალი კოშკი და ეკლესიები, ზალდის ღვთისმშობლის ეკლესია, ოთარაშენის ტაძრის ნანგრევები, თედოწმიდის დაზიანებული ეკლესია, რომელსაც უვლიდნენ ბასილაშვილები, კოშორიძეები, ხაჩირიშვილები... დიდი ლიახვის ერთ-ერთი მშვენებაა ახალდაბის მთის კალთაზე აღმართული ღვთისმშობლის მოზრდილი უგუმბათო ეკლესია (მტარვალის ხელს გუმბათი ჩაუნგრევია).

საფლავის ქვებიც მეტყველებენ იმ ძნელბედობაზე, რაც დღემდე გრძელდება: "სახლი დამრჩა ცრემლით სავსე, მდუღარებით დავიმარხე"; "რა შესძლებია უბედურ შავ დღეს, ყრუ სოფელს ვტოვებ გაუხარელად. ვინ უგდებს ყურსა საბრალო ცოლ-შვილს, ვის ვთხოვ შენდობას..." ეს გიგა კოშრიაშვილის ეპიტაფიაა, მაგრამ ის მკითხველს მოაგონებს იმ ახალ ვანდალურ დანაშაულებათა ჯაჭვს, რაც ამ კუთხის ქართველობას დასტეხია ბარბაროსული ანგარიშსწორებით.

ვარიანთან თვალს იტაცებს საქაშეთის გუმბათოვანი ეკლესია, გორიჯვრის მრგვალი კოშკი და წმ. გიორგის ეკლესია; მერე — ფხვენისის აზნაურთა დარბაზული ეკლესია; იქვე — შინდისის მირზაშვილისეული ციხე-კოშკი და ეკლესია, განსაკუთრებით ზემო ნიქოზის სამონასტრო სოფელი — გვარამაძეების, ლომსაძეების, მელანაშვილების, მინდიაშვილების, მეტრეველების, მჭედლიძეების, ძამუკაშვილების დიდი საძმო და მისი ნაგებობანი. ზემო ნიქოზში ეკლესიების მთელი კომპლექსი აუშენებიათ, დიდი სამრეკლოც ჰქონიათ. ეს მოდის ვახტანგ გორგასლის დროიდან, როცა ჩრდილოელი მტაცებლების ბრბო განდევნეს ვახტანგის არწივებმა. ასე ღრმად და ვრცლად იყო გამჯდარი ერის სულში ქრისტიანობის ნათელი სული. 900 წელს ნიქოზის ეპისკოპოსი ყოფილა ეკლესიების მშენებელი სტეფანე. დაუნდობელ ბარბაროსებს — მონღოლებს ქართველებზე მონადირე ბაყათარისა და ბაღდასარის ხელით ბევრი ეკლესია დაუნგრევიათ, მაგრამ მათი წასვლის შემდეგ ხალხი ისევ მოსულა, მომრავლებულა და კარგი მრევლიც ჰყოლიათ გორგასლის დროის ეკლესიებს. გმირმა მეფემ "აღაშენა დიდი ეკლესია ღვთაებისა და დადვა შინა გვამი წმიდისა რაჟდენისა". რაჟდენის ნეშტის დაკრძალვა ნიქოზის ეკლესიაში ამ ტაძრისთვის დიდი პატივი იყო.

ცხინვალს ქართლის დაბლობის გასაღებს უწოდებდნენ. იგი ქართლის მეფეთა საკუთრება იყო, მათი ძვალშესალაგი. შემდეგ მაჩაბელთა და ხერხეულიძეთა საკუთრება გაჩხდარა. ვახტანგ მეექვსეს აქ აუგია აგურისა და სიპი ქვის ეკლესია

ღვთისმშობლის სახელობისა, მეფეთა სახელებით შემკული. აქვე უცხოვრია ერთხანს დიდ მწიგნობარ მეფეს, აქვეა ქვანჩახაძეების ღვთისმშობლის ტაძარი, არაერთი სხვა ეკლესია, სამლოცველო, სიმაგრეები, გალავანი, რომელიც ბარბაროსებს ნაწილობრივ დაუქცევიათ. "ცხინვალის განძი" მსოფლიო მნიშვნელობისაა. "ქარცხინვალი" აღწერილი აქვს ვახუშტის მრავალ სხვა ისტორიულ ადგილთან ერთად, და არავინ დაობს, რომ ეს ქართველთა ძირძველი მხარეა. ვახუშტი გვაუწყებს: "აქ მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი გარემო წალკოტოვანი, ვენახოვანი". აქაა ხსენებული ზღუდრის შესანიშნავი ეკლესია, ორნამენტიანი და წარწერიანი ზარი. შემდეგ ვახუშტი ასახელებს ერედვის წმ. გიორგის ეკლესიას, საბაწმიდას, თამარაშენს, აჩაბეთს, თირის ეკლესიას (მონასტერს).

ცხინვალიდან ორ კილომეტრზეა კუსირეთის ღვთისმშობლის ეკლესია. ჟამთა სიავისაგან დაცლილი და დაზიანებული კედლები დღესაც ისე შეუპოვრად დგანან, როგორც ღრმად მოხუცებს ახსოვთ, თუმცა, მის მხრებზე ათას ორასჯერ დაუთოვია და მტარვალთა ურწმუნო, წარმართულ ურდოებსაც ჩაუვლიათ. კუსირეთის ღვთისმშობლის ტაძარი IX საუკუნის, ან უფრო ადრინდელი ნაგებობაა და რწმენის ბურჯად დგას დღესაც. აქაური მოხუცები, ბეთეევი და სხვები თავს უღელტეხილიდან ჩამოსულად თვლიან. ქართველებს არ უჩივიან: მეგობრულად მოდიოდნენ, ლოცულობდნენ და არას გვაყვედრიდნენო.

ცხინვალის ზემოთ ქართლის სანახებს ამშვენებს "ცხინვალისებრ ნაგები" თამარაშენი, რომელიც პირად მზე თამარს აუშენებია და მისი დაცვა შთამომავალთათვის შეუვედრებია. 1190 წელს აგებული წმიდა სამლოცველოები და თვით ქალაქი აღმოსავლეთის ურჯუკს, ჯალალედინს დაუნგრევია. ჩვენს დროში ეს საქმე რეკეტებით და ხანრებით განაგრძეს მნგრეველთა შთამომავლებმა; ახლახან ორი ეკლესია ხანძარს მისცეს წარმართმა ექსტრემისტებმა და მათმა მფარველებმა.

უწინ თამარაშენში ხუთი სხვა ეკლესიაც ყოფილა: მთავარანგელოზის, გრიგოლწმიდის, ნიკოლოზის, მაცხოვრის, მიძინების. ზოგი სამლოცველო აქაც დაზიანებულა.

აქ ცხოვრობდა და ცხოვრობს ძირძველი ქართული ტომი. მიხეილ ჯავახიშვილმა თამარაშენში გაიღრმავა ქართულის ცოდნაო — წერდა დავით კასრაძე. იგივე უნდა ითქვას ივანე მაჩაბელზეც.

აჩაბეთი ბაგრატიონთა მოურავების — მაჩაბლების რეზიდენცია იყო 1469 წლიდან. მაჩაბლებს მრავალი ყმა ჰყავდათ, მათ შორის ოსებიც. აჩაბეთის ძეგლებიდან ღირსშესანიშნავია ესტატეს ბაზილიკა და ციხე. აქაური ნაოხარი ციხე 1770 წელს ცნობილმა გერმანელმა მოგზაურმა გულდენშტედტმა აღწერა.

აჩაბეთის ზემოთ, ცხინვალიდან 8 კილომეტრზე ორი სოფელია: ქვემო და ზემო მონასტერი, რაც საგულისხმოა იმითაც, რომ თვით სამოსახლოებს დაენათლათ სარწმუნოებასთან დაკავშირებული სახელები. ეს ტოპონიმებიც ისტორიულია. ქვემო სოფელშია თირის (ე.ი. რბილი ქვით ნაგები) ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია და მრავალი ნანგრევი — ბაზილიკა VIII საუკუნისა, სამრეკლო, სტრატეზო გალავანი, გამოქვაბულები, უგუმბათო ნაგებობანი. XIII საუკუნეში ზოგი მათგანი გადაუკეთებიათ. კარები, ჩარჩოები, საკურთხევლის ჭერი დამშვენებულია შესანიშნავი ჩუქურთმებით. ორნამენტებითაა შემკული დიდი მრავალწახნაგა სამრეკლო. ყურადღებას იპყრობს გამოსახულება კაცისა და გველის ორთაბრძოლისა, რაც სიმბოლურია, როგორც რწმენისა და ურწმუნოების ჭიდილი. ეს ამ მხარისათვის საერთოდ, დამახასიათებელი მოტივია.

მრავალი ჯვრითა და წარწერით შემკულ თირის მონასტერში ვახტანგ მეფეს უცხოვრია, რაც მის განსაკუთრებულობასა და სიძველეზეც მეტყველებს. ბნელ ძალებთან ბრძოლაც ხშირად უნახავს მრავალსაუკუნოვან ტაძარს.

ცხინვალის გზაზეა ქურთა, ცენტრი მრავალი ქართული სოფლისა (გუჯაბაური, თამარაშენი, აჩაბეთი, კეხვი)... აქ უცხოვრიათ ელბაქიძეებს, ბაბილაშვილებს, ხაჭაპურიძეებს, კაჟაშვილებს. 1760 წლიდან აქ იყო ზაზა მაჩაბლის რეზიდენცია. შემორჩენილია მაჩაბელთა კოშკის ნანგრევები...

შესანიშნავია ხსენებული კეხვის წმ. გიორგის ეკლესია და ციხის ანსამბლი. აქ ცნობილმა გმირმა სარდალმა გივი ამილახვარმა სამჯერ დაამარცხა თათრები, შემდეგ ციხე ქვემეხებით დააქციეს.

კეხვში ესვენა დედა ღვთისას შესანიშნავი, ჯვარით შემკული ჩუქურთმიანი ქვა.

უნიკალური ძეგლებითაა შემკული ლიახვის ზედა ნაწილიც, ცხინვალის მხარის ყოველი ხეობა, ყოველი სოფელი: გუფთა, ჯრია, ნინია, ჯავა, მსხლები, ვანელი. ცნობილია ჯავის გუმბათოვანი ეკლესია, ედისი, ერმანი, ვერცხლის ჯვარი.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით "ცხინვალეთი", სამაჩაბლო, ლიახვის ხეობა, სადაც ყოველი ქვაც კი ქართული სულით სუნთქავს.

აკაკი გელოვანი
მწერალი

X X X

"დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
ქვეყანასა ზედა მშვიდობა
და კაცთა შორის სათნოება"

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ყავრის ხმლებითა და უწვეტო მშვილდისრებით უბან-უბან რომ "ვლაშქრობდით" ბიჭ-ბუჭები ერთმანეთში, ძირითადად ქართველი ბალღები ველეწებოდით ერთმანეთს მწვანეში ჩაფლულ ქალაქ ცხინვალში. შიგადაშიგ ოსიც გვერია, სომეხიც, აქა-იქ რუსი-ნასამხედროვალიც. ცხინვალის ნეტარ ჰავასა და ნოყიერ საცხოვრისს "შეგუებული" რუსის ოჯახის ბიჭიც. ვიბრძოდით გამეტებით, დაკაწრულ-დალილავებულები; საღამო ხანს კვლავ ვერთიანდებოდით, ჩვენი, ერთნავიანი ეკლესიის გრილ კედლებთან თავმოყრილნი, ვის ბალი ჭოჭონდა, ვის კიდევ თუთა, ვის კიდევ ნედლი,

სურნელოვანი, შემწვარი ტარო, მუხრანული, შუშა კიტრი – მარილის თვლიანი კვნიტით. "ნადავლს" ერთად შევექცეოდით. ჩავეყრებოდით გოლიათი კაკლების ჩრდილქვეშ მოღუღუნე რუში – ლიახვის ტოტში, ჩავწვებოდით სამთვლიანი წისქვილებიდან ჩამონაფქვი ქართული ზღაპრების მოსასმენად, ჭიჭყინების დასაჭერად, ნაომ-ნაბეგვი სხეულების დასაამებლად...

ასე ვიზრდებოდით, ვიდრე ჩვენი სასაზრდოებელი ბაღ-ვენახების მრწყველი რუ, ქალაქიდან მდინარეში არ გადაუძახეს, ვიდრე წითელ მეჩექმეთა ამბიციებით თვალახვეულმა ავტონომისტმა "ახალქალაქელებმა" ეს მყუდრო, აივნებმოჩითული მიწათმოქმედთა, ხელოსანთა და წვრილ მეწარმეთა ძველი, ნათესაური, ქართული საცხოვრისი თავის ბაღ-ვენახ-კაკლებიანად, ხერხის დანის ქვეშ არ მოიქციეს, ძირფესვიანად სანამ არ ამოძირკვეს ძველისძველი თურაშაულები, აბირაულები, სინაფები, თაფლივით გულაბები და კალოს მსხლები, ვიდრე აჩეხილ-ასხეპილი სიცოცხლე ტივისხვებად არ დააცურეს, ვიდრე საბოლოოდ არ გაფანტეს ეს მიწისმოყვარე ხალხი, რკინის ქვეყნისა და რკინის კაცის ბოგანოებად ვიდრე არ აქციეს...

ვინც ქალაქში დავრჩით და ცოტა-ცოტას კიდევ ვეხინვალელობდით, ვინც რომ ლუკმიდან-ლუკმას ვუყოფდით ერთმანეთს, იმათაც თავის გატანა გვიჭირდა, სამსახურის შოვნა, სიმართლის პოვნა გვიჭირდა.

პირველი აყრა-აჩეხვის ტალღას, შემდგომ და შემდგომ, უმუშევრობისა და სხვა, ჩუმი მუჯლუგუნების მუქარით, მეორე, მესამე, მეოთხე და შემდეგი ტალღები მოსდევდა და მოჰყვებოდა, თვით ამ ბოლო, მრისხანე და სისხლიანი მეცხრე ტალღის ჩათვლით... როცა ქალაქში თითქმის აღარ დარჩა ქართველის სახლი დაუწველი, აღარ დარჩა ქართველი, კარებწინ, მეზობლის მოსაკითხად გამოსული.

ამ ყველაფერს, დედაქალაქის დიდი ყურწაყრუება და ათასი სხვა წვრილმანი უსაბუთო საბუთი ჰქონდა სარჩულ-დებული.

ჩვენს თვალწინ ერთმანეთისაგან ოთხას-ხუთასი ნაბიჯის დაცილებით მდგარი სამი ქართული ეკლესია დაანგრიეს ცხინვალის "მესვეურებმა" სამხედრო ძალების გამოყენებითა და ფეთქებით. მათ შორის, ზედ ჩვენ კარებთან მდგარი, ჩვენი გვარის საკუთრება, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ერთნავიანი ბაზილიკაც, ცხვრის ჩუქურთმიანი შუბლითა და იქვე ამოსული კარგა-ძალა თუთის ხით დამშვენებული, ჩიტების შესაკრებლად და საჟივჟივოდ რომ იყო დამტკბარი.

ჩვენ ძირში, ეკლესიის კედლების გრილოში დავეყრებოდით, ჩიტები ზევით თუთით ჩატკბარუნებული ჭიკჭიკით გვაბრუებდნენ.

ვინ რა მოიგო და ვინ – რა წააგო ამ უმმო, უღმერთო შემოჯავაზებითა და თოფის ლულებში გატყვიებული სიძულვილით?

ენას ძვალი არა აქვს და საბუთი კი დღეს აღარა სჭრის, ნებისმიერ თავხედობასა და ცრუმოწმეობას დიდი გასავალი აქვს, მაგრამ იმ ეკლესიისა და ღვთის წინაშე, ჩვენთან ერთად მოთამაშე ოსმა ბიჭმა დაკარგა ყველაზე მთავარი – ქართველი მეგობარი ბიჭი, რომელიც მას ძალდაუტანებლად პურსა და კიტრს უყოფდა, თუთასა და ბალს, ვაშლსა და ატამს სთავაზობდა, საკუთარი ბაღიდან მონატანსა და მომცვრეულს, და იმ დიდებული, ქართული ენის საკვნე ჭალებში თამაშთამაშ, ქართველი – ოსს, ქრისტიანულ ჩურჩულსაც აზიარებდა; რაკი ხმამაღლა ნაკრძალი იყო წირვა და ლოცვა, ნათელმირონობას სთავაზობდა, ენათლიავებოდა, ენათესავებოდა, ბაღისა და ვენახის საიდუმლოს ასწავლიდა, შოთა რუსთაველის დიდ მეგობრობას ანდობდა და, ღვთისა და დიდი მესხი მემკვიდრის საკაცობრიო ბილიკებზე გაჰყავდა.

პარტიულ სკოლებში ნაწვართმა ყულუმბეკათებმა და ჩოჩითებმა, მათზე უწინ კი მათმა მამებმა, გზა-კვალ აბნეულ თავიანთ "მრევლს" განუწყვეტელი სიძულვილის შხამიანი ლუკმა ჩაუდეს; დიდი, ქრისტიანული ძმობა-მეგობრობის სანაცვლოდ ცრუ-ალანური საწყისების ქართლში ძიების ბალღამი ასვეს სულ ცოტა, უკანასკნელი ორი ათწლეულის ყმაწვილკაცობას და იმპერიული ხიშტებით წინ შემოაგებეს საქართველოს თავისუფლების პირველ, სუსტ ნაბიჯებს.

განა, საქართველოს თავისუფლება, მასში მცხოვრები ყველა ხალხის თავისუფლებას გამორიცხავდა თავის არსში?! უკანასკნელი საუკუნე საქართველოს ტერიტორიული დანაკარგების ინტენსიური საუკუნე გამოდგა დასაწყისშივე; დასასრულში კი, ამ უძველესი ქრისტიანული ქვეყნის, მთლიანად გაქრობის, ლამის არის, რეალური ნაბიჯები გადადგას!

და მერე, ვის აწყობს ეს? ჩვენში მცხოვრებ ხალხებს, რომელთაც ყურის ძირში თავიანთი საკუთარი ქვეყნები, თავიანთი მიწა და წყალი, თავიანთი ღვიძლი ნათესავები და მეგობრები ჰყავთ, თავიანთი ავტონომიური თუ დამოუკიდებელი რესპუბლიკებით; რომელ ხალხებსაც არც ჩვენგან ერეკება ვინმე და არც თავის ღვიძლ მიწა-წყალზე დასაბრუნებელი გზები და ხიდები აქვს ჩატეხილ-ჩაკეტილი, აწყობთ განა სისხლიანი და ღმრთივ საშიში ლუკმის პირში ჩადება და იმ ნათელ-მირონის, იმ დულაბიანი შუა-ბოძის დანგრევა – საქართველო რომ ჰქვია?! მისი დაქცევის მერე ხომ მონაგონი იქნება რაც მოხდა, რაც ამ შუა, დამჭერი ქვითკირის სვეტის დაცემას მოჰყვება.

ჩვენი გვარის საგუშაგო კოშკის ნგრევა რომ დაიწყეს, რომლის კარებწინ დიდედა და პაპაჩემი ასაფლავია, უკვე მწერალი ვიყავი. სულ შემთხვევით შემომხვდნენ ფბილისელი ისტორიკოსები, ძეგლთა დაცვის საკითხებზე ვართო ჩამოსულები. ღმერთიც უშველით, ისინი ჩავრიე და კოშკის სამი კედელი გადავარჩინეთ. ჩამოშლილი, წინა კედლის ლოდები პაპა დავითისა, და დიდედა ლიზას საფლავებზეა დახვავებული. "სამასს სამი უკლდაო", მიამბობდა პაპიდა, ის სამი ოსიც მონათლა და ისე აღესრულა თურმე, პაპაჩემი დავითი.

ლიახვის ჭალაში, საკუთარ მამულში, მიპარვით ჩაუცია ხანჯალი ვიღაც წარმართთაგანს. დროებით გამოჯანმრთელებულა კიდევაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ნახანჯლარი გახდომია მიზეზად, შუახნის ლომკაცს, რომელიც თურმე ორმოცდაათფუთიან ღვინით სავსე ხარის რუმბს მარტოკა აგორებდა ურემზე მხრით.

ერთხელ, ჩვენს ნაეკლესიარზე, რაღაც საკომუნიკაციო თხრილი გაეჭრათ, მიწას ყრიდნენ ბაღათარები, ჩემი წინაპრების ძვლებთან ერთად, თან აღტაცებას ვერ მალავდნენ იმ დიდრონი ძვლების შემყურე, "ქას, ამა, ქას, შაიას ე შტერ ლაგ უდიო!", ნახეთ, რა დიდი კაცები ყოფილანო, მჭექარე ხმით რიხრიხებდა ერთ-ერთი მიწის მუშა და ამხანაგს მამაკაცის ბარძაყის ვეება ძვალს უჩვენებდა.

შინიდან კალათით არაყი და პურ-მარილი მივუტანე მიწის მთხრელებს და ვთხოვე: ძვლები ნიჩბით აღარ ეყარათ მიწაყრილზე, ხელით, სათითაოდ ჩამიწყეთ მეთქი კალათებში.

ჩემს დანახვაზე და ჩემს სიტყვებზე ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, გასაგები გახდა, თუ ვინ იყო პატრონი იმ მიწისა, რომელსაც ასე გამუდმებით იჩემებდნენ და იჩემებენ.

ერთგან მაქვს აღწერილი: რუსი ოფიცერი, შემთხვევით გამვლელი ცხინვალში, სადღაც, რაღაც ვითარებაში შემხვდება, გაიხსენებს ჩემს ფაცი-ფუცს, მამა-პაპის ძვლები რომ გადამქონდა ჩემი ახალი სახლიდან ეზოში, გაიხსენებს და სახტად დარჩენილი ამოილუღლუღებს: "ჩვენ ჩვენი ცოცხლები მიგვივიწყებია და შენ კი ხუთას-ექვსასი წლის ნამარხ ძვლებს შინ, ახალ საძვალეში ეზიდებიო".

ახლა, ის ახალი სახლიც გაძარცვული და დამწვარია. რა საარყე სპილენძის ქვაბები, რა ზარფუშები, რა თუფშალანგები, რა თანგირები და რა ქაფქირები გაასეირეს, ჯერ პაპაჩემის დანათლულმა და მერე კი ჩემმა გადანათლულმა, ჩვენს ვენახში ჩასახლებულმა ოსმა ნათლიმამ-ნათლიდედებმა; ახალ ქონებაზე აღარას ვამბობ...

ხეივნის რკინებიც დაუპარიათ და ძველი ვაზი ძირსდამხობილი, მატიტელა ბალახივით გართხმია დაუბარავ მიწას...

ქართველებს ჩვენი ლანდისა გვეშინოდა ჩვენსავე მამულში. დედაქალაქელი ჩვენი დიდი "პატრონების" გადამკიდე: "არაფერი აწყენინოთ და არა დაუშავოთ რა!"– გვაფრთხილებდნენ უიმისოდაც საკუთარი ლანდით დამფრთხალებს.

ოცდაჩვიდმეტ წელში, ჩემი სიმამრიანთ ოჯახი, პირველი აფთიაქი და პირველი აბანო რომ ჰქონდათ ქალაქ ცხინვალში, ცამეტი დედმამიშვილი რომ იყვნენ, ისე იფრინეს სხვადასხვა სასჯელებში, კაცი ამბის მთხრობელი აღარ დატოვეს. – სამსართულიანი, ძველი, მამა-პაპური სახლის პატრონთაგან, მერე, როგორც უპატრონო შენობა, ახალმომთაბარე ოს მოქალაქეებს დაუნაწილეს. ბარე ათზე მეტი ოჯახია იმ სახლში ახლა...

"ახლას" ვამბობ, თორემ, სადღა რა არის, ახლა, ვიცი კი?! ხუთი წელიწადია ცხინვალში ფეხი არ შემიდგამს.

სიმამრის პაპა, პატარა ლიახვის სათავეს ერთ გადაკარგულ სოფელში იყო მღვდლად. "შენს ქრისტეს რაკი კაცის გაცოცხლება შეეძლო, შენ ჩემი ავადმყოფი თხა თუ არ მოგიბრუნებია, აგერ, ამ ეკლესიის უკან რომ •ქარაფებია, იქ გადაგჩეზავთო". შინ, ოჯახის მოსანახულებლად ჩამობრუნებულმა მოძღვარმა ამ მუქარის შემდგომაც არ მიატოვა ტაძარი, კვლავ ააკითხა მრევლს, რომელმაც დანაპირები შეუსრულა.

1804 წლის გაზაფხულის მიწურულს აჯანყდა საქართველოს მთიულეთი. აჯანყებ სწრაფად გაფართოვდა. მთიულებს მიეხმარნენ გუდამაყრის, ქართლის, ხანდოს ხეობათა მცხოვრებნი, ფშავ-ხევსურები და თრუსოს ხეობის ოსები... ახალი, სასტიკი რეჟიმის შედეგად გაწამებულმა გლეხობამ, განურჩევლად ეროვნებისა და კუთხურობისა, მხარი დაუჭირა საქართველოს სამეფო ხელისუფლების აღდგენას... (ეს მასალები გამოყენებული მაქვს 1991 წლის გაზაფხულზე ჩემი რედაქტორობით გამოსულ ალმანახ "ზეკარში").

ორი საუკუნე არ გასულა და ერთ დროს ჩვენს გვერდით რუსის ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული, ჩვენსავით გაჭირვებული ოსი დღეს უკვე ჩვენს წინააღმდეგ მართავს იარაღს. აი, რა ქნა "ავტონომიურმა" საჩუქარმა, როგორი ამბიციები ჩაუნერგა იგივე ადამიანებს: დიდმპყრობელისაკენ ჩვენთან ერთად მიმართული იარაღი, ჩვენკენ შემოაბრუნებინა. – კარგი რაღაცა ჩანსო ეს ავტონომია, უფრო მეტად რომ მოვინდომო, ეგებ მიწიანადაც გამატანონო სახლში, – გაიფიქრა. ვინ დასთვალოს ამ, ერთ დროს უსაქმურ, სიზარმაცისაგან უმუშევარი ოსი ლიდერების ხელით შეგროვილი, ამღვრეულ დროში შეძენილი ქონება და ის ზარალიც, რაც მათ ქართულ მიწას, ქართველს და რაც მთავარია, ოსისა და ქართველის მეტნაკლებად განმტკიცებულ თანაცხოვრებას, ნათელმირონობას, ნუ შეგვეშინდება ამის აღიარება: ბევრი, უბრალო, გაგებული ოსისა და ქართველის უანგარო, ალალმართალ ურთიერთობას, რა გამოუსწორებელი, რა მომაკვდინებელი ლახვარიც ჩასცა ამ უკანასკნელთაგან დამოუკიდებლად, მათი ნების გარეშე!..

საქართველოს თავისუფლება, აფხაზისა და ოსის თავისუფლებას გამორიცხავს განა?!

შენ რა წვლილი მიგიძღვის, ჩემი ქვეყნის თავისუფლების მოპოვებაში, ამაზეც ხომ უნდა დაფიქრდე?!

დაღლილი, მაგრამ სულით ამაღლებული, თითქმის შეუძლებლის შეძლებით გამხნევებული, ღვთიური მადლით ძალმოსილი დავბრუნდი, წმიდა ნინოს ნაკვალევის მომცველი, ორმოცდაერთდღიანი, საღმრთო, ქვეითი მოგზაურობიდან. დავბრუნდი გაოგნებული, ჯავახეთის დიდი უმრავლესობის ნაღვლიანი, ცრემლშემშრალი ქართულით დაფიქრებული და გულდაწყვეტილი. სატკივრის ქაღალდზე გადმოტანას ვაპირებდი, როცა "ჯვარი ვაზისას" რედაქტორმა ცხინვალის შესახებ მთხოვა სიტყვის თქმა, რამდენიმე გვერდის დაწერა.

ცხინვალზე დაწერილი ბევრი მაქვს, მაგრადაც და ლამაზადაც დაწერილი, მაგრამ უარი მაინც ვეღარ ვუთხარი.

მესხეთ-ჯავახეთზე არანაკლებ ცხოველი სატკივრიანი სიტყვაა სათქმელი!...

მამა.ელიოზი (მერაბ ელიოზიშვილი)

ცხინვალში პირველად 1958 წელს ჩავედი. ვეტერინარულ ტექნიკუმში ვსწავლობდი. მშვიდობა იყო მაშინ იქ. ცხადია, მაშინაც იყო ერთგვარი დაძაბულობა, მაგრამ ურთიერთ რიდი არსებობდა. შუა ღამით რომ გაგევლო გზაზე, ხმას არავინ გაგცემდა. იქვე გავთხოვდი. ბავშვები სკოლაში სწავლობდნენ... მერე, თანდათან ყველაფერი აირია. მთელი მმართველობა რუსულად იყო, თითქოს ეს საქართველოს მიწა არ ყოფილიყო, თითქოს იქ ქართველები არ ვცხოვრობდით. და აი, დაისვა საკითხი ქართული ენის საჭიროებისა. ჩვენ არავის არ ვერჩოდით. ოსებთან ნათესაური კავშირებიც ხშირად გვქონდა... მაგრამ "ადამონ ნიხასმა" (მისი შექმნის შემდეგ დაინგრა ყველაფერი) უკვე დაუფარავად გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ... მთელი ოლქის საქართველოდან გამოყოფა მოინდომეს ოსი ხალხი თუმცა კი აიყოლიეს, მაგრამ ეს მათგან არ მოდიოდა, ისინი არაფერ შუაში არ იყვნენ. დაიწყო გაუთავებელი მიტინგები. დავესწარი ერთს. უარყოფდნენ ყველაფერ ქართულს... ძალიან ძნელი მოსასმენი იყო.

განსაკუთრებით იმოქმედა მათზე ეკლესიის გახსნამ. რამდენჯერმე მოვიდნენ, მოგვყიდეთ ეს ეკლესიაო. ამაზე როგორ დავთანხმდებოდით; სომხურ სტილში იყო გადაკეთებული, ამიტომ სომხებიც მოიწევდნენ, ჩვენიაო, იძახდნენ... ყველაფრის ხელახლა შეცვლა მოგვიხდა... გაქართულება. ყოველივე მეუფე ზოსიმეს ლოცვა-კურთხევით მოხდა.

ძალიან ბევრი ვირბინე იმ ეკლესიის გახსნისათვის; სად არ ვიყავი... ჩვენს საპატრიარქოშიც, მინისტრთა საბჭოშიც, მოსკოვის რწმუნებულის აპარატშიც, ცხინვალის აღმასკომშიც... რა ვიცი, სად არა... და აი, 1988 წლის ივნისში, როგორც იქნა, მივიღე ნებართვა (ეს მაშინ ძალიან ძნელი პროცესი იყო). ჯერ მღვდელი არც კი გვყავდა. ეკლესიაში მუზეუმის საწყობი იყო და ამაზედაც დიდი ჯაფა გავწიეთ, სანამ გავათავისუფლეთ. დავიწყეთ ფულის შეგრავება. ზოგს ათასი მანეთი მოჰქონდა, ზოგს ორი; ვისაც რამდენი შეეძლო. ამ მოგროვილი ფულით შევაკეთეთ ტაძარი. მთელი ხალხი მეხმარებოდა.

როგორც იქნა, ვაკურთხეთ. პირველი დიდი წირვა ცხადია, მეუფემ ჩაატარა. ჩაატარა მშვიდად, მბძინების დღესასწაულზე. ეს დაუვიწყარი დღე იყო. მეუფე, საერთოდ, ხშირად მოდიოდა.

ეკლესია გუმბათიანია. აქვს სამრეკლო. არ დამავიწყდება ის სიხარული, პირველი ზარი რომ შემოვკარით...

შემდეგ იყო 9 აპრილი... ჩვენს ტკივილს კიდევ ამძიმებდა ოსების განწყობა... მათ სახეებში მცირედი თანაგრძნობაც ვერ დავინახეთ. თანაგრძნობა კი არა, ეკლესიას ქვებსაც კი ესროდნენ. ამოთხარეს ბზები, ყვავილები... ეს "ქართველთა საბუდარიაო", იძახდნენ. ადრე კი, აღდგომას რომ შევხვდით, ჩვენთან ერთად ისინიც იყვნენ ტაძარში. მაშინ ჯერ კიდევ კარგად ვიყავით. ხალხი გადარიეს, შეაძულეს ჩვენი თავი. რომ გეკითხათ, რას ჩადიხართ, ან რატომ ჩადიხართო, ვერ გიპასუხებდნენ. ერთმანეთს აყვნენ და აღარაფერი ახსოვდათ. იყო დღეები, როცა შემოვიდოდნენ და გვეუბნებოდნენ, ოსებს ეკლესიაში არ უშვებთო. ხატი რომ გამოვასვენეთ, ოსის ბიჭებს ეჭირათ მეთქი. ტყუილს ამბობო. ზუსტად იმ წუთას ერთ-ერთი ბიჭი შემოვიდა და დაადასტურა, მე მეჭირა ხატი, მე და ალანასო. მერე გავიგე, უჩხუბიათ იმ ბიჭთან. ეკლესია ყველასია, ჩვენ არასოდეს არავისთვის არ მიგვიკეტავს კარი.

იყო ერთი მუხტარა. შემოვიდა ეკლესიაში ვიღაც ერთ ბიჭთან ერთად. შემოუარა ხატებს, სანთლებიც დაანთო, მომცა ოცი კაპიკი, ჩემთვის დაანთეო... მე ვილოცე.

— ღმერთო, კარგად ამყოფე მუხტარა თავისი ოჯახით, აჩვენე შენი ძალა.

ერთხელაც ერთი ოსი შემოვიდა, ნასვამი იყო, ვისია ეს მიწაო, ამიჩემა. მე არ ვიცოდი, რა მექნა. სამხრეთ-ოსეთია მეთქი, ვუთხარი. არა, ეს ოსეთის მიწაოო, ყვიროდა.

მეორე დღეს ჩემზე ადრე მოსულიყო; შეწუხებული ჩანდა, მთელი დღე გული დამძიმებული მქონდა. მაპატიეთ, გუშინ დავაშავეო. მერეც შემოვიდა, მაგრამ ცუდი არაფერი უკადრებია.

ერთხელ ერთმა საცეცხლური მოიპარა. ალბათ, ოქრო ეგონა. ათი დღის შემდეგ დააბრუნა. ამ ხნის მანძილზე ვერ მოვისვენე, არ მძინებია, მოხუც ბებიას მოვუყევი, რაც გავაკეთე, ვითომ სხვაზე... ჩემს ამხანაგს ღამე ესიზმრება ქალი, აღრჩობს, აწვალებს; რა უნდა ქნას მეთქი. ბებიამ მითხრა, ალბათ ეკლესიიდან რამე მოიპარა ბავშვობაში და ამიტომო. უნდა იყიდოს ერთი მეტრი მიტკალი და თუ ის ნაპარევი სახლში აქვს, დაბრუნოსო.

მოიტანა საცეცხლური და დადო მაგიდაზე. შემობრუნდა, რაღაც ძალა არ მიშვებს აქედან, საიდანაც ავიღე, იქ უნდა დავდო. გახსნა და სასანთლეზე ჩამოკიდა.

იყო 26 მაისი. გადავიხადეთ პარაკლისი. ყველანი იყვნენ, ქართველებიც, ოსებიც, სხვებიც... ბიჭებმა ეკლესიაში შემოიტანეს ქართული დროშა. ოსები აწრიალდნენ, მალე მილიაციაც გაჩნდა. წაგვართვეს დროშა და დახიეს, ფეხებით გათელეს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან იყვნენ ჩამოსულები, ზუსტად იმ დღეს, შემოუარეს ეკლესიას, ილოცეს და წავიდნენ ინსტიტუტში. უამრავი ხალხი შეგროვდა. იმთაც დაუხიეს დროშები და სცემეს კიდეც. მღვდელს — რომანოზს ლამის ჯვარიც კი ჩამოგლიჯეს და გასაღები წაართვეს. ვხედავდი, როგორ ლანძღვით უელიდა ეკლესიას ერთი ქალი... ცდილობდა გაეღო. მალე თავის შვილთან ერთად დაიღუპა საცოდავი. ქმარი ჰყავდა ქართველი. მოვიდა წესის ასაგებად. ჩვენ მაინც ავუგეთ წესი. მეორე დილით ეკლესიის გაღებას არ ვაპირებდი, მაგრამ მაინც მივედი. ვხედავ, აღუმართავთ სსრკ-ს დროშა. გამოვიტანე კიბე, ავგზავნე მნათე ზურა ეკალაძე და ჩამოიღეთ ის დროშა. ატეხეს ერთი ამბავი, როგორ თუ გაიღეთ, რა უფლება გაქვთო. წავედი მილიციის უფროსთან და ყველაფერი ვაუწყე. ბოლოს ხალხი დაშალეს და შევედით ეკლესიაში. ვცდილობდი მშვიდობიანი ურთიერთობა აღგვედგინა. ბავშვებს ვჩუქნიდით ხატებს, მაგრამ ყველაფერი არეული იყო და მტყუანი და მართალი აღარ ჩანდა. მაინც, აქა-იქ ოსები ისევ მოდიოდნენ, ლოცულობდნენ, ხშირად მადლობას გვიხდიდნენ, კარგად რომ ვხვდებოდით. ღმერთმა ყველას მისცეს რწმენა... შემოვიდნენ და ილოცონ თქვა, ვეუბნებოდით. ამ არეულობაში არამც თუ სალოცავად, მოსანათლადაც კი მოდიოდნენ.

ბოლო წირვა 1991 წლის 7 იანვარს გვქონდა, შობას. უცბად გაისმა ავტომატის ხმა. შემოვიდა მილიცია და მშვიდობით გამოგვიყვანა. იმის შემდეგ ტაძარში აღარ შევსულვართ, არ გვიშვებდნენ. მეტი გზა აღარ იყო და წამოვედით ცხინვალიდან. რამდენადაც ვიცი, წირვას იქ ატარებდა ერთი ოსის ბიჭი, ალექსანდრე, ვგონებ ფუხაევი, ხატი რომ შემოიტანა ისა.

შარშან 30 მაისს ჩავედი. მივედი ეკლესიამდე, შემოვუარე. თან ცრემლები ჩამომდიოდა ღაპაღუპით, პირჯვარი გადავიწერე და წამოვედი.

ამას წინათაც ყოფილან. ყველაფერი ისეა, როგორც დავტოვეთო, მაგრამ, ვგონებ, რუსულს ემორჩილებიან. ცხინვალში ქართველები აღარ არიან. გადამწვარია მეტი წილი ქართული სახლები, გადამწვარი და გაპარტახებულია ჩემი მამისაანთ უანი. ჩემი სახლი გადარჩენილა, მაგრამ ყველაფერი წაუღიათ. ჩემს დანახვაზე კიდევ უფრო დაარბიეს და ააწიოკეს.

21 წლის ბიჭი დამეღუპა, სამშვიდობო ძალებში იყო. ხუთი ბიჭი ერთად ნაღმზე აფეთქდა. დამრჩა მისი ცოლი და ორი პატარა ბავშვი. ღმერთი ყველას გადაუხდის. ისე, არ შეძიძლია არ ვთქვა, ცხინვალში რომ ავედი, ნაცნობმა ოსებმა ყველამ მომისამძიმრა. ანკი რა გვქონდა ჩვენ გასსაყოფი და სამძულვარო...

ღმერთმა დაუბრუნოს მათ გონი და სარწმუნოება... ღმერთმა უშველოს ჩვენს ტანჯულ ქვეყანას და ხალხს ყველას მოყვარეს და ყველასთვის კეთილმოსურნეს, მიმტევებელს...

ბიული ჩუხრუკიძე

ცხინვალის ეკლესიის თავმჯდომარე



საეკლესიო ცხოვრების

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა. წირვა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

ო, ღვთისმშობელო...

მტერთა დამცემელი და უცხოთა თესლთა მომსრეელი, ექმენ თანა შემწე ღვთივდაცულსა ერსა ჩუენსა და ქალაქსა მგალობელსა. და იხსენ ყოველთა განსაცდელთაგან ქრისტიანენი.

ფოტომატიანე

ქაშუეთი. გიორგობა.

ღმერთის წყალობითა

მიუგო იობმა და უთხრა: "რომ აწონილიყო ჩემი წუხილი და ტანჯვა, ერთბაშად დადებულიყო სასწორზე, ახლა ზღვის ქვიშაზე უფრო მძიმე იქნებოდა, ამიტომაც სიმწრით არის სავსე ჩემი სიტყვები".

(იობი, 6,1-3)

1992 წლის ივნისიდან დღემდე ცხინვალის რეგიონში ასობით ქართველი დაიღუპა. მათ შორის ათეულობით თვით სამშვიდობო ჯარის ქართული ნაწილის მეომარი, უამრავი დაჭრილი და შეურაცხყოფილი. ოსებს შორისაც არიან ლტოლვილები და დაღუპულები. ორივე მხარის მშვიდობიანმა მოსახლეობამ თავის თავზე იწვნია ომის ურვა და დაუნდობლობა. ომს ულმობელი კანონები აქვს და იგი ერთნაირად შეეხო დიდსა და პატარას, ოსსაც და ქართველსაც. ამ ჭრილობების მოშუშებას წლები დასჭირდება და იქ მშვიდობის საჩქაროდ დამყარების ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს...

სამშვიდობო ძალების ამოქმედების პირველსავე დღეებში შვიდი ქართველი ჯარისკაცი ერთად ამოხოცეს სოფელ მგეუთის მახლობლად. მომდევნო თვეებში ნაღმზე აფეთქდნენ გორის რაიონის სოფელ ნიქოზის მშვიდობიანი მოსახლენი, რომლებიც ოსების მიერ გადაკეტილი წყლის გასაშვებად მიემართებოდნენ. 1995 წლის მაისში იმავე სოფელში, სადაც თავიდანვე ჩააყენეს ქართველი ჯარის შენაერთის მცირე ნაწილი, ააფეთქეს ჯავშანტრანსპორტიორი. დაიღუპა სამი ჯარისკაცი, სამიც მძიმედ დაიჭრა... ეს ზღვაში წვეთია. უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ცხინვალი ქართული მოსახლეობისაგან სულ დაიცალა. განადგურებას გადარჩენილი ქართველთა კარმიდამოები კი ვლადიკავკასიდან შემოჭრილ ოსებს აქვთ დაკავებული...

ოსი სეპარატისტები ამ ფაქტებს უარყოფენ. მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ "თეორ" წიგნსა თუ სხვა პუბლიკაციებში ყოველივე, რაც სამაჩაბლოს აწმყოსა და წარსულ ისტორიულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული, თავდაყირაა დაყენებული. ქართველ ავტორთა კოლექტივების მიერ მომზადებული და არაქართველი მკითხველისათვის გათვალისწინებული თბილისში დასტამბული წიგნი (რუსულ ენაზე) კი მცირე ტირაჟიანია.

ცხინვალში გამოდის რამდენიმე დასახელების გაზეთი და ჟურნალი ოსურ და რუსულ ენებზე, აქვთ ადგილობრივი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია. ერთადერთი ლტოლვილი გაზეთი "შიდა ქართლი" კი გორში მცირე ტირაჟითა და შეფერხებით გამოდის.

სამაჩაბლოს პრობლემებზე ბევრი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კომისია მუშაობს, მაგრამ ლტოლვილებს არავინ არაფერს ეკითხება; ხოლო როცა ისინი ამავე საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებს ესწრებიან და თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ, მათ უგულისყუროდ ეპყრობიან. მშობლიურ კუთხეში ლტოლვილთა დაბრუნება დაპირებას არ სცილდება.

არც ოსებს ეკითხებიან რაიმეს. ქართველ და ოს მოსახლეობას არა აქვთ საერთო ენის გამონახვის საშუალება. ყველაფერს წყვეტენ ე.წ. "ძალოვანი სტრუქტურები", რომლის უკან, როგორც აშკარად ჩანს, დესტრუქციული ძალები დგანან.

მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: — ქართველი ლტოლვილები ერის ინტერესებს არასოდეს უღალატებენ. როცა საქმეს ჭირდება, გარკვეულ დათმობაზეც წავლენ. ახლა ბრალდებების წაყენებისა და შურისძებისაკენ მოწოდების მაგიერ ქრისტიანული მიმტევებლობა და გააზრებული, გონივრული ქმედებაა საშური. სასოწარკვეთილი ქართველი ჭირისუფალი არც ოსი, არც აფხაზი და არც სხვა ერის წარმომადგენელს არ უსურვებს იმას, რაც თვითონ დაატყდა თავს; ხშირად ამბობენ: ღმერთი გამოცდას გვიწყობსო. დიახ, ყოველივე, რაც სამაჩაბლოში დატრიალდა, გამოცდაა.

ტაძრისკენ მიმავალ გზაზე კი მეტის გაკეთება გვმართებს. ისევ ქრისტეს მცნებას, რწმენას, ეკლესიას უნდა მივმართოთ. რელიგია ხომ იმთავითვე აკავშირებდა სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს. ქრისტიანობა, შერეული ოჯახები, ერთად ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, იყო და არის სხვა ხილული თუ უხილავი ურთიერთდამაკავშირებელი მტკიცე, ზოგჯერ მეტად ფაქიზი ძაფი, რომელსაც ფრთხილად უნდა შეხება.

"ქართულ-ოსური ურთიერთობა"... დღეს ეს ფრაზა ჩვენში აღარ უნდა იწვევდეს მხოლოდ ეთნოკონფლიქტის ასოციაციას. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. არ შეიძლება ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობების მოშლა, რომელსაც თავის დროზე დიდი ამაგი დასდეს ილია ჭავჭავაძემ, ივანე მაჩაბელმა, იაკობ გოგებაშვილმა, კოსტა ხეთაგუროვმა და სხვა მრავალმა მწერალმა თუ საზოგადო მოღვაწემ. მათი ცხოვრება და შემოქმედება იმის დასტურია, რომ ბოროტებაზე სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, მაგალითად უცხოეთისა, პირველ რიგში რუსეთის პოლიტიკური ძალებისა...

შიდა ქართლში არსებული ქართული კულტურისა და ისტორიის ძეგლები, ეკლესია-მონასტრები ხშირად იყო ქართველი და ოსი ქრისტიანების საკრებულო. გავიხსენოთ თუნდაც თიღვის, ზემო ნიქოზის, იკორთის ტაძრები, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია სოფელ გერში, ზალდაში და სხვა მრავალი. 1985-88 წლებში ცხინვალის რეგიონში რამდენიმე ეკლესია შეკეთდა, აშენდა ახალიც. ამ პერიოდში სოფელ გუჯაბაურში (ცხინვალის მახლობლად — ძველ საფუძველზე ააშენეს ღვთისმშობლის ახალი ეკლესია. ქართველებთან ერთად მშენებლობაში მონაწილეობდა ამ სოფლის მკვიდრი რამდენიმე ოსიც. ფასადის მძიმე, მასიური თლილი ქვა გოლიათური ძალის ორმა, ქართველმა და ოსმა ახალგაზრდამ აზიდა კედელზე. მათვე დადგეს ეკლესიის გუმბათს ჯვარი. ეს მეტად სიმბოლური, მეტყველი ფაქტია.

დაე, ჩვენს ხალხებს მომავალშიც წინ უძღოდეს ეს ჯვარი, სწყალობდეს ღმერთი.

სიმონ ალექსიძე

X X X

მშობლებს ომში წასვლა არ დაუშლიათ, მაგრამ ვატყობდი, ასაკის გამო ვერ მიმეტებდნენ. წინააღმდეგობა რომ გაეწიათ, მაინც ვერ დამაკავებდნენ. ახლა ოცდახუთი წლისა ვარ და იმდენი რამ ვნახე და განვიცადე, ასე მგონია, რამდენიმე საუკუნის ცხოვრება მოვასწარი...

ახლა ამბობენ, ომის წაგებაში მებრძოლებსაც დიდი წვლილი უძევთ, გარბოდნენ, მოვალეობას თავს არიდებდნენო. იყო ასეთი ცალკეული შემთხვევები, მაგრამ რიგით მებრძოლთა უმრავლესობა თავის ადგილზე იდგა. ისინი პირველ დარტყმებს თვითონ იღებდნენ, სამხედროთა მაღალ ეშელონებში კი გაუგებარი რამ ხდებოდა: რამდენჯერ ბრძოლით, ადამიანთა მსხვერპლის ფასად მოპოვებული სიმაღლიდან ვიღაცის წინდაუხედავი ბრძანებით უკან დაგვიხევია...

არავის განკითხვას არ ვაპირებ, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, ეს არ იყო ის ომი, რაზეც მანამდე გაგვიგია; რუსები ხელ-ფეხს გვიკოჭავდნენ თითქოს და ოსები და აფსუები დაქირავებული "ბოევიკებით" გვისწორდებოდნენ.

ჩემთვის გაუგებარი დარჩა, თუ ასეთ დათმობაზე და უკუსვლებზე წავიდოდით, რა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი.

... დიდი ცოდვა მაწევს. თქვენ მეუბნებით, სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი წმიდათაწმიდაო, ეს მეც ვიცი. ამ განწყობილებით ვიბრძოდი ყველგან. არსად უკან არ დამიხევია, ზოგჯერ მაკვირვებდა კიდეც ჩემი ბრძოლისუნარიანობა. ესღა მამშვიდებს, გაუტანელი და დაუნდობელი არ ვყოფილვარ, მაგრამ როცა შენზე იარაღს აღმართავენ, უნდა დასწრო, გადასარჩენად სხვა გამოსავალი არ გრჩება...

ამაზე მაშინ არ მიფიქრია. ეს მერე, შინ დაბრუნებულმა დავიწყე ჩემს მიერ განვლილი გზის ყოველი დეტალის ჩხრეკა და სინდისის ქენჯნას ვერსად გავექეცი: ადგილს ვერ ვპოულობდი, ტოლმეგობრებს გავურბოდი. ისინი თითქოს ვერ მცნობდნენ; მიეხვდი, რომ სულიერ წონასწორობას ეკლესიის წიაღში აღვიდგენდი და აქეთკენ გამოვეშურე. ჩემი მეგობრები გაოცებულნი დარჩნენ.

მათ აკვირვებდათ, როგორ შეიძლება, მებრძოლმა იარაღი დაყაროს და ბერად დაეყუდოს, მაგრამ იარაღი ერთხელ ხომ ყველამ უნდა დაყაროს.

ჩამოვედი ნიქოზში. მივმართე მამა კონსტანტინეს. იგი მესაუბრა, დამამშვიდა და სწორ გზაზე დამაყენა. მალე ნიქოზის ეპარქიაში მეუფე ესაია დანიშნეს. ამ ღვთისნიერი კაცის გაცნობამ და მასთან საუბარმა ჩემს სურვილს საბოლოოდ შეასხა ხორცი, რაღაც მაინც მაბრკოლებდა. გვიან მივხვდი, სამღვდელო სამოსელი უხერხულ გრძნობას იწვევდა ჩემში. მეუფის დახმარებით, ეს გრძნობა გადავლახე. გადავწყვიტე, სოფლის განაპირას მდებარე ჩვენი მეორე კარ-მიდამო მისთვის დამეთმო. როგორ გავოცდი, როცა შინ მისულს, დედაჩემმა შემაგება, რა იქნება, ჩვენი სახლი, სადაც ისედაც არ ვცხოვრობთ და სანახევროდ ცარიელია, მეუფეს გადავცეთო...

დედაჩემი თითქოს ჩემს ნაფიქრალს ჩასწვდა. მაშინ მენიშნა, ჩემი არჩევანი რომ სწორი იყო.

მეშინია ამპარტავნობაში არ ჩამომართვათ, ამას რომ გიყვებით...

აქაური ბიჭები ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ფიქრობდნენ, გაგიჟდაო, მაგრამ ახლა ხვდებიან, რომ სრულიად ნორმალური ვარ და ვგრძნობ, ყურადღებით მადევნებენ თვალს. მე მათთვის ერთგვარად მაგალითიც ვარ და ეს ბევრ რამეს მავალებს. მათაც უნდებათ ეკლესიის მიმართ ინტერესი, კითხვებს კითხვებზე მაყრიან, ცდილობენ გაერკვნენ, რა როგორაა, მიმხელენ ნაზრევს. ბევრი რამ არ სჯერათ, სიმართლე რომ გითხრათ, არც გაემტყუნებით, ჩემმა თაობამ, იმდენი რამ განიცადა, იმდენი რამ ნახა, გასაკვირი სულაც არ იქნება, გულგრილობამ და უინტერესობამ გიდგას მათ სულში ფესვი. მაგრამ რაც მთავარია, არ გაბოროტებულან. მათ კეთილ გზაზე დაყენება შეიძლება. ბავშვები ჩვენ შემოგვეცქერიან. აი, ჩემზე ერთ თორმეტი წლისაა. მის ასაკში მე ღმერთზე და მის არსებობაზე ნაფიქრიც არ მქონდა. ამან იმდენი რამ იცის და ისე არის მონდომებული ცოდნა შეიძინოს და რწმენაში განმტკიცდეს, რომ მიხარია ჩემი ძმა რომაა. თავის ტოლებში თავი ღირსეულად უჭირავს. ახლა ჩვენები ბორჯომში ისვენებენ. ეს ვერაფრით ვერ წაიყვანეს, ეკლესიას ვერ შეელია. ერთი წუთით არ მცილდება. ზოგჯერ, ლოცვისას ყურადღება რომ მომიდუნდება, ფიქრი სადღაც გამექცევა, ან რაღაც ვერაა ისე, როგორც საჭიროა, არ არსებობს, მან არ შენიშნოს და არ მითხრას. მისი თანდასწრებით არაფრით არ შემიძლია რამე შეცდომა დავუშვა, მოვდუნდე, გარემომცველი გარემოს მიმართ გულგრილად განვეწყო, მუდამ ფხიზლად მადევნებს თვალს. მაშინვე გრძნობს ყალბს, უარყოფითს, ლაკუნის ქაღალდივით ირეკლავს ყოველივეს და მეუბნება, რა როგორ უნდა იყოს. ხშირად სწორია. მისი სახით კიდევ ერთი კეთილმორწმუნე იზრდება. ისიც მაგალითია მისი ტოლებისათვის.

მორჩილი სიმონი



უფალო,

ძალი

ერსა

ჩუენსა

მოეც...

X X X

ქართველები და ოსები საუკუნეების მანძილზე მეგობრულად ცხოვრობდნენ. ნათესაურად და მოკავშირული დამოკიდებულებით იყვნენ მჭიდროდ შეკრული ორივე ხალხის მმართველი დინასტიები. ცნობილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი თავის პოემაში მოგვითხრობს, თამარ მეფის დროშის ქვეშ როგორ შეკრბა დიდძალი ლაშქარი საქართველოს ყველა კუთხიდან და ჩამოთვლის მათ: კახელები, თუშები, ფშავლები, ხევსურები, ოსები... ორბელიანისთვის ოსები ვინმე უცხო ხალხი კი არა, საქართველოს ერთი კუთხის შვილები არიან. ეს ისტორიული სიმართლეა. ოსებს ერთხელ და ორჯერ არ უომიათ თავიანთი ძმების — ქართველების მხარდამხარ საქართველოს მტრებისაგან დასაცავად.

ასე იყო წარსულში. ახლა რა მოხდა? ამის ახსნა მხოლოდ გონების რაღაც დროებითი დაბნელებით შემიძლია.

სამხრეთელი ოსების თავიანთ ჩრდილოელ თანამოძმეებისაკენ ლტოლვა ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით იგი მცდარია. კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ყოლველგვარ ცდას ამ საზღვრის წაშლისა, მოჰყვება პერმანენტული კონფლიქტური ვითარება ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ორი ხალხის ურთიერთობა, უწინარესად, უნდა მოვსპოთ ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე. საქართველოს არც ერთი მთავრობა ამ აზრს არასოდეს არ დაეთანხმება და მართალიც იქნება; იმიტომ, რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა. შევადაროთ: საფრანგეთის სამხრეთდასავლეთში არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი, იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანთი სკოლები, ცოცხალი კავშირები აქვთ თავიანთ თანამოძმეებთან პირენეის ნახევარკუნძულზე, მაგრამ მათ რომ მოესურვებიათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება, საფრანგეთი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. იგივე ვითარებაა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე, საქართველოსა და რუსეთს შორის. ვისაც სამხრეთოსეთელთა და ქართველთა შორის მშვიდობა უნდა, მან სამუდამოდ უნდა უარყოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა სურს, ასევე უნდა თქვას უარი ამ იდეაზე. ასეთია რეალობა.

ბევრი, ვინც სამხრეთ ოსეთის მოვლენების უშუალო მოწმე იყო, ეჭვობს შერიგებას. ორივე მხარიდან ძალზე ბევრი მტრობა და ბოროტება დაგროვდაო, ამბობენ. ვფიქრობ, რომ ისინი არ არიან მართალნი. მე ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, რომ ყოველ ადამიანში, ყოველ ხალხში თანაარსებობს ენერგია სიკეთისა და ბოროტებისა და თუ რომელსამე პერიოდში ბოროტი ძალა იმარჯვებს, არამც და არამც არ უნდა წარვიკვეთოთ სასო. უსათუოდ გაიკვალავს გზას სიკეთის თესლი და მაშინ გუშინდელი მტრები ერთმანეთს ხელს გაუწვდიან და იტყვიან: "ჩვენ ხომ, უწინარესად, ადამიანები ვართ, მერე კი ქართველები და ოსები".

მარტო ქართველებისათვის კი არა, სამხრეთოსეთელებისთვისაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებულ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს". მის მეხუთე მუხლში ნათქვამია: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანაბარ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა". მეექვსე მუხლში ვკითხულობთ: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნებას თავისუფალი განვითარების საშუალებას აძლევს". ეს ორი მუხლი იძლევა მტკიცე საფუძველს, საქართველოში ეროვნული საკითხის, მათ შორის სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაწყვეტისა.

ოსეთის მხარემ უნდა აღიაროს, რომ სამხრეთ ოსეთი იყო და დარჩება საქართველოს ორგანულ ნაწილად.

ვასილ აბაევი

წინ როქის გვირაბია

ამასწინათ, ჯავაში ვიყავი, ეკონომისტების ჯგუფს ვახლდი. მიგვიწვიეს ერთ ოჯახში... აღარავის აღარ ახსოვდა გუშინდელი სისხლის ღვრა. დანატრებული ძმებივით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს... მასპინძელმა ისიც კი თქვა, ამ ომში მე ძმა მომიკლეს, მაგრამ ოღონდ მშვიდობა ჩამოდგეს ჩვენს შორის და მეტი აღარაფერი მინდა... ქვეყანა დაიღალა, ხალხი დაიტანჯაო...

გვიან ღამით დავიშალენით, სამაჩაბლოში გველოდნენ და წავედით... ერთ-ერთმა ჩვენგანმა, ამაღამ აქ მინდა დავრჩეო, აიჩემა და დარჩა. მე შემეშინდა. მთელი ღამე თეთრად გავათენე... არც სხვები იყვნენ მშვიდად... მაგრამ მადლობა უფალს, დილით ისევ ჩამოგვაკითხეს და ისევ იმ სახლში წაგვიყვანეს. იმ კაცმა მითხრა, მართალი თუ გინდა, ცოტა მეც შემეშინდა, მაგრამ მაინც დავრჩი... არ მიძინია, მესმოდა, ღამით როგორ მიდიმოდიოდნენ და ფრთხილად ლაპარაკობდნენ... მივხვდი, რომ მე მდარაჯობდნენ... ეშმაკს არ ძინავს და, ფრთხილობდნენ. ეს რომ დავინახე, ცოტა კი მომერიდა, მაგრამ მინდოდა მათთვის მეგრძნობინებინა, რომ მიყვარან. ამიტომ დავრჩი. იმდენი კეთილი სიტყვა ითქვა... განა ეს, რაც მოხდა ჩვენი, ან მათი ბრალიაო?..

და მართლაც, ჩვენი, ან მათი ბრალია, რაც მოხდა? არა! ახლა ბევრი რამ უკვე ჩანს... მომავალში უფრო მეტი გამოჩნდება. დრო ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს... დრო ყველაფერს შეუცდომლად „გაარკვევს. მაგრამ დღეს გვიჭირს... გვიჭირს ქართველებსაც და ოსებსაც... ოსი ხალხი არ არის უმადური. მას ყოფიერების დიდი, საუკუნოვანი ტრადიციები აქვს და იცის ჭირსა და ლხინში თანადგომა... შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ ყველაზე მეტი, არა მხოლოდ წარსულში და არა მხოლოდ დინასტიური, არამედ ჩვეულებრივი ქორწილები ქართველებსა და ოსებს შორისაა მთელს კავკასიაში. ერთი ქორწილი გასულ წელსაც გადაიხადეს ქურთაში... ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველი, გივი ბოლოთაშვილი იყო იმ სუფრის თამადა... ეს დიდი არეულობის დროს მოხდა... ოსმა ბიჭმა ქართველი გოგო შეიყვარა... ძალიან ლამაზი იყო ის ქორწლი... ხალხს მშვიდობა ენატრება...

ბიჭები ამბობენ, ღმერთო, ერთი თბილისში გაგვატარა... ნუთუ ეს აღარ გვეღირსებაო.. უზარმაზარი სევდა უდგათ თვალებში... მათ არ უნდათ ომი.

რეალობას ვერც მე ვუსწორებ თვალს. მიჭირს, მტკივა... მტკივა ორივე მხარე. ეროვნებით ოსი ვარ და ცხადია, მაწუხებს ჩემი ხალხის ბედი... არ მეგულება თავისი ეროვნული გენისადმი უპატივცემულო არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი და არც მე ვარ გამონაკლისი... მაგრამ თბილისში ვარ გაზრდილი და თბილისი მიყვარს... ღრმა ტკივილით განვიცადე 9 აპრილის ტრაგედია და საქართველოში აზვირთებული ეროვნული მოძრაობის მონაწილეც ვიყავი. არ დამიტოვებია მაშინდელი მიტინგები და მღელვარებით შევყურებდი ყოველივეს. უფალს საქართველოსა და ჩემი ერის გადარჩენას შევთხოვდი. ახლა კი, გულს მიკლავს ეს დაძაბული, გადაღლილი სახეები, დანგრეული გზები, სახლები, დახოცილი ადამიანები...

ძმებს შორის გამარჯვებული და დამარცხებული არ არსებობს. "გათიშე და იბატონეო"... ჩვენ დროზე ვერ მივხვდით ამ გადმოსროლილი ანკესის ჩანაფიქრს და დავისაჯეთ.

მაგრამ ღვთის ნებაა ყოველივე და მჯერა ხვალინდელი დღის.

მადლობა უფალს... ძირითადად უკვე ჩაიარა ამ საშინელმა, თავს მოხვეულმა ომმა... არავის, არც ქართველებში, არც ოსებში კაცის კვლა არ უნდა... რა თქმა უნდა, დაძაბულობა დარჩა... ეს ალბათ, კიდევ კარგა ხანს გასტანს, სამწუხაროდ... არსებობს დიდი ტკივილები და მის მოშუშებას დრო სჭირდება. მაგრამ ჩვენ ერთმანეთის მიმართ მაინც სულგრძელობა და მიმტევებლობა გვმართებს. ეს საჭიროა ჩვენი, ერთმანეთის გვერდით მცხოვრები ხალხების მომავლისათვის, შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის. ცოტანი ვართ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

უამრავი რამ გვაქვს საერთო... უპირველეს ყოვლისა კი, ურთიერთსიყვარული. საერთოა ჩვენი სარწმუნოება. ერთ ტაძარში ვლოცულობთ და ერთ უფალს განვადიდებთ.

ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, დაგვიბრუნე მშვიდობა და ურთიერთნდობა...

მე მჯერა ხვალინდელი დღის...

მივყვები გზას...

წინ როქის გვირაბია...

იზოლდა ტიგიევა

ქალთა კონგრესის ოსურ-ქართული კონფლიქტის კომისიის თავმჯდომარე

ღვთაების ეკლესია

თირის მონასტერი



ნიქოზის ეპარქიაში

"ლიახუის გაღმა, არს ნიქოზის ეკლესია ღვთაებისა დიდი, გუმბათოვანი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გუამი წმიდისა რაჟდენისა, მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასუა ეპისკოპოზი, ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს შუენიერი..." – მოგვითხრობს ვახუშტისეული "ქართლის ცხოვრება".

სხვა წყაროები მიგვითითებენ, რომ ვახტანგ გორგასალს წარმართული სალოცავის ადგილზე აუშენებია ეს ტაძარი. ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა ლიახვის ზემო წელი, დვალეთი და მთელი რაჭა. ღვთაების კათედრალური ტაძარი მდებარეობდა "დვალეთის გზაზე". ნიქოზის ეპისკოპოსის მისია იყო ქრისტიანობის გავრცელება ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში.

ნიქოზში ვახტანგ გორგასლის დროინდელი ეკლესია და ნაგებობანი პირვანდელი სახით არ შემონახულა, დღევანდლამდე მოღწეულია XIV-XV სს. გადაკეთებული ტაძარი. 1811 წლიდან ნიქოზის საეპისკოპოსო მცხეთა-ქართლის ეპარქიის ერთ-ერთი ნაწილია. ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი საერთოდ გაუქრებულა, თვით ღვთაების ეკლესია კომუნისტების მმართველობის ხანაში საწყობად და სხვადასხვა დამხმარე ნაგებობად იყო გამოყენებული.

ქართულ მატიანეში მწირი ცნობებია ნიქოზის ღვთაების ეკლესიისა და ეპარქიის შესახებ დაცული, მაგრამ თუ ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან დღევანდლამდე ამ კუთხის და ღვთაების ეკლესიის ბედს გულისყურით თვალს მივადევნებთ, საცნაური გახდება, რამდენი რამ დატრიალდა ჩვენს თავს; როგორ აირეკლა მასში საქართველოს ბედუკუღმართი წარსული, დაცემის შემდგომ ქართული ცის თავანზე როგორ მოიგრაგნა მრუმე საუკუნეთა წყება... მაგრამ ამ ისტორიულ ქარტეხილებში ქართველმა კაცმა მაინც შესძლო გამოეტარებინა და როგორღაც გადაერჩინა ის მთავარი მაცოცხლებელი ძარღვი, რაზეცაა დაფუძნებული ერის სიცოცხლისუნარიანობა. იგი ჩაუქრობელი ლამპარივით ენთო ხალხის წიაღში და თუმცა მრავალგზის იყო ცდა შეერყიათ, შეებილწათ და ძირფესვიანად ამოეძირკვათ, ამ დიადი სულის წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ.

ალბათ, ამ უკვდავი სულის გამონათებაა ბოლო წლებში ნიქოზის ეპარქიის საუკუნოვანი დუმილის შემდგომ მისი ამოქმედების ცდები, განსაკუთრებით ქართულ-ოსური კონფლიქტის პერიოდში, როცა თითქოს სამაჩაბლოს მკვიდრთ საამისოდ არც ხელსაყრელი პირობები და არც მოცლა უნდა ჰქონოდათ. ნიქოზელთა შორის გამოჩნდნენ ისეთი დაუღალავი და მოჭირნახულე ერისკაცნი, რომელთაც მკვდარი წერტილიდან დასძრეს ეგოდენ საშური საქმე და მანამდე არ დაშვრნენ, სანამ მათ სურვილს ხორცი არ შეესხა.

და აი, სამი წლის უკან, უფლის ამაღლების დღეს, გაიხსნა ნიქოზის ღვთაების განახლებული ეკლესია. იგი აკურთხა და მრველს ახლადდანიშნული მღვდელმსახური მამა კონსტანტინე წარუდგინა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე ვახტანგმა.

მაშინ, უფლის ამაღლების დღეს, ყველა ეშურებოდა საზეიმო წირვაზე დასწრებას. ხალხის უმრავლესობა პირველად ეზიარა მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევის მადლს, მრავალი მათგანი გარკვეული ცნობისმოყვარეობითა, თუ რაღაც შინაგანი უნდობლობით ადევნებდა თვალს უზომო სიხარულით ატაცებულ მლოცველთ და მათ ხელში აციმციმებულ წმიდა სანთლებთან ერთად ლღვებოდა თითქოს, ურწმუნობის დროიდან გამოყოლილი სკეპტიციზმი და ტაძრის გუმბათქვეშ გამეფებული, ამაღლებული სულიერი განწყობილება გულგრილად ყოფნის გზას არ ტოვებდა.

სამი წელი ჩუმად, თავჩახრილმა იღვაწა მამა კონსტანტინემ ღვთაების ეკლესიაში. მას მეტად რთულსა და აწეწილ დროში მოუხდა მსახურება. ცხინვალი ხომ ნიქოზზე თითქმის ზედაა მიკრული, ღვთაების ეკლესიის ეზოდან ხელის გაწვდენაზე ჩანს მისი კონტურები. იქიდან გამოსროლილი ჭურვი თუ ტყვია, ადვილად აღწევდა ეკლესიის გარშემო შემოჯარულ საცხოვრებელ სახლებამდე (ეკლესიას კი ტყვია და ჭურვი, ღვთის ძალით, არასოდეს მიჰკარებია). რამდენი რჩეული სოფლის მოამაგე ახალგაზრდა იმსხვერპლა ამ უაზროდ ატეხილმა ომმა, რამდენი დედა და მეუღლე უდროოდ შეიმოსა ძაძით... სოფელს სწორედ ამ უმძიმეს ჟამს სჭირდებოდა სულიერი მოძღვარი და ისიც ძალას არ იშურებდა, გარდაცვლილთა სულის საოხად ლოცვებს აღავლენდა და ნელ-ნელა გაიკვალა მათი გულებისკენ მიმავალი უჩინარი გზა-ბილიკები. თანდათან, უამრავი უხილავი თუ ხილული წინააღმდეგობების გადალახვით, მაინც აღორძინდა მივიწყებული სულიერი მოძღვრისა და სულიერი შვილის ტრადიცია.

ამა წლის 9 აპრილს ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენების დღეს, წმიდა სინოდის განჩინების თანახმად, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II სხვა მამათმთავრების თანამსახურებით აღასრულა მარტყოფის მამათა მონასტრის მღვდელმონაზონ ესაიას (ჭანტურია) ხელდასხმა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის ეპისკოპოსად.

ამ ხელდასმით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა სამი წლის წინ ამაღლების დღესასწაულზე გახსნილი ტაძრისა და ეპარქიის ასაღორძინებლად. ამ გადაწყვეტილებით თითქოსდა აღსდგა საუკუნეთა მიღმა ვახტანგ გორგასლის განჩინებით დადგენილი და შემდგომ საქართველოსთვის ტრაგიკულ გარემოებათა გამო ჩაშლილი დამაკავშირებელი ხიდი. იგი ქართული ეკლესიის უახლესი ისტორიის მონაკვეთში მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ცხადია, ნიქოზს და საერთოდ შიდა ქართლს, ბოლო წლებში ატეხილ უმართავ ვითარებათა გამო, თავისებური ზრუნვა და მიდგომა ჭირდება. აქ მოღვაწეობა სასულიერო პირისგან დიდ ტაქტს და რუდუნებას მოითხოვს; იგი სამწყსოს შეჭირვებულ სულსა და იარებით დასერილ სხეულს მალამოდ უნდა დაედოს, არ დაიშუროს ძალა, რათა სულიერი ცხოვრება ახალი ცხოველმყოფელობით აღორძინდეს და მთელი ენერგია იქითკენ მიმართოს, რომ მტრული დაპირისპირება, როგორმე, განიმუხტოს...

სოფლის განაპირას ისევ დგას ნიქოზის "დიდმშვენიერი" ღვთაბის ეკლესია. დროთა მდინარების მსახვრალ ხელს მის კედლებზე თითქოს საგანგებოდ აღუბეჭდავს იმ დაუნდობლობისა და გულგრილობის კვალი, რაც განსაკუთრებით ბოლო ორი საუკუნის მანძილზე იწვნია ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ.

ნაგებობა სადაა, მაღალგუმბათოვანი, თითქოსდა ციკლოპური წყობილი ლოდებით ნაშენი. მხოლოდ კარედები და სარკმელთა კიდეებია წნული დეკორებით მორთული, შიგნით იატაკი თლილი ქვით არის მოგებული, კედლის მხატვრობას ჩვენამდე ვერ მოუღწევია. იგი ნესტისა და წვიმებისაგან ჩამორეცხილს, ან თავის დროზე ერთმორწმუნე "მზრუნველთაგან" შეთეთრებულს ჰგავს. აღმოსავლეთით, სატრაპეზოსგან მარჯვენა კუთხეში, როგორც მიგვითითეს, რაჟდენ პირველმოწამის საფლავია შემონახული. გრძელი, ვიწრო და სადა ლოდი სხვა ქვებისგან შეფერილობითა და ზომითაც გამოირჩევა და მის სიძველეზე მეტყველებს. ზედ ჩაუქრობელი ლამპარი დგას, იქვე ცოცხალ ყვავილებიანი ლარნაკია.

ნიქოზის ღვთაების ეკლესიის შენობა არქიტექტურული თუ სხვა მხატვრული თვალსაზრისით, ჩამოუვარდება შიდა ქართლის ისეთ ნაგებობებს, როგორებიცაა თიღვა, იკორთა და თირის ღვთისმშობლის ეკლესია, მაგრამ იგი შთამომავლობისათვის მნიშვნელოვანია, როგორც რაჟდენ პირველმოწამის ძვალთშესალაგი და ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული და დამკვიდრებული ეპარქიის ცენტრი.

მეუფე ესაია არ დაგვხვდა. წინა დღეებში ილია თეზბიტელის, ილია მართლის ხსენებისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ანგელოსის დღის მისალოცად თბილისს ჩასული გზად შეყოვნებულა.

ადგილობრივი მრევლის წარმომადგენელი მანდილოსნები ალაგებდნენ საყდარს. გვითხრეს, მეუფე საღამოს ლოცვისთვის ამობრძანდებაო.

სამეუფეო სახლისკენ წაგვიყვანეს. სამანქანო გზატკეცილიდან გადავუხვიეთ. სოფლის წყნარ, ხეხილით დაჩრდილულ შარას გავუყევით. მალე სოფლის განაპირას ბაღჩაშემორტყმულ ორსართულიან, დაუმთავრებელ კაპიტალურ სახლს მივადექით. მასპინძლის ხმობაზე, შავებით მოსილი ახალგაზრდა გამოგვეგება. იგი მორჩილი სვიმონი (ლომსაძე) აღმოჩნდა, ეზოში შეგვიძღვა და იღუმენ იოვანესთან (თედეევი) წარგვადგინა.

შენობის პირველი სართული მოწყობილია. მეორე სართულზე მხოლოდ ორი ოთახი ყოფილა გამართული. იღუმენი იოვანე მაღალი, გამხდარი, ოდნავ შეჭაღარავებული, შავგვრემანი ახალგაზრდა სასულიერო პირი გვიყვება, რომ ეს სახლ-კარი მორჩილმა სვიმონმა, სანამ საეპისკოპოსოს საკუთარი რეზიდენცია არ ექნება, გადასცა ეპარქიას. იღუმენი ეროვნებით ოსია. ადრე რუსეთში უცხოვრია, იქ უმსახურია, ხელდასმა საქართველოში მიუღია და აქ გამოუმწესებიათ. მშვენიერი ქართულით მეტყველებს. ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე უშურველად ისაუბრა; მისი აზრით, რაც სამაჩაბლოში დატრიალდა, გარეშე ძალების მიერაა მოწყობილი და დრო ჭირდება, რომ ყოველივე ძველ კვალში ჩადგეს. ამ რწმენით ვარ აქ და ეს რწმენა მინდა ჰქონდეს ყველასო.

სამეუფეო სახლში რამდენიმე მოზარდი დაგვხვდა. ისინი მეუფე დანიელს გამოუგზავნია. ბიჭები ობლები არიან და ახლა უკვე მეუფე ესაია ზრუნავს მათზე. გიორგი, თერთმეტ-თორმეტი წლის შავტუხა ბიჭი, ცნობისმოყვარედ შემოგვყურებს და ხილეულს გვთავაზობს...

მცირე შესვენების შემდეგ, ტაძრისაკენ წავედით. იქ ქალებს და ბავშვებს მოუყრიათ თავი, მათ შორის ორი მამაკაცი ჩანს. პანაშვიდს იღუმენი იოვანე იხდის. ისმის მისი დაბალი, მშვიდი ხმა, გალობს სამი ქალისგან შემდგარი გუნდი.

პანაშვიდის შემდეგ ეზოში გამოვეფინეთ. ტაძრის წინ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაღუპული ოთხი ქართველი ნიქოზელი მეომრის საფლავებთან შეგჩერდით.

ღვთაების ტაძრის უკან ეპისკოპოსის რეზიდენციის ძველი ნაშთია. ამ ნანგრევების წინ კაკლის ხეთა ჩეროში ისხდნენ სოფლის ახალგაზრდები. მივესალმეთ და ტაძრისა და საეპისკოპოსოს ნანგრევის დათვალიერებას შევუდექით. ფოტოკორესპონდენტი გიორგი გიორგობიანი გადაღებას შეუდგა.

ბიჭებმა ერთი მეტად ახოვანი, თვალტანადობით გამორჩეული ახალგაზრდის ირგვლივ მოიყარეს თავი, წამით გაირინდნენ და ფოტოაპარატის ჩხაკუნიც გაისმა. წამოიშალნენ. ადგილზე ერთიღა დარჩა. მან სასმისი აავსო და გამოგვიწოდა. ტაძრის წინ დაკრძალული მეომრების თანამებრძოლები და ახლობლები აღმოჩნდნენ. წარმოითქვა მათი სულების მოსახსენიებელი. ჩამოვარდა სრული დუმილი. შემდეგ, მხოლოდ ის ერთი ლაპარაკობდა. მის ყოველ სიტყვას და სურვილს უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ.

გვარი ვკითხეთ, ჩოლოყაშვილი ვარო, გვიპასუხა. ნამდვილად ჰგავდა ქართული ძირძველი გვარის ჩამომავალს. მერე აგვიხსნეს, გია მინდიაშვილია, მაგრამ თანამებრძოლები ასე უხმობდნენო... ცალ ფეხზე რომ არ წამომდგარიყო და ყავარჯნები არ მოეთხოვა, ვერც ვიფიქრებდით, მარცხენა ფეხი დაზიანებული რომ ჰქონია. რამდენიმეჯერ ნაღმზე აფეთქებულა. მთელი სხეული ჭრილობებითა აქვს დასერილი, უამრავჯერ ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, მაგრამ მაინც გადარჩენილა.

ასეთი ვაჟკაცები იდგნენ ნიქოზის სადარაჯოზე. მათი თავგანწირვა საგონებელში აგდებდა მომხდურთ... და უჭირთ დღეს ცხინვალს შორიდან რომ შეჰყურებენ.

ტაძრის ეზოში დაკრძალული ბიჭები ოსების მიერ სოფლისათვის გადაკეტილი სასმელი წყლის გაშვების დროს ნაღმზე აფეთქდნენ. ეს შემზარავი ამბავი თავის დროზე მთელმა ქვეყანამ შეიტყო.

ახალგაზრდებმა, როგორც კი გაიგეს, რომ ქემერტში ასვლას, იქაური ახალნაგები ტაძრების მოხილვას, მშენებლებთან და მრევლთან შეხვედრას ვაპირებდით, ერთი წუთითაც არ უყოყმანიათ, სამშვიდობო ძალებამდე თვითონ მიგაცილებთო, გვითხრეს და მანქანა მოიყვანეს.

ჯერ ქვემო ნიქოზში ჩავედით. ვეწვიეთ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) მშობლიურ სახლს. ამ, თითქმის ასი წლის უკან, მისი სახსრებით აგებული შენობისთვის წინ ფართო, თანამედროვე სტილის აივნები მიუშენებიათ, დიასახლისი, ამ ოჯახის რძალი, სახლში შეგვიძღვა, გვიჩვენა მისი საწერი მაგიდა და ბუხარი, სადაც მას უყვარდა დასვენება, ხოლო პირადი ნივთები, პორტრეტი და ვერცხლის სამეუფეო ჯვარი ომის დროს გორში გაუხიზნიათ.

სოფელში მომწიფებულია აზრი, რომ კირიონის პირად ნივთებს თავი მოუყარონ და გაიხსნას მისი სახლ-მუზეუმი. ამით ძალზე საშური საქმე დაგვირგვინდება. სოფლის და საერთოდ, ამ კუთხის ახალგაზრდობამ, რომელმაც მხოლოდ ყურმოკვრით იცის ამ უდიდესი მამულიშვილის, საქართველოსთვის დამაშვრალი, ავტოკეფალიაალდგენილი ქართული ეკლესიის პირველი მამამთავრის საერო და სასულიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპები, დროა, უკეთ გაიცნოს იგი.

მოგვიყვნენ, მისი უწმინდესობა, სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორ ნატრობდა აღედგინა ღვთაების ეკლესიის ეზოში

საეკლესიო

ცხოვრების

ფოტომატიანე



ნიძოზის ეპარქიაში

ჯერ კიდევ შემონახული საეპისკოპოსო რეზიდენციის შენობა, საეპისკოპოსოს წინ დაკრძალული საქართველოს მთლიანობისთვის თავდადებულ მებრძოლთა სახელზე აეგო ნიშა, მოესწრო ღვთაების ტაძრისა და მის შორიახლოს მდგარი მთავარანგელოზის ეკლესიის აღდგენა-გამშვენება, მაგრამ მის გეგმებს ასრულება არ ეწერა.

ქვემო ნიქოზის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია სავალალო მდგომარეობაში ვნახეთ. სახურავჩანგრეული დიდებული ბაზილიკური ნაგებობა დგას ძეძვითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ საფლავებს შორის და მზრუნველსა და მოჭირნახულეს ელოდება.

ხოლო ქვემო ნიქოზის კვირაცხოვლობის სანახევროდ დანგრეულ ტაძარს გულშემატკივარი უკვე გამოსჩენია. ადგილობრივ მკვიდრს, პროფესიით ექიმ დავით ლონგურაშვილს უთავია მისი გაწმენდა-აღდგენის სამუშაოები. სულ ახლახან ეს მიუვალი, ლოდებით ერთიანად ჩახერგილი ალაგი საგულდაგულოდ მოუსუფთავებიათ. იგი მზადაა სამუშაოების ჩასატარებლად, მაგრამ ტაძრის საკურთხეველთან ძველ საძვალეს გადაყრიან და არქეოლოგთა მოსვლამდე მუშაობა შეჩერებულა. იქ მყოფმა მოხუცებმა გვიამბეს, როგორი გულისყურით იღვწოდა სოფელი. განსაკუთრებით აღნიშნეს ახალგაზრდების თავგამოდება.

და ეს ნიშანდობლივია ამ მხარისათვის, სადაც ყოველ ნაბიჯზე ჩვენი ისტორიული წარსულის უამრავი ძეგლია მიმოფანტული. ყოველი მათგანი განსაკუთრებულ ზრუნვას და მიხედვას მოითხოვს. ისინი თავის დროზე, ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და რწმენით იყო ნაგები და ეს ნიშატი ისევ ღვივის მათ შთამომავლებში. ღვთის რწმენისათვის უპირველესად მოსიყვარულე გულია საჭირო. ეს სიყვარული დევს ამ ხალხის წიაღში და დანარჩენ გრძნობებს გაღვივება, დრო და აღზრდა სჭირდება.

დავბრუნდით ზემო ნიქოზში, სადაც სოფლის ახალგაზრდები გველოდნენ, ისინი ჩვენთან ერთად ჩასხდნენ მანქანაში და ქართული სამშვიდობო ძალების სამყოფელისკენ გავემგზავრეთ.

გია მინდიაშვილის რეკომენდაცია ჩვენი საუკეთესო სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა. აქ ჩვენს კეთილ მასპინძლებს დავემშვიდობეთ და სამშვიდობო ძალების "ვილისში" გადავსხდით. თან გვახლავს მორჩილი სვიმონი, წინა სავარძელზე სარდალი რევაზ გურგენიძე ზის. ვილისს ახალგაზრდა ჯარისკაცი მართავს. გავიარეთ რუსებისა და ოსების საკონტროლო პუნქტები... ჩვენთვის ეს უჩვეულოა და გულისწყრომას ვერ ვფარავთ. შიდა ქართლში, ქართულ ძირძველ ქალაქში, რომელიც აგერ, მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე ქართულ ტრადიციულ ქალაქად რჩებოდა და ოსი ეროვნების, მაჩაბელთა ნაყმევ, ასამდე ხიზანს თუ ითვლიდა, დღეს უცხო სახელმწიფოს მოქალქეებივით შევდივართ. მანამდე ცხინვალში, ვინ იცის, რამდენჯერ ვარ ნამყოფი, მუდამ ხალისი და სიცოცხლე იდგა ქალაქში; ახლა კი თითქმის ცარიელი, უსახური ჭუჭებით მივემართებით მისი მეორე ბოლოსკენ. ცენტრში, ადმინისტრაციული შენობის წინ საფრთხობელასავით დგას "პროლეტარიატის ბელადის" ძეგლი. ოსები მას ვერა და ვერ შელევიან. თითქოსდა რუხი ფერი ადევს ქალაქს, რუხი ფერი ფარავს გადამწვარ სახლებს, თითო-თითოდ შემხვედრ, ნაბიჯაჩქარებულ მოქალაქეებს. მაინც მეგონა, რომ ჩვენს მანქანას ყურადღებას მიაქცევდნენ, მაგრამ არა. გულგრილი სახეებით ისხდნენ ჭიშკრებთან. რამდენიმე ადგილას კი კამათელს აგორებდნენ.

ბატონი რეზო შესანიშნავი მოსაუბრე აღმოჩნდა. ნიქოზელთა მონაყოლი, ცხინვალში ქართველები დაუბრკოლებლად შედიან, ხოლო ოსები ახლო-მახლო სოფლებს ხშირად სტუმრობენო, მანაც დაგვიდასტურა. შემობრუნება აშკარად იგრძნობა, დრო ყველაფრის წამალია. აქ თავმოყრილი ერთი მუჭა მტრული ძალები ვერ ურიგდებიან ქართველთა და ოსთა დაახლოებას. ისინი რომ არა, ხალხს ამ დაძაბულობისაგან თავი ისე აქვს მობეზრებული, ერთი სული აქვთ მშვიდობიან თანაცხოვრებას როდის დაუბრუნდებიანო.

შორიდან ცხინვალის ეკლესია მოჩანს. აქ რუს ემიგრანტ სამღვდელოებას დაუდგია ბინა. ძალიან გვინდოდა ფოტოსურათი გადაგველო ტაძრისთვის, მაგრამ ვინმე არ აგიხირდეს, ფოტოაპარატი არ ჩამოგართვანო, გვითხრეს.

თამარაშენი, გზის პირას გადამწვარი სახლების წყება. თოვლსა და წვიმას შენობებისთვის ფერფლი და ნაცარი ჩამოურეცხავს და ზოგი სახლის შელეწილი კედელი რომ არა, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ახლახან დასრულებული კაპიტალური შენობები გადახურვას ელიან. ამ განწყობილებას უფრო მწვანეში ჩაფლული ეზოები ქმნიან.

მთავარანგელოზის სახელზე აგებულ ეკლესიასთან შევჩერდით. ტაძარი დარბაზული ტიპისაა. იგი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ კონფლიქტის დროს შენდებოდა და დაუსრულებიათ 1994 წელს. იქ რამდენიმე მლოცველი და მესანთლე დაგვხვდა. საკურთხევლის წინ სანთლები ენთო... ხალხმა იგი უკიდურესი გაჭირვებისა და საშიშროების ჟამს ააგო. იქვე მოგვიყვნენ: დაუჯერებელი რამ ხდებოდა, სოფელი მთავრობისაგან პურსა და ელექტროგანათებას კი არა, ცემენტსა და საყდრის გადასახურავ მასალას ითხოვდა. ესაა ამ ტაძრების ღირსება. მომხდურს საგონებელში აგდებდა ხალხი, ვინც ჭურვების გრუხუნსა და ზათქში ქვას-ქვაზე დებდა და რწმენის კედელს ადულაბებდა.

თამარაშენიდან მთის აღმართს შევუყევით. ხევხუვებში და ღრანტეებში "ვილისი" ჯიუტად მიიკვლევდა გზას. ეტყობა, გაკვალულ შარას ავცდით და ორიენტირად მთის მაღლობს ვიყენებთ. მძღოლის საზრიანობამ მაინც თავისი გაიტანა. შორს ცადატყორცნილი, თეთრად მოქათქათე თირის მონასტრის სილუეტი გაკრთა. გავიარეთ სოფელი, გადამწვარი, მიტოვებული კარ-მიდამოები, შემდგომ ვრცელი ზეგანი გადავჭერით და მთის ყურეს მიყუჟულ მონასტრის კომპლექსს მივადექით.

ტაძრის წინ ხეობის თვალწარმტაცი ხედია გადაშლილი. შორს სოფლები – ქვემო მონასტერი და რუსთავი მოჩანს. ეს პატარა სოფლები ოსებით ყოფილა დასახლებული და ქართველი მორწმუნენი დიდხანს აქ ამოსვლას ვერ ბედავდნენ. დღევანდლამდე თითქმის უვნებლად მოღწეული, წნული ჩუქურთმებით დამშვენებული და ხუროთმოძღვრული გაბედულებით გამორჩეული ტაძარი მდუმარების სავანედ ქცეულა...

იგი ერთი შეხედვით კოხტა და კომპაქტური ჩანს. შიგნით შესულს გაოცებს მასშტაბურობა. საკურთხევლის თავთით სასწაულადაა გადარჩენილი "ღვთისმშობელი ყრმით". იგი მწუხარე სახით დაჰყურებს ცარიელ სივრცეს და უბადლო ჩუქურთმებით მოგვირისტებულ, ეულად მდგარ ფიქალისფერ კანკელს.

ამ ეკლესიასთან ორი შთამბეჭდავი ლეგენდაა დაკავშირებული – მის მშენებელ ორ ძმაზე და კანკელის წინ დაკრძალულ უფლისწულზე. ორივე იმდენად ტრაგიკული და პოეტურია, ხალხის მეხსიერებაში დღესაც ცოცხლობს.

ტაძარში საკმევლის სუსტი სურნელი იდგა. ეტყობა, უგზოობისა და საშიშროების მიუხედავად, ვიღაცა მაინც მოილტვის აქეთკენ. და როცა ტაძარს ირგვლივ შემოვუარეთ, კლდეში ნაკვეთ გრილ სენაკებში შევიხედეთ და დადუმებული

სამრეკლოდან შემოგარენს თვალი მოვავლეთ, მორჩილმა სვიმონმა ხმამაღლა ინატრა: ნეტა მთელი სიცოცხლე აქ მამყოფაო. პირველყოფილი მონასტრული სიმშვიდე და მდუმარება იდგა ირგვლივ. მას ვერ სწვდებოდა ამსოფლიური ამაო გნიასი და ადამისშვილთა გამოგონილი გაუგებრობები. ვისაც ღვთის სამსახური მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ამგვარ სავანეს უნდა მიაშუროს...

დაღმართზე ვეშვებით. მივდივართ ქემერტში. სოფელ კეხვის დასაწყისთან ლიახვზე გადებულ ხიდზე გადავედით, კითხვა-კითხვით ოთინაანთ უბანში წმიდა გიორგის სახელზე მშენებარე ეკლესიას მივადექით. იგი ხარაჩოებშია ჩასმული, საშუალო ზომის, ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა.

ტაძრის მშენებლობა, რაღაც ერთი თვის წინ წამოუწყიათ. სამშენებლო მასალებს მოსახლეობა საკუთარი სახსრებით შოულობდა. და შედეგმაც არ დააყოვნა, მოკლე ხანში შენობა გადახურვამდე მიიყვანეს.

ტაძრისთვის შესაფერისი ადგილმდებარეობა შეურჩევიათ. მის უკან სასაფლაო და ოთინაანთ ძველი ციხე-კოშკი წამომართულა, წინ კი, დამრეცზე არხი და წყალსატევია. ხანდაზმულ ხალხს მოუყრია იქვე თავი და დარბაისლურად ბაასობენ. ერთმა მოხუცმა ქალმა, სიზმრებში ამ ადგილზე გამუდმებით ტაძარს ვხედავდი და დახეთ, ამიხდა კიდეცო. ტაძრის მშენებლობას ახალ იმედებს და კუთხის აღორძინებას უკავშირებენ.

აქედან ხელის გაწვდენაზეა მაღალდაანთ უბანი. ამ უბანსაც მოუწადინებია საკუთარი ეკლესია და მცირე ზომის ტაძარი აუგია. ამ ადგილას უწინ ხის ეკლესია მდგარა, მოძღვარიც ჰყოლიათ. ტაძარი მთავარანგელოზის სახელობისაა, იგი დარბაზული ტიპისაა, გადახურულია, გარედან შეულესავთ და მხოლოდ შიგნითა სამუშაოებია დარჩენილი.

კასრაანთ უბანშიც ღვთისმშობლის სახელზე აუგიათ მცირე ზომის ეკლესია. ისიც გადახურულია, გარედან შელესვა არ ჭირდება, წყობილი აგურითაა ნაგები. აქაც შიგნითა სამუშაოებია დარჩენილი.

ამ ტაძრების მშენებლობის უშუალო სულისჩამდგმელთ იური ოთინაშვილსა და ლილი მეტრეველს ვერ შევხვდით. საქმის გამო ქალაქში იყვნენ წასულები. მათ შესახებ ტაძართან შეკრებილ ხალხს დაველაპარაკეთ. სოფლის მოამაგეების ზედმეტი ქება რა ბედენაა, აგერ მათი საქმე ყველაფერზე თავად მეტყველებსო, გვიპაუხეს. მერე ერთმა ბერიკაცმა კეხვის მხარეზე, უფრო როქის გვირაბის მიმართულებით ფიქრიანი მზერა მიმართა და იკითხა: "ერთი მითხარი შვილოსა, ეს დავიდარაბა დიდხანს გასტანს?!" ბუნებრივია, მხედველობაში ცნობილი კონფლიქტი ჰქონდა. ვდუმდით. მიხვდა, რომ დამშვიდება არაფრით შეგვეძლო. სახეზე კეთილი ღიმილი მოეფინა და დაამატა: "ყველაფერი ღვთითაა... დრო უნდა, ურმით დადის ღვთის სამართალი!"...

ეს სიტყვები მოგვიგო ნიქოზის გზაზე მიმავალთ. ამ იმედიან სიტყვებში იდო რწმენა იმისა, რომ სამართლიანობის აღდგენის ჟამი დადგება, რომ იგი გარდაუვალია.

ღვთაების ტაძარში ქალებისა და ბავშვების სიჭარბეა. რამდენიმე მამაკაცსაც მოვკარით თვალი. აღსავლის კარებთან დგას მეუფე ესაია და უფალს ქვეყნის გადარჩენას ავედრებს. გალობს ქალთა გუნდი. ფოტორეპორტიორი ხელსაყრელი ადგილის ძებნაშია. მის ყურადღებას განსაკუთრებით ბავშვები იქცევენ. ისინი ქალებს შორის დგანან და თვალებადქცეულნი მეუფეს მისჩერებიან. გოგონებს დედისა და უფროსი დების კვალობაზე მანდილი მოუხვევიათ, პაწაწინა ხელებით პირჯვრის წერას ეშურებიან და მგალობლებისთვის ხმის შეწყობას ცდილობენ...

ლოცვის შემდგომ მეუფე ესაია აღსარების მნიშვნელობაზე ქადაგებს. მისი ქადაგება ლაკონური და დამარწმუნებულია. ხმა მშვიდი აქვს. მლოცველები გულისყურით უსმენენ.

ზეთისცხებისას მეუფის წინ ბავშვების გრძელი რიგი მწკრივდება. სახეებზე მოუთმენლობა ესახებათ. ზეთისცხების შემდეგ აბრდღვიალებულ თვალებში ზღვა სიხარული უდგებათ და მეუფის ირგვლივ ირევიან.

ტაძარში რვა წლის ნათია გაგვაცნეს. მეუფემ ბრძანა, ეს გოგონა ღვთაების ეკლესიას ალბათ უფლის ნებით მოევლინა. თანატოლთა შემოკრების გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა. მთელი ოჯახი და მეზობლებიც კი მოიყვანა ტაძარშიო. ვფიქრობთ, ეს მეუფე ესაიას დამსახურებაცაა. იგი უბრალოებითა და თავმდაბლობით იზიდავს მოზარდს და ჭარმაგს. ჩვენ მოწმე ვიყავით, როგორი მოწიწებით ხვდებოდნენ მას სოფლის უხუცესნი, როგორი ანთებული სახეებით შეჰყურებდნენ მოზარდნი: "შაკურთხეთ, მეუფევ!" – შესთხოვდნენ და ისიც სახეზე ღიმილმოფენილი პირჯვარს გადასახავდა, გულში ჩაიკრავდა, საუბრობდა მათთან.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მთლიანად მოხილვა, ცხადია, ვერ შევძელით, ეს შეუძლებელიც იყო. ჩვენ მხოლოდ მისი ნაწილისა და სულიერ მოძღვართა ცხოვრების ცალკეული ფრაგმენტების ასახვას დავჯერდით. მაგრამ ყოველივე ის, რისი ხილვის მომსწრენიც ვიყავით, სრულ იმედს და რწმენას გვინერგავს, რომ კუთხე, რომელსაც ასეთი თავმდაბალი, შემწყნარებელი და სიყვარულით სავსე მღვდელმთავარი და მოძღვრები ჰყავს, დროთა მანძილზე უფლის პატიოსან სისხლთან და ხორცთან ზიარების მადლით აივსება, ჰპოვებს მშვიდობას და სიხარულს... მანამდე კი "... სამკალი ფრიად არს"... და ალბათ, ეს იეზება ნიქოზელ მამათა მოღვაწეობის მთავარი საზრუნავი.

დიდია სურვილი ამ ეპარქიას და მის მღვდელმთავარს დაებრუნებინოს მემატიანის მიერ ნიქოზის მწყემსმთავრის მიმართ თავის დროზე დაკისრებული მისია: "... ლიახუს გაღმა, არს ნიქოზის ეკლესია... ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა, დუალთა..." და ამ სიმაღლისთვის თანმიმდევრული, გაზრებული, წარსული ტრადიციების ერთგული, მაგრამ დროის ნიშნით აღბეჭდილი მოღვაწეობით მიეღწიოს.

ზურაბ თორია

მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში

გვესაუბრება
ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის
მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი **მსაია**
(ჭანტურია)

კითხვა: უპირველესად მინდა მოგილოცოთ მღვდელმთავრის წოდება. მძიმე ჯვარი, რომელიც თქვენ გებოძათ... თქვენ დღეისათვის ყველაზე ახალგაზრდა ეპისკოპოსი ბრძანდებით. თავად რას იტყოდით ამის გამო...

პასუხი: როცა სიონის ტაძარში ხელდასხმა მოეწყო, მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, შინაგანად მერჩივნა, სადმე მონასტერში ვყოფილიყავი და იქ უჩუმრად მელოცა, მეღვაწა, მეშრომა... როგორც შევძლებდი. ღირსად არ ვთვლი თავს, მაგრამ ღვთის ნებაა ყოველივე და რაკი ასე მოხდა, უწმიდესის ლოცვა-კურთხევითა და მღვდელმთავართა შეწევნით, შეწევნით ღვთისა, მოვკიდე ხელი ჩემს ჯვარს, რომელიც ნამდვილად არ არის მსუბუქი. დიდი იმედი მაქვს ხალხისაც, მისი თანადგომის.

კითხვა: როგორი იყო და რას შეეხებოდა პირველი ქადაგება ნიქოზის ეპისკოპოსისა, რომელიც მან წარმოსთქვა...

პასუხი: პირველი ქადაგება... ეს იყო საუბარი ქრისტიანობის მრწამსზე... როგორ უნდა გვესმოდეს, როგორ უნდა ცხოვრობდეს ქრისტიანი... საუბარი იმაზე, რომ სიმძიმე, რომელიც საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს აწუხებს, გასაჭირი, რომელიც მის თავზეა, არის ღვთის დაშვებით... ხალხმა იგი მადლობით უნდა მიიღოს, სულიერადაც უნდა იტვირთოს ეს სიმძიმე, რომ შესძლოს უფალთან მისვლა. აღარ გვახსოვს უფალი და ყოველივე, რაც თავს დაგვატყდა, ამის ბრალია. ამ გზებით, წამებით, ტანჯვით, ტკივილით მაინც გავიხსენოთ ღმერთი.

კითხვა: სიტყვაში, რომელიც თქვენ სვეტიცხოველში წარმოთქვით, აღნიშნეთ, რომ მამა ყველაზე მეტ ტვირთს იმ შვილს აჰკიდებს, რომელიც გამორჩეულად უყვარსო... დაახლოებით

ასეთი აზრი იყო მასში გამოხატული... გასაგებია, რასაც გულისხმობდით...

პასუხი: დიახ. მონასტერშიც ხშირად მიფიქრია ამაზე. განსაკუთრებით რთულ საქმეს მუდამ იმ კაცს ავალებ, ვისიც გჯერა და ენდობი. შიდა ქართლი დღესდღეობით ურთულესი რეგიონია. დიდი პატივია ჩემთვის ეს. უკან დახევას არ ვაპირებ.

კითხვა: როგორი სიტუაცია დაგხვდათ ნიქოზში.

პასუხი: ნამყოფი არ ვიყავი. არ ვიცოდი, სად მივდიოდი. ვიცოდი, რომ ეს არის ვაშლებისა და საერთოდ, ხილის მხარე... ულამაზესი. მართლაც, იმ დროს ჩავედით... დაგვხვდა აყვავებული ვაშლის ხეივნები, ბუნება უმშვენიერესი, მშვიდი... სულიერი თვალსაზრისითაც არავითარი დაძაბულობა არ გვიგრძვნია. ხალხი დიდი სიხარულით შეგვხვდა... ეს იყო იმედი. ნიქოზში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ოსები თითქმის არ არიან. მეზობელ სოფლებშიც არაა დაძაბულობა. მაგალითად, ავნევში ბევრნი არიან, მაგრამ ცალკე ცხოვრობენ, მეზობლობენ, ურთიერთობა მშვიდობიანია. ომის პერიოდში, არ ვიცი როგორ იყო.

კითხვა: ცხინვალშიც ყოფილხართ...

პასუხი: დიახ, ადრევე გვინდოდა იქ შესვლა, სამხედროებსაც ვთხოვეთ, მაგრამ ვერ მოხერხდა. უსაფრთხო არ იყო. ბოლოს თითონ ჩავედით. წავედით წმიდა დავით გარეჯელის ხსენების დღეს. ჩვენს ტაძარში არ იყო დიდი ზატიკი. იქნებ იქიდან წამოვიღოთ თქვა, ვიფიქრეთ. თვითონ ოსებმა წაგვიყვანეს. მე და მამა იოანე ვიყავით. მივედით ტაძართან. დაგვხვდა რუსი მღვდელი. ძალზე ცივად მიგვიღო. ამჯერად იქ იმყოფებიან რუსული ემიგრანტული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები საზღვარგარეთიდან – ეგრეთწოდებული "სტაროსტილნიკები". უნდა აღინიშნოს, რომ ესენი კონფლიქტურ ურთიერთობაში იმყოფებიან თვით რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთანაც. მათთვის მოულოდნელი იყო ჩვენი იქ მისვლა. შევედით ტაძარში. აღსავლის კარები

არ გაგვიღეს. უცხო მღვდელმთავარს კარს ვერ გავუხსნითო... მე ვუთხარი, ეს ქართული ეკლესიაა და აქაური მღვდლები მუდამ საქართველოს პატრიარქს ემორჩილებოდნენ-მეთქი. არ დაგავიწყდეთ, რომ ახლა აქ კატაკომბური ეკლესიაა და არ განცადოთ უფალი... უკან რომ დაბრუნდებით, ისიც იცოდეთ, აქ ბევრი სექტანტი ცხოვრობს და შეიძლება ჩაგქოლონ. ნუ იტყვით, რომ ქართველები ხართო. წიგნი არ მოგვცეს, ყველაფერი გაძარცვული დაგვხვდა. არაფერი არ არისო. გვინდოდა ოსებთან გამოსაუბრება, ურთიერთობის დამყარება. მამა იოანე თითონ ეროვნებით ოსია. გავესაუბრეთ კიდეც ხალხს. ყველაზე დიდი ბარიერი ცხივნალში, როგორც ჩვენ დავინახეთ, მაინც ისაა, რომ უცხო ეკლესიაა შემოჭრილი ჩვენს ეპარქიაში.

კითხვა: ხალხი სარწმუნოებრივად როგორი განწყობითაა...

პასუხი: მადლობა უფალს, ზემოთაც აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, ჩვენი ჩასვლა ძალიან გაეხარდათ. გაჩნდა მრევლი, ეზიარებიან, ესწრებიან წირვას. გასაჭირის მერე, ეტყობა, გრძნობენ, რომ ეკლესია და სარწმუნოებაა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა შეუძლია გამოიყვანოს განსაცდელიდან. ინათლებიან... ჩავატარეთ ნათლობა ლიახვზე. ძალიან უხაროდათ. ვიყავით სამაჩაბლოს სოფლებში. ყველგან ეკლესიის საჭიროებას გრძნობენ. იციან, ღვთის გზაზე რომ უნდა იარონ. არის სოფლები, სადაც აქტიურად მიილტვიან სარწმუნოებისაკენ. მაგალითად, სოფელ ავნევიდან ჩვენთან აღდგომა დღეს ჩამოვიდნენ მოსახლეობის წარმომადგენლები და გვთხოვეს წავყოლოდით სოფელში. წავედით. გადავიხადეთ პარაკლისი. ითავეს ეკლესიის აღდგენა. არის იქ ერთი, ქალბატონი დუნია. მისი ინიციატივით დაიწყეს აღდგენითი სამუშაოები... დუნია და ბატონი რუსლანი. მთელი სოფელი ამოუდგა მათ მხარში.

კითხვა: ამბობენ, თურმე, ყველა სოფელში სურთ ეკლესიის აღდგენა, თუ აშენება...



პასუხი: დიახ. ეს ასეა. სამაჩაბლოს სოფლებში, როცა ყველაფერი ირეოდა, ეკლესიებს მაინც აშენებდნენ. ეს მართლა საოცარია. და ეს მშენებლობა და სწრაფვა აძლებინებდა ხალხს იქ. არ დაუტოვებიათ თავისი მიწა არც მიწისძვრის დროს და არც იმ საშინელი, თავსმოხვეული ომის დროს. ბოლომდე იქ იყვნენ. ქემერტში სწორედ ამ ბოლო პერიოდში აშენდა ორი ეკლესია... ასევე, თამარაშენში, ქურთაში. ეს ცალკე, მე ვფიქრობ, უფრო ვრცელი საუბრის თემაა...

კითხვა: დიახ. მართალი ბრძანდებით. ამაზე მართლაც ცალკე ნარკვევი უნდა დაიწეროს. ვთქვათ, ასეთი სათაურით: "ომის დროს შენდებოდა ეკლესიები".

პასუხი: სამაჩაბლოს სოფლებში, როგორც მოგეხსენებათ, წელანაც ვთქვი, იყო მიწისძვრები. ზოგი სოფელი, მაგალითად, ქემერტი ძალიანაა დანგრეული. ამ ნანგრევებში ცხოვრობენ ახლაც, არსად არ მიდიან. ამავე სოფელში იყო წმიდა გიორგის ეკლესია. მიწისძვრამ ისიც დაანგრია. სოფლის მკვიდრის, ბატონ იური ოთინაშვილის თაოსნობით მიმდინარეობს ამ ტაძრის ხელახალი მშენებლობა, სულ დანგრეული იყო.

კითხვა: თქვენ წელან რელიგიური სექტები ახსენეთ...

პასუხი: სექტები, რა თქმა უნდა, არის. სხვადასხვა მდგომარეობაა. ჩვენთან თითქმის არც არიან. ვცდილობთ, ხალხში გავაღვიძოთ სარწმუნოება. ეს მიმაჩნია ყველაზე მნიშვნელოვან იარაღად მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

კითხვა: თქვენ ახალი მღვდელმთავარი ბრძანდებით და ჯერ, ბუნებრივია, ძალიან ადრეა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა გაკეთდა ეპარქიაში თქვენი იქ ყოფნის ჟამს. მაგრამ სურვილებზე და გეგმებზე კი შეიძლება, ალბათ, რამდენიმე სიტყვის თქმა...

პასუხი: იცით... გეგმები და სურვილები, ცხადია, არსებობს, მაგრამ ყველაფერი მაინც რეალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობს ჯერ. საცხოვრებლადაც ახლობელმა შეგვიფარა. ეპარქიაში უნდა იყოს მონასტრები, როგორც მამათა, ისე დედათა. ეს აუცილებელი და უმთავრესია. სამაჩაბლოს მხარეში არის თირის მონასტერი. ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ ვერ ხერხდება მისი ამოქმედება. დაძაბულობაა. ეს, ალბათ, შემდეგ. გვინდა გავხსნათ სამრევლო სკოლა. უნდა შეიქმნას ჯგუფი, სადაც ბავშვები ისწავლიან გალობას, ხელსაქმეს, ქარგვას, ჭრას, ხატწერას, ხეზე კვეთილობას, ლითონმჭანდაკებლობას. მონასტრების გარეშე გაუჭირდება ეპარქიას. ბევრს ვფიქრობთ ამაზე.

კითხვა: თქვენს ეპარქიაში ძველი ტაძრებიდან გადარჩენილი რომელია.

პასუხი: უპირველესად ნიქოზის ტაძარი, ღვთაების სახელობისა, საკათედროა. VI საუკუნეში ამ ადგილზე ბაზილიკა აუშენებიათ, მერე გუმბათოვნად გადაუკეთებიათ. იქვეა მთავარანგელოზის ეკლესია. სოფლებშიც, ძირითადად ძველი ტაძრებია. გვინდა შევისწავლოთ ყოველი მათგანი.

კითხვა: თქვენი იქ ყოფნის ჟამს რაიმე მოულოდნელ, თუ მოსალოდნელ უსიამოვნებას ხომ არ ჰქონია ადგილი...

პასუხი: არა. ჩვენს მიმართ არაფერი ასეთი არ მომხდარა.

კითხვა: ნიქოზი, ქვემო ნიქოზი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სოფელია. ამ მოკლე დროში თუ მოასწარით და დაინტერესდით, არსებობს კი იქ რაიმე მისეული. თუ არიან ადამიანები, რომელთაც ახსოვთ...

პასუხი: ჩვენ ვიყავით ქვემო ნიქოზში. ბევრი არაფერი შენახულა, მაგრამ მოსახლეობას ძალიან უნდა გახსნას სახლ-მუზეუმი. ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მათ.

კითხვა: ღმერთმა ნუ ქნას და, სიტუაცია რომ ისევ გართულდეს, ხართ თუ არა მზად საამისოდ და რას მოიმოქმედებთ.

პასუხი: საერთოდ, რთულ სიტუაციაში ჭირდება ხალხს მოძღვარი და ნუგეში. მაშინ უნდა გაიღოს კაცმა და მითუმეტეს მოძღვარმა მსხვერპლი და მხარში დაუდგეს თავის ხალხს. ჩვენ ადრე სოხუმში ვიყავით, მეუფე დანიელთან. ეკლესიის ზარი რომ ირეკებოდა, ხალხისთვის ეს იყო ნუგეში. თქვენ რომ არა, ჩვენ ვერ გავძლებდითო, გვეუბნებოდნენ. ასეთ დროს ადამიანი უფრო მეტად გრძნობს ღვთის სიახლოვეს.

კითხვა: აფხაზეთში დიდხანს იყავით?

პასუხი: მთელი ომიანობის დროს იქ ვიყავი. შემდეგ... ჭუბერი, საკენი ერთად გადმოვიარეთ.

კითხვა: რამდენი სამღვდელო პირია დღეს ნიქოზის ეპარქიაში.

პასუხი: ერთი ეპისკოპოსი, ერთი მღვდელმონაზონი, ერთი მღვდელი, რომელიც იქ დაგვხვდა და ხუთი მორჩილი, სულ რვა. იმედი გვაქვს, თანდათან გაიზრდება ეს რიცხვი.

კითხვა: ცნობილი ფაქტია და "ქართლის ცხოვრებიდანაც" ვიცით, ქართველი სამღვდელონი ომის დროს იარაღს აისხამდნენ ხოლმე... ცხადი, მხოლოდ ურთულეს პირობებში. საჭიროებამ რომ მოითხოვოს, თქვენ შესძლებდით იმასვე?

პასუხი: სასულიერო პირმა ზნეობრივი შემწეობა უნდა მისცეს ადამიანებს, დამოძღვროს. იარაღი არა. მე იარაღს ვერ ავიღებ, ეს ვიცი. ღმერთმა ქნას, მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში.

ფ. კ.



ლამპარნი რწმენისანი

დიდმოწამე რაჟდენი

ვახტანგის მეფობის ჟამსაა დაწერილი ქართული საეკლესიო მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაწარმოები "წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ". ქრისტესთვის წამებულნი და აღსრულებულნი სხვებიც ყოფილან იმჟამად... არა მარტო ქართველნი, არამედ თვით სპარსნიც.

ერთი მათგანი წმიდა რაჟდენია. რაჟდენს ეწოდება პირველმოწამე, რადგან იგი ერთ-ერთი პირველია ქრისტესათვის წამებულთა შორის. წარმოშობით იგი სპარსი იყო, დიდგვაროვანი ოჯახის შვილი, სპარსეთის მეფის ჰორმიზდ III-ის ქალიშვილის ბალენდუხტის აღმზრდელი. ოდეს ბალენდუხტი ქართლის მეფეს - ვახტანგს მიათხოვეს, იგი თან წამოჰყვა თავის გაზრდილს საქართველოში. რაჟდენი მალე ჩასწვდა ქრისტიანულ სიბრძნეს და სულ მოკლე ხანში უფლისადმი უღრმესი სიყვარულით აღივსო. მაზდეანობა განაგდო და ქრისტიანად მოინათლა. სპარსელებს აწუხებდათ რაჟდენის ქრისტეს რჯულზე მოქცევა. ბოლოს შეიპყრეს და შაჰს მიჰგვარეს. შაჰმა მას სამშობლო და წინაპრების რწმენა შეახსენა. ჰკითხა, რატომ უღალატე შენს რელიგიას.

-მე შევიცან უფრო დიდი ჭეშმარიტება და ახლა ვმსახურებ ერთადერთ ნამდვილ, ცოცხალ ღმერთს, რომელიც არის შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, ყოველივესი, რაც კი არსებობს, - იყო პასუხი.

ეცადა მეფე რაჟდენის დაყოლიებას, მაგრამ ვერ შესძლო ვერც თხოვნით, ვერც მუქარით, ვერც წამებით... ბოლოს, დიდებულთა რჩევით, მცხეთას განუტევა, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის წევრებიც ევედრებოდნენ, გადაერჩინა თავი და ახლობელნი, მაგრამ რაჟდენი უკვე ნათელში იყო. აღარ ესმოდა მას მიწიერთა ვედრება. კვლავაც მრავალი სატანჯველი მიაგეს მას, მაგრამ ყოველი მომაკვდინებელი გვემიდან ჯრთელი და ცოცხალი ამოდიოდა. სპარსელებმა გადაწყვიტეს, ჯვარზე გაეკრათ იგი. ძშვილდოსნებმა შხამიანი ისრებით განგმირეს. ეს მოხდა 457 წელს, სოფელ წრომში.

საეკლესიო გადმოცემა გვამცნობს, რომ ზუსტად იმ დროს, ოდეს წმიდა მოწამე აღესრულა, მოხდა ზეციური სასწაული. მზე მიიმალა და ქვეყნიერებაზე დიდი ხნით ჩამოწვა უკუნეთი... მთელი ღამე თურმე საშინელი გრიგალი ბობოქრობდა და ამ სიბნელეში მხოლოდ მოწამის ცხედარს ადგა ნათლის სვეტი. მცველები შიშმა შეიპყრო და კარვებში შეცვივდნენ. ქრისტიანებმა კი წმიდა რაჟდენის ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნეს და იქვე შირიახლოს, უჩუმრად მიწას მიაბარეს.

წმიდანის საფლავი დიდხანს უცნობი იყო, ვიდრე თვითონ არ უბრძანა მის დამკრძალავ მღვდელს, ვახტანგ გორგასლისათვის ემცნო იგი და დიდმა მეფემ, დიდმოწამე რაჟდენის წმიდა ნაწილები ცხინვალის მახლობლად, ნიქოზის ტაძარში პატივით გადაასვენა.

სახელი „რაჟდენი" „რწმენის ლამპარს" ნიშნავს. ქართული ეკლესია ს ერთ-ერთი პირველწამებული თავისი აღსასრულით, რომ. ღსაც თან ახლდა მაცხოვრის გამოცხადება და ზეციური სასწაულები, კიდევ ერთხელ აღუღაბებს ქრისტიანთა გულებს საყოველთაო აღდგომისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის დღისათვის. იგი გვამტკიცებს რწმენაში, რომელიც აძლევს ადამიანს შეუძლებელის შეძლების უნარს რწმენაში, რომელიც ესოდენ დიდად აკლია დღევანდელ კაცობრიობას, რომელიც გვაკლია ჩვენ, ყველას...

პირველმოწამე რაჟდენის ხსენებას წმიდა ეკლესია აღასრულებს ძველი სტილით 3 აგვისტოს.



წმიდა რაჟდენის საფლავი ნიქოზის ტაძარში



წმიდა დიდმოწამენი - ბიძინა ჩოლოყაშვილი
და ორნი ძმანი - შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

იესო ქრისტეს რწმენისა და საქართველოსათვის ტანჯვით აღსრულებულთა შორის, რომელნიც მრავლად არიან, გამორჩეულად ნათობენ წმიდა მოწამენი: კახეთის მთავარი ბიძინა ჩოლოყაშვილი და ძმები: შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, რომელნიც ეწამნენ შაჰ-აბაზისაგან.

ქართველ კაცს დღემდე ჰზარავს შაჰ-აბაზის სახელის გახსენება. ვინაც არაერთგზის გადასწვა და გადაბუგა აღმოსავლეთ საქართველო, ყველაზე მეტად კი კახეთი. მისი ნოყიერი ბაღ-ვენახებით დამშვენებული მიწა... და ხალხი, რომლის სანაცვლოდ ყიზილბაშების და ელთურქმანების, ანუ ულუსების აქ ჩამოსახლება ეწადა... ეს თავდაპირველად შაჰ-აბაზ პირველმა მოისურვა, მაგრამ ისე ჩაესვენა მისი ამქვეყნიური მზე, რომ ვერ ეღირსა თავისი ოცნების განხორციელებას. მას მეფე თეიმურაზთან ერთად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მთელი მოსახლეობა. არაერთხელ დაამარცხეს და უკუაქციეს იგი, მაგრამ თითქმის ყველა მისი მემკვიდრე მისსავე პოლიტიკას აგრძელებდა.

ეს იყო დრო, როცა ქართლის სამეფო შედარებით წელგამართული იყო. როსტომ მეფემ, ჭკვიანმა და მოქნილმა პოლიტიკოსმა, ქვეყანა დააწყნარა და მოაშენა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი შვილობილი, მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, ვახტანგ V, ანუ შაჰ-ნავაზი. ვახტანგი გონიერი, სამართლიანი და შეუპოვარი მმართველი აღმოჩნდა, მაგრამ პირველ ხანებში, სანამ ხელისუფლებას განამტკიცებდა. მას მაინც განუდგნენ ზაალ არაგვის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი. მათ შორის მტრობა ჩამოვარდა.

ზაალ ერისთავი კახეთის მმართველად დაინიშნა, მაგრამ მას სპარსელები არაფერს ჰკითხავდნენ. ყოველწლიურად ათასობით უცხო ტომისა და რჯულის გადამთიელი იკიდებდა ფეხს კახეთის მიწაზე. ამასთან ერთად, თავიანთი ძალის გასამაგრებლად სპარსელებმა კახეთში სამი ციხე ააშენეს: ბახტრიონის, ალავერდისა და ყარაღაჯის. ქვეყანა თანდათან უცხო ტომის ხალხით ივსებოდა.. დიდი იყო განსაცდელი... მომთაბარე ტომები

ერთიანად სპობდნენ მათთვის უცხო მეურნეობას, ხალხს, ყოველივეს... ბარის გაჩანაგებამ მთიელები მძიმე დღეში ჩააგდო და საბოლოოდ, საერთო მტრის წინააღმდეგ გააერთიანა. ავჯანყება გარდაუვალი იყო. თუშებს სარდლობდა ზეზვა გაფრინდაული, ხევსურებს — ნადირა ხოშარაული. ფშაველთ - გურგენ ჭინჭარაული, წოვა-თუშებს - შველაიძე და საღირაშვილი და სხვა სახელგანთქმული გმირები...

ზაალ ერისთავიც ხედავდა, რომ ურჯულოთა წინააღმდეგ ავჯანყება გარდაუვალი იყო. ამის მოსურნენი იყვნენ მისი სიძე ბიძინა ჩოლოყაშვილი, ქსრის ერისთავები — შალვა და ელიზბარი, ალავერდის ეპისკოპოსი, მთელი კახელი ხალხი და ამიტომ აღარ აშინებდათ შაჰ-აბაზის რისხვა. ასე დაიწყო ქართველი ხალხის ურჯულო მტერთან ბრძოლის კიდევ ერთი გმირული ეპიზოდი.

1659 წელს მთიელები ზეზვა გაფრინდაულის მეთაურობით თავს დაესხნენ ბახტრიონის ციხეს, სწრაფად გადაევლნენ ციხის კედლებს, ალაყაფის მცველი რაზმი ამოწყვიტეს და გარეშემომდგარ ქართულ ლაშქარს ციხის კარი გაუღეს. გზა გაეხსნათ არაგველებსა და ქსანელებს. შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა და ზურაბ არაგვის ერისთავმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს ყიზილბაშები, ხოლო ვინც გადარჩა, ალავერდის ციხისაკენ გაიქცა. ამ დროისათვის ალავერდის ციხეც აღებული იყო. კახეთის ჯარმა, რომელსაც ბიძინა ჩოლოყაშვილი სარდლობდა, მედგრად შეუტია ციხის მცველებს. ირანელები მათივე სიმაგრეში ამოწყვიტა და გაქცეულებს დაედევნა. კახეთის მიწიდან მომთაბარეთა ველურ ურდოებს ქართველები ხმლით შეესივნენ და ისინი საქართველოდან განთესეს. ეს იყო დიდი გამარჯვება, რომელმაც კახეთი დალუპვისაგან იხსნა. იმდენად დიდი და გმირული შემართებით სავსე იყო ეს ბრძოლა, რომ მან შთაგონებით აავსო მთელი საქართველო. შეიქმნა უბრწყინვალესი ხალხური ლექსები... ხოლო მწერლობაში საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი" და აკაკის „ბაში-აჩუკი".

მკაცრად იძია შური შაჰმა კახელებზე ამ მარცხის გამო. ამ ბრძოლის სხვა გმირებთან ერთად მან ავჯანყების მთავარ მოთავეთა - ბიძინას, შალვას და ელიზბარის სპარსეთში ხლება მოითხოვა. იმის შიშით, რომ კახეთი ისევ არ აეოხრებინათ, ისინი ნებაყოფლობით ჩაბარდნენ მტერს. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს დიდი აკაკი "ბაში-აჩუკის" ფინალში:

— საქართველო ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ეჭნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვენი და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება სამეფოს; — ამბობს ელიზბარ ერისთავი.

— ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად, ოფლთან ერთად, ხანდახან წმიდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად. - ამბობს ბიძინა ჩოლოყაშვილი.

— ამინ! — ადასტურებს შალვა ერისთავი და მათ გვერდით დგება. დარბაზს ჟრუანტელი უვლის. ეს არის განწმედის ამაღლებული ჟამი. და ეწირება მათი სისხლი ეროვნების და სარწმუნოების ხეს, როგორც სისხლი ქრისტესი... ირწყვება ეს ხე მათი წმიდა სისხლით და იწმიდება.

უაღრესად შთამბეჭდავია ამ ნაწარმოების დასაწყისი და სიზმარი, რომელიც მთლიანად განაპირობებს მის აზრს და იდეას. სიზმრის შინაარსი ასეთია:

ალავერდის ტაძარს გველეშაპი დაპატრონებოდა. სამჯერ შემოხვეოდა გარს და ეძინა. მისი შიშით ტაძარში ვერავინ შედიოდა. აღარც წირვა იყო და აღარც ლოცვა. ხანდახან გამოიღვიძებდა და პირდაღებული, თვალების ბრიალით ხალხისაკენ წამოსრიალდებოდა. ჩანთქავდა ზედიზედ ადამიანის შვილებს და ისევ იძინებდა, მაგრამ აი, უეცრად გამოჩნდა სამი ერთმანეთზე უკეთესი მეომარი. შეუძახეს ხალხს, გამოაფხიზლეს და ბრძოლის სურვილით აანთეს. მიუახლოვდნენ მძინარს, შეებრძოლნენ. გამოიღვიძა გველეშაპმა, განმძვინვარდა. დაიქანცნენ მეომრები, დაუცვდათ ფარ-ხმალი. ის იყო, იმედიც უნდა გადაწურვოდათ, რომ უეცრად მთიდან თეთრ ცხენზე მჯდომი მხედარი გადმოვიდა. მიეჭრა და ლახვარი უგმირა უწმიდურს. ურჩხულის წივილმა და სიმყრალის ოხშივარმა გონება დაუკარგა ხალხს. როცა კვლავ გაახილეს თვალი, აღარც გველეშაპი იყო იქ და აღარც ის მეომრები. თეთრცხენოსანი მხედარიც წასულიყო. სიჩუმეში ხალიტანიო ზარების რეკვა ისმოდა მხოლოდ. სამრეკლოზეც არავინ იდგა, მაგრამ ტაძარი განათებული იყო, კარი ღია, ყველანი პირჯვრის წერით შევიდნენ შიგ და ნახეს, რომ ის სამი მხედარი აღსავლის კარებთან ესვენა. ამ სოფლით გასულიყვნენ, თავზე ნათლის სვეტი ადგათ და მაღლით გალობა გუნდთა ისმოდა, წმიდათა თანა განუსვენეო.

ამ სიზმარს მღვდელი ნახულობს. აქ წინდაწინვე სასწაულია მინიშნებული. იგივე მღვდელი შეიცნობს ცხადლივ იმ სამი მხედრის სახეში ელიზბარ და შალვა ერისთავებს და ბიძინა ჩოლოყაშვილს, რომელთა სიცოცხლე ეროვნების ხეს ეწირება. განწმედილნი არიან ისინი ამქვეყნიური ცოდვებისაგან. წმიდაა ომი, რომელიც მათ გადაიხადეს. მსხვერპლი კი... ეროვნების ხეს მუდამ სჭირდება მსხვერპლი. უფრო სწორად, ქვეყნად ისევ არიან ადამიანები, რომლებიც სამშობლოსა და ქრისტეს სხეულისათვის გაიღებენ მსხვერპლს. და სადაც ასეთი ადამიანები არიან, ღმერთიც მათთანაა. ურჩხულის მლახვრავი წმიდა გიორგიც ამიტომ მიუძღვება მათ საქრისტიანო ქვეყნის გადასარჩენად.

თავდაპირველად შაჰ-აბაზს არ სურდა მამაცი ქართველი ვაჟკაცების სიკვდილი და სიცოცხლის შენარჩუნებასა და მრავალ ამქვეყნიურ სიკეთეს შეჰპირდა, თუ რჯულს შეიცვლიდნენ და მის სამსახურში ჩადგებოდნენ. მტკიცე უარი განუცხადეს მათ ირანის მბრძანებელს და სამივემ უდრტვინველად მიიღო მოწამის გვირგვინი. ბიძინა ჩოლოყაშვილს უთქვამს შალვა და ელიზბარისთვის: „ძმებო, ნუ მოვდუნდებით, სიკვდილი ჩვენდა დაუკითხავადაც მოგვაკითხავსო". სასტიკი წამებით მოჰკლეს ისინი: ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, მერე მინდორში დაყარეს და საჯიჯგნ-საკორტნად ყვავ-ყორნებს დაუტოვეს. მათი ტრადიციის მიხედვით, ბრბომ აღასრულა ეს განაჩენი. იმავე ღამეს, ბრწყინვალე ნათელი დაადგა წმიდათა გვამებს და ეს ყველა იქ

მყოფმა დაინახა. მორწმუნეებმა იქ, სადაც წამებულთა სისხლი დაანთხიეს, სანთლები დაანთეს. ყველგან ცხადად კაშკაშებდა ნათელი და ისინი, ვინც ეს საკვირველება იხილეს, ადიდებდნენ ღმერთს და იძახდნენ: „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა".

ერთ უმთვარო ღამეს კი, ოდეს ყველას ეძინა. მოპარვით წაიღეს მათი გვამები და ეკლესიაში დაკრძალეს.

გავიდა რამდენიმე წელი. ცოლმან წმიდისა შალვასი, ღვთისმოყვარე ქეთევანმა და ძემან მისმან დავითმა, წარგზავნეს სპარსეთს სარწმუნო კაცნი, იქ, სადაც იყვნენ დაკრძალულნი გვამნი სამთა წმიდანთანი. ამოიღეს საფლავიდან და ნახეს საკვირველება. სამნივე შეერთებულიყვნენ. მაგრამ თავები კი აღარ ჰქონდათ, რადგან ფრანგთა და სომეხთა, იმ ქვეყანაში იმუამად მყოფთა, გაეყოთ და დაეკრძალათ. აიღეს ეს გვამნი და ქართლს ჩამოასვენეს. უამრავი ხალხი მოვიდა იკორთის მონასტერში, რათა ამბორს ეყოთ წმიდანთათვის. ისინი დაკრძალეს ამავე მონასტერში ჩრდილოეთის მხრით, სვეტის ქვემოთ.

საქართველოს ეკლესიამ მოწამენი — ბიძინა, შალვა და ელიზბარი წმიდანებად შერაცხა და მათი ხსენების დღედ 18 სექტემბერი, ახალი სტილით 1 ოქტომბერი დააწესა.

საგულისხმოა, რომ ისინი ბოლო მოწამენი იყვნენ, რომელნიც ჩვენმა ეკლესიამ წარსულში წმიდანებად შერაცხა. ამ მოწამეებმა სამშობლო და ეკლესია მოსისხლე მაჰმადიანთაგან იხსნეს, რის შემდგომაც საქართველომ ცოტა ხნით თავისუფლად ამოისუნთქა.

მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით. მალე ისევ რისხვის ღრუბელი ჩამოწვა ჩვენი სამშობლოს ცაზე... ბოლოს კი რუსეთის მართლმადიდებელმა, ქრისტეს აღმსარებელმა ქვეყანამ და ეკლესიამ თუ არა მეტი, არანაკლები უბედურება მოგვიტანა...

ეპისკოპოსი ლეონიდე ბრძანებს:

ბიძინა, შალვა და ელიზბარი, გატაცებულნი და გამსჭვალულნი იყვნენ იმ მიზნით, რომ თავიანთი აუტანელი წამების დათმენით ცხოველი მაგალითი მოეცათ ჩვენთვის ქრისტესადმი შეუდრეკელი სიყვარულისა, გავემტკიცებინეთ იმ რწმენაში, რომ თუ ქრისტეს ერთგულება გვექნება, ერთი, რომ შევიძენთ სასუფეველსა ცისასა და სულთა ცხონებას: მეორე, ვერავითარი გარეგანი მტერი, თუგინდ, რომ უზომოდ მძლავრიც იყოს ჩვენთან შედარებით, ვერ მოგვისპობს ენას, ვერ წაგვართმევს მიწა-წყალს, ვერ გაგვიწყვეტს ისტორიული არსებობის ძაფს, ვერ დაგვიკარგავს მამა-პაპათა სულიერ სიმდიდრეს, ვერ გაგვანადგურებს, როგორც ერს, ვერ მოგვწყვეტს სამშობლოს გულმკერდიდან. ვერ გარდაგვქმნის ეულად, ვერ დაგვაყენებს მოსპობისა და გადაგვარების გზაზე.



კირიონ II

კათოლიკოს-პატრიარქი

სრულიად საქართველოისა

მრავალ დიდ მოღვაწეთა შორის, რომელთა სახელები შიდა ქართლიდან მთელ საქართველოს გადასწვდა, ერთი განსაკუთრებით გამორჩეული კირიონ მეორეა.

"ცეცხლისა და წამების ალში განწმიდა კირიონმა თავისი სული საქართველოსათვის ტანჯვით, და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება, ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებასო, წერდა მისი სიკვდილის დღეებში გაზეთი „საქართველო".

1918 წლის 26 თუ 27 ივნისს, გამთენიის ხანს, მარტყოფის მონასტერში დიდი ტრაგედია დატრიალდა... მოკლეს საქართველოს ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. კიდევ ერთხელ მოწამებრივი სისხლით შეიღება ქართული ეკლესია და არა მარტო ქართული ეკლესია. ეს დიდი ტრაგედია, რომელმაც იმ არეულ დროში სავსებით შეძრა თანამედროვეთა სული და გული, ჩვენი მრავალნატანჯი ქვეყნის შვილებმა, მისმა ჭირისუფლებმა თავისი მნიშვნელობით ილია ჭავჭავაძის - ილია მართლის მკვლელობის სიმაღლეზე დააყენეს და მდუდარებით დაიტირეს.

მაშინდელ მთავრობას კი (მენშევიკებისას) ხალხის ამღელვარების შიშით, არც უცდია საქმის გამოძიება. არ უძებნია მისი არც ფიზიკური და არც მორალური მკვლელები. ისინი კი არსებობდნენ. და ხალხში განუწყვეტელი მითქმა-მოთქმა ატყდა. ასე ჩაიარა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის დაღუპვამ და ახლა მხოლოდ თანამედროვეთა უაღრესად ძუნწად მოღწეულ მოგონებებში, მაშინდელი პრესის ფურცლებზე დარჩენილ გულისტკივილსა თუ ცრემლიან სტრიქონებში ვკითხულობთ ამ ამაზრზენ ამბავს.

ერთი იმათგანი, ვინც იმ დღეებში (და შემდეგაც) თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და კირიონს მისი დაკრძალვის დღეს ღირსეული სიტყვა უთხრა, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ყოფილა. ეს სიტყვა ჩვენს ჟურნალშიც გამოქვეყნდა (იხ. „ჯვარი ვაზისა", №1, 1988 წ.). ამჯერად კვლავ ვბეჭდავთ მას...

სიტყვა, წარმოთქმული სიონის ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ მეორის ანდერძის აგებაზე

კვირას, 17 ივლისს, 1918 წელს

მშვიდობით თქვენო უწმიდესობავ!

ეს ერთი კვირაა, შენი ანჩისხატი, მთელ მორწმუნე თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დაგქვითინებდა ტყვიით: განგმირულ თავის მამათმთავარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხიდან მოზღვავებულა მთელი საქართველო. - შენი სამწყსო, — რათა მიგაცილოს საუკუნო განსასვენებელ სავანემდე. დაობლებული შენი სამწყსო. ისევ დაქვრივებული ივერიის ეკლესია დღეს საქვეყნოდ მოსთქვამს და ჰგოდებს თვისს ვაებას, თვისს უბედურებასა, თვისს ეგზომ დაცოდვილებას, სამშობლო ქვეყნის გარეშეთაგან გაჭირვებას: ეს შენი საიდუმ-

ლოებით მოცული კუბოც მძიმე ლოდივით ზედ დაგვერთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონებოდეს ჩვენში.

არ ვიცი, შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უზამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსაო, სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარშემებმა, ჩვენმა მტრებმა და ორგულებმაც კი შეიგნეს შენი დიდი პიროვნების ღირსება, ჩვენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დაფასეს შენი გონებრივი და ზნეობრივი ღვაწლი სამშობლოსათვის, ჩვენ კი ვერა...

ვერ გამიგია, რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგდარ, დამშვრალ მხცოვან მოღვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბრძნის ჟამს დაუტკბობენ, განვლილ ტანჯვა-წამებას დაუამებენ და თუ კიდევ სამოღვაწეოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მის სიბრძნე-გამოცდილებით ისევ ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოგექეცით. ჩვენ მხოლოდ უუფლებო კათოლიკოს-პატრიარქად ამოგირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეთმპყრობელად მოგიწოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭე ხელიდგან გამოგტაცეთ!

ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თავხედობა და გულფიცხობა ვაწარმოეთ თვისს მამათმთავრის გარშემო... უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩავუმწარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი გამოვუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ...

განა მხოლოდ კირიონ კათოლიკოზს მოვექეცით ასე? უფრო მეტის სისასტიკით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! წიწამურისა და მარტყოფის ტრაგედია საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ჩვენში დათესილმა ერთმანეთის ჯგუფურმა გადაკიდება-კინკლაობამ შეამზადა. მტრებმა დაგვქაქსეს, ერთმანეთის მტრებად გადაგვაქციეს, საკუთარ ოჯახში შინაური მტრები და ჯაშუშები გაგვიჩინეს და ეს თავზარდამცემი უბედურება თვით ქართველების ხელს გააკეთებინეს... რაღა გვეთქმის ამ შავბნელ ბოროტებაზე? შური, ერთმანეთის მძულვარება და გაუტანლობა დაესადგურა ჩვენ შორის და ეს გვათხრევინებს ჩვენ სამარეს ჩვენივე ხელით. როდესაც ილიას და კირიონს ყიჟინას სცემდნენ უგუნურნი, ჩვენში არ აღმოჩნდა ვინმე, რომე დამაშვრალთათვის ნუგეში ეცათ. მათთვის მოეგერიებინათ უპასუხისმგებლო კალმოსანნი; პირიქით, უფრო ასისიანებდნენ მათ...

ილიას და კირიონს მამულიშვილობა, უანგარობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელნო!.. მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის... დღეს ისევ საქვეყნო სირცხვილში ჩავცვივდით, ქართველნო... ეტყობა ისტორიის გაკვეთილები ისევ ფუჭია ჩვენთვის, ჯერჯერობით მაინც... მაგრამ ღრმად გვწამს საქართველოს ჭირისუფლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ანდერძი: "ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება".

დიახ, „გზა უვალი", კირიონისაგან „თელილი", უსათუოდ დარჩება. ამ გზაზე უკვე დაგვაყენა განსვენებულმა. პირველმა მან შეაშუქა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905, ან 1917 წლებში, როდესაც ქვანიც კი ღაღადებდნენ, არამედ უფრო ადრე, როდესაც სუსხიანი ცარიზმისაგან ყოველი აზრი და იდეა თავისუფლებაზე იყო ჩვენში გაყინულ-გათოშილი; კირიონი კი მაშინაც სთესდა ჩვენში თესლსა კეთილსა. ის შეესწრო კიდეც ამ თესლისაგან ნაყოფის გამოღებასა, მაგრამ თვით კი ვეღარ იგემა თავისი ნამუშევარი. ასეთი ყოფილა ხვედრი ქართველ საზოგადო მოღვაწეებისა და ვერც კირიონი ასცდა თვისს ხვედრს...

არ შემიძლია არ გამცნოთ, საყვარელნო, კირიონისაგან ერთ საეკლესიო წრეში უკანასკნელად წარმოთქმული აზრი ჩვენს ძალთა ურთიერთგანწყობილებაზე: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, ბრძანა განსვენებულმა, შორიდგან თვალყურს გადევნებდით, ვფიქრობდი, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგენით საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქაქსულ ხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია". ასე ნაღვლიანად დაასრულა მან თვისი მწყემსმთავრული მხილება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ „ხელახლა დავიბადებით", როგორც განსვენებულმა გვამცნო. ახალ საქართველოში, მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლდება, გაფაქიზდება ძალთა განწყობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შევძლებთ უკუვაგდოთ აწ დამხობილ მონობისაგან ნაანდერძევი გახრწნილი ზნე-ჩვეულებანი და შეერთებულ ძალღონით სამშობლოს ვემსახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ საყვარელნო, რომ მხოლოდ წმიდა სახარების მცნებებზე აღზრდილი ერია უკვდავი და უძლეველი.

ამ რწმენით მიგაცილებთ, ტანჯულო მამათმთავარო, საფლავის პირზე. აქ, ჭაღარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტს მშობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე, დამშვრალო! აქ მაინც აღარ იქნები „განმარტოებული". აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დავაფრქვევთ შენს წმიდა საფლავს. შენც, უწმიდესო მეუფეო, აქედგან თვალყური გვადევნე, გაგვამხნევე, არ დაგვივიწყო, არ დაგვწყვლო, არ შეგვაჩვენო! პირიქით, შენებურად, დიდსულოვნად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაცოდვილება სიონის ღვთის მშობელს, წმ. ნინოს და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ.

შეგცოდეთ, შეგვინდევ და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამათმთავარო!

ღმერთი იყოს შენი მოწყალე. ამინ!

თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელიაო... უთქვამს მის უწმიდესობას... უაღრესად თანამედროვედ ჟღერს ეს სიტყვები დღესაც... ჩვენც ვიქონიოთ იმედი, რომ ხელახლა დავიბადებით და ჩვენი ერი, რომელიც იქნება აღზრდილი სახარების მცნებებზე, იქნება უკვდავი და ძლიერი...

ეს სიტყვა კი ერთხელ კიდევ გვახედებს ჩვენი სიბნელით მოცული წარსულის (თუნდაც არც ისე შორეულის) თვალჩაუწვდენ უფსკრულში, გვიღვიძებს დაუოკებელ სურვილს, მოვძებნოთ, მოვიძიოთ, უკეთ გავიგოთ, გავიცნოთ ამ დიდი პიროვნების ცხოვრება, მისი დრო.

კირიონი ერთი იმათთაგანია, რომელთა ნიჭიერება და კიდევ, რაც მთავარია, მრავალმხრივი ღვაწლი, თავისი სიმრავლითა და მნიშვნელობით, გაოცებას იწვევს. წარმოუდგენლად გვეჩვენება ერთი ადამიანისაგან ამდენის მოსწრება, ჩაღრმავებით, ჩაკვირვებით, ფანტასტიკური ენერგიით გაწეული შრომა. უჭირდა მის ტანჯულ საშობლოს, იავარქმნილი იყო მისი წარსულის ძვირფასი მოწმენი — საერო თუ საეკლესიო სიძველენი, ხელნაწერები, სიწმიდენი... ბევრზე ბევრი უკვე წაელო ხანძარს, ნიაღვრებს, მტრებს, ქარავნებს.... აქა-იქ -ღა ბუუტავდა წარსულის დიდების აწ უკვე მინავლებული ცეცხლი და იგი ეძებდა, ათბობდა. სულს უბერავდა. კვლავ სიცოცხლისაკენ აბრუნებდა იმ მცირეს, ძვირფასს... მისი ღვაწლით და ზრუნვით საქართველოს გადაურჩა მრავალი უნიკალური ძეგლი. დადიოდა ოჯახიდან ოჯახში და ასე, თანდათან, თავს უყრიდა ერის ფასდაუდებელ საუნჯეს. მას არ დარჩენია საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც არ მოეძიოს ეს სიძველენი. მარტო ერთ ჯერზე არქიმანდრიტმა კირიონმა ქვათახევიდან ჩამოიტანა და თბილისის საეკლესიო მუზეუმს (რომლის გახსნის ერთ-ერთი მოთავე და მოამაგე თვითონ იყო) ჩააბარა 95 ხელნაწერი. ამ ხელნაწერებში, როგორც აღნიშნავდა გაზეთი „ივერია "(1898 წ. 21 აგვისტო, №179, გვ.1) იყო მეთერთმეტე საუკუნის სახარება და მეთხუთმეტე საუკუნის დავითნი. იგი აგროვებდა ძველბეჭდურ წიგნებს, მონეტებს. (მონეტების დიდი კოლექცია მან ასევე გადასცა საეკლესიო მუზეუმს), სიგელ-გუჯრებს, საერო წიგნებს, ჯვარ-

ხატებსა და საერთოდ ყველაფერს. შესწავლილი ჰქონდა მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის, კამენეცპოდოლსკის, ხარკოვის, კიევის, ხერსონის, ორიოლის, კოვნოს არქივებსა, მუზეუმებსა, მონასტრებსა და საჯარო ბიბლიოთეკებში დაცული ყველა ხელმისაწვდომი წერილობითი მასალა საქართველოსა და ქართული ეკლესიის შესახებ. კირიონის შრომები ძირითადად საქართველოს ისტორიის, მისი ეკლესიის კვლევის სფეროს მოიცავს, მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი ძალიან ძნელია. ეს შრომები ძირითადად მონოგრაფიული ხასიათისაა და ეხება თავდაუზოგავ ძიებას საქართველოს წარსულის ამოცნობისა და ამოძიებისა. მათში ზოგი რამ ზოგჯერ იქნებ ტენდენციურადაც გამოიყურება, მაგრამ ძირითადად ძალზე მნიშვნელოვანია. მათი დიდი ნაწილი რუსულადაა დაწერილი. აქაა ნიკოზისა და ვალეს ეკლესიების აღწერები. მასალები ქართველ განმანათლებლებზე, ქართული ეკლესიების აღწერები, ქართული ეკლესიის ისტორია, ცნობები საფარის, მცხეთის, სამთავროს მონასტრების, ზარზმის ეკლესიისა, იქ დაცული ოქრომჭედლობისა და სხვა ძეგლთა შესახებ, ფიქრები ქართული საეკლესიო გალობის საწყისებზე, შენიშვნები თამარაშვილის წიგნზე — „კათოლიკობა საქართველოში", წერილები პლატონ იოსელიანზე, ლაზების წარმოშობის საკითხზე, ციხე-გალავნებისა და ეკლესია-მონასტრების კედლებიდან გადმოღებული წარწერები და მათი კომენტარები. კირიონის არქივში დაცულია ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი „კიევო-პეჩორის მამათა ცხოვრებიდან", „ხერსონის ქართული მონასტერი" (რომელსაც აწერია: „ნე პეჩატატ დო მოეგო უმერტვლენია"), ნაშრომი ვეფხისტყაოსანზე, დავით აღმაშენებელზე, მოთხრობა დავით-გარეჯის ქვაზედ და მრავალი სხვა.

კირიონი იყო პირველი, ვინც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის იბრძოდა; ცნობილი ფაქტია: გასული საუკუნის დასაწყისში რუსეთის სინოდმა ცარიზმის კოლონიადქმნილ ქვეყნის უძველეს თხუთმეტსაუკუნოვან ეკლესიას დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალობა წაართვა, მისი ტაძრების უნიკალური ფრესკები თეთრად გადაღება, კათოლიკოსობა გააუქმა და მის ნაცვლად ეგზარქოსობა დააწესა... ჯვარ-ხატები და ეკლესიის სიწმიდენი გაანიავა, ხოლო თვით ტაძრებში რუსული წირვა-ლოცვა დააწესა... ყოველივე ეს ერის მოსპობა-განადგურებას ნიშნავდა... ამიტომაც იბრძოდნენ ქვეყნის უკეთესი შვილები, მისი ჭირისუფალნი ავტოკეფალიის კვლავ აღდგენისათვის... ცნობილი ფაქტია, ილია ჭავჭავაძე თავისი ფეხით მისულა ამ საქმის გამო მთავარმართებელთან... ხოლო უკვე დაუძლურებულ ეკლესიის მესვეურთაგან, პირველი, ვინც თანამიმდევრულად და თავგანწირვით იბრძოდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, იყო ყოვლადსამღვდელო კირიონი.

„ავტოკეფალიას ნუ მოუყრუეთ ყური: მაგისთანა კითხვა სწრაფად არ სწყდება, ხელსაყრელი გარემოებით უნდა ვისარგებლოთ" — სწერს იგი რუსეთიდან გადასახლებაში მყოფ მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს.

ავტოკეფალიისათვის ბრძოლა კირიონს ერის გადარჩენის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა. მის არქივში, ამ საკითხთან დაკავშირებით მრავლადაა თავმოყრილი ნარკვევები, მოხსენებები, პეტიციები, ისტორიული ცნობები, სხვადასხვა პირთა მოსაზრებები, აქტები და თვით მისი მეცნიერული ნაშრომები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია: ქართული ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა XIX საუკუნის დასაწყისში, ქართული საეკლესიო გალობა, მართლმადიდებელი საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი ბრძოლა მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული პრინციპი ეკლესიაში და სხვა და სხვა.

ავტოკეფალია მის მშობლიურ ეკლესიას 1917 წლის რევოლუციამ მოუტანა... 100 წლის მონობის შემდეგ ჭონებრივად და თვით ნეობრივადაც გაღატაკებული ქართული ეკლესია თავის უფლებებში აღსდგა. ეს ბედნიერი დღე 12 მარტს, სვეტიცხოვლის ტაძარში გაცხადდა; ხოლო ამავე წლის 17 სექტემბერს სრულიად საქართველოს ავტოკეფალიაადგენილი ეკლესიის პირველ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონი.

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის ფონდში ინახება კირიონის ერთი სიტყვა, რომელიც მას თედო ჟორდანიას საფლავზე წარმოუთქვამს 1917 წლის 21 ოქტომბერს. ამაღელვებელია ეს სიტყვა:

"ძმაო, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო თედო!

ექვსი წელიწადი ვსწავლობდით სემინარიაში ერთად და შემდეგ აკადემიის გათავებისა სხვა და სხვა ასპარეზზედ მოგვიხდა სამსახური: შენ საყვარელ სამშობლოში, მე კი უცხოეთში. აქედან იწყება ჩვენი მოღვაწეობა სამშობლო ეკლესიის აღსადგენად. ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზე მხოლოდ ჩურჩულით შეგვეძლო ლაპარაკი. გამოგვიჩნდა რუსეთში ღვთისნიერი და პატიოსანი ადამიანი ნ.ნ. დურნოვო, რომელიც ქადაგებდა უშიშრად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოვუდექით მას გვერდში და შევუდექით საქმეს. არავის არ ეგონა, რომ დურნოვო რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ მე ჩემი გვარი (სამაგლიშვილი) რუსულად გადავსთარგმნე და მე მაწერდნენ ამის ცხელ-ცხელ სტატიებს. 32-33 წელიწადი ვიღვაწეთ ერთად და აი, ვეღირსენით იმას, რასაც მოუთმენლად მოელოდნენ ჩვენი წინაპარნი. შენ, ერთგულო მამულიშვილო, ისე ჩახველ საფლავში, რომ ვერ გაიგონე თავისუფლების ზარი, მაგრამ გვწამს, რომ შენი სული ჩვენთან ერთად არის დღევანდელ დღეს: შენც გედო მცირე ღვაწლი ამ საქმეში. შენც შეგასვეს ფიალა სიმწარისა.

იყო ერთი მორწმუნე კაცი, რომელიც 70 წელიწადი მეტი იყო საჩივარში, რომ დაებრუნებინა თავისი სასაფლაოს საგვარეულო ეკლესია. მოხუცდა და იგრძნო რა, რომ მის სიცოცხლეში საქმე ვერ გათავდებოდა, ანდერძად დააგდო, საფლავში ჩაეძახნათ მისთვის საქმის დაბოლოება. თხოვნა აუსრულეს. მეც ამ მორწმუნე მოხუცის ანდერძის მიბაძვით ჩამოგძახებ საფლავში: გიხაროდეს, ერთგულო მუშაკო... ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა. აღსდგა კვლავ საქართველო, აუწყე ჩვენს წინაპარათა, რომ ვსუნთქავთ თავისუფალ ეკლესიაში, მაგრამ კიდევ დიდ გაჭირვებას განვიცდით. დაგვეხმარონ თავისი ლოცვითა და მეოხებითა. ჩვენც, ძმანო, მაგრად ვსდგეთ ჩვენს თავისუფალ ეკლესიაში და ვეცადოთ, ჩვენი სამშობლო ეკლესია კვლავ ისევ აყვავდეს, როგორც უწინ ბრწყინავდა ჩვენს წინაპართა დროს. ღმერთო შენით! ამინ. (11245-6 ეპისკოპოს კირიონის ფონდი).

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის წერილებიდან შიდა ქართლში მოსახლე ოსების რწმენა-წარმოდგენების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „მწყემსში".



ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში

ქრისტიანობის თესლი გარდავიდა ოსეთში ძალიან ადრე, თითქმის პირველ საუკუნეშივე. კავკასიაში მაშინ ქადაგებდნენ წმ. მოციქულნი: ანდრია პირველწოდებული, თადეოზი, სვიმონ კანანელი და ბართლომე. წმ. ანდრიამ დაიარა თითქმის მთელი კავკასია და მოასჯულა მრავალი რიცხვი სვანებისა, აფხაზებისა, ოსებისა და სხვ. ოსეთში ანდრია მოციქული გადავიდა სვიმონ კანანელთან ერთად. აქ, ქალაქ ფოს-ტაკორში მათ თვისი ქადაგებით მოარჯულეს რამოდენიმე ასი კაცი, გარდა ამისა, მდ. ეფრატზე ცხოვრობდნენ ოსები, რომლებიც გარდასახლდნენ თავის მეფის ასულის საფინინგთან ერთად. ეს უკანასკნელი იყო სომხების მეფის სუმბათის მეუღლე. სომხეთში მაშინ ჰქადაგებდნენ მოციქულნი თადეოზი და ბართლომე, რომლებმაც სხვათა შორის, მოარჯულეს აქაური ოსებიც. გარდა ამ ორი ფაქტისა, ბ. საბინინი ამბობს თავის ისტორიაში, რომ ეხლანდელი ოსები ჩამომავლობით არიან ძველი უჟიკნი, რომლებსაც იხსენიებს წმ. მოციქული ლუკა წიგნში „საქმე მოციქულთა" (საქ. მოც. 8. II-9). მცხეთელი ურია ელიოზი რომ მიდიოდა იერუსალიმშიო, თან მცველებად ოსები წაჰყოლოდნენო. იერუსალიმში ოსები სხვებთან ერთად ყურს უგდებდნენ მოციქულთა ქადაგებას და მიტომ ქრისტეს სჯული მიიღესო. შემდეგ ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდა ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო. აი, ეს ორიოდე ფაქტი, რომლებიდანაც მტკიცდება, რომ ოსებს პირველ საუკუნეშივე მიუღიათ ქრისტიანობა. მაგრამ თანდათან ოსებმა რადგანაც მათ მღვდლები არა ჰყავდათ, დაივიწყეს ქრისტიანობა, მით უფრო, რომ მეოთხე და მეხუთე საუკუნეებში ოსეთი აოხრებული იყო სხვა და სხვა ბარბაროსთაგან: ხუნძებისაგან, ავარელებისაგან და სხვ. ამიტომაც მკრთალი ლამპარი სახარების სწავლებისა ოსეთში თან-და-თან სუსტდებოდა და სულაც გაჰქრებოდა, თუ რომ VI საუკუნეში ოსები ბიზანტიის იმპერატორის ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა და იუსტინიანე II-მ დაიპყრეს ოსეთი და დანიშნეს აქ მისიონერები, რომლებიც ავრცელებდნენ ქრისტიანობას. მაგრამ ბერძნების მისიონერებს უშლიდნენ სპარსელები, რომლებსაც მაშინ საშინელი ჩხუბი ჰქონდათ ბიზანტიელებთან. მაინც ეტყობა, რომ ბიზანტიელებმა ძალიან გავლენა იქონიეს ოსებზე. ოსები იუსტინიანეს წმიდათ თვლიან და „იუსს" უძახიან. ჩრდილოეთის ოსეთში იმყოფება ერთი ძველი ეკლესია, რომელსაც ოსები უძახიან „იუსგუარს " (იუსის ანუ იუსტინიანეს ეკლესიას). ქრისტიანობის გავრცელებამ ოსეთში იპოვა დაბრკოლება ჯერ არაბებში, რომლებიც შემოესივნენ აქ VIII საუკუნის დასაწყისს და შემდეგ 728 წ., ხაზარებში, რომლებიც მაშინ შევიდნენ აზიაში და დარიალის ხეობიდან გარდავიდნენ კასპიის ახლო-მახლო მინდვრებში. ამის შემდეგ ბერძნების მისსიონერებმაც შესწყვიტეს თვისი მოქმედება და ოსეთმა 931 წ. სულ მთლად ქრისტიანობა დასტოვა. მაგრამ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმათ ქრისტიანობაზე წარმოდგენა აღარ ჰქონდათ. არა, ამ დროიდან ქრისტიანობა და კერპთმსახურება აირივნენ ერთმანეთში და ოსები აღარც ქრისტიანები იყვნენ და კრიტიკულად რო გავსაჯოთ - არც კერპთმსახურები. იმ ეკლესიებს, რომლებიც იუსტინიანე I-ის სახელზე იყვნენ აშენებულნი, ოსები წმიდა ალაგად სთვლიდნენ და უძახოდნენ: „ძუარს". მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ზემოდ მოხსენებულ მიზეზებისა გამო, ოსებმა ქრისტიანობა დასტოვეს 931 წელს, რომელიც აღნიშნულია „ისტორიკო-ქრონოლოგიურ დღიურში". 931 წლიდამ დაწყობილი, ვიდრე თამარ-დედოფლის გამეფებამდე, ოსებში ქრიატიანობის გავრცელებას აღარავინ ზრუნავდა. მაგრამ თამარ-მეფემ იხმარა ყოველგვარი საშუალებანი, რომ ოსებში ქრისტიანობა კვლავ აღედგინა. იგი აშენებდა მრავალ ეკლესიებს და ჰგზავნიდა აქ ქართველ მისსიონერებს, რომელთა შემწეობითაც ქრისტიანობა ისევ მალე გავრცელდა. ამჟამად „თამარ-დედოფლის" დროის ეკლესიები (რიცხვით ოცდა ათამდე) სულ მთლად დანგრეულნი არიან, გარდა ნუზალის მონასტრისა, რომელზედაც უკვე გვილაპარაკნია. XVI და XVII საუკუნეებში ოსეთს შემოესივნენ ყაბარდოელები, ხანგრძლივის ომების შემდეგ ოსებმა მიჰმართეს ქართველებს, რომ მათ რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ მათთვის, მაგრამ საქართველო მაშინ თითონ აოხრებული იყო სპარსელებისაგან და მისი ბედი ბეწვზე ეკიდა, მაშასადამე, მას ვერ შეეძლო აღმოეჩინა ოსებისათვის რაიმე შემწეობა და თითონ ქართველები შემწეობას რუსეთსა სთხოვდნენ. ამისა გამო, ყაბარდოელებმა დაიპყრეს ჩრდილოეთის ოსეთი და აქ მაჰმადის სჯული გაავრცელეს. მაგრამ ქართველ მეფეთა თხოვნისა გამო, რუსებს ჰქონდათ ხოლმე ქართველებთან კავშირი; ამიტომ ოსეთთანაც, რომლის რაოდენიმე ნაწილი 1771 წლიდამ რუსეთის მფარველობასა ქვეშე იმყოფებოდა. 1744 წ. ჩრდილეოთ ,ს ოსეთში დაარსდა ერთი საზოგადოება, რომლის ვალიც იყო ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში, მაგრამ 1769 წელს ყაბარდოელებმა დაანგრიეს მისი კანცელარია და თვით საზოგადოებაც გაუქმდა. 1771, ვიდრე 1792 წლამდე ოსეთში, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ (ბ. ლავროვი) 6600 სულზე მეტმა მიიღო ქრისტიანობა. 1745 წ. იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულმა გამოგზავნა ოსებში რუსის მისიონერები. იმავე წელს დაარსდა ქ. მოზდოკში „ოსური სასულიერო კომისია", 1793 წლიდამ ამ კომისიის თავმჯდომარედ იყო გაიოზი, მოზდოკის და მაჭარის ეპისკოპოსი, რომელმაც პირველად შეადგინა ოსური ანბანი. 1814 წ. კომისია გარდატანილ იქნა ქ. თბილისში არხ. დოსითეის თავმჯდომარეობით. 1850 წლამდე ხსენებულმა კომისიამ აღაშენა თორმეტი ეკლესია სამხრეთ ოსეთში და ათიც ჩრდილოეთ ოსეთში (სს. დარყავსში, სუდაგში, ზრამაგაში, დაღომში და სხვ.). ერთ შესანიშნავ მოღვაწეთა შორის ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებისა უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, არხიმანდრიტი იოსები (აწინდელი ვლადიკავკაზის ეპისკოპოსი) 1860 წ. „ოსური სასულიერო კომისია" გაუქმდა და მის მაგიერ დაარსდა კავკასიაში „მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება". ამ წლიდანვე მრავალმა მოღვაწე პირმა (არხ. იოსებმა, დეკ. კოლიევმა და სუხიევმა, მღ. ალავიკოვმა, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ბ.ვ. ა. ცორაევმა, იმავე სემინარიის მოწაფემ მ. ჩოჩიაშვილმა და სხვ.) იწყეს საღმთო წიგნების ოსურ ენაზე გადათარგმნა.

საღმრთო წიგნების გადათარგმნა ოსურ ენაზე

როდესაც დაარსდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება", ე.ი. 1860 წელს, მრავალმა პატივცემულმა პირებმა დაიწყეს საღმრთო წიგნების ოსურ ენაზე გადათარგმნა; მაგრამ წინადაც იყო გადათარგმნილი ოსურ ენაზე რამდენიმე საღმრთო წიგნი. პირველი შრიფტი, რომელიც ოსეთში შემოღებული იყო მეცხრამეტე საუკუნემდე, იყო ქართული მხედრული (ცნობა ამ საგანზე იხილ. „დროება" 1883 წ. №199), რაიცა მტკიცდება მრავალგვარ წარწერებითა ეკლესიებში, სხვათა შორის, ღვაქსითაც, რომელიც ნუზალის მონასტერში იყო წარწერილი ქვაზე და სხვ. (იხ. მწყემსი №2). 1820 წელს ერთმა ოსთაგანმა იალღუზიძემ, რომელმაც თბილისის სასულიერო სემინარიაში დაათავა კურსი, შემოიღო მხედრულის მაგივრად ხუცური და გადათარგმნა წმ. იოანე ოქროპირის ლიტერატურა ოსურ ენაზე. წიგნაკი გაყოფილია ორ ნაწილად. ერთზე ასამაღლებელნი და საგალობელნი იყვნენ ქართულ ენაზე, მეორე გვერდზე — ოსურ ენაზე. ამ თარგმანს ხმარობდნენ ახლად აშენებულ ოსეთის ეკლესიებში მაშინდელი ენერგიული მისსიონერნი „ოსური სასულიერო კომისიისა" ილურიძე, სამარგანოვი და სხვ.

1840 წელს პეტერბურღში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „დავითნი" ოსურ ენაზე, რუსულ შრიფტით. თარგმანი ეკუთვნის პატივცემულ ანდრია შეგრენს — როგორც აკადემიის წევრს. საუბედუროდ, ეს ერთად ერთი თარგმანი დავითნისა სრულიად მოკლებულია ღირსებათა. აქ ოსურ კონსტრუქციის მაგივრად ხმარებულია რუსული, ამასვე დაუმატეთ ისიც, რომ რუსული ასოები სრულიად არ აკმაყოფილებენ ოსურ ენის გამოთქმის წესებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ მისას ოსები ვერას გაიგებენ.

როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოიღეს ოსური ენის სწავლება, მაშინ საღმრთო წიგნების ოსურ ენაზე თარგმნის საქმე უფრო კარგად წავიდა. სემინარიაში ოსები ბევრნი სწავლობდნენ; ამასთანავე, მასწავლებლებიც (ჭონქაძე, მჭედლოვი და ცორაევი) განვითარებულნი იყვნენ ამ საქმეში. ესენი თავის მოწაფეებს ათქმევინებდნენ ხოლმე სემინარიის ეკლესიის კათედრიდამ ქადაგებებსა ოსურ ენაზე და, გარდა ამისა, ურიგებდნენ რომელიმე საღმრთო წიგნიდამ რაოდენიმე თავსა გადასათარგმნად და წიგნი შემდეგ მთლად იბეჭდებოდა. თვით მასწავლებელს პატ. ვას. ცორაევს ეკუთვნის მშვენიერი ენით გადათარგმნილი სახარება, კათოლიკე ეპისტოლენი მოციქულთა და სხვ. გარდა ამისა, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას" ძალიან შველოდნენ ამ საქმეში მღვდელნი: ელაჯიკოვი და სუხიევი, რომელთაც გადასთარგმნეს მოსეს წიგნნი. დეკანოზმა ელლიევმა გადასთარგმნა იოანნე ოქროპირის, ბასილი დიდის და პირველშეწირულთა წირვანი, საღამოს ლოცვა, კურთხევანი და გადასთარგმნა ზოგიერთი წიგნები.

ჩვენ შემდეგში ვეცდებით ამ საგანზე ვრცლად მოველაპარაკოთ მკითხველებს.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩვენს მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

თუმცა კარგა ხანია, ჩვენს საერო ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა სხვა-და-სხვა ცნობები მღვდლების უქმადყოფნის შესახებ, მათ საქმის უნაყოფობაზედ და უკანონოდ ქცევაზედ, მაგრამ თუ კარგად გავსინჯავთ, საღის ჭკუით დავაკვირდებით მათ მოქმედებას და გამოვიკვლევთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მომეტებული ნაწილი თავის მოვალეობას სინიდისიანად ასრულებს და იმათი მოქმედება და მეცადინეობა უნაყოფოდ არ მიდის. ამის გამო არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს მკითხველი საზოგადოებისა ზოგიერთ იმისთანა საქმეებზედ, რომლებიც ბევრს რასმეს ამბობენ გამკეთებლების სასარგებლოდ და უწვენებენ წასაბაძ თვალსაჩინო მაგალითს ყველას, ვისაც კი სურს თავისი მოვალეობა სინიდისიანად აღასრულოს. აი, საქმე რაში გახლავთ: ყველას მოეხსენება, რომ სოფელ რუისში არის უძველესი ეკლესია, რომელიც უწინ, ამ ოთხმოცის წლის წინეთ, მროველ ეპისკოპოსების კათედრად ითვლებოდა. ეს ეკლესია, შეუწყნარებელის ჟამთა ვითარებისა გამო, თან-და-თან მიეცა უძლურებას და კინაღამ სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ჩვენთვის სასიქადულო ერთს ღირსეულ ნაშთთაგანს, რომ ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია ადგილობრივ მღვდელს — ბლაღოჩინს მ. იოანნე ინაევს. ეს საკვირველიც არ იყო. მით უმეტეს, რომ ეს ეკლესია, როგორც ვიცით, აღშენებულია მეექვსე საუკუნეში და შემდეგში რამდენჯერმე მტრის ხელისაგან შემუსვრისა, იყო ბოლოს განახლებული, როგორც სჩანს „ქართლის ცხოვრებიდან", საქართველოს მეფის ალექსანდრესაგან, რომელიც სცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს (1414-1442 წ.) და რომ ის ეკლესია მართლა უნდა ყოფილიყოს რამდენჯერმე დანგრეული და განახლებული. ამას ცხადად გვიმტკიცებს გარეგანი მისი შეხედულებაც. მისი მეცადინეობით და შემწეობით მოხდა ამ მშვენიერის ტაძრის განახლება; ეს არის საგანი ჩვენის კორრესპონდენციისა. მ. ინაევი გადმოყვანილ იქნა თუ არა ამ სამის წლის წინეთ სოფ. რუისში და რა იხილა ეკლესიის საშიშარი სიძველე, მაშინვე შეუდგა წყაროს აღმოჩენას მის განახლებისათვის; ეს წყარო იყო და არის ხალხი. მ. ინაევმა გონივრულის მეცადინეობით და რჩევით მიაქცია თავის სამწყსოს ყურადღება ეკლესიისადმი, აუხსნა, თუ რა მოელოდა შემდეგში იმ ეკლესიას, რომელშიაც მათი წინაპარნი ევედრებოდნენ ღმერთს. ამნაირმა დარიგებამ, რასაკვირველია, იმოქმედა: ხალხმა ერთხმად გადასწყვიტა ეკლესიის განახლება და შემდეგ ყოვლად

ქვემო ნიქოზი

ეკლესიის ნანგრევები ქვემო ნიქოზში



ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია

უსამღვდელოესის არქიეპისკოპოსის პავლესაგან ლოცვა-კურთხევის მიღებისა, შეუდგნენ საქმეს და ორი თვის განმავლობაში დააგებინეს ახალი სახურავი, გაალესინეს, საცა აკლდა შიგნით და გარეთ, შიგნითი გული შეაღებინეს თეთრად ცარცით და მოაჯირი წითელის წამლით და გააწმენდინეს ზეთით ის უძველესი და მშვენიერი კანკელი, რომლისთანაც ჩვენდა საუბედუროდ, იშვიათადღა მოიპოვება ჩვენს ეკლესიებში. არ შეიძლება მადლობა არ უძღვნას კაცმა ზემოთ მოხსენებულობის გარდა ნინა კონსტანტინეს ასულ მამაცოვისას, ნატალია დავითის ასულს მამაცოვისას და ნატალია გაბრიელის ასულს მანძიელისას, რომლებმაც აღმოუჩინეს ფულით შემწეობა ამ წმიდა საქმეს: პირველმა 400 მან. და უკანასკნელთ თითომ 25 მ. შემწირველობით; ადგილობრივ პრიჩეტნიკს მ. ბათიევს და აგრეთვე გლეხებს ალექსი გურასპაშვილს და გიორგი ახალკაცს, რომლების განუწყვეტელი თვალყურის ჭერით და მეცადინეობით უფრო მკვეთრად და იაფად დამთავრდა ეს მძიმე საქმე.

ჩვენს წინაპარს ყოველ ნაბიჯზედ უშენებია ტაძრები თავის ციხე-გალავნებით და ჩვენ იმათ წარმომადგენლებს არამც თუ ახალი იმისთანა არა აგვიშენებია, არამედ მათ მოსაგონებლად დატოვებულ ნაშთებისთვისაც კი ვერ მოგვივლია. ამის მიზეზი რა გახლავთ? ის, ჩემო ბატონებო, რომ ჩვენი გამზედაობა და მეცადინეობა, ცოტა არ იყოს, გვაკლია. საჭიროა, ჩვენი კეთილის მაგალითით ხელმძღვანელობდნენ საზოგადო საქმის და მოვალეობის აღსრულების დროს; მაგალითიც თვალწინ არის: ვეცადოთ ყველა, რომ ვის ხელთაც არის, ამნაირად განვაახლოთ ჩვენი ის ტაძრები, რომლების ეხლანდელი მდგომარეობა ტირილს მოჰგვრის კაცს.

დღეობა მაღალ-ძუარში

... ზაფხულის ძლიერმა სიცხემ მძიმე ავად გამხადა. დატრიალდა მაშინვე დედაჩემი. „არიქა, ჩიტო, მკითხავთან აირბინე, თორემ დავილუპე!, უთხრა მან ბიძაჩემს, რომელიც მაშინათვე გაექანა „ბირაღა-მკითხავთან". საღამო ხანი იყო, როდესაც ჩიტო დაბრუნდა და გვიამბო შემდეგი: „ძალიან გაწყრა ბირაღა, რატომ მაღალ-ძუარში (რომელიც ოსეთის შუა ადგილს იმყოფება) არ დადიხართო?!... ეხლავე მოემზადეთო, იშოვეთ ბატკანი, ზარი და ეხლავე გაემგზავრეთ მაღალ-ძუარშიო". მეტი ღონე აღარ იყო, ან როგორ შეიძლებოდა მკითხავის ბრძანება არ აგვესრულებინა?! მესამე დღეს, როდესაც უფრო კარგად შეეიქენი, გავემგზავრეთ ცხენებით დანიშნულ წმიდა ალაგას. ჩვენი გზა მიდიოდა ლარსის და გუდისის მაღალ მთების წვერებზედ. ეს მთები ეკუთვნიან მაჩაბლებს და ერისთავებს, რომელთ ცხვარიც აქ მაშინ საძოვრად იყო. ლარსის მთაზე ჩემმა თანამოგზაურებმა მაჩვენეს ერთი ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც უძახოდნენ „მიქელ-გაბრიელს". ეს ეკლესია, როგორც ოსები ამბობენ, თამარ დედოფალს აუშენებია. აქვე „მას ჟამსა შინა" იმალებოდა სომხების ბატონიშვილი თაგაური, რომელიც თავის ძმებს გამოექცა ოსეთში. გზაზე, აგრეთვე, მაჩვენეს ქვით აშენებული ქოხები, რომლებშიაც რკინის დაწყვეტილი საკიდებლები ეწყო. მითხრეს, ეს, მეხი რომ ჩამოვარდნილა, იმისაგან დარჩენილა და აქ ყოველ წელს ოსები მსხვერპლს მოუტანენ ხოლმე ვაჩილლასაო (ომის, ელვის და ქუხილის ღმერთს). როგორც იყო, საღამომდის ჩვენ ავედით სოფ. სუაჩხერში და ერთ ოსის სახლში დავდექით. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჩვენთან ერთი ჩვენი ნათესავთაგანი და გვითხრა: „წამოდით სხვაგან, თორემ ამათთან მდევები დადიანო და საშიში არისო", მაგრამ მე უარი ვუთხარი, დავრჩი იმ ღამეს იქ და ყურს ვუგდებდი ქალების ლაპარაკს მდევებზე...

მეორე დღეს უნდა ავსულიყავით ძალიან მაღალ მთაზე, რომლის წვერზედაც აშენებული არის ეკლესია (ძუარი). ავედით თუ არა მთის ერთ წვერზე, ყველამ დავიხადეთ ფეხსაცმელები და მთის მეორე წვერზედ უნდა გავსულიყავით. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ეკლესიის მაგიერ დავინახე ქვით აშენებული პატარა ქოხი, რომელიც გარშემო შემორტყმული იყო აბრეშუმის ძაფებით. ქოხთან იდგა ერთი მუხის ხე, რომელზედაც ასამდე ზარი ეკიდა. მუხასთან იდგა „დეკანოზი", ხალხისაგან ამორჩეული, (რომელსაც ერთ ხელში ეჭირა ჯიხვი ლუდითა და მეორეში — ხაბიზჯინა-ხაჭაპური) და ყველას, ვინც კი მიდიოდა მასთან, ჰლოცავდა. უკანასკნელს უნდა შეეტანა თავის მხრით ფული დეკანოზისთვის. „ოქროს ძვერიანო ვასჯირეჯი, რომელიც ბრძანდები ირონისტანის სამზღვარში, ბურსამძელის მაღალ წვერზე, უწყალობე შენ მონებსაც", ასე ამბობდა „დეკანოზი" ყველაზე, ვინც კი მივიდოდა მასთან დასალოცავად... ძალიან საკვირველ მოვლენას შეადგენს ოსეთში ყოველ წლივ სალოცავებში სიარული. აქ მაგალითად იმყოფებიან სოფ. მეკვრიხევიდამაც, რომელიც ოთხმოც ვერსტზე შორ არის ზემოხსენებულ სოფლიდამ.

ამ ეკლესიაზე ოსეთში ითქმის მრავალი ლეგენდა, ვითომც ვასჯირეჯის უწინ აქ ეცხოვროს და სხვ. ამ ძუარს, როგორც მითხრეს, ძალიან შემოსავალი ჰქონია. სოფ. სუაჩხერში ერთი კაცი იმიტომ გაგიეებულაო, რომ ამ ძუარიდამ მრავალი ოქრო და ვერცხლი წამოიღოვო. საზოგადოდ ამისთანა „ძუარებს" დიდი მნიშვნელობა აქვსთ ოსეთში.

ეკლესიის ნანგრევები ოსეთში

... სხვა კავკასიის მხარეთა შორის ყველაზე უმდიდრესია ეკლესიების ნანგრევებითა ოსეთი (საუბარია შუა ქართლზე. რედ.), რომელიც არ ჩამორჩება ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთს, თუ არ ამჯობინა მას. ეკლესიების ნანგრევებს ოსეთში ეძახიან „თამარ დედოფლის" ნაშენებს და ეს აგრეც უნდა იყვეს. რადგანაც ეკლესიების აშენება უნდა მიეწეროს XII საუკუნეს. ეხლანდელი ეკლესიებიც, რომელნიც აშენებულნი არიან „ოსური სასულიერო კომისიის", ანუ კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, გაშენებულნი არიან ისევე „თამარ დედოფლის" დროს ეკლესიების ნანგრევების ადგილას და მაშასადამე, XII საუკუნეში აშენებულნი ეკლესიანი ოსეთში XVIII საუკუნეში წარმოადგენდნენ-ღა მხოლოდ ნანგრევებს: რა იყო მიზეზი ამ ეკლესიების დანგრევისა, როდესაც აქ განუწყვეტლად ჰქადაგებდნენ ქართველი მისიონერები - ამაზე დარწმუნებულად პასუხი არ შეიძლება რომ სთქვას კაცმა. თვით ოსებთან ზოგი ამბობს, რომ ეკლესიების დანგრევა მიწისძვრისაგან მოხდაო, მაგრამ უფრო დასაჯერებელია ხალხის ის აზრი, ვითომ ეკლესიები დაენგრიოთ ლეკებს (ანუ, როგორც მე ვფიქრობ, ყაბარდოელებს, რომელთაც XVII საუკუნეში ჰქონდათ ძლიერი ომი ოსებთან, რომელნიც დამარცხებულნი დარჩნენ). მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, მაინც ამ ეკლესიის ნანგრევებში მარხია მრავალი რამ, მით უფრო, რომ როგორც ყველა ოსები ერთხმად ამტკიცებენ, მათი მამა-პაპანი შიშიანობის დროს ინახავდნენ თავიანთ სარჩოს — ფულს, იარაღს და სხვა ძვირფას ნივთეულობას სალუდე ქვაბში, რომელიც იმარხებოდა ეკლესიების გალავანში. რომ მართლა ქვაბებს მარხავდნენ მიწაში ოსები ძველ დროს, ამას ამტკიცებდნენ მრავალნი, რომელთაც თავის თვალით უნახავთ მიწაში ქვაბის ყურები და რომელიც ახლა, ალბათ, დაფარულნი არიან ფოთლისაგან (ოსეთში ეკლესიები სულ ტყიან ადგილას ყოფილან გაშენებულნი). ამჟამად არხეოლოგიურ ნივთებს სძებნის ჩრდილოეთ ოსეთში მარტო ერთი პირი ბ. შანაევი და სამხრეთ ოსეთში — არც ერთი. ეს იმის მიზეზია, რომ ოსები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მათ ეკლესიების ნანგრევების (ანუ „ძუარების", როგორც თვითონ ოსები უწოდებენ) ახლო არ გაიარონ, არამც-თუ სთხარონ სხვა და სხვა ნივთების საპოვნელად. ამ მიზნით, ეკლესიების ნანგრევს ოსები დაუნიშნავენ ხოლმე „დეკანოზსაც". ეკლესიების ნანგრევები ოსეთში მრავალია. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამოდენსამე ძუარს: სოფ. ორტევში, ეგრეთ წოდებული „უქეთი", ანუ „უჩეთ"; სოფ. მიფარეთში — „ხასდამ ძუარ"; ს. გუდისში — „მიქელ-გაბრიელ"; ბურ-საბძელის მთაზე — „სირხი ძუარ"; სოფ. ლიწში — „ურს-ძუარ"; სოფ. ვანელში, კურჯითაში და ჩიკრანში — „ვასჯირჯი ძუარ" და მრავალნი სხვანი.

დიდად სასურველია, რომ შესდგეს კომისია (თუნდ სოფლის მასწავლებელთა), რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება ზაფხულში ამოიყაჭოს მიწიდან ჩვენ მამა-პაპათა განძი, რომელიც სხივს მოჰფენს ჩვენს წარსულს...

ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია, პირველ ყოვლისა, განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ განცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და მრჩობლ ვიღწვოდეთ საერთო წარმატებისათვის.

... ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას, ის იყო დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნულ დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო; გასაჭირის დროს ჭუდზე კაცი გამოდიოდა ოჯახიდან და საქართველო თავზარს სცემდა თავის მტრებს.

თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას, ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს გამტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი.

კირიონ II
კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა

ეპისკოპოსი გაბრიელი

მოძღვრება
თქმული ოსთადმი კუდაროს ხეობის ეკლესიაში

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა

მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! თქვენ, ამ ხეობის მცხოვრებნო, შეწევნითა, მადლითა და მოწყალებითა ღვთისათა ახლა ხართ ქრისტიანენი მართლმადიდებელნი. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ღმერთმა მოგცათ თქვენ განათლება ქრისტეს სჯულითა და ზოგნი თქვენგანნი ახლაც არ არიან მონათლულნი, გარნა მამანი თქვენნი უწინდელს ძველს დროებაში ქრისტიანენი იყვნენ და მართლმადიდებელნი. ეს კარგად იცით თქვენცა ყოველთა. ის ძველი ეკლესია, რომელსაც თქვენ ხედავთ მახლობლად ამ სოფლისა, და რომლისა თქვენ ესოდენი შიში და მორჩილება გაქვსთ, რომ ყოველთვის შესწირავთ მსხვერპლსა, და რაც შესაწირავი შედის, ფულით ანუ ნივთით, ვერავინ ვერ გაბედავს ხელი ახლოს. თუმცა არც კარი აქვს ახლა იმ ეკლესიას, არც კლიტე, და არათუ იმ ეკლესიაში, შიგნით, არამედ, რაც გარემოს იმ ეკლესიის ხეები არის, ვერვინ ვერ გაბედავს ხელი ახლოს და იქითგან გამოიტანოს რაიმე. ეს ძველი ეკლესია კარგად გაჩვენებს თქვენ, რომელ აქ ძველთაგანვე იყო ქრისტიანობა; მამანი თქვენნი ქრისტიანენი იყვნენ. როგორ მოხდა, რომ ქრისტიანობა თქვენს შორის მოისპო მერმედ? ეს მოხდა ცუდი დროებისაგან; ამ მთებში, აგრეთვე მთელს იმერეთში და საქართველოში იყო აღრეულობა, ომი, ჩხუბი მტერთაგან, ყოველი სწავლა და სჯული დამცირდა და შემდგომ დაიკარგა თქვენს შორის, ვინაითგან აღარ გყავდათ მართლმადიდებელნი მღვდელნი. გარნა აწ ღმერთმან მოგვცა კვალადვე მშვიდობა და უშიშროება მტერთაგან, ახლა მთავრობამ კვალადვე გამოგიგზავნათ მღვდელი და ცდილობს, რომ იყოს უწინდელსავით ქრისტიანობა და განათლება თქვენში.

გარნა, ძმანო ჩემნო, ვინაითგან თქვენ ახლა მოინათლენით, გაქრისტიანდით, მაშ ეცადეთ, რომ შეიტყოთ, თუ რაი არს ქრისტიანობა, როგორი უნდა იყოს ქრისტიანე ცხოვრებითა თვისითა. მარტო ის კი არ არის საკმაო, რომ კაცი მოინათლოს და ზოგჯერ ეკლესიაში შევიდეს და პირჯვარი დაიწეროს. მარტო სახელით კი არ უნდა იყოს კაცი ქრისტიანე, არამედ უმეტესად საქმით.

რაი არს ქრისტიანობა, ანუ ვინ არის ჭეშმარიტი ქრისტიანე? ქრისტიანობა ჭეშმარიტი მდგომარეობს ორს საგანში: პირველად, მართალს და ჭეშმარიტს აზრში ღმერთზედ და კაცზედ. და მეორედ, კეთილსა და წმიდა ცხოვრებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანე ის არის, ვისაც აქვს ორი ესე: მართალი, ჭეშმარიტი სარწმუნოება და კეთილი ცხოვრება, სითგან შეგიძლიათ თქვენ შეიტყოთ, ისწავლოთ და მიიღოთ მართალი და ჭეშმარიტი აზრი ქრისტეს სჯულზედ? ეს შეგიძლიათ მიიღოთ ამ ეკლესიისაგან და ამ თქვენი მოძღვრისგან. ეკლესია, ძმანო ჩემნო, იმისთვის არის აშენებული, რომ ქრისტიანეთა იარონ იმაში და ისწავლონ ლოცვა, მიიღონ განათლება და ჭეშმარიტი ცნობა თავის სჯულზედ. ეკლესიაში ყოველ წირვა-ლოცვაზედ იკითხავს მკითხველი საღმრთო წერილსა, ესე იგი, იმ წიგნებს, რომელნიც სულის წმიდის შეგონებით და სწავლით დასწერეს წმიდათა წინასწარმეტყველთა და წმიდათა მოციქულთა. იმ წიგნებში ყოველივე კარგად არის დაწერილი, რაც უნდა იცოდეს კაცმან ღმერთზედ, კაცზედ ქვეყნიურსა და ზეციურზე. ეკლესიაში წარიკითხვენ სხვა და სხვა ლოცვებსა. ამ ლოცვებთაგან სხვაზედ უფრო გულისხმიერად უნდა ისმინოთ ის მოკლე ლოცვა, რომელიც დაიწყება ესრედ: მრწამს ერთი ღმერთი, მამა... ეს ლოცვა, მე უბრძანებ მღვდელსა, თქვენს ოსურ ენაზედ წაიკითხონ ყოველ წირვაზედ. თუ კარგად გაიგონებთ ამ ლოცვას, მაშინ შეიტყობთ, რაი არს ქრისტიანობა, რა უნდა სწამდეს ქრისტიანეს. იქ არის თქმული, რომელ ჩვენ უნდა გვწამდეს ერთი ღმერთი, სამთა განუყოფელთა პირთა შინა: მამა, ძე და სულიწმიდა. იესო ქრისტე – ძე ღვთისა, მოვიდა ქვეყანაზედ, ყოვლადწმიდა ქალწულისგან მიიღო ჩვენი კაცებრივი ბუნება. სცხოვრობდა კაცთა შორის, პალესტინის ქვეყანაში, გვასწავლა სჯული, მოგვცა სახარება: მერმე ჩვენთვის იტანჯა, ჯვარს ეცვა, მესამე დღეს საფლავითგან აღსდგა, ამაღლდა ზეცას. ვინც იმას შეიყვარებს, იმის სიტყვას მიიღებს, ნათელ-იღებს, მის მცნებას აღასრულებს, იგი არის ქრისტიანე. მას თვითონ იესო ქრისტე იშვილებს, ძმად აღიყვანს და მომავალს საუკუნესა შინა მისცემს დაუსრულებელს ნეტარებასა. ამას ყოველსა და სხვასაც, რაც საჭირო არის, გაიგონებ და დაისწავლი ეკლესიაში.

გარნა, ძმანო ჩემნო, ისიც უნდა გახსოვდესთ რომელ რათგანაც მოინათლენით და ქრისტიანენი ხართ, უწინდელნი თქვენნი, რაც გქონდათ, ცრუ და შეცთომილნი აზრნი და ჩვეულებანი უნდა დაუტევოთ, დაივიწყოთ და უარჰყოთ. მრავალნი ცუდნი და შეცთომილნი აზრნი გქონდათ თქვენ და ახლაცა, სამწუხაროდ, გაქვსთ. მე გეტყვით თქვენ მხოლოდ ერთს მაგალითს: ვისაც სურს თქვენს შორის შეარცხვინოს ვინმე, ანუ სიმართლე რაზედმე შეიტყოს იმისგან, აღიღებს დამხრჩვალს კატას, ანუ ძაღლს, ანუ სახედარს და ჩამოჰკიდებს მის სამაპაპაოს საფლავზედ. ამისთანა სასირცხო ჩვეულებაზედ ისეთი მორიდება გაქვთ და რწმუნება, რომელ დიდ ფასს მისცემს ზოგიერთი, რომ არ უყოს კაცმა ეს საქმე. ეს ჩვეულება, ძმანო ჩემნო, საშინელი უგუნურება არის და თუ არ მოიშალეთ იგი, არ იქმნებით ქრისტიანენი. ქრისტიანეთა ესრედ ჰრწამთ: ვინც ჯვარზედ და სახარებაზედ სიცრუეს იტყვის, საუკუნოდ ჯოჯოხეთში შთავარდება. რაღა გინდათ ამაზედ უმეტესი. ახლა ის ვსთქვათ, როგორ უნდა სცხოვრობდეს ჭეშმარიტი ქრისტიანე, რა ყოფაქცევისა უნდა იყოს? ვისაც სურს ნამდვილ ქრისტიანულად იცხოვროს, მან ორგვარი სიყვარული უნდა შეიძინოს გულითა თვისითა: ერთი ღვთისა და მეორე კაცისა, ესე იგი, ღმერთი უნდა შეიყვაროს ყოვლითა გულითა თვისითა და კაცი, როგორადაც თავი თვისი. რა არის ღვთის სიყვარული? ღვთის სიყვარული ის არის, როდესაც შენ გახსოვს, რომ ღმერთი არის შენი მამა და შემოქმედი. ყოველთვის გხედავს შენ, ესმის ყოველი შენი სიტყვა, გასინჯავს შენს გულს, და თუ ესრედ გახსოვს, სცდილობ, რომ ყოველი მისი ბრძანება და მცნება აღასრულო. რა არის კაცის სიყვარული, ეს მოკლედ გამოგვიცხადა უფალმან



თიღვა

იესო ქრისტემან: რაც გინდა, რომ გიყოს შენ კაცმა, შენც ის უყავი კაცსა; შენ, რასაკვირველია, გსურს და გიამება, რომ ყოველმან კაცმან შეგიყვაროს, ნუგეში-გცეს, პატივი-გცეს, შეგეწიოს გაჭირვების დროს; შენც ისრე უყავ ყოველს კაცს და მაშინ იქმნები ჭეშმარიტი ქრისტიანე.

გარნა, ძმანო ჩემნო, აქაც უნდა გითხრა, რომელ თქვენ შორის აქამომდე არიან ბევრნი ცუდი ჩვეულებანი, რომელნი თქვენ მაშინ ისწავლეთ, როდესაც აღარ იყო თქვენში ქრისტიანის ნათელი, და ახლა რათგანაც ეს ნათელი ღმერთმან კვალადვე მოგივლინათ, უნდა დაივიწყოთ. პირველად, აქამომდე ისმის თქვენს შორის ქურდობა, რომელიც არის დიდი სირცხვილი და საძაგლობა. კარგი კაცი და საქები ქრისტიანე ის არის, რომელიც თავის ხელით, თავის მუშაობით თავის თავს და თავის ოჯახს არჩენს. ღმერთმან ისრე დაუნიშნა კაცს, რომელ ოფლითა თვისითა სჭამდეს პურსა თვისსა. რა წესი, ან რა ცხოვრება იქმნება სოფელში, რომ შენს მეზობელს შენ მოპარო და წაართვა და შენმა მეზობელმაც შენ მოგპაროს და წაიღოს? ვიღას შეუძლიან მაშინ ცხოვრება ქვეყანაზედ? არა, ძმანო ჩემნო, ეცადეთ და მოსპეთ ეს სირცხვილი თქვენს შორის, რომ მეზობელნი თქვენნი აღარ იტყოდენ თქვენზედ ცუდსა და სირცხვილსა.

მეორედ ცუდი ჩვეულება ის გაქვსთ, რომ მიცვალებულის ხსენებასა ზედა არა გაქვსთ ზომიერება, ურიცხვ საქონელს დაკლავთ, ურიცხვს სტუმარს მოუწოდებთ, დაითვრებით, წაეჩხუბებით ერთიმეორესა. ზოგიერთი თითქმის კიდეც გაღარიბდა ამ ჩვეულებისაგან. არ არის, ძმანო, ეს კარგი ჭკუა. მოსპეთ ეს ჩვეულება, რომელიც ხორციელადაც გავნებსთ და სულსაც წარწყმედს.

ძმანო ჩემნო, მე მისთვის ესოდენი შრომა, ესოდენი გზა და მთები გამოვიარე, რომ მსურდა თქვენი ნახვა და დარიგება. თუ ჩემს სიტყვას დაიმარხავთ, თქვენთვისაც კარგი იქნება და მეც მიამება. გარნა მე მრავალჯერ ვერ განახავთ თქვენ; ყოველთვის თქვენთან ვერ ვიქნები. ჩემს მაგიერად ეს თქვენი მღვდელი და მოძღვარი დამიტევებია. აქ მაგისი დარიგება და სიტყვა ისმინეთ და აღასრულეთ. ის ცუდს არაფერს გასწავლით, არამედ ყოველსავე თქვენს სასარგებლოს გეტყვისთ. ამინ.

ღვთისმეტყველება

იღუმენი ფილარეტი

ზნეობრივი ღვთისმეტყველების კონსპექტი

I

ზნეობრივი და უზნეო ქმედებანი. ზნეობრივი კანონი, სინდისი. მისი სამი ფუნქცია. ზნეობრივი შერაცხვის პირობები. ზნეობრივი კანონის თანდაყოლილი ბუნება.

დედამიწაზე არსებულ სულიერ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანს გააჩნია ზნეობრიობის ცნება. ადამიანის ქმედებანი შეიძლება იყოს კეთილი ან ბოროტი, ზნეობრივად დადებითი ან ზნეობრივად უარყოფითი (უზნეო). ცხოველები მოქმედებენ ისე, როგორც დამახასიათებელია მათი ბუნებისათვის, ან ისე, როგორც მიაჩვევენ, მაგ. წვრთნის დროს. ამიტომ შეუძლებელია მათი მოქმედების განხილვა ზნეობრიობის თვალსაზრისით.

როგორღა გავარჩიოთ ზნეობრივად კეთილი, ზნეობრივი ცუდისაგან? აღნიშნული განსხვავება ხორციელდება ადამიანებისათვის ღვთისაგან ბოძებული განსაკუთრებული ზნეობრივი კანონის მეშვეობით. ამ ზნეობრივ კანონს, ღვთის ხმას ადამიანის სულში, შევიგრძნობთ ჩვენი ცნობიერების სიღრმეში და მას სინდისი ეწოდება. სწორედ ეს სინდისი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრიობის საფუძველს. ადამიანს, რომელსაც არასოდეს მიუგდია ყური საკუთარი სინდისისათვის და მიუძინებია იგი, ტყუილითა და გამუდმებული ცოდვების წყვდიადით დაუხშია მისი ხმა, ხშირად უსინდისოდ მოიხსენიებენ. საღვთო სიტყვა ასეთ შეუპოვარ ცოდვილ ადამიანებს „საკუთარი სინდისით დამწვრებს" (1 ტიმ. 4,2) უწოდებს, მათი სულიერი მდგომარეობა – უკდურესად საშიშია და შესაძლოა სულისათვის დამღუპველიც კი აღმოჩნდეს. როდესაც ადამიანი ყურს მიუგდებს საკუთარი სინდისის ხმას, იგი ხედავს, რომ სინდისი მასში ლაპარაკობს უპირველესად, როგორც მკაცრი და მოუსყიდველი მოსამართლე, ადამიანის ყველა მოქმედებისა და განცდის შემფასებელი. ხშირად ასეც ხდება, რომ ესა თუ ის მოქმედება ადამიანისათვის მომგებიანია, ან სხვების მოწონებას იმსახურებს, მაგრამ სულის სიღრმეში კი ესმის სინდისის ხმა: „ეს არ არის კარგი, ეს ცუდია..." ადამიანის სულში სინდისი მოქმედებს, აგრეთვე, როგორც კანონმდებელი. ადამიანის ყოველი შეგნებული მოქმედების (მაგ. აკეთე სიკეთე, იყავ მართალი, არა იქურდო და ა.შ.) წინაშე მდგომი ყველა მოთხოვნილება სწორედ სინდისის ნორმებს ექვემდებარება. მისი ხმა გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და პირიქით, როგორ არ უნდა მოვიქცეთ. საბოლოოდ, სინდისი ადამიანში მოქმედებს, როგორც მსაჯული. მაგალითად, როდესაც კარგად მოვიქცევით, სულიერ სიმშვიდეს განვიცდით, ხოლო როდესაც ჩავიდენთ ცოდვას, განვიცდით სინდისის ქენჯნას, რაც ზოგ შემთხვევაში, საშინელ სულიერ ტანჯვასა და წამებაში გადადის და თუ ადამიანი ღრმა და გულწრფელი მონანიებით არ აღიდგენს სიმშვიდეს სინდისის წინაშე, შესაძლებელია, სასოწარკვეთამდე, ან სულიერი წონასწორობის დაკარგვამდე მივიდეს.

სავსებით გასაგებია, რომ ადამიანი ზნეობრივად პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ქცევების გამო, რომლებსაც ის სჩადის შეგნებულ მდგომარეობაში და სჩადის სრულიად თავისუფალი სხვისი ზემოქმედებისაგან. და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შეირაცხოს ადამიანის საქციელი, როგორც საქებარი, ან მსჯავრის დასადები. აღნიშნულის საპირისპიროდ, ვისაც შეგნებული არა აქვს საკუთარი ქცევის ხასიათი (ჩვილი ბავშვები, გონებასუსტი ადამიანები და ა.შ.) ან იძულებულია იმოქმედოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ – ითვლება შეურაცხადად და არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ქცევების გამო. ქრისტიანების დევნის პერიოდში წარმართი-მწვალებლები მოწამეებს ხელის გულზე საკმეველს აყრიდნენ და სამსხვერპლოს ცეცხლის ალზე აკავებინებდნენ. მწვალებლები ვარაუდობდნენ, რომ მოწამე ვერ გაუძლებდა ცეცხლს, უცაბედად გასწევდა ხელს და საკმეველი ცეცხლზე დაეყრებოდა. სარწმუნოების აღმსარებლები სულიერად იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ თითების დაწვას ამჯობინებდნენ, მაგრამ საკმეველი ცეცხლზე რომ დავარდნილიყო, განა ეს კერპებისადმი მსხვერპლშეწირვა იქნებოდა?

თავისთავად ცხადია, რომ მთვრალი არ შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხადად. მან სმა დაიწყო სავსებით ნორმალურ და ფხიზელ მდგომარეობაში და კარგად იცოდა, რა შედეგი მოსდევს ლოთობას. ამიტომ ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში ადამიანი ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის ორმაგად ისჯება: იმისთვის, რომ დათვრა და თვით ჩადენილი დანაშაულისთვის.

ზნეობრივი კანონი უნდა ვაღიაროთ, როგორც ადამიანის თანდაყოლილი, ე.ი. თვით მის ბუნებაში არსებული. ამაზე მეტყველებს ზნეობრიობის მცნების უეჭველი საყოველთაობა კაცობრიობისათვის. მაგრამ თანდაყოლილად უნდა ვაღიაროთ მხოლოდ თვით ზნეობრივი მოთხოვნილება, თავისებური ზნეობრივი ინსტიქტი და არა გაანალიზებული ცნებები და იდეები.

ასეთი ცნებები და იდეები ადამიანში ვითარდება აღზრდისა და ნაწილობრივ, წინა თაობების გავლენის შედეგად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში, რელიგიური განცდები უდევს საფუძვლად. სწორედ ამიტომ, წარმართების ზნეობრივი ნორმები უფრო დაბალი და უხეშია, ვიდრე ჩვენი, ქრისტიანების, ვისაც გვწამს ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც ადამიანის სულში ჩადო ზნეობრივი კანონი და რომლითაც წარმართავს იგი მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

II

ადამიანური მოდგმის შეცოდება. მისი გამოვლინება ადამიანის სულში – გონების, გრძნობის და ნების სფეროებში. შემდგომი სტადიები – ცოდვის საფეხურები. ცოდვის სამი წყარო.

ჩვენთვის, ყველა ქრისტიანისათვის ბიბლიიდან ცნობილია და გვწამს, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად. ამიტომ შექმნის დროს ადამიანმა მიიღო უცოდველი ბუნება. მაგრამ თვით პირველქმნილი კაცი – ადამიც კი, ვერ დარჩა უცოდველი, დაკარგა სიწმიდე და ამ ცოდვის შხამით დასნეულდა მისგან წარმომავალი კაცობრიობის მთელი მოდგმა ისევე, როგორც მოწამლული წყაროდან მოწამლული წყალი მოედინება. რამდენადაც ადამიანმა წინაპართაგან მემკვიდრეობით მიიღო მიდრეკილება ცოდვისადმი (ამას ემატება, აგრეთვე, მისი საკუთარი ცოდვები), არაფერია გასაკვირი იმაში, წმ. ბიბლია რომ გვეუბნება: „არა არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდოს". სრულიად უცოდველი მხოლოდ უფალი იესო ქრისტეა. თვით წმიდანებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ღვთის წყალობით ებრძოდნენ ყოველგვარ ცოდვას, საკუთარ თავს სრული მორჩილებით აღიარებდნენ ცოდვილებად. ადამიანები ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, დასნეულებულნი არიან ცოდვით.

ცოდვა არის სულიერი კეთრი, ავადმყოფობა და წყლული, რომელიც ვნებს ადამიანის ბუნებას, სულს და სხეულს. ცოდვამ დააზიანა ადამიანის სულის სამივე ძირითადი უნარი, ანუ ძალა: გონება, გრძნობა (გული) და ნება. ადამიანის გონება აიმღვრა და მიიდრიკა შეცდომებისაკენ (რომაელებს აქვთ გამოთქმა: ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომები). ეს შეცდომები ვლინდება, როგორც ფილოსოფიაში, ასევე პრაქტიკულ მოღვაწეობაში. სავარაუდოა, რომ ცოდვებისაგან უფრო მეტად დაზიანდა გული – ადამიანის განცდების, მისი ავ-კარგის, სევდისა და სიხარულის ცენტრი. ჩვენს გულს მოედო ცოდვების ობი და ხლართები, დაკარგა სულიერის, წმიდის, ქრისტიანულად ამაღლებულის შეგრძნების უნარი. სამაგიეროდ, მას იტაცებს გრძნობებით ტკბობა და ამქვეყნიური სიამე, შეპყრობილია პატივმოყვარეობით და ზოგჯერ, ჩვენდა გასაოცრად, სრულიად მოკლებულია სიყვარულს და მოყვასისადმი კეთილგანწყობილებას.

რა თქმა უნდა, ცოდვებისაგან ყველაზე მეტად დაზიანებული და შებოჭილი ჩვენი ნებაა, როგორც ადამიანის მოქმედებისა და ზრახვების განხორციელების უნარი. ადამიანი უნებისყოფო განსაკუთრებით იქ აღმოჩნდება ხოლმე, სადაც საჭიროა ჭეშმარიტად ქრისტიანული სიკეთის ქმნა; მიუხედავად იმისა, რომ მას ამისი სურვილი ჰქონდა. ასეთ სამწუხარო უნებისყოფობაზე მოც. პავლე ამბობს: „რამეთუ არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ" (რომ. 7.19). ამიტომ ცოდვილ ადამიანზე იესო მაცხოვარმა ბრძანა: „რამეთუ ყოველმან, რომელმან ჰქმნეს ცოდვაჲ, მონა არს იგი ცოდვისა" (იოანე 8.34). თუმცა! – თვით ცოდვილს ცოდვის მსახურება თავისუფლებად ეჩვენება, ხოლო მასთან ბრძოლა – მონობად.

როგორ ვითარდება ცოდვა ადამიანების სულში? ქრისტიანული ასკეტიზმის და ღვთისმოსაობის შემწე წმიდა მამები, რომლებიც ნებისმიერ მეცნიერ ფსიქიატრებზე უკეთ იცნობდნენ ადამიანის ცოდვილ სულს, არჩევენ შემდეგ სტადიებს – ცოდვის საფეხურებს: პირველი – ეს არის პროლოგი, როდესაც ადამიანის გონებაში მხოლოდ წარმოსახვით ჩნდება ესა თუ ის ცდუნება – უხამსი აზრი, ცოდვიანი შთაბეჭდილება და ა.შ. და თუ ადამიანი შესძლებს მაშინვე გაბედულად უკუაგდოს იგი, აღარ ჩავარდება ცოდვაში და გაიმარჯვებს. აღნიშნულ საფეხურზე ყველაზე იოლი ცოდვის დაძლევაა, ხოლო თუ ადამიანი ამას ვერ შეძლებს, მაშინ იგი გადაიზრდება ჯერ გაურკვეველ ლტოლვაში, ხოლო შემდეგ ცოდვის შეგნებულ, მკაფიო სურვილში. აქ ადამიანს უკვე უჩნდება მიდრეკილება მოცემული სახის ცოდვებისადმი და ამ შემთხვევაშიც, განსაკუთრებული ბრძოლების გარეშეც, ადამიანს შეუძლია არ დაემორჩილოს მას, არ ჩავარდეს ცოდვაში, რაშიც დაეხმარება სინდისის ხმა და თვით ღვთის წყალობა, თუ კი მას მიმართავს.

მაგრამ აი, იგი ჩავარდა ცოდვაში. ხმამაღლა და მკაფიოდ გაისმის სინდისის პროტესტი, რაც ჯერ კიდევ შეურყვნელ ადამიანში აღძრავს მხოლოდ მძაფრი ზიზღის გრძნობას ჩადენილი ცოდვისადმი. უქრება უწინდელი თვითდაჯერებულობა და ეუფლება მორჩილება (მოც. პეტრე უარყოფამდე და უარყოფის შემდეგ). მაგრამ ჯერ კიდევ, ამ შემთხვევაშიც, ცოდვის დაძლევა არც თუ ისე ძნელია, რაზეც მიგვითითებენ უამრავი მაგალითები (მოც. პეტრე, წმ. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი და სხვა ცოდვილები, რომლებმაც მოინანიეს).

ძნელია შეებრძოლო ისეთ ცოდვას, რომელიც ხშირი განმეორების გამო ადამიანს ჩვევად გადაექცევა. ჩვეული მოქმედებანი კი ადვილად, თითქმის შეუმჩნევლად, თავისთავად ხორციელდება. ასეთ ცოდვასთან ბრძოლა კი, რომელიც უკვე ჩვევადაა ქცეული, ძალზე ძნელია. ადამიანს უკვე არა მარტო საკუთარი თავის დაძლევა უჭირს, არამედ ცოდვის მოახლოების შემჩნევაც კი.

უფრო საშიშ სტადიას წარმოადგენს მანკიერება. ამ შემთხვევაში ცოდვა იმდენად ეუფლება ადამიანს, რომ თითქოს ჯაჭვებით ბორკავს მის ნებას. იგი უკვე უძლურია შეებრძოლოს საკუთარ თავს, ცოდვის მონა ხდება, თუმცა შეგნებული აქვს მისი სიავე და, შესაძლებელია, განათების პერიოდებში მთელი სულით სძულდეს იგი (ასეთია მაგ. მანკიერება ლოთობისა, ნარკომანიისა და სხვ.). აღნიშნულ შემთხვევაში, ღმერთის განსაკუთრებული წყალობისა და დახმარების გარეშე, ადამიანს უკვე აღარ ძალუძს საკუთარი თავის მორევა: იგი საჭიროებს ლოცვებს და სხვათა მხრიდან სულიერ თანადგომას. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი წვრილმანი ცოდვაც კი, როგორიცაა ლაყბობა, ზედმეტი მორთულობების და უაზრო გართობების სიყვარული და ა.შ. თუ მთლიანად დაეუფლება ადამიანს და შეავსებს მის სულს, მანკიერებად იქცევა.

ცოდვის უმაღლეს საფეხურს, რომელზედაც იგი მთლიანად იმონებს ადამიანს, წარმოადგენს ამა თუ იმ სახის ცოდვის ვნება. ამ მდგომარეობაში ადამიანს უკვე აღარ შესწევს უნარი საკუთარი ცოდვის სიძულვილისა, როგორც მანკიერების დროს (სწორედ ამაშია მათ შორის სხვაობა) და მთელი თავისი განცდებით, მოქმედებებით და განწყობილებებით მთლიანად ემორჩილება მას (მაგ. ვერცხლის მოყვარული იუდა ისკარიოტელი). ამ შემთხვევაში, (როგორც ნათქვამია წმ. სახარებაში იუდას შესახებ) ადამიანი თავის გულში უშვებს სატანას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასეთ მდგომარეობაში მყოფს, წმ. საეკლესიო ლოცვებისა და ზემოქმედების გარდა ველარაფერი უშველის.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი განსაკუთრებული უსაშინელესი და დამღუპველი სახე ცოდვისა. ეს არის მომაკვდინებელი ცოდვა. ასეთ ცოდვაში ჩავარდნილ ადამიანს ველარც საეკლესიო ლოცვები უშველის! როდესაც მოც. იოანე ოქროპირი მოგვიწოდებს – ვილოცოთ შემცოდე ძმისათვის, პირდაპირ მიგვითითებს (1 წერილი 5.16) ლოცვის ამაოებაზე სასიკვდილო ცოდვით შემცოდე ძმისათვის...

ამ ცოდვის შესახებ თვით უფალი იესო ქრისტე ბრძანებს, რომ სული-წმიდის გმობა ადამიანებს არ მიეტევებათ არც ამ წუთისოფელში და არც იმ სოფელში. ეს მრისხანე სიტყვები მან წარმოსთქვა ფარისევლების წინააღმდეგ, რომლებიც ნათლად ხედავდნენ, რომ უფალი ღმერთის ნებითა და ძალით მოქმედებდა, მაგრამ მაინც სასტიკად ამახინჯებდნენ ჭეშმარიტებას, ცილს სწამებდნენ, რომ იგი ყოველივეს აკეთებდა ბოროტის, უწმინდური

სულის ძალით. უფლის გმობის გამო, ფარისეველნი წარწყმდნენ და მათი მაგალითი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც სასიკვდილო ცოდვით სცოდავს, ჯიუტად და შეგნებულად უარყოფს ჭეშმარტებას, ე.ი. გმობს ჭეშმარიტების სულს – სულიწმიდას. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვით უფლის, იესო ქრისტეს გმობაც კი შეიძლება მიეტევოს ადამიანს უფლისავე სიტყვებით, თუ იგი გამოწვეულია უცოდინარობით, ან გონების დროებითი დაბინდვით. სულიწმიდის გმობა კი, როგორც წმ. ათანასე დიდი გვასწავლის, ადამიანს მიეტევება მხოლოდ მაშინ, როდესაც სინანულში ჩავარდნილი შეწყვეტს მას. მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ამ ცოდვის თვით ხასიათი თითქმის შეუძლებელს ხდის ადამიანის ჭეშმარიტებასთან დაბრუნებას. გონებადაბინდულს შეუძლია გაუნათდეს გონება და შეიყვაროს მისთვის გახსნილი ჭეშმარიტება, მანკიერებებითა და ვნებებით შებილწული შეიძლება განიწმიდოს მონანიებით და ჭეშმარტების აღმსარებელი გახდეს, მაგრამ ვის და რას შეუძლია შეცვალოს სულიწმიდის შეგნებულად მგმობი, რომელიც კარგად ხედავს და იცის, რა არის ჭეშმარიტება და მაინც უარყოფს და სძულს იგი?! ეს არის საშინელი მდგომარეობა, მსგავსი ეშმაკისა, რომელსაც სწამს ღმერთი, ძრწის მის წინაშე და და მაინც გმობს მას, სძულს იგი და მაინც ეწინააღმდეგება.

ცდუნებას, რომელიც შეიძლება წარმოუდგეს ადამიანს, ასაზრდოებს სამი წყარო: ადამიანის საკუთარი სხეული, ქვეყნიერება და ეშმაკი.

რაც შეეხება ადამიანის სხეულს, ხორცს, რასაკვირველია, ხშირ შემთხვევაში, იგი უზნეო განწყობილების, მისწრაფებებისა და გატაცებების ბუდეს, წყაროს წარმოადგენს. წინაპართა ცოდვა – ეს სამწუხარო, ჩვენი საერთო მიდრეკილება ცოდვისადმი, მისი მემკვიდრეობითობა და მასზე დამატებული ჩვენი პირადი შეცოდებანი, ერთმანეთს აძლიერებენ და სხეულში ქმნიან ცდუნებათა წყაროს.

უფრო ხშირად კი ცდუნების წყარო ჩვენი გარემომცველი სამყაროა, იოანე ღვთისმეტყველის თქმით: „მთელი ქვეყნიერება ბოროტებაში ძევს" (იოანე 5.19) და „ქვეყნიერების მეგობრობა ღვთის მტრობაა" (იაკ. 4,4). გვაცდუნებს გარემო, გვაცდუნებს ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები, (განსაკუთრებით ახალგაზრდების განზრახ, შეგნებულად მაცდუნებელნი და გამრყვნელნი, რომლებზეც უფალმა ბრძანა: „ხოლო ვინც ერთს ამ მცირეთაგან, რომელთაც მე ვწამვარ, აცდუნებს, მისთვის, უმჯობესი იქნებოდა, წისქვილის ქვა ჩამოეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკურულში ჩაეძირათ...") გვაცდუნებს სიმდიდრე, კომფორტი, უზნეო ცეკვები, უხამსი ლიტერატურა, უსირცხვილო ჩაცმულობა და ა. შ. – ყოველივე ეს კი ცოდვის და ცდუნების მყრალი წყაროა.

ცოდვის ძირითად და მთავარ წყაროს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ეშმაკი, რომელზეც იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ვინც ცოდვას სჩადის, იგი ეშმაკისგანაა, რამეთუ თავდაპირველად ეშმაკმა შესცოდა" (1. იოან. 38). ებრძვის რა ღმერთს და მის სიმართლეს, ეშმკი ებრძვის ადამიანებსაც და ცდილობს თვითოეული ჩვენთაგანის დაღუპვას. როგორც სახარებიდან და წმინდა მამების ცხოვრებიდან ვხედავთ, ეშმაკი აშკარად გამორჩეული ბოროტებით ებრძოდა წმიდანებს (იგი იქამდე გაკადნიერდა, რომ თვით უფლის ცდუნებაც სცადა). ჩვენ, უძლურ და სუსტ ადამიანებს ჩვეულებრივი ადამიანური ცდუნებებისაგან გვიფარავს თვით ღმერთი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეშმაკი არ გვტოვებს. მისი მოქმედებით ამქვეყნიური, ხორციელი ცდუნებები უფრო ძლიერი და მიმზიდველი ხდება. იგი გვაცდუნებს სხვადასხვა მკრეხელური აზრების მეშვეობით (უკანასკნელ წლებში მისი ბოროტი გავლენა განსაკუთრებით გამოიხატება სხვადასხვა სახის თვითმკვლელობის ეპიდემიებით). ამის გამო, მოც. პეტრე ეშმაკს ადარებს გამძვინვარებულ ლომს, რომელიც ჩვენს გარშემო დადის და "ეძებს, ვინ ჩაყლაპოს..." (1 პეტ. 5,8).

III

ქრისტიანული სათნოება. ზნეობრივი ხასიათი. ქრისტიანის ცხოვრება, როგორც ბრძოლა და გმირობა. სულიერი სიფხიზლის აუცილებლობა.

ცოდვის სრულიად საპირისპირო ცნებას წარმოადგენს სათნოება. მისი საწყისი, როგორც ნარჩენი იმ ბუნებრივი სათნოებისა, რომელიც შემოქმედმა ჩადო ადამიანის ბუნებაში, თვითეულ ადამიანშია დაუჯებული. წმიდა და სრულყოფილი სახით იგი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ქრისტიანობაში, რადგანაც უფალმა მაცხოვარმა განაცხადა: უჩემოდ ვერ შეძლებთ ვერაფრის გაკეთებას (ჭეშმარიტად კეთილის...).

ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არის ჟამი გმირობისა, ჟამი მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის მომზადებისა. აქედან გამომდინარე, ადამიანის დანიშნულებაა – გარკვეული წესით მოემზადოს მომავალი უკვდავებისათვის – აწრაფწარმავალია ამქვეყნიური ცხოვრება. იგი არ მეორდება. ადამიანი ერთხელ ცოცხლობს დედამიწაზე, ამიტომაც ეს ცხოვრება სათნოებაში უნდა განვლოს, არ დაღუპოს საკუთარი სული. უკვდავების ზღურბლზე სწორედ ამ საქმეებს მოითხოვს სადარაჯოზე მდგარი.

IV

მხოლოდ შინაგანი კანონის არასაკმარისობა. ღვთის აღიარების გარეგანი კანონი. მოსეს სჯულისა და ახალი აღთქმის მნიშვნელობა

ამრიგად, ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების დანიშნულებაა მოამზადოს საკუთარი თავი საუკუნო გადარჩენისა და ნეტარებისათვის, ამისათვის საჭიროა მან იცხოვროს წმიდა და უმანკო ცხოვრებით, ე. ი. ღვთის ნებით.

როგორ შეუძლია ადამიანს გაიგოს ღვთის ნება? უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სინდისის საშუალებით. ამიტომ ეწოდება მას „ღვთის ხმა ადამიანის სულში". ცოდვაში ჩავარდნის გამო, ადამიანს სული რომ არ ემღვრეოდეს, იგი სინდისის კარნახით შეძლებდა თავისი ცხოვრების გზის უშეცდომოდ და მტკიცედ წარმართვას. სინდისი კი შინაგანი ზნეობრივი კანონის გამომხატველია. ვინ არ იცის, რომ ცოდვილ ადამიანს დაზიანებული აქვს არა მარტო გონება, გული და ნება, არამედ სინდისიც ამღვრეული აქვს, რომლის ხმასაც დაუკარგავს ძალა. ამიტომ უწოდებენ ზოგიერთ ადამიანს უსინდისოს.

მხოლოდ სინდისი, ე. ი. მისი შინაგანი ხმა, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანმა იცხოვროს და იმოქმედოს ღვთის ნებით.

გაჩნდა აუცილებლობა გარე სახელმძღვანელოსი, ღვთის აღმსარებლობის ანუ სჯულისა. ასეთი კანონი ადამიანმა ღმერთისგან მიიღო ორი სახით – მოსამზადებელი – მოსეს სჯულის, ძველი

აღთქმის სახით და შემდგომში სრულყოფილი – ახალი აღთქმის, სახარების სახით.

უნდა გავარჩიოთ მოსეს სჯულის ორი მხარე: – რელიგიურ-ზნეობრივი და რელიგიურ წეს-ჩვეულებითი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ებრაელი ხალხის ისტორიასა და ყოფასთან. რა თქმა უნდა, ეს მეორე მხარე – ეროვნული ჩვეულებების წესები და კანონები ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ჩაბარდა წარსულს, ხოლო მოსეს სჯულის რელიგიურმა და ზნეობრივმა კანონებმა ქრისტიანობაშიც შეინარჩუნეს თავისი ძალა. ამიტომაც, მოსეს სჯულის ათივე მცნება სავალდებულოა ყველა ქრისტიანისათვის. ქრისტიანობამ ისინი კი არ უარყო, არამედ პირიქით, ხალხს აუხსნა ეს მცნებები არა სიტყვა-სიტყვით, მისი გარეგნული ფორმით, არამედ მისი ღრმა შინაარსი შეასწავლა, შეასწავლა მისი სრულყოფილი აღქმა და შესრულება. ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსეს სჯულს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ძირითადი მცნებები (10 მცნება – უფლისა და მოყვასისადმი სიყვარულის მცნება) მიიღო და ახსნა ქრისტიანობამ. ჩვენ კი ცხოვრებაში ვხელმძღვანელობთ არა ამ დროებითი, მოსამზადებელი მოსეს სჯულით, არამედ ქრისტეს სრულყოფილი და სამარადისო სჯულით. წმ. ბასილი დიდი ამბობს: „სასაცილოა ის, ვინც სახარებისეული ქადაგების არსებობის დროს სჯულის (ძველი აღთქმის) ჩრდილში რჩება". ძირითადი განსხვავება ძველსა და ახალ აღთქმას შორის ისაა, რომ ძველი აღთქმა ყურადღებას ამახვილებდა ადამიანის მოქმედების გარეგნულ ფორმაზე, ხოლო ახალი აღთქმა კი უყურებს ადამიანის გულს, მის შინაგან ზრახვებს. ძველ აღთქმაში ადამიანი მორჩილებაში იყო ღმერთთან, როგორც მონა თავის ბატონთან, ხოლო ახალ აღთქმაში იგი მიისწრაფვის მორჩილებაში იყოს ღმერთთან, როგორც შვილი საყვარელ მამასთან.

დღესდღეობით ბევრი არასწორად უყურებს ძველ აღთქმას: მასში სასიკეთოს ვერაფერს ხედავენ და მხოლოდ სისასტიკის და უხეშობის გამოვლინებებს ეძიებენ. ასეთი შეხედულება მცდარია. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ პერიოდში – ორი ათასი წლის წინათ, მათი სულიერი განვითარების დონე დაბალი იყო. მაშინდელი, მართლაცდა, მკაცრი და სასტიკი ზნე-ჩვეულებების პირობებში, მოსეს სჯულის წესები და ნორმები (მაგ. „თვალი თვალის წილ", „კბილი კბილის წილ" და ა. შ.) სინამდვილეში არც ისე ულმობელი იყო, როგორც დღეს გვეჩვენება. რა თქმა უნდა, ისინი არ სპობდნენ ადამიანურ სისასტიკეს და შურისძიებას (ეს შესძლო მხოლოდ სახარებამ), მაგრამ ზღუდავდნენ და მკაცრ საზღვრებს უწესებდნენ... ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცნებები სიყვარულისა ღმერთისადმი და მოყვასის მიმართ, რომელზეც თვით უფალმა მიგვითითა, როგორც უდიდესზე და უმთავრესზე, ამოღებულია მოსეს სჯულიდან (სახ. მარკოზისა 12, 29-31), რომელზეც მოც. პავლემ თქვა: „სჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი..." (რომ.5.11,12).

V

თავისუფალი ნების საკითხი. დეტერმინიზმი, მისი გარჩევა. ინდეტერმინიზმის ცრუ და ჭეშმარიტი გაგება. მოტივების გავლენა ჩვენზე, არჩევანის თავისუფლება. საკუთარი თავისუფლების შეგნება და მონანიების ფაქტი

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ადამიანი პასუხისმგებელია თავისი საქციელის გამო მაშინ, როდესაც იგი თავისუფალია ამ ქმედების ჩადენის დროს. მაგრამ გააჩნია კი მას ის სულიერი თავისუფლება, ნების თავისუფლება, რომელიც ნავარაუდევია ამ შემთხვევაში? უკანასკნელ დროს ხალხში ძალზედ გავრცელდა მოძღვრება, რომელსაც დეტერმინიზმი ეწოდება. ამ მოძღვრების მიმდევარნი – დეტერმინისტები - არ ცნობენ ადამიანში ნების თავისუფლებას. ისინი ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი საქციელის დროს ადამიანი მოქმედებს მხოლოდ გარეგანი მიზეზების გამო. მათი სწავლებით, ადამიანი ყოველთვის მოქმედებს მისგან დამოუკიდებელი მოტივებისა და მიზეზების გავლენით და ექვემდებარება მათ შორის ყველაზე ძლიერს. ეს სწავლულები ამბობენ: „ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ ვიქცევით თავისუფლად, ეს თვითმოტყუებაა". XVI ს-ის ცნობილი ფილოსოფოსი სპინოზა იცავდა ამ ცნებას. მას მოჰყავდა გასროლილი ქვის მაგალითი. მისი აზრით, ქვას რომ შეძლებოდა ფიქრი და ლაპარაკი, იტყოდა, რომ იგი მიფრინავს და ეცემა იმ ადგილზე, სადაც მას სურს, სინამდვილეში კი იგი მიფრინავს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვიღაცამ ისროლა და ვარდება სიმძიმის ძალის გავლენით.

აღნიშნულ მაგალითს ქვემოთ დავუბრუნდებით. მანამდე კი აღვნიშნოთ შემდეგი: **მოძღვრებას, რომელიც უპირისპირდება** დეტერმინიზმს და აღიარებს ადამიანში ნების თავისუფლებას, ინდეტერმინიზმი ეწოდება. აღნიშნულ მოძღვრებას აღიარებს ქრისტიანობა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობენ უკიდურესი ინდეტერმინისტები, რომელთა მოძღვრებაც ცალმხრივ, ცრუ ხასიათს იღებს. ისინი ამბობენ, რომ ადამიანის თავისუფლება არის მისი სრული უფლება მოიქცეს ისე, როგორც სურს. მათი გაგებით, ადამიანის თავისუფლება – ეს არის თვითნებობა, სრული უფლება – მოიქცეს ნებისმიერი სურვილისა და კაპრიზის მიხედვით. სოციალისტებმა და კომუნისტებმა ასეთ ცრუ „თავისუფლების" ანკესზე წამოაგეს უბედური და მოტყუებული მთელი რუსი ხალხი („ასეთ" თავისუფლებაზე ლაპარაკობს მოც. პეტრე – 1 პეტ. 2,15-16 და 2 პეტ. 2,19). ეს, რა თქმა უნდა, არ არის თავისუფლება, ეს არის თავისუფლების `ორიოტად გამოყენება, მისი გაუკუღმართება. ადამიანს არ გააჩნია აბსოლუტური თავისუფლება, ასეთი უმაღლესი შემოქმედებითი თავისუფლების მფლობელი მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთია. ასეთი ცრუ ინდეტერმინიზმის საპირისპიროდ, სხვაგვარად გვასწავლის ჭეშმარიტი ინდეტერმინიზმი. მისი მოძღვრების მიხედვით, ადამიანი უეჭველად განიცდის სხვადასხვა სახის გარეგანი მოტივებისა და მიზეზების გავლენას. ასე მაგალითად, მასზე მოქმედებს და ძალზე ხშირადაც, გარემო, ცხოვრების პირობები, პოლიტიკური ვითარება, განათლება, კულტურული ვანვითარება და ა. შ. ყოველივე ეს კი აირეკლება მის ზნეობრივ სახეში. ამ საკითხში ინდეტერმინისტები და დეტერმინისტები თანხმდებიან. დანარჩენში კი ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმ დროს, როდესაც დეტერმინისტები ამბობენ, რომ ადამიანის ესა თუ ის საქციელი გამოწვეულია უძლიერესი მოტივის გავლენით, ხოლო თავისუფლება გამორიცხულია – ინდეტერმინისტები ამტკიცებენ, რომ იგი ყოველთვის თავისუფალია **აირჩიოს ნებისმიერი მოტივი, თანაც სულაც არ არის** აუცილებელი – **უძლიერესი. უფრო მეტიც, ადამიანს შეუძლია** უპირატესობა მიანიჭოს იმ მოტივს, რომელიც სხვებისათვის აშკარად არახელსაყრელია. მაგალითად, შეიძლება გამოგვადგეს მოწამეთა გმირობა, რომლებსაც მწვალებელი წარმართები უგუნურებად თვლიდნენ. ამრიგად, ინდეტერმინისტების თვალსაზრისით, ადამიანის თავისუფლება – ეს არის არა უსაზღვრო შემოქმედებითი თავისუფლება, არამედ არჩევანის თავისუფლება, ჩვენი ნების თავისუფლება – გადაწყვიტოს, როგორ მოვიქცეთ, ასე, თუ ისე.

ქრისტიანობა აღიარებს ადამიანის თავისუფლების მხოლოდ ამგვარ გაგებას და ყოველივე ამას მიუსადაგებს ზნეობრივ მხარეს — სათნოებასა და ცოდვას შორის ბრძოლის საკითხებს. ქრისტიანობა ამბობს, რომ ადამიანის თავისუფლება არის მისი არჩევანის თავისუფლება სიკეთესა და ბოროტებას შორის. მეცნიერულ-საღვთისმეტყველო განმარტების მიხედვით, „ნების თავისუფლება არის თვითგამორკვევის დამოუკიდებელი უნარი სიკეთისა და ბოროტების მიმართ".

ახლა კი, ჩვენ უკვე სწრაფად შეგვიძლია გავერკვეთ სპინოზას მაგალითში, ვარდნილი ქვის შესახებ. ჩვენ დავწერეთ, რომ ადამიანი ფლობს ნების თავისუფლებას საქციელის არჩევანში. სპინოზა თვლის, რომ ქვის ფრენა ადამიანის მოქმედების ანალოგიურია, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვას არჩევანის თავისუფლება ექნებოდა, ეფრინა თუ არა, დავარდნილიყო თუ არა. ქვას კი ასეთი თავისუფლება აშკარად არ გააჩნია და ამიტომაც მოცემული მაგალითი ძალზედ არადამაჯერებელია.

ნების თავისუფლების უარმყოფელი დეტერმინიზმის უსაფუძვლობა შემდეგიდანაც ჩანს: ჯერ ერთი, არცერთი დეტერმინისტი საკუთარ მოძღვრებას თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში არ აზორციელებს და ნათელია — რატომ. თუკი ცხოვრებას შევხედავთ მკაცრი დეტერმინისტული თვალსაზრისით, მაშინ არ უნდა დაისაჯოს არავინ, არც ზარმაცი მოსწავლე — სიზარმაცისათვის, არც ქურდი — ქურდობისათვის, არც მკვლელი და ა. შ. ისინი ხომ თავის ნებით არ მოქმედებდნენ, არამედ იყვნენ მხოლოდ მონები, უნებისყოფო შემსრულებლები გარეგანი მოტივების ბრძანებებისა. ეს არის აბსურდული, მაგრამ სავსებით თანმიმდევრული დასკვნა დეტერმინიზმიდან... მეორეც, ნების თავისუფლების დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ყველასათვის ცნობილი განცდები სულისა, რომელსაც სინანული ეწოდება. იგი ნაცნობია თითოეულისათვის საკუთარი გამოცდილებიდან... რას ეფუძნება ეს სინანულის გრძნობა? ცხადია იმას, რომ სინანულში მყოფი ადამიანი გონებრივად უბრუნდება თავის უგუნურ საქციელს, დასტირის თავის ცოდვას, ნათლად შეიგნებს, რომ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, გაეკეთებინა სიკეთე და არა ბოროტება. რასაკვირველია, ადამიანი რომ არ ფლობდეს ნების თავისუფლებას და იგი მხოლოდ გარეშე ზეგავლენის უნებისყოფო მონა იყოს, მაშინ არც ასეთ სინანულს ექნებოდა ადგილი. ასეთ შემთხვევაში, ის აღარ იქნებოდა პასუხისმგებელი თავისი საქციელის გამო...

ქრისტიანები ვაღიარებთ ადამიანს, როგორც ზნეობრივად თავისუფალს, თავისი საკუთარი ნების და საქციელის მმართველს და მათ გამო პასუხისმგებელს ღვთის სამართლის წინაშე. სწორედ ასეთი თავისუფლება არის ღვთისაგან ნაბოძები უდიდესი ძღვენი, რომელიც ეძიებს ადამიანისაგან არა მექანიკურ, არამედ სიყვარულით თავისუფალ, შვილურ მორჩილებას. უფალმა თვით განამტკიცა ეს თავისუფლება, როდესაც ამბობდა: „ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისთავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს" (მათე 16, 24); ხოლო ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველის პირით ბრძანა: „აჰა, დღეს გადმოვეცი შენს წინაშე სიცოცხლე და სიკეთე, სიკვდილი და ბოროტება... აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ..." (მეორე სჯული 30, 15).

VI

ადამიანის მოვალეობათა სხვაგვარი სახე. მოვალეობანი საკუთარი თავის მიმართ: სულიერი პიროვნების განვითარება (ეგოიზმისაგან განსხვავება) ამ განვითარების თანდათანობა

ამქვეყნიური ცხოვრების დროს, ადამიანი განუწყვეტელ ცოცხალ ურთიერთობაში იმყოფება ღმერთთან, მოყვასთან, მის გარშემო მყოფ ადამიანებთან. ამასთან ერთად, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იგი ზრუნავს საკუთარ თავზე, ხორციელი კეთილდღეობისა და სულიერი გადარჩენისათვის. ამის გამო, მისი ზნეობრივი მოვალეობა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1. საკუთარ თავთან დამოკიდებულება, 2. დამოკიდებულება მოყვასის მიმართ და 3. უმაღლესი მოვალეობანი უფლის მიმართ.

ადამიანის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა საკუთარი თავის მიმართ არის სულიერი პიროვნების, ჭეშმარიტი, ქრისტიანული „მე"-ს გამომუშავება საკუთარ თავში. ქრისტიანის სულიერი პიროვნება არ არის რაღაც თავიდანვე მინიჭებული, არამედ ის, რაც მოიძებნება, გამომუშავდება და შეიძინება ადამიანის მიერ პირადი შრომითა და ძალისხმევით. არც ქრისტიანის სხეული, თავისი უნარით, ძალითა და მისწრაფებებით, არც თვით სული — როგორც შეგნებული განცდების თანდაყოლილი ცენტრი, როგორც ცხოვრებისეული საწყისი, არ წარმოადგენენ სულიერ პიროვნებას, სულიერ „მე"-ს. ქრისტიანში სულიერი პიროვნება არის ის, რაც მას განასხვავებს ნებისმიერი არაქრისტიანისაგან და წმიდა წერილში მოიხსენიება არა როგორც საფშვინველი, არამედ როგორც სული. სწორედ ეს სული წარმოადგენს სულიერი ცხოვრების ცენტრს, რომელიც მიისწრაფვის ღმერთისა და მარადიული, ნეტარი ცხოვრებისაკენ. ადამიანის მთელი ცხოვრების მიზანს ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც აუცილებლობას ამქვეყნიური დროებითი სიცოცხლის საუკუნო, სულიერი ცხოვრებისათვის მზადებას. სხვა გამოთქმას თუ ვიხმართ, ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების ამოცანაა — თავისი სიცოცხლის მანძილზე შეძლოს საკუთარი სულიერი პიროვნების, ჭეშმარიტი, უკვდავი „მეს" შექმნა და გამომუშავება.

საკუთარ „მეზე" ზრუნვა სხვადასხვაგვარად შეიძლება. არიან ადამიანები, რომლებიც ზედმეტად ზრუნავენ და ელოლიავებიან საკუთარ „მეს"; მათ ეგოისტებს უწოდებენ. ეგოისტი ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე, იგი ნებისმიერი გზით, თუნდაც ახლობლების ტანჯვისა და უბედურების ფასად, ცდილობს მიაღწიოს პირად ბედნიერებას და თავისი სიბეცის გამო ვეღარ ამჩნევს, რომ ცხოვრების ქრისტიანული გაგებით, იგი ვნებს მხოლოდ საკუთარ თავს, თავის უკვდავ „მეს".

როდესაც ქრისტიანობა მოუწოდებს ადამიანს საკუთარი სულიერი პიროვნების შექმნისაკენ, აქაც, ამ გზაზეც მცნებად უდებს — გაარჩიოს სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტად სასარგებლო, მოჩვენებითისა და ავისაგან. იგი გვასწავლის, რომ ყოველივე ის, რაც ღვთისგანაა ნაბოძები — ჯანმრთელობა, ძალა, უნარი, ბუნებრივი ფიზიკები და ღირსებები — მივიჩნიოთ არა საკუთარ „მედ", არამედ ღვთისაგან ნაბოძებად. ყოველივე ეს უნდა გამოვიყენოთ (როგორც სამშენებლო მასალა) საკუთარი სულის შესაქმელად. ამისათვის კი საჭიროა ღვთისგან ნაბოძები ყველა ეს „ტალანტი" მოვიზმაროთ არა ეგოისტურად — საკუთარი თავისათვის, არამედ სხვებისათვის, რადგან ზეციური სამართლის კანონები სრულიად ეწინააღმდეგება გამორჩენის კანონებს. ამქვეყნიური გაგებით, მოიპოვებს ის, ვინც ამქვეყნიურ ცხოვრებაში დააგროვა საკუთარი თავისთვის, ხოლო ღვთიური, ზეციური

სამართლის მოძღვრების მიხედვით ის მოიპოვებს, ვინც ამქვეყნიურ ცხოვრებაში გასცემს და კეთილისმყოფელია. ცნობილ იგავში „ორგულ სახლთმართველზე"ამქვეყნიური ეგოიზმისა და ღვთის სამართლის მცნებებს ურთიერთწინააღმდეგობის პრინციპი გასდევს ძირითად აზრად და მისი სწორად გაგების გასაღებია. აღნიშნულ იგავში უფალმა ეგოისტურად მოგროვილ ამქვეყნიურ სიმდიდრეს უმართებულო უწოდა და მცნებად დაგვიდო, რომ იგი გამოვიყენოთ არა საკუთარი თავისათვის, არამედ სხვებისთვის და მოვიპოვებთ სამუდამო სასუფეველს.

მოუწდომლად მაღალია ქრიტიანული სრულყოფილების იდეალი. „იყავით სრულყოფილნი, ისევე, როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი" – ბრძანა მაცხოვარმა (მათე 5, 48) და ამიტომაც არ შეიძლება ჰქონდეს დასასრული ადამიანის მცდელობას საკუთარი თავისა და სულის სრულყოფისათვის. ქრისტიანის მთელი ამქვეყნიური ცხოვრება, არის განუწყვეტელი ზნეობრივი ღვაწლი, სრულყოფილების მისაღწევად. ამას კი ადამიანი აღწევს არა ერთბაშად, არამედ თანდათან. ერთ-ერთ ქრისტიანს, რომელსაც გამოცდილების გამო, სურდა მალე მიეღწია სიწმიდისათვის, ღირსი სერაფიმ საროველი მიმართავს: „ყველაფერი აკეთე ნელა და არა უცბად, სათნოება მსხალი არ არის, უცბად ვერ შეჭამ..." მოციქული პავლე კი, მიუხედავად თავისი სულიერი სიმაღლისა და ძლიერებისა, თვლიდა, რომ მას ჯერ არ მიუღწევია და მხოლოდ მიისწრაფვის ასეთი სრულყოფილებისაკენ – "ღმერთის უმაღლესი მოწოდების პატივისაკენ იესო ქრისტეში..." (ფილ. 3, 12-14).

VII

მორჩილების, გულით მგლოვარების და სიმართლისმოყვარეობის სათნოებანი (ნეტარების 1, 2 და 4 მცნებების ურთიერთკავშირი მათეს სახარების მიხედვით)

წმიდა მამათა სწავლებით, ქრისტიანულ სათნოებათა შორის უპირველესი არის – მორჩილება, რომლის გარეშეც შეუძლებელია შეიძინო სხვა სათნოება და ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქრისტიანის სრულყოფილება. თვით ქრისტე მაცხოვარი ახალ აღთქმაში ნეტარების მცნებებს იწყებს მცნებით მორჩილების შესახებ: "ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!..."

გლახაკებს – ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით – ვუწოდებთ არაფრის მქონეებს, რომლებიც სხვებისაგან ითხოვენ მოწყალებას (ასეთი გლახაკნი კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერ იქნებიან "ნეტარნი", რადგან მათ შორის არიან ქურდები, ლოთები, თაღლითები და ა. შ.), ქრისტიანმა კი (მდიდარი იქნება ის, თუ გლახაკი, უნდა შეიცნოს თავისი თავი სულით გლახაკად, ე. ი. ხედავდეს, რომ ყოველივე კეთილი, რაც მას გააჩნია, არის ღვთისაგან. რისი მიმატებაც შეგვიძლია ჩვენი მხრიდან, ეს არის მხოლოდ ბოროტება, თავკერძობა, ხორციელი ახირებანი და ამპარტავნება. ყოველივე ეს კარგად უნდა ახსოვდეს თვითეულ ჩვენთაგანს, რადგან ტყუილუბრალოდ როდია ნათქვამი წმიდა წერილში: "ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს". და როგორც უკვე ვთქვით, მორჩილების გარეშე შეუძლებელია სხვა ნებისმიერი სათნოება, ხოლო თუ რომელიმე სათნოება განხორციელდება არა მორჩილი სულით, მაშინ ადამიანი უსათუოდ ჩავარდება ამპარტავნებაში და მოშლება ღვთის წყალობა.

ქრისტიანისათვის გულწრფელი, ღრმა მორჩილების გვერდით უნდა იყოს მგლოვარება გულითა, რომელზეც ნეტარების მეორე მცნებაშია ლაპარაკი.

თარგმნა მარინა თორთლაძემ



სამთავისის სამრეკლო. XI ს.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ



"ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲛ"

ოდესღაც, მახსოვს...
შემოანათე ვაზის ჯვრით ხელში
და განაბრწყინე...
მოიხილე ურბანი ველნი...
და განაქვავე კერპთა თარეში...
ო, მოციქულო,
რა შორეული გზა მოიარე
და უმართლონი
ზენაართან შენ გვაზიარე.
ახლაც მოველი...
ეგების კიდევ დაისიზმრო
დასეტყვილი ქართლისა ზვრები
და გვეედრები,
ხელმეორედ შემოაფინო
ატირებულ ვაზის ლერწამს
ზეციური ხმის
ნაწნავები...

* * *

ეჰეი!
ვერ შეაღწევ, თუ არ განიწმიდე...
სული სინანულით
ეძებს ლაბირინთებს;
წარსულთ ღაღადისი
ქვასაც ატირებს;
იყო მანამდისი,...
და იქნება კიდევ...
თუკი განიწმიდე,
სხივი მარადისი —
მერმისს მიგაცილებს...

შენ რომ მეგულვები
ზეცას, მაცხოვარო,
იმედჩასახული სული
მათმენინებს...
ვისაც ამა ქვეყნად
ჯვარი უზიდია,
შენთვის უგვემია
ვისთვის გვირგვინია
ეკლით შემოსილი,

ვინც კი შესწირვია
შენის ნათებისთვის —
მისთვის საუფლოჲს
თაღი მბრწყინავია...
. . .
შენ რომ მეგულვები
ზეცას, მაცხოვარო,
იმად მოვიჩქარი,
წიაღს გეამბორო.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ

სული ღმერთის... სული სამშობლოს

(ნაწყვეტი პოემიდან)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ამბროსი ხელაიას ხსოვნას

აღარ გამოკრთის ნათელი, გამქრალა ჩემი სახელი,
მტერი და ავისმზრახველი გრძნობს საიდუმლოს გამხელილს.
აყვავებულა კუნძული, ხარობს ძეწნა და ძახველი,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეულს სევდა და ნაღველი!
ივერიელთა გულისთქმა, მომავლის იმედს მონებდა,
ავიშლებოდით ქუხილად, ვიღაცა დაგვაყოვნებდა,
ვინ შეგვაჩერებს სიკვდილთან, გზას ვინ შეგვიკრავს მორევთან,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეული ძიძგ[illegible]ონ ყორნებმა!
გულში სევდის ტბად გროვდება ცრემლები დასადინარი,
სამშობლოს თავისუფლების თავშემწირველი ვინ არი,
ან რას ჩურჩულებს ტაძრის წინ ტანაშოლტილი ჩინარი,
სული ღმერთს, გული მამულს და მიწაც ყოველთვის წინ არის!
ჩამოეშვება ზეციდან ქარის ხმა, ქარის კივილი,
ხომ გესმით ქართლოსის ძენო, არწივის მართვეს ყივილი.
საუკუნეებს მოჰყვება ჩვენი მოთქმა და ჩხვილი.
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეულს დარდი და ტკივილი!
ცეცხლად ბრიალებს სიცოცხლე, ნისლივით ქრება წლები,
ყველა სიკვდილის შვილი ვართ, ბოლოს საფლავში ვწვებით,
სამარეშიც კი დარდისგან კვნესის წინაპართ ძვლები,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეულს დარდი და ცრემლი!
მხოლოდ ერთი ხმა ისმინე, მხედარო, თუნდაც ქვეითო,
რად ღირს ისეთი სიცოცხლე, ყოფნას თუ ვერვინ შეიტყობს,
შენს ნატერფალზე თუ ვინმე, სულს ოდნავ ვეღარ შეითბობს,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეული მიწარ შეირთოს!
ფრთებნამეხარი არწივი — ჩემი ქვეყანა ეს არი,
გადაჩეხილი ვაზები, მინდვრები დაუთესავი,
მტერს მისი ერთი მტკაველიც არ დარჩა დაუგესლავი,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, მიწას სხეული მკვნესარი!
ხომ არ შედრკი და შეშინდი, ჩემო ამაყო გვარ-ტომო,
თქვენი ფუძე და სამკვიდრო, არ შეცდეთ აღარ დატოვოთ.
შეგვინდე, მამა უფალო, ჩვენო დიადო ბატონო,
სული ღმერთს, გული მამულს და სხეულს კი მიწა პატრონობს!
ალმური ასდის წარსულში უმიზნოდ ჩამწვარ ზმანებებს,
როგორ გავუძლო მამულში უცხო ფრინველი გამეფდეს,
ჩემს მრევლს და ტაძრებს ვერაფრით მომხდურებს ვერ დავანებებ.
სული ღმერთს, გული სამშობლოს ხორცი მიწაში განელდეს!
თავისუფლების ნატვრაში თუ ხელი არ მომეცარა,
თუ ყველამ აღარ დამტოვა, ყველა არ შემომეცალა,
იარებს ლოცვით გავუქრობ, ვინც მამულისთვის ეწამა,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეული მიწამ შეჭამა!
ღვთისმშობელისწილ მამულში შვილებს იმედით ნათლავდნენ,
დღეს აიშალნენ ღრუბლები, ისევ ჩამუქდნენ, ჩაშავდნენ,
მხნეს, ჯანსაღს, რწმენით აღსავსეს, ვეღარც დაითვლი ათამდე,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, სხეული გაქრეს, გათავდეს!
არ შეიძლება ნორჩ ტყეებს გამხმარ ხეებით ფარავდნენ,
ჩემს ველებს გადამთიელის მახინჯი ტერფი ბარავდეს,
მოთქმით და ტანჯვა-ვაებით, ხედავთ, მოვედით სადამდე,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, ხორცი მიწაში გადარჩეს!

ცაც, ალიონიც აღარ ჩანს, არ რეკავს ცისკრის ზარები,
გადაგვიჩეხეს ბაღები, დაგვიკლეს შვინდა ხარები,
ხომ არ დაღლილა ეართველი, მძიმე აბჯარის ტარებით,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, ხორცს მიწას მივაბარებდი!
დიდი ხანია გაავდრდა, რა უმოწყალოდ ბარდნიდა,
მთები დაიქცა, დაემხო, მდინარეები აღიდდა,
დაცემის შემდეგ აღდგომაც მოგვდგამს ქართველებს ადრიდან,
სული ღმერთს, გული მამულს და ხორცი მიწაში დამკვიდრდა!
რამდენი ცოტნე... თევდორე... რამდენგზის მარტიც, აპრილიც,
უცოდველია ქართველის სისხლი ბრძოლაში დაღვრილი,
ბედის ფრინველო, ქართლიდან უმისამართოდ გაფრინდი,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, მიწას სხეული დაღლილი!
წინაპართაგან ვიწამე უფალი სულის მეუფედ,
ჩემს გვარ-ტომს მორჩილს ღვთისადმი ბუნებას ისევ შევუქებ,
მადლს გარდამოსულს მაღლიდან მამულის ტაძრებს შევუფენ,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, მიწაო, სხეულს ეუფლე!
მამულის პური ტკბილია, მზე და ღიმილი თბილია,
საქართველოზე ლოცულობს, შუბლგანგმირული ილია,
ცხრაგზის ჯვარცმული გმირები, კვლავ ერთი მიზნით ივლიან,
სული ღმერთს, გული სამშობლოს, ხორცი სიკვდილის შვილია!

ნაზი ხელაია

კრიალოსანი „სიმდისა"

სულ თქვენით, ჩემო ოსებო,
თქვენითა მტკივა, რაც მტკივა,
თქვენგან ვარ დანაოსები,
მაგრამ მაგ ჯიშის რაკი ვარ,
მაგრამ რაკი ვარ ქართული
აკვნით და სიტყვით გაზრდილი
და ჩემი სული ფრიალებს
ისე, ვით თეთრი მანდილი,
ისევ მე, ჩემო ოსებო,
თავში ქვა უნდა ვიხალო,
დაე, ულმობლად მოვისრა,
ოღონდ სიკეთემ იხაროს!
სად გაექცევა ეს სისხლი
შენს დღენიადაგ ყივილსა.
ისევ ჩვენ, ჩვენ უნდა გავსხლათ
ტოტი სიმართლის სხივისა.
ისევ თქვენ არ გამიწყრებით,
რომ ვუერთგულო სინდისსა,
თორემ ხომ ხედავთ, დაგვაწყდა
კრიალოსანი "სიმდისა"!!!

მზია ხეთაგური

სამაჩაბლოში დაღუპულ მამულიშვილებს

თქვენ სამშობლო არ დაგივიწყებთ,
ხსოვნასთან ერთად იმატებს სევდაც,
მალე ზამთარი გადაიფიფქებს.
მწამს, გაზაფხული უთუოდ მოვა...
სამაჩაბლოში რთველია, მერაბ,
დაიწურება თამარაშნული,
შენი ბიჭებით ეწვიე ვენახს,
დაგვალოცვინე მამულ-დედული.
ჩამოდით ერთად, აქ სინათლეა,
ნუ გეშინია ბიჭო, ღალატის,
გესმის, ლიახვი გეჩურჩულება,
მთელი ხეობა ისევ დაგნატრის!
მწარე ფიქრების წუთები მტანჯავს,
რამდენს გაუძლოს გულმა ტკივილებს,
ვინ რას გაიგებს ამ წუთისოფლის,
გაურკვეველ გზის ცოდვა-ჩივილებს.
. . .
ყველა მათგანი ღირსია ქების,
არ დავიწყების და გვირგვინების,
ვთქვათ სადღეგრძელო ნაღდი შვილების,
სამაჩაბლოელ დიდი გმირების.

ტკივილი

შემოდგომით იცრემლება ჩვენი დედა თბილისი,
აღარ ისმის მის ქუჩებში სიმღერები თბილისმის.
ტყვიის ცეცხლში არეულან ქართველები პირისპირ,
ილუპება საქართველო, უთენია, დილის პირს!
რეკენ, რეკენ ქაშუეთის წმიდა ტაძრის ზარები,
სანთლებს ზეცას ავედრებენ შაოსანი ქალები, –
ღმერთო სიკვდილს აარიდე
ქართველ დედის თვალები!
კმარა, ძმებო, სირცხვილია,
ნუ ვაღვივებთ ქართლის ჭირს;
ღვთისმშობელო, შეისმინე,
ღვთისმშობელო შეიბრალე,
ღვთისმშობელო დაიფარე
ივერია უფლის წილ.

ზოთა დარგუაშვილი

იკორთა

იკორთა – ჩვენი ლურჯი ფრინველი,
მთის ცხრაკლიტულში ჩამჯდარი რიდით,
უძვირფასესი განძი პირველი,
ერისთავების საძვალე დიდი.
აქა ტრიალებს, როგორც ფარვანა,
ჩოლოყაშვილის ნათელი სული,
მოვლენილია ერის ფირმანად
და მაღალ ნოტად ჩვენი წარსულის.
იგია ერთი ამ ქვეყანაზე,
მას ვერ უპოვნი მაშრიყს და მაღრიბს,
მზე დასჩირაღდნობს იკორთას თავზე
და გაზაფხულის ყვავილებს აყრის.

იულონ ტოლიაშვილი

დავით სარაჯიშვილი

24 ივნისს ვაკის სასაფლაოდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გადმოასვენეს ამ ეკლესიის აღმშენებლის, დიდი ქართველი მამულიშვილის – დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ფორაქიშვილის ნეშტი.

დავით სარაჯიშვილი (1848-1911) იყო ფილოსოფიის მაგისტრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, ცნობილი ქველმოქმედი და ახალგაზრდობის დიდი მოამაგე. როგორც იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, დიდმა ილიამ დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ოჯახში წაიკითხა "განდეგილი" და "ოთარაანთ ქვრივი".

დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო, ნეკროლოგში "სახალხო გაზეთი" წერდა: "თავის დაუღალავ შრომითა და ენერგიით განსვენებულმა შეჰქმნა დიდი ფირმა და შეიძინა ქონება, რომლითაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბრძნულად სარგებლობდა. თითოეული ქართველი ძალიან კარგად იცნობს დავით ზაქარიას ძეს, როგორც ქველმოქმედს, იცნობს, როგორც ადამიანს, რომელსაც საზოგადოებრივი საჭიროებანი თავის პირად საჭიროებად მიაჩნდა. დავით ზაქარიას-ძე ეხმარებოდა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, მოსწავლე ახალგაზრდებს და სხვ. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენს ღარიბ საზოგადოებისათვის".

იგი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე ყოველწლიურად 30 000 მანეთს ხარჯავდა. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, გიგო გაბაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სარგის კაკაბაძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვები.

უბრალო, გაუნათლებელი, წერა-კითხვის უმეცარი არც თავისთვის ვარგა და არც პატრონისთვისო, – ამბობდა დავით სარაჯიშვილი. იგი წერა-კითხვის, ანგარიშის მცოდნეს ჯამაგირსაც უმატებდა და ამით აქეზებდა ყველას, რომ ესწავლათ.

1911 წლის 17 ივნისს გაზეთ "თემში" გამოქვეყნდა დავით სარაჯიშვილის ანდერძის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, მისი ქონების დიდი მონაკვეთი ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს უნდა მოხმარებოდა.

მას ქართული ეკლესიის წინაშეც მიუძღვის დიდი ღვაწლი და ამაგი. 1898 წლის 28 ოქტომბერს გაზეთ "ივერიაში" ვკითხულობთ: "იმ კომიტეტის წევრმა, რომელსაც მცხეთის ტაძრის შეკეთება და განახლება აქვს მინდობილი, დ.ზ. სარაჯიშვილმა შესწირა ამ დიდებულის ტაძრის განსაახლებლად 1000 მანეთი".

მტკივნეულად განიცადა დავით სარაჯიშვილის ამ სოფლიდან გასვლა ქართულმა ეკლესიამაც. სიონში, ქვაშვეთში, დიდუბეში, განსვენებულის სულის მოსახ-



პანაშვიდი ქაშუეთის ტაძარში

სენებლად გადაიხადეს პანაშვიდები: წარმოითქვა სიტყვები, რომელთაგან რამდენიმე, კერძოდ, ეპისკოპოს ლეონიდეს, დეკანოზების: კალისტრატესა და ნიკიტა თალაკვაძისა, დაიბეჭდა მისდამი მიძღვნილ კრებულში. ეს სიტყვები დაბეჭდილია ჟურნალში "ჯვარი ვაზისა", 1986 წ. №1. ავტ. ლ. ნანიტაშვილი.

ისევ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს:

კალისტრატე ცინცაძის სიტყვა

ქართველ განმანათლებელ საზოგადოებათა მიერ გარდახდილი პანაშვიდის წინ:

"უკეთუ ვინმე თჳსთა უფროჲსღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძჳრეს" (1 ტ. მ. 5, 8).

აი, მცნება, რომელსაც მსახურობდა თავის სიცოცხლეში დ. ზ. სარაჯიშვილი, ვის გამოც შეკრებილან დღეს ამა წმიდა ტაძარში ქართველის ერის განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელნი! ყველა თქვენგანმა უწყის, რომ განსვენებულმა დავით სარაჯიშვილმა შეუწყვეტელის და დაუღალავის შრომით მოკლე ხანში მოიპოვა იშვიათი ქართველთა შორის სიმდიდრე. ასე მალე შეძენილი სიმდიდრე კი თითქმის ყოველთვის წარმოშობს ორს ცუდს ჩვეულებას: მოძმეთა შორის ამპარტავნება-მედიდურობას და კერძოდ, პირადის ბედნიერებისათვის ზრუნვას.

დავით სარაჯიშვილმა კი თავი წაართვა ორსავ ნაკლულევანებას და მით უკვდავჰყო თავისი სახელი.

ქონებრივად და გონებრივად მადალის საზოგადოების წევრებთან გასწორებულს და მათთან დღე მუდამ საქმის დამჭერს, არასოდეს არ შეუწყვეტია კავშირი დაბალ ხალხთან. ყველასათვის ხელ-მისაწვდომი, თავმდაბალი და მოსიყვარულე, იგი ხალხის ჭირით იტანჯებოდა და მისის ლხინით იხარებდა. არა სხვა მდიდარზე ნაკლებ მზრუნველი პირადის ბედნიერებისათვის, იგი არ ივიწყებდა უმრწემესთა ძმათა წაღმართ გზაზედ დაყენებას. მუდამ მომგონებელი თავისი წარსულისა, იგი სიტყვითა და საქმით გვიჩვენებდა, რომ საფუძველი ერის ბედნიერებისა არის შრომა და ცოდნა. იგი სწორედ ამ შრომის სიყვარულისა და ცოდნის გავრცელებისათვის მშობელს ხალხში, არ იშურებდა არც საკუთარ ძალ-ღონეს, არც შრომით შეძენილ ქონებას. მრავალთ, დღეს აქა მდგომარეთაგანს და კიდევ უფრო უმრავლესთ სხვაგან მყოფთ, მისის შემწეობით შეუძენიათ განათლება და გაუკვალავთ გზა ცხოვრებისა.

მაგრამ განსვენებულს დავით სარაჯიშვილს ეს არ აკმაყოფილებდა. უნდოდა მისის შემწეობით თუ მეცადინეობით, განათლების მიმღებთ განათლება გაევრცელებინათ მშობელს ერში, რომლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ "აჩრდილთა სიკუდილისათა დამკვიდრებულ და ბნელსა შინა მრავალ არს" (ისაია 9,2). და რომ შეემსუბუქებინა მოქმედთათვის მოღვაწეობა, მუდამ ღია ჰქონდა თავისი გულისა და სახლის კარები მათთვის და ამხნევებდა მუშაკთ მხურვალე სიტყვით და უხვის დახმარებით. განსაკუთრებულს მის ყურადღებას კი იქცევდნენ ის ქართველთა შორის მოქმედნი განმანათლებელნი დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად დაუსახავთ საქართველოს დიდებულის სულისკვეთების ნაყოფთა შესწავლა, შეგროვება, გავრცელება თუ აღდგენა, რისი მოწამე უნდა იქნეს მომავალი ჩვენი საერო მუზეუმი, აღსაგებელი განსვენებულის მიერ შემოწირულის თანხით, და არს და იქმნება მცხეთის სვეტიცხოველის და სამთავროს ტაძრები და ამა ქვაშვეთის დიდებულნი ბჭენი, რომ ყველა ეს დაწესებულებანი მას მიაჩნდა თვისად და, თანახმად წმიდის მოციქულის მცნებისა, მოღვაწე იყო მათთვის. და აი, სწორედ ამ მოღვაწეობისათვის ქართველის ერის ყველა განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელთ მოუყრიათ თავი და ცხარის ცრემლით იგლოვენ და სტირიან სასიქადულო წევრისა და უებრო მამულიშვილის დაკარგვას...

საყვარელნო! მართალია, ჩვენი დანაკლისი ფრიად დიდი და საგრძნობელია, მაგრამ ქრისტიანთ არ შეშვენის მიცვალებულთათვის უნუგეშო ტირილი და გოდება, არამედ მადლობა და ლოცვა ღვთისა. ჩვენც შევწიროთ მადლობა ზეციერს მამასა დავით სარაჯიშვილის ქვეყნად მოვლენისათვის და შევევედრნეთ, რომ მსგავსი მისი კვალად მოჰნიჭებოდეს ქვეყანასა ჩვენსა არა ერთი და ორი. ამინ".

როგორც გაზეთები იუწყებიან, 26 ივნისს თბილისს არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა, დილის 9 საათისათვის მთავარი მოედანი და ახლომახლო ქუჩები ხალხით გაივსო. 9 საათზე ცხედარი ბინიდან გამოასვენეს, აუარებელი გვირგვინი მწყობრად მიჰქონდათ წინ, მას მისდევდნენ ამქრები დროშებით, მგალობელთა გუნდები. წირვა და პანაშვიდი შესრულდა ქართულ და რუსულ ენებზე ეპისკოპოსების – ლეონიდეს და პიმენის მიერ. ანდერძის აგების წინ სიონის ტაძარში სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა ლეონიდემ.

"სიკვდილი ცრემლისა და მწუხარების წყარო და მიზეზია: კუბო ჩვეულებრივად გულს უკლავს კაცს და შიშის ზარსა ჰგვრის მას. შავი ძაძა, უნუგეშო ოხვრა-ტირილი, მოდუნება სულითა და სასოწარკვეთილების უფსკრულის პირამდე მიღწევა – ესენია ჩვეულებრივი თანამგზავრები კუბოსი და სიკვდილისა!

მაგრამ რომელიმე მოვლენის სიხშირე და ჩვეულებრიობა ამ მოვლენის ხასიათის უცვლელობისა და აუცილებლობის ბეჭედი როდია. არა, შესაძლოა, რომ ათას შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა ზოგჯერ განსაკუთრებითი ხასიათის მოვლენად გახდეს, შესაძლოა, რომ ჩვეულებრივმა მოვლენამ ათასში ერთხელ სულ ახალი გამონაკლისის თვისება მიიღოს.

სიკვდილსა და კუბოსაც, მიუხედავად მათი საერთოდ საზარელი ხასიათისა, ხანდისხან სრულებით ეკარგებათ ხოლმე საშიში და კაცის გულის შემაძრწუნებელი თვისებანი. ზოგჯერ სიკვდილი კი არ გვაჩანაგებს, კი არ გვაშორებს ერთიმეორეს და არ გვაუძლურებს, არ გვაქუცმაცებს, ჯანსა და მოქმედების უნარს კი არ გვაცლის და არ გვასუსტებს, პირიქით, უფრო მკვეთრად გვაერთებს, უფრო მძლავრად გვაკავშირებს ერთიმეორესთან, უფრო ცხოვლად გვაგრძნობინებს ხოლმე ერთმანეთს შორის ნათესაობასა და სიახლოვეს სისხლით, ხორცით და სულითა, ერთი ეროვნების შვილობას, ერთიმეორის ძმობას და მოყვასობას. ზოგიერთი პირების გარდაცვალების გამო, ცოცხლებს უორკეცდებათ ზნეობრივი ძალა,უძლიერდებათ ხოლმე შრომისა, მხნეობისა და მოქმედების უნარი.

ხანდისხან კუბო თითქოს აცისკროვნებს ხოლმე ზოგიერთ მიცვალებულს, თითქოს მხოლოდ კუბო არღვევს იმ შუა კედელს, რომელიც მიცვალებულის სიცოცხლის დროს ჰფარავდა ჩვენგან მისი გონების სიდიადეს, სულის სიმაღლეს და ზნეობა-მოქალაქეობის მომხიბლავ სილამაზეს: ზოგჯერ მიცვალებულები კუბოდან უფრო მძლავრ, უძლეველ და დიდებულ მოძღვრებად გამოიყურებიან ხოლმე, ვიდრე სიცოცხლეში გვეჩვენებოდნენ და ასეთ რჩეულ გვამთა დასაფლავებას ერი უფრო დღესასწაულობს ხოლმე, ვიდრე გლოვობს.

ასეთია სწორედ დავით ზაქარიას ძის სიკვდილი და კუბო. დავითს მხოლოდ სიკვდილმა ახადა ფარდა და ცხადად წარმოგვიდგინა მისი სულიერი გოლიათობა,

მისი გულკეთილობის ბუმბერაზობა, მისი კაცობის დიადობა! რითია სამგლოვიარო ეს დიდებული სანახაობა, სადაც უმწეო ქვრივი და ბეჩავი ობოლი, წელში გახრილი მუშა და საცოდავი გლეხი, სახელოვანი სოვდაგარი და უბრალო მეწვრილმანე ნოქართან ერთად, მოსწავლე, მასწავლებელი და დიდებამოხვეჭილი პროფესორი, მოხელე და მოქალაქე, ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი და მუსულმანთა ერები სულითა და გულით შეერთებულნი, თავს ევლებიან ამ ბრწყინვალე კუბოს და არ იციან, ვინ ვის აჯობოს მიცვალებულისადმი პატივისცემის გამოთქმაში!კუბომ ახადა დღეს დავითის სულიერი სიმდიდრის სკივრს თავი და ჩვენ ვერ დავმტკბარვართ ამ სიმდიდრის ცქერით!

როგორც მშვენიერი, ყველაფრით სრული და იდეალური ნაყოფი ხისა, იზიდავს ყველას გულს, ისე დავითის სულიერი მშვენება ატყვევებს კავკასიის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების სულსა და გულს, მაგრამ ნაყოფი ყველაზე უძვირფასესია თვითონ პატრონისათვის და დავითიც, როგორც იდეალური ნაყოფი ქართველი ერისა, შეუდარებლად ძვირფასი, საყვარელი, სასურველი და სასიქადულოა ჩვენთვის, ქართველებისათვის, როგორც მისი მახლობლებისა, მისი ჩამომავლობის, მისი სისხლისა და ხორცის მქონებელთა, მის სულიერ თვისებათა მემკვიდრეთათვის!"

სიონის ტაძრიდან კუბო ქალაქის მთავარ მოედანზე მოასვენეს. აქ სიტყვები წარმოთქვეს სათათბიროს წევრმა კ. ჩხეიძემ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. ჩიქოვანმა და თბილისის გამგეობის წევრმა ალ. არღუთინსკიმ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან სიტყვები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა, ალ.მდივანმა, ვერეს დაღმართზე – ს. მდივანმა, ს.მერკვილაძემ, ძმები ზუბალაშვილების სახლთან გადახდილ იქნა მცირე პანაშვიდი. სამარესთან სიტყვები წარმოთქვეს დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ, გრ. შახნაზაროვმა, პ. თუმანიშვილმა, ქუთაისის თავადაზნაურობის წარმომადგენელმა ი. გელოვანმა.

არ დარჩენილა კავკასიის არც ერთი კუთხე, საიდანაც წარმომადგენელი და გვირგვინი არ ყოფილიყო. იაკობ გოგებაშვილი ამ სიტყვებით გამოეთხოვა განსვენებულს: "ულმობელს სიკვდილს უნდოდა დავითის სახელოვანი სიცოცხლე დაემცირებინა, მაგრამ მან თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდედით შეიმოსა. დათრგუნა-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ამისთანა სიცოცხლე და გარდაცვალება უკვდავს, დაუვიწყარს სახელს ანიჭებს საქართველოს ყოველ შვილს მთელის ჩვენის ერის ხსოვნაში. ეს ხომ უდიდესი ჯილდოა ყველასათვის ამ სოფელში.

ბედად იგი დაიბადა მოქალაქედ და გარდაიცვალა სასიქადულო მოქალაქედვე, რასაც ჩვენს შორის ჯერ არც ერთი ბრწყინვალე შემძლებელი არ ღირსებია. "ხოლო ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: "დღეს აღარა გვყავს ეს ცხოვრებაში გამობრძმედილი, პატიოსანი და კეთილშობილი მოღვაწე. მისი ოჯახის მწუხარებას მთელი ქვეყანა შუა იყოფს, მისი სახელი, როგორც ქველმოქმედისა, უკვდავია საზოგადოების ისტორიაში. კეთილი თესლი მის მიერ დანერგილი ერთი ასად აღმოცენდება".

სიტყვა დეკანოზის ნიკიტა თალაკვაძისა

წარმოთქმული დიდების პანთეონში დავით სარაჯიშვილის ცხედართან.

დიდების ტაძარი დღეს გლოვის ზარით ეგებება ქართველი ერის სახელოვან შვილს, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს!

ამ წმ. ტაძრის ფრთეთა ქვეშ არსებული ქართველთ სასიქადულო შვილთა პანთეონი დღეს მიიღებს თავის წიაღში დიდად მოჭირნახულე, ქვეყნისათვის მოამაგე, იშვიათ, სპეტაკ თვისებებით შემკულ ქრისტიანს, დაუღალავ მუშაკს და უებრო მამულიშვილს!...

ოცდაოხუთმეტი წლის განმავლობაში, უკანასკნელ აღმოფშვინვამდე განსვენებული მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა ტურფა, მაგრამ ახალ ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ სუსტად შეიარაღებულ ჩვენს პატარა სამშობლოს!

ქრისტეანული სულის განწყობილება განსვენებულისა უკვე საქვეყნოდ არის აღიარებული და ცნობილი!

ჭეშმარიტად "მარცხენამ მისმან არა იცოდა, რასა იქმოდა მარჯვენე მისი" (მთ. 6,3) გარნა მარჯვენე მისი სიკვდილის შემდეგაც კი არ დადუმდა ქმნად კეთილთა საქმეთა მოყვასისადმი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, თვისთა თუ გარეშეთა.

ეს ქართველთ სიამაყე ქართველურის გულუხვობით და სიკეთით იშვიათი ქველ-მოქმედია!

განსვენებულმა დავითმა, მოიპოვა რა თავის დაუღალავ შრომით და მეცადინეობით ეს ამოდენა სიმდიდრე, არ დაემონა ის ამ სიმდიდრეს, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. პირიქით, ამსახურა და მოახმარა იგი თავის ქვეყანას და მოძმეთა კეთილდღეობას, ახალ თაობათა სწავლა-აღზრდის და მშობელი ერის გათვითცნობიერების საქმეს.

განსვენებულმა დავითმა, ჩვენში მისგან პირველად შექმნილ ერთ-ერთ დარგს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებისას, რომელიც ექვემდებარება ხოლმე სასტიკ ეკონომიკურ კანონებს, ამ გულ-ცივ კაპიტალს შთაბერა თავისი მხურვალედ მოსიყვარულე ქრისტეანული სული და აამეტყველა, აამოძრავა ის ქვეყნის საკეთილდღეოდ!

რამდენ ნივთიერად ხელ-მოკლე ახალგაზრდას უსარგებლნია დავითის მადლიანი შემწეობით?! რამდენ მათგანს მხოლოდ დავითის წყალობით მიუღია განათლება! რამდენი კიდევ გაიკვლევს გზას ცხოვრებაში მისგანვე ნაანდერძევ უკვდავ, უხვ შემოწირულებიდგან?!...

რამდენ განმანათლებელ დაწესებულებას ჩაუდგა მან პირში სული! რა იქნებოდა ჩვენი ქართული გიმნაზია უდავითოდ; რა იქნებოდა ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ან ქართული თეატრი, თუ დრამატიული საზოგადოება უიმისოდ; ვინ ჩაუყრიდა მკვიდრ საფუძველს ქართულ მუზეუმს, თუ არა რ ასევ ეს ჩვენი უხვი, უანგარო დავითი!

მაგრამ განსვენებულის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ განიზომება მხოლოდ მის მიერ აუარებელ სიმდიდრის შეძენით და ამ სიმდიდრის გონივრულად, სახარებისებურად მოხმარებით.

იმ დროს, როდესაც ქართველ ერს ჯერ კიდევ ვერ აეღო ალღო ახალ ცხოვრებისათვის, ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებოდა მას, განსვენებულმა დავითმა პირველმა საკუთარის მაგალითით გვაჩვენა, თუ რა გვარი საქმიანობა და მოქალაქეობა ესაჭიროებოდა იმხანად ჩვენს გაღატაკებულ ქვეყანას. ამიტომ განსვენებულის საფლავი დიდების ეკლესიის ეზოში მუდამჟამ სათაყვანებელ იქნება ქართველობისათვის.

მოვედ, მამულიშვილო, რათა სამშობლო მიწამ ჩაგიკრას თავის გულში!...

მაგრამ... ეგ მიწა მსუბუქი იქნება შენთვის, ვინაიდგან "ესვიდი უფალსა და ის განგისუენებს შენ".ამინ. (ფს. 39, 2).

1916 წელს, 9 აგვისტოს ეკატერინე სარაჯიშვილის გარდაცვალების დღეებში, გაზეთებმა გამოაქვეყნეს ანდერძის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც მისი ქონების უდიდესი ნაწილი უნდა გადასცემოდა ქართულ ეკლესია-მონასტრებს ზუსტად მითითებული თანხის

ოდენობით. დანარჩენი კი საქართველოსა და საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ საზოგადოებებს, სკოლებს, სასწავლებლებს, მუზეუმებს, თეატრებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, საავადმყოფოებს, საპატიმროებს და სხვ.

ანდერძის გარდა, განსვენებულმა დატოვა ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი. ყოველივე ეს დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებმა უანდერძეს მშობელ ქვეყანას და ხალხს. მათ არ უფიქრიათ და არც შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში მოვიდოდა ხალხი, რომელიც მის სამშობლოს დაეპატრონებოდა და მათ ანდერძსაც გააუქმებდა. კიდევ მეტი... თვით მათ საფლავსაც კი ხელჰყოფდა დიდუბეში... ეს შემზარავი იყო, მაგრამ სხვა რაღა არ იყო შემზარავი მაშინ...

და აი, წლების შემდეგ კვლავ აღიძრა ინტერესი დავით სარაჯიშვილისადმი. ბოლოს და ბოლოს, ქართველმა ხალხმა, სათანადო პატივი მიაგო მის წმიდა ხსოვნას. კვლავ გაჭრეს მისი საფლავი და ნეშტი ქაშუეთის ტაძარში გადმოასვენეს. პატივით მოასვენეს იგი აწ უკვე თავის საბოლოო განსასვენებელ ადგილზე. გზაზე უფენდნენ ვარდებს...ეტლს კი, რომელიც ნელა მოემართებოდა რუსთაველის გამზირზე, მოაცილებდნენ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდები... წინ კი, მთელ პროცესიას მოუძღოდა საეკლესიო დროშა... ჯვარი წმიდა ნინოსი...

ეკლესიის ზარების ხმებში, გალობით, კრძალვით დაასვენეს ტაძარში... გადაიხადეს პანაშვიდი.

მეორე დღეს კი... საღამოს 7 საათზე მათი ნეშტიუკვე საბოლოოდ მიიბარა ქაშუეთის მიწამ.

დაკრძალვის წინ სიტყვა წარმოთქვა მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ.

ეს იყო ამაღლებული დღე. დასტური იმისა, რომ ქართველი კაცის სულში, მიუხედავად მრავალი თავსდატეხილი ტანჯვისა, მაინც ღვიძავს სიყვარულს, ღვიძავს შემოქმედ სულს, იმ უკეთესსა და ლამაზს, რითაც იჭი ენათესავება ღმერთს...

ახლა მაღლობის გრძნობით ვიხსენებ ერთ დღეს, შვიდი თუ რვა წლის წინათ... მე და ლეილა ნანიტაშვილი – ყველა დავიწყებულისა და დაკარგულის ქომაგი, ქართული მწერლობის ერთგული მოამაგე, მისივე მოწადინებით, ვაკის სასაფლაოზე დავდიოდით და დავით სარაჯიშვილის საფლავს ვეძებდით... ერთხელაც ბატონი სოლომონ ხუციშვილი შევაწუხეთ და წავიყვანეთ... იმ დღეს მისი ვარაუდით და მესაფლავის დახმარებით (მიცვალებულთა წიგნით) მართლა ვიპოვეთ ის საფლავი. გვინდოდა მისი გამშვენება და ვერ შევძელით... მაინც გვწამდა,საქართველო არ დაკარგავდა მას...

დაე, ქაშუეთის ტაძარში ყოველდღე აღვლენილმა ლოცვამ და გალობამ დაამშვიდოს მათი სულები... განუსვენოს მათ ადგილსა ნათლისასა, შეუნდონ "წუალებათაგან დაბნეულ" ჩვენს ერს...

(რედ.).



წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

ამბროსი ხელაია – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ქვემოთ, მისი ცხოვრების მოკლე ისტორიულ ფონზე, ვაქვეყნებთ ამბროსი ხელაიასთან დაკავშირებულ უცნობ დოკუმენტებს, რომლებიც დაცული იყო საიდუმლო ფონდებში. ეს მასალები ნათელყოფენ ოციანი წლების საბჭოთა საქართველოს ტრაგიზმით აღსავსე ისტორიას, განსაკუთრებით წარსული კულტურული მემკვიდრეობისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებას. ავბედობაში აღმოჩნდა ქართული ეკლესია და მისი მესაჭე ამბროსი ხელაია. აქ წარმოდგენილია დოკუმენტები, – ჩვენს მიერ შედგენილი მოკლე "ცნობა" საქართველოს წარსულიდან. "საქართველოს პატრიარქის მოწოდება გენუის კონფერენციისადმი", მისივე 1922 წლის 26 ივნისი. მიმართვა საქართველოს ჩეკას თავმჯდომარისადმი, ელიავას ე. წ. მიმართვა-განმარტებანი "პარტიულ ამხანაგისადმი" ამბროსი ხელაიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, "მემორანდუმი", ანუ პატრიარქზე მიმაგრებული აგენტის მიერ მიწოდებული ცნობები, "ჩვენება", – ამბროსი ხელაიას დაკითხვა და საკათოლიკოსო კანცელარიის მდივნის დეკანოზ იოანე ქავუარაძის წერილი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი, თუ როგორ ტანჯეს და აწამეს ჩეკამი, რათა მიეცა ჩვენება ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ (მითითებული "სრულიად საიდუმლო" დოკუმენტები შედგენილია რუსულად, მადლობას მოვახსენებ ბატონ გრიგოლ სიხარულიძეს მათი ქართულად თარგმნისათვის).

ვახტანგ გურგენიძე

ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია დაიბადა 1861 წლის 7 სექტემბერს მარტვილში, გარდაიცვალა 1927 წლის, 29 მარტს. იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში. 1885 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1887-96 წწ. მღვდლად იყო სოჭში, შემდეგ სოხუმში. იყო, აგრეთვე, სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი და ქართული ენის მასწავლებელი. ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ და შოვინისტურ პოლიტიკას აფხაზეთში. გამოდიოდა პრესაში შავრაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენის (იზოტოვი) წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზებს ქართველების სიძულვილს უნერგავდნენ და დევნიდნენ ქართულ ენას. 1897 წელს ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა, 1900 წ. ბერად აღიკვეცა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1901 წ. დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად. 1904 წ. გადაიყვანეს თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. ამბროსი იბრძოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) აღდგენისათვის, რის გამოც 1906 წელს რუსეთში გადაასახლეს. 1908 წელს გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. საქართველოში ის მხოლოდ 1917 წლის აგვისტოში ჩამოვიდა. იყო ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი, 1921 წლის სექტემბრიდან კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ამბროსი იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს. პეტერბურგის "უწყებებში" და ქართულ პერიოდულ პრესაში "ამბერის" ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ და საეკლესიო წარსულის და მიმდინარე ვითარების შესახებ. საყურადღებოა მისი "მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალებში "განთიადი" და "ცხოვრება" (1915-1917), აღმოაჩინა "მოქცევაი ქართლისაის" ჭელიშური ვარიანტი, რომლის შესახებ 1907 წელს მოხსენება წაიკითხა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. დასაფლავებულია თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში.

საქართველოს საზოგადოებრივი წყობის საკითხებში ამბროსი ანტისაბჭოთა თვალსაზრისზე იდგა (ბ. ლომინაძე, ქსე-ის 1 ტომი, გვ. 354).

საქართველოს საპატრიარქოს მოწოდება გენუის კონფერენციისადმი

"კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს, მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერი სიყვარულით მოიკითხავს. ჯერ კიდევ არაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვების შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპიული ჰუმანიზმისა.

მე-18 საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლო-

ბით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველჰყოფდა თავის პოლიტიკასა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წელს საქართველოს მეფის ერეკლე მე-2-ისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მე-2-ს შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში. მაგრამ სამწუხაროდ, გაცრუებული იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო, 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ, 1917 წელს, დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურისა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ 3 წლის შემდეგ, განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის.

რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, პატარა უსწორო ბრძოლაში სისხლიდამ დასცალა საქართველო, ხელმეორედ დაადგა კისრად ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშიაც არის ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება, თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურებისა და გახრწნის კარამდე. ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ: მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მონაგარ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპისეულ ეროვნულ კულტურას, დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა წმიდას – სარწმუნოებრივ გრძნობას, და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია – ეს ძველისძველადვე ფაქტორი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა – დღეს უფლებააყრილია იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა.

ამ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლიან არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას.

ამიტომ გთხოვთ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა. შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებისაგან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებებსა და მუშაობაზე.

მღაბალი ამბროსი,
პატრიარქი სრულიად საქართველოსი
7 თებერვალი, ტფილისი.

აღნიშნული მოწოდება მოთავსებული იყო იმავე წელსა მაისში გენუის გაზეთ "კ ფარს"-ში (იხ. ს. ფ. 102-104), რომლის შინაარსი წინასწარ გამოძიებაზე დაადასტურა და თავისი ხელით დასწერა კათოლიკოსმა ამბროსიმ.

გაზ. კომუნისტი, 1924 წლის 1 თებერვალი.

საქართველოს ჩეკას თავმჯდომარეს

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
1922 წ. 26 ივნისი
№639
ქ. თბილისი

ამ თვის 13-ს თქვენ მიერ გამოძახებულ ვიქენი საგანგებო კომისიაში ჩვენებათა მისაცემად, შესახებ მემორანდუმისა, რომელიც ჩემს მიერ გაიგზავნა გენუის კონფერენციაზე. მე მოგეცით თქვენ ფართო ახსნა-განმარტება მემორანდუმის შინაარსის გასაშუქებლად, რათა არც მთავრობას და არც საზოგადოებას არ ეფიქრა, თითქოს მე უარვყოფდე მემორანდუმში მოხსენებულ პუნქტებს.

ვფიქრობდი, რომ ჩემი ახსნა-განმარტებანი ამომწურავი იქნებოდა საქმის სათანადო წარმოებისათვის, მაგრამ თქვენ მიერ დანიშნულმა გამომძიებელმა მოქალაქე ქავთარაძემ 4 დღის წინათ გამომიძახა ჩეკაში და დამავალდებულა მონაცემებით დამედასტურებინა მემორანდუმში ნახსენები პუნქტები, ამის გამო აუცილებლად მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: ყველასათვის ნათელია, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველომ რუსეთის დიდ რევოლუციაში; ამიტომ იგი, საქართველო, დიდ იმედებს ამყარებდა ამ რევოლუციაზე, და მართლაც, რევოლუციის პროცესში ქართველმა ერმა მიაღწია სრულ დამოუკიდებლობას და სამი წლის მანძილზე თავის საქმეებს მართავდა თავისი სუვერენული ნების მიხედვით.

საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო რსფსრ-ს საბჭოთა ხელისუფლებამაც 1920 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულებით, იმ საზღვრებში, რომლებიც განსაზღვრულია ხსენებულ ხელშეკრულებაში. მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში ჩვენს საზღვრებში შემოჭრილმა რუსეთის არმიამ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და მოსპო ქართველი ერის სუვერენიტეტი. ამას მოჰყვა საქართველოს დაქუცმაცება: მისი ერთი ნაწილი გადაეცა აზერბაიჯანს, მეორე – სომხეთს, მესამე აღმოჩნდა ახლადშექმნილი ავტონომიური ოსეთი (საზღვრების თაობაზე იხილეთ 1921 წლის 5 მაისისა და 6 ნოემბრის დადგენილებანი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუკა), ცალკე რესპუბლიკათა სახით გამოიყვნენ აფხაზეთი და აჭარისტანი. საქართველოს რკინიგზა შეუერთდა რუსეთის რკინიგზას. საქართველოს არმია შეერია საქართველოში მოქმედ რსფსრ-ის წითელ არმიას.

ქართული ენა განიდევნა რკინიგზის სამმართველოდან, იგი შევიწროებას განიცდის სხვა დეწესებულებებშიც (მაგალითად, ჩეკაში, საიდანაც უწყებები იგზავნება და შემოსასვლელი საშვი გაიცემა რუსულ ენაზე) დაეცა კულტურა, გამოდის მხოლოდ ერთი გაზეთი "კომუნისტი" და ზოგჯერ "ტრიბუნა", გამოცემულია მხოლოდ ორი წიგნი – პროფესორ ნუცუბიძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

თბილისში მოქმედი სტამბები გატანილია სომხეთში.

მოსახლეობას წაერთვა საარსებო საშუალებანი (საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა მთავრობისადმი №1538, 1921 წ. 14 ივნისი და №55, 1922 წ. 22 თებერვალი), დახავსდა რწმენის გრძნობა (საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა №3022, 1921 წ. 21 ნოემბერი და №315, 1922 წ. 12 ივნისი), შეურაცხყოფას განიცდიან ხალხის მამები (საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა №3022 და №3006, 1921 წ. 10 ნოემბერი. №14, ამა წლის 13 იანვარი, №335, ა. წ. 21 ივნისი).

ბინებიდან აგდებენ მღვდლებსა და საეკლესიო მამებს (მიმართვა №1538; ა. წ. 14 ივლისი, №1878, გ. წ. 20 აგვისტო, №64, ა. წ. 24 თებერვალი).

მე, როგორც სიტყვის, პრესის, სინდისის თავისუფლებისა და ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მომხრეს (ყველაფერ ამას საბჭოთა ხელისუფლებაც აღიარებს) და ამასთან მორწმუნე საქართველოს ნეტარ მამას, არ შემეძლო ხმა არ ამემაღლებინა ზემოთქმულის კეალობაზე. მე მოვიხადე მოვალეობა ღვთისა და მშობლიური ხალხის წინაშე, ხოლო თუ ეს დანაშაულად ჩამეთვლება, მზადა ვარ, მთელი ხალხის წინაშე ვაგო პასუხი.

ხელწერა: "სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი",
დედანთან სწორია: (ხელწერა)

მემორანდუმი

„————" ივლისი 1922 წ. №1

№ ჯგუფის მიხედვით

№№ რიგ.	ლიტერ.	შინაარსი	შემუშავება
1.	აგენ.	ჯგუფი: "სამღვდელოება" საქართველოს პატრიარქის ამბროსის გენუის კონფერენციისადმი მოწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც უზურპატორულად გამოვიდა საქართველოს მთელი ხალხის სახელით და მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ძველი, საქართველოს მუშებისა და გლეხების მიერ დამხობილი მენშევიკური მთავრობის აღდგენა. ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ პატრიარქი ამბროსი ეწევა ანტისაბჭოურ მუშაობას და მის ირგვლივ თავს იყრიან რეაქციული სამღვდელოება და ანტისაბჭოური პარტიების წევრები. პატრიარქ ამბროსისა და ყველა მასთან დაკავშირებულთა კონტრრევოლუციური მოღვაწეობის მოძრაობის გამოსავლენად შემოვიღეთ სააგენტო საქმე სახელწოდებით "წმინდანი" და დავაწესეთ სააგენტურო მეთვალყურეობა, სააგენტურო მეთვალყურეობის შედეგად 4 ივნისიდან 5 ივლისამდე დადგინდა მთელი რიგი ანტისაბჭოური გამოსვლები პატრიარქ ამბროსისა და მის ახლობელ პირთა მიერ. შეკრებილთადმი მიმართული სიტყვებით ამბროსი მოუწოდებდა ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გათელილი ერისა და რელიგიის დაცვისაკენ, ამ მიზნით, მოუხმობდა ყოველნაირად ებრძოლონ საბჭოთა ხელისუფლებას. ასეთ გამოსვლათა დასადასტურებლად მომყავს შემდეგი სააგენტურო ცნობები: 10 / VI დილის 8 საათზე "წმინდანი" საკუთარი ფაეტონით გაემგზავრა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, სადაც შეხვდა ეპისკოპოსი ქრისტეფორე. ეკლესიაში ბევრი ხალხი იყო და, კგონებ, მიდიოდა ჯიბლაძის პანაშვიდი. ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ წარმოთქვა სიტყვა და შეეხო საბჭოთა ხელისუფლებას. ქრისტეფორეს შემდეგ სიტყვა წარმოთქვა "წმინდანმა" და მოიხსენია ნოე ჟორდანია, ჩხენკელი, ჯუღელი და ყველა გაქცეული მენშევიკი. ამასთან, თქვა, რომ მენშევიკები იესო ქრისტეს ნაკვალევს მიჰყვებოდნენ, ხოლო კომუნისტები ანტიქრისტენი არიანო. ეზოში სიტყვას ამბობდა ცნობილი ქართველი მწერალი პაოლო იაშვილი. აქიაქებდა და აგინებდა საბჭოთა ხელისუფლეას. შეკრება მთელ საათს გაგრძელდა; შემდეგ კი "წმინდანი" შინ გაემგზავრა. 18 / VI დღის 10 საათისათვის "წმინდანი" ორი მღვდლისა და კანცელარიის გამგის თანხლებით გაემგზავრა ფაეტონით ზემო ნაძალადევის ეკლესიაში, სადაც მას ელოდა რკინიგზელთა, მღვდელთა და სხვადასხვა მოქალაქეთა უზარმაზარი ბრბო. იდგა მღვდელთა საპატიო ყარაული, და ორი მღვდლის ხელკავით შევიდა ეკლესიაში, სადაც ჩაატარა წირვა. "წმინდანმა" სიტყვა წარმოთქვა ჯერ ქართულად, შემდეგ კი რუსულად, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაასრულა: "თქვენ, მასა, იცავთ ეკლესიას, წმინდა წერილს და რომ ქრისტე სოციალისტი იყო, ხოლო სოციალისტთა ახლანდელი მესვეურები არიან იუდები და მოღალატენი". ეწეოდა აგიტაციას საეკლესიო ძვირფასეულობის ამოღების წინააღმდეგ და მიმართა რა მასას, თქვა: თუ თქვენ ქართველები ხართ და გიყვართ თქვენი ერი და სამშობლო, ხელი ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და არ დაანებოთ კომუნისტებს, ამოიღონ საეკლესიო ძვირფასეულობა. მისი სიტყვის შემდეგ ხალხი აღელდა. უმეტესობას სურდა ეყვირა ვაშა, მაგრამ გაახსენდათ, რომ ეკლესიაში იმყოფებოდნენ. სხვათა	სააგენტურო ცნობათა შესამოწმებლად მიცემულია დავალება: დაადგინონ რამდენიმე პირი, რომლებიც დაესწრებიან "წმინდანის" მიერ წარმოთქმული ანტისაბჭოური ხასიათის სიტყვას. მიეცა დავალება დადგინდეს "წმინდანის" კავშირი ეპისკოპოს ქრისტეფორესთან და ანტისაბჭოური პარტიების წევრებთან. საქმის გამო შედგენილია ამ საქმეში მონაწილე პირთა სქემა და სია. სექსოტ ვოსტოკის დაევალა მოიპოვოს ფაქტობრივი მასალები "წმინდანის" საქმის გამო. მოცემული დავალება ზუსტად დაადგინონ, გამოვიდა თუ არა სიტყვით პ. იაშვილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დადებით შემთხვევაში დაგვიდასტურონ. მოცემულია დავალება: საჯაროდ ანტისაბჭოური მიმართულების სიტყვებით გამოსვლის დროს, შეძლებისდაგვარად, ჩაიწერონ სიტყვათა ცალკეული წინადადადებანი და შეარჩიონ რამდენიმე პირი, რომლებიც შემდგომში შეძლებენ ჩვენების მიცემას.

		შორის "წმინდანმა" სიტყვაში თქვა: ბევრი რამ ვერ გითხარით და კიდევაც გეტყოდით, მაგრამ... 23 / VI "წმინდანი" წავიდა ეგზარქოსის მოადგ. №2 კონსისტორიაში, სადაც მას ელოდებოდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პრორექტორი კეკელიძე კორნელი და ვინმე ბერი ევგენი, რომლებმაც "წმინდანს" რაღაც ქაღალდი მიუტანეს. კონსისტორიაში მათ ჰქონდათ რაღაც თათბირი და დღის 3 საათზე დაიშალნენ. 25 / VI დილის 9 საათზე "წმინდანთან" მივიდნენ ეპისკოპოსი ქრისტეფორე და სტუდენტი სემინარისტი სიდომონიძე, რომლებთანაც ერთად "წმინდანი" წავიდა სიონის ტაძარში. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ სიტყვით მიმართა მლოცველებს, რომელშიც, სხვათა შორის, თქვა: "ქართველები უნდა შეეჭიდროვდნენ ერთმანეთთან, დაიცვან თავისი ერი და ა. შ. ეპისკოპოსი ქრისტეფორე და სტუდენტი სიდომონიძე სადილად იყვნენ "წმინდანთან", შემდეგ კი სახლებში წავიდნენ. შენიშვნა: ეკონომიკური საზოგადოების მაღაზია "იბერთკავშირი", რომელიც თბილქალაღმასკომის ქვეშაა, მეტად საეჭვოა, აქ თავს იყრის "წმინდანის" ყველა მნახველი. 30 / VI დღის 12 საათზე "წმინდანი" წავიდა ეგზარქოსის მოედ. №2 კონსისტორიაში, სადაც ქუთაისელი ეგზარქოსის მონაწილეობით გაიმართა კრება, რომელიც დასრულდა დღის 3 საათზე. 1 / VII გამოსცეს დაბეჭდილი განცხადება იმის თაობაზე, რომ კვირას 2 ივლისს, სიონის ტაძარში შესრულდება ლიტურგია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ "წმინდანი" და ქუთაისელი ეგზარქოსი. 2 / VII დღის 11 საათზე ორი მღვდლისა და კანცელარიის გამგის თანხლებით "წმინდანი" წავიდა სიონის ტაძარში ლიტურგიის შესასრულებლად, სხვებთან ერთად ტაძარში იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კეკელიძე, მოქ. თავდგირიძე და დავითაშვილი (აქციზ. კონტროლიორი). ტაძარში ასევე იყვნენ ინტელიგენციის მასა და საეჭვო პირთა და ქალთა ჯგუფი. დღის ორ საათზე ლიტურგია დამთავრდა და "წმინდანმა" სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც საეკლესიო სულისკვეთებით დაიწყო და დაამთავრა საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილებით: "არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენთან ინახება ძველი ისტორიული წიგნები, რომლებშიც წერია, რომ ქართველმა ხალხმა დაიცვა თავისი ერი და რელიგია". შემდეგ "წმინდანმა" შეწყვიტა ლაპარაკი,. მხოლოდ დასძინა: "რაც გითხარით, ხაზგასმით გიმეორებთ". სიტყვის დამთავრების შემდეგ ქუთაისელი ეგზარქოსისა და ეპისკოპოსის, ქრისტეფორეს თანხლებით, "წმინდანი" შინისაკენ გაემართა. მას თან ახლდა ხალხის ბრბო. სახლთან წმინდანი რაღაცაზე ელაპარაკებოდა ქალებს. ამასთან, აზრი გამოთქვა: "ანტანტაში ნათქვამია, რომ თუ ჩვენს ტერიტორიაზე იმუშავებენ და დაეხმარებიან დასუსტებულ და დაუძლურებულ მამაკაცებს, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ." ხალხთა დიდ ბრბოს გამოეყო მოქ. დავითაშვილი ზაქარია და თქვა: "ოღონდ "წმინდანმა" იცოცხლოს, ჩვენ ყოველმხრივ შევეცდებით შევფიცოთ, რომ ერთგულნი ვიქნებით ჩვენი დაპირებისა". "წმინდანმა" პირჯვარი დასწერა ყველას და აჩქარებდა ბრბოს,შინ წადიო. რის შემდეგ ბრბო დაიშალა, ხოლო მოქ. დავითაშვილი აყვანილი იქნა მეთვალყურეობის ქვეშ. მაგრამ ის ჩაჯდა ტრამვაიში და შინ გაემგზავრა. სააგენტურო მეთვალყურეობის მთელი ხნის მანძილზე გამოვლინდა "წმინდანის" კავშირი, როგორც ბევრ სასულიერო პირთან, ისე სხვა ანტისაბჭოურ ელემენტებთანაც.	მიცემულია დავალება: გამოავლინონ პირები, რომლებიც თანაუგრძნობენ "წმინდანს" და რომლებიც მისი წინააღმდეგი არიან.

		ყველა თავყრილობის ცენტრალური აქტი არის ეგზარქ. მოედნ. №3, კონსისტორია. "წმინდანთან" ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვთ: ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ემსახურება ყოფილ სამხედრო ტაძარს გოლოვინის პროსპექტზე), რომელიც ცხოვრობს სანგრის ქ №3, წმინდანის თანაშემწეს მღვდელ ტყემალაძეს, ასათიანს, რომლებიც ცხოვრობენ ერეკლეს ქ. №6-4, ნიკოლოზის ეკლესიის – ალექსანდრეს ბაღი – მღვდელს ხუციევს გიორგის, რომელიც ცხოვრობს ნიკოლოზის ქ. №14, მღვდელ ტატიშვილს, მცხოვრებს სურინოვის ქ. №12, მღვდ. კერესელიძეს ნიკოლოზს (არსად არ მსახურობს), მცხოვრებს ალექსანდრეს ქ. 34, მღვდელ წულაძეს, მცხ. ბაგრატიონის ქ. №16. მღვდელ ბოლგაშვილს (?), მცხ. ერეკლეს ქ. №6-4, მღვდელ ივანიცკის პეტრეს, მცხ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, მღვდ. კახაბელის, მცხ. მაზუთის ქ. №2. მღვდლებს: ცინცაძეს, ჩიკვაიძეს, გიორგი სიდომონიძეს, კონტრიძეს ბენიამინ ბესარიონის ძეს; სტუდენტ სემინარისტს სიდომონიძეს, მცხ. ერეკლეს ქ. №6-4, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პროტოიერეი კეკელიძეს კორნელის, მცხ. გუნიბის №7, მწერალ პაოლო იაშვილს, ნაძალადევის ეკლესიის მღვდლებს: მახათაძეს მიხეილს, დავიდოვს ალექსანდრეს, მოქ. აბრამიშვილს ელიზავეტას, მცხ. სანგრის ქ. 39, ეროვნულ-დემოკრატ თავდგირიძეს, მცხ. ამაღლების ქ. №7, მოქ. ბერკს ევგენის, მცხ. ისმაილის ქ. 19. განუსაზღვრელი საქმიანობის პირს მღვდ. მიხეილს? რაიონის სოფ. ჭალა, გიორგაძეს, ინჟინერ სულაკაძეს პლატონს, ნიკოლოზის ქ. №13, დოქტორ გაჩეჩილაძეს, მცხ. გრიბოედოვის ქ. №14.	

მოცემულ დავალებათა შესახებ ცნობები არ შემოსულა. №4 000 რწმუნებული - ხელწერა

ხელწერები

11//II22 წ. საფუძველი: ფ. 63. ს. 6 ფურც. 49-50.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა

1922 წლის 12 ივნისს დაკითხულ იქნა საქართველოს კათალიკოსი ამბროსი (ბესარიონი ზოსიმეს ძე ხელაია) – 62 წლისაა, უმაღლესი განათლებით, რომელმაც მის მიერ გენუის კონფერენციის სახელზე გაგზავნილი მოწოდების თაობაზე უჩვენა შემდეგი:

გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მოწოდება რედაქტირებული იყო ჩემს მიერ და ჩემს მიერვე ხელმოწერილი.

კითხვა: რა დოკუმენტური მონაცემები გაქვთ იმისა, რომ ქართველი ხალხი სულს დაფავს, არ ძალუძს ხმის ამოღება და უბედურ მდგომარეობაში იმყოფება.

პასუხი: ცნობებს, ხალხის ასეთი მდგომარეობის შესახებ, პირადი დაკვირვებით ვიღებდი. ეს ამბავი სოხუმის ოლქში ხდებოდა, სადაც მე საუბარი მიხდებოდა მორწმუნეთა შორის რელიგიურ საკითხებზე. რაც შეეხება ეკლესიაში პოლიტიკური ხასიათის საუბრებს,

ასეთებს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან ამ საკითხზე არც მე მითქვამს რაიმე და არც სხვებისთვის დამინებებია. ეკლესიის კედლებს გარეთ იყო ლაპარაკი პოლიტიკურ თემაზე. მაგრამ ინიციატივა ჩემგან არ მოდიოდა. მორწმუნენი თვითონ ეხებოდნენ პოლიტიკის საკითხებს. სოხუმის ოლქში ძალიან ხშირად ხდებოდა ხოლმე, როცა აგიტატორები ეხებოდნენ რელიგიას, შეურაცხყოფდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას, ასეთივე მოვლენები იყო მენშევიკების ბატონობის დროსაც და მეც ამას სათანადო ყურადღებას ვაქცევდი და ამის თაობაზე მივმართავდი მენშევიკურ მთავრობას. სოფლად ასეთ აგიტატორებად მეტწილად ქართველები გვევლინებოდნენ. ასე მოქმედებდნენ სამღვდელოების წინააღმდეგ საქართველოს სხვა ადგილებშიც. გადაჭრით არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მთავრობის აგიტატორები იყვნენ, მაგრამ მეც და ხალხიც ვფიქრობდით, წარმომადგენლები მთავრობის მოხელეები გახლდათ. უშუალო დამოკიდებულება ქართველ ხალხთან არ მქონია, მაგრამ ჩემთან მოდიოდნენ მორწმუნენი, ერის ადამიანები, სამღვდელოებისა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლები, ჩემთან მოდიოდნენ წმინდა საეკლესიო საკითხებზე და მორწმუნეთა წარმომადგენლები არ ეხებოდნენ პოლიტიკას. მე არ ვიღებდი მათ პოლიტიკის საქმეთა გამო, მაგრამ საუბრისას მთავრობაზეც ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი, მათი ცუდი მდგომარეობის კვალობაზე. ჩემთან მოსულ არცერთ წარმომადგენელს არ უთხოვია, რომ მე მათი სახელით მიმემართა გენუის კონფერენციისათვის. ჩემთან მოსულ წარმომადგენელთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ რელიგიისა და მორწმუნეთა მდგომარეობა ახლანდელი მთავრობის ხელში გაცილებით უარესი იყო ეკონომიკური, ეროვნული და სხვა თვალსაზრისით.

კითხვა: ვისი სახელით იყო მოწოდება და თვლიდით თუ არა თავს ქართველი ხალხის წარმომადგენლად?

პასუხი: ქართველი ხალხი მიმაჩნია მორწმუნედ, და რამდენადაც მე ეს მწამს, იმდენად თავს ვთვლი ამ ხალხისაგან არჩეულად და ვლაპარაკობ მისი სახელით, მორწმუნეთა სახელით.

კითხვა: გქონდათ თუ არა რაიმე რწმუნება იმ ხალხისაგან, რომელმაც თქვენ აგირჩიათ?

პასუხი: მე არ მქონია არც ოფიციალური და არც არაოფიციალური რწმუნება ხალხისაგან, და საეკლესიო კრებისაგან, რომელმაც პატრიარქად ამირჩია, რათა მიმემართა გენუის კონფერენციისათვის, ვინაიდან ჩემი არჩევისას საეკლესიო კრებამ შემიზღუდა რწმუნებანი მხოლოდ მათი დაცვის ფარგლებში. მოწოდება იყო მხოლოდ ჩემი პირადი დაკვირვებისა და სინდისის კარნახის შედეგი. ვიმეორებ, რომ ჩემი ეს ქმედება ეხებოდა მხოლოდ საეკლესიო საქმეებს.

კითხვა: როცა თქვენ ამ მოწოდებას წერდით, ანიჭებდით თუ არა მას პოლიტიკურ მნიშვნელობას?

პასუხი: არ ვანიჭებდი პოლიტიკურ მნიშვნელობას, ვინაიდან საბჭოთა რუსეთს მე ვთვლი არა მოკავშირედ, არამედ როგორც ოკუპანტს.

კითხვა: ოკუპაცია პოლიტიკური ნაბიჯია თუ არა?

პასუხი: ოკუპაცია დროებითი პოლიტიკური ნაბიჯია.

კითხვა: თვლით თუ არა თავს ვალდებულად, ჩაერიოთ იმ საქმეში, რომელსაც თქვენ ოკუპაცია უწოდეთ?

პასუხი: მე ვალდებული ვარ ჩავერიო პოლიტიკური ხასიათის საკითხებში მორწმუნეთა სახელით.

კითხვა: რით აიხსნება შეუსაბამობანი თქვენს ჩვენებაში, როცა ამბობთ, რომ სამღვდელოება არ ერევა პოლიტიკურ საკითხებში, მაგრამ თქვენი მოწოდებით ჩაერიეთ ოკუპაციის საკითხებში, რომელიც პოლიტიკური ნაბიჯია?

პასუხი: ამ საქმეში რომ ჩავერიე, ვფიქრობდი, ოკუპაცია დამთავრებულია-მეთქი, და მსურდა მთავრობას საკუთარი არმია ჰყოლოდა.

კითხვა: შეგიძლიათ თქვათ, რომ ქართული არმია არ არსებობს?

პასუხი: ქართული არმია არსებობს.

კითხვა: რით ამტკიცებთ, რომ რუსეთის არმია ოკუპანტურია?

პასუხი: იმით, რომ არმია შემოვიდა და დარჩა აქ.

კითხვა: თვლით თუ არა, რომ საქართველოში მთავრობა არ არსებობს?

პასუხი: საქართველოში მთავრობა არსებობს, მაგრამ არ არის საქართველოს დამოუკიდებლობა.

კითხვა: საქართველოს დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების საკითხი პოლიტიკური საკითხია თუ არა?

პასუხი: არის.

კითხვა: ვინ წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

პასუხი: საქართველოს დამოუკიდებლობა წაართვა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ.

კითხვა: როგორც რელიგიის წარმომადგენელი, თვლით თუ არა საჭიროდ ილაპარაკოთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე?

პასუხი: ვთვლი იმდენად, რამდენადაც ასეთი ჩარევა ეხმარება ხალხისა და ეკლესიის აღორძინებას.

კითხვა: ჩაერივნენ თუ არა ეკლესიის საქმეებში უშუალოდ უცხო ელემენტები, მაგალითად რუსეთის არმია?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: ჩაერია თუ არა საეკლესიო საქმეებში ვინმე, ან კერძო პირის დახმარებით, თქვენგან უცხო ელემენტად წოდებული არმია?

პასუხი: ამ კითხვას ვერ ვუპასუხებ.

კითხვა: ჩაერია თუ არა ეკლესიის საკითხებში საქართველოს საბჭოთა მთავრობა?

პასუხი: ჩაერია.

კითხვა: რით გამოიხატება ეს ჩარევა?

პასუხი: ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფით, რასაც არ ვგმობ ჩემს მოსაზრებებში. დანარჩენი გამოიხატა შემდეგით: უარყოფითი დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი, რასაც თან ახლდა სახლების, მამულების და ყველანაირ იურიდიულ უფლებათა ჩამორთმევა.

კითხვა: რით გამოიხატება იურიდიულ უფლებათა ჩამორთმევა?

პასუხი: იმით, რომ ეკლესიას არ შეუძლია შეიძინოს საეკლესიო ქონება და, მეორეც, ჩამოერთვა სკოლების გახსნის უფლება.

კითხვა: ეხება თუ არა საბჭოთა რუსეთს მოწოდების სიტყვები, როცა ლაპარაკია, რომ რუსეთი ვერ იტანდა საქართველოს დამოუკიდებლობას, როგორც საქართველოს წინანდელი დამმონებელი?

პასუხი: ეხება საბჭოთა ხელისუფლებას.

კითხვა: თვლით თუ არა საბჭოთა რუსეთს იმპერიალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც მიზნად აქვს მცირე ერების დაპყრობა და რსფსრ-ს საზღვრების გატარება?

პასუხი: მოძღვრებისა და იდეის მიხედვით, არა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სინამდვილე ამას ადასტურებს.

კითხვა: დაიპყრო თუ არა საბჭოთა რუსეთმა საქართველო?

პასუხი: დაიპყრო.

კითხვა: დაიპყრო თუ არა, საბჭოთა რუსეთმა სხვა ქვეყნებიც?

პასუხი: ვერ გეტყვით, მაგრამ მსმენია, რომ საბჭოთა რუსეთი დაინტერესებულია სხვა ერების დაპყრობითაც.

კითხვა: რით ხსნით საქართველოს დაპყრობას რსფსრ-ს მიერ?

პასუხი: არ ვიცი, რით ავხსნა ეს, ვინაიდან საბჭოთა მთავრობის იდეა და მოძღვრება არ შეესაბამება ასეთ ქმედებებს.

კითხვა: შეიძლებოდა თუ არა საქართველოს მშრომელთა მასებს ეთხოვათ დახმარება საბჭოთა რუსეთისთვის, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის დასამხობად?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: რით გამოიხატება საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ?

პასუხი: იმით, რომ ქვეყანას მართავენ მოსკოვის დირექტივების მიხედვით.

კითხვა: შეგიძლიათ თუ არა, დოკუმენტური მონაცემებით დაადასტუროთ მოწოდების სიტყვები ერის მონობის, დაჩაგვრის, მის მიმართ ძალადობისა და უბედურების შესახებ.

პასუხი: ვფიქრობ, რომ შემიძლია.

კითხვა: რით გამოიხატება ერის ფიზიკური და მორალური გადაგვარება?

პასუხი: გამოიხატება რწმენის, ერის წინააღმდეგ ქმედებებით, რასაც ერის ფიზიკური გადაგვარებაც მოჰყვება.

კითხვა: ვინ უტარებს ექსპერიმენტებს ქართველ ერს ბოლო წლის მანძილზე?

პასუხი: ვინც ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა.

კითხვა: უწყობს თუ არა ხელს ახლანდელი მთავრობა მშრომელთა უფლებების დამკვიდრებას და მათი დონის ამაღლებას ეკონომიკურად და პოლიტიკურად?

პასუხი: თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად მე არ ვიცნობ თქვენს ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

კითხვა: რა წაართვა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს, განა ეს არმია უფლებრივად და პოლიტიკურად ჩაგრავს ქართველ ერს?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ჩაგრავს.

კითხვა: რით გამოიხატება ერის ჩაგვრა უფლებრივად და პოლიტიკურად?

პასუხი: სუვერენიტეტი ფეხქვეშ არის გათელილი.

კითხვა: ვინ მოახდინა ოკუპაცია?

პასუხი: ოკუპაცია მოახდინა საბჭოთა რუსეთმა.

კითხვა: რით გამოიხატება ექსპერიმენტები?

პასუხი: რუსეთის ექსპერიმენტები გამოიხატება მიწის სოციალიზაციით, რწმენის შევიწროებით და სახლების მუნიციპალიზაციით.

კითხვა: ატარებს თუ არა ამ ექსპერიმენტებს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება?

პასუხი: საქართველოს მთავრობა ატარებს ექსპერიმენტებს, ოღონდ ეს არ არის საქართველოს მთავრობა, არამედ მე მას ვთვლი რუსეთის მთავრობად საქართველოში. ამის კონკრეტული მტკიცება ახლა არ შემიძლია.

კითხვა: ვინ ახდენს საქართველოს ქონების ჩამორთმევას და ვინ უნაწილებს მათ უცხოელებს?

პასუხი: რუსეთი ართმევს ხალხს ქონებას და უნაწილებს უცხოელ ელემენტებს.

კითხვა: რა ქონებაა ჩამორთმეული?

პასუხი: სახლები, ტერიტორია, რომელიც უცხო მფლობელობაში გადადის, – ზაქათალას ოლქი და ცხინვალი.

კითხვა: რა არსებობის საშუალებანი წაართვეს ქართველ ხალხს და გაგზავნეს საზღვარგარეთ?

პასუხი: ასეთ ცნობებს წარმოვადგენ, ახლა კი ვერ გეტყვით.

კითხვა: რით გამოიხატა, ან რამ გამოიწვია ეროვნული კულტურის დამახინჯება?

პასუხი: ეროვნული კულტურის დაცემაში და დამახინჯებაში დამნაშავეა საბჭოთა ხელისუფლება იმდენად, რამდენადაც აქ, საქართველოში არ არის დამყარებული მშვიდობიანი მმართველობა. კონკრეტულად არ შემიძლია მივუთითო. საერთო ვითარება კი ასეთია.

კითხვა: იცოდით თუ არა თქვენ, რომ საქართველოში არსებობდა საბჭოთა წყობილება?

პასუხი: ვიცოდი.

სრულიად საქართველოს პატრიარქის ამბროსის
ხელწერა დედანთან სწორია (ხელწერა)

დამატებითი ჩვენება

1922 წლის 20 ივნისი. მე სრულიად საქართველოს პატრიარქი ამბროსი (ბესარიონ ხელაია) ჩემი ჩვენების დამატებით ვაჩვენებ შემდეგს:

კითხვა: ვისი მეშვეობით გაგზავნეთ მოწოდება საზღვარგარეთ გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ იყო საზღვარგარეთიდან ჩამოსული კაცი და მისი მეშვეობითვე გავგზავნე.

კითხვა: როგორც სამღვდელოების წარმომადგენელს, გქონდათ თუ არა უფლება ჩარეულიყავით მთავრობის საქმეში, როგორც პიროვნება, ანდა თუნდაც, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური?

პასუხი: იმდენად, რამდენადაც მთავრობა ავიწროებს ეკლესიას და წინააღმდეგია მისი არსებობისა,

ჩემს მორალურ მოვალეობად მიმაჩნია, ჩავერიო მთავრობის საქმეში სარწმუნოებისა და ეკლესიის დასაცავად.

კითხვა: გარდა ეკლესიისა და სარწმუნოების საკითხებისა, თქვენ გაქვთ უფლება ჩაერიოთ სახელმწიფოს სხვა პოლიტიკურ საკითხებში?

პასუხი: თუ სახელმწიფო არ ეხება ეკლესიას და სარწმუნოებას, ანდა არ ზემოქმედებს ეკლესიაზე, არა მაქვს უფლება ჩავერიო პოლიტიკურ საკითხებში.

კითხვა: იყო თუ არა რაიმე დაწოლა მთავრობის მხრივ სარწმუნოებაზე?

პასუხი: საზოგადოდ ვაცხადებ, რომ არის უარყოფითი ზეგავლენა, თუ საჭირო იქნება დოკუმენტური მონაცემებით, წარმოგიდგენთ.

კითხვა: თქვენ აცხადებთ, რომ შეგიძლიათ ჩაერიოთ სახელმწიფო საქმეებში, როცა მთავრობა ეხება საეკლესიო საკითხებს, და არ გაქვთ უფლება, შეეხოთ პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ მიმართავთ გენუის კონფერენციას საქართველოში პოლიტიკურ ცვლილებათა თხოვნით, არის თუ არა ეს ჩარევა მთავრობის პოლიტიკურ საკითხებში?

პასუხი: მთავრობის პოლიტიკური მოქმედება ეხება ეკლესიასა და სარწმუნოებას, ვინაიდან ადგილობრივი მთავრობა დამოკიდებულია. ხელყოფილია ერის სუვერენიტეტი, დოკუმენტურ მონაცემებს წარმოგიდგენთ, მე იმდენად ვერევი მთავრობის საქმეებში, რამდენადაც იგი, მთავრობა, არ არის დამოუკიდებელი.

ხელწერა (საქართველოს პატრიარქი ამბროსი)
დედანთან სწორია (ხელწერა)

დადგენილება

1922 წლის 22 ივნისი. მე, საქართველოს ჩეკას საიდუმლო განყოფილების რწმუნებულის თანაშემწე ქავთარაძე, განვიხილე რა სრულიად საქართველოს პატრიარქის, ამბროსი ხელაიას მოწოდება, რომელიც მან გაუგზავნა გენუის კონფერენციას და პატრიარქის ჩვენება, ვცან მათში დანაშაული, რომელიც მიმართულია არსებული წყობილების წინააღმდეგ, და რაც გამოიხატა პროვოკაციით, კონტრრევოლუციითა და საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციით.

წაყენებული ბრალდება გამოცხადებულია:
ხელწერა "საქართველოს პატრიარქი ამბროსი"
რწმუნებულის თანაშემწე ქავთარაძე.
დედანთან სწორია, (ხელწერა).

პატივცემულო ამხანაგო, თქვენს შეკითხვაზე გაცნობებთ შემდეგს:

I. საქართველოს კათალიკოსი ამბროსი (ერობაში – ხელაია) დაპატიმრებულია და შინაპატიმრობაში იმყოფება წირვის აკრძალვით.

ციხეში ზის მისი საკათალიკოსო საბჭო, რომელიც შედგება რამდენიმე სასულიერო (მეტწილად – პროტოიერეი) და სამოქალაქო პირისაგან.

დაპატიმრეულია, აგრეთვე, ქუთაისელი მიტროპოლიტი და ზის ციხეში, თბილისში.

კათალიკოსი, მიტროპოლიტი და საკათალიკოსო საბჭო დაპატიმრებულნი არიან: პირველი – ანტისახელმწიფოებრივი მემორანდუმისათვის, რომელიც მან გენუის კონფერენციას გაუგზავნა და ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ეკლესიის გადაცემის თაობაზე თბილისში; ყველა დანარჩენი – ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. გაფლანგვისა და ანტისახელმწიფოებრივი მუშაობისათვის. რამდენიმე მღვდელი დაპატიმრებულია, როგორც მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატთა პარტიების აქტიური მუშაკები.

ელიავა

იბეჭდება შემოკლებით... მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ეკლესიას და კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ეხება.

სტილი დაცულია (რედ.).

ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲪᲗᲐ



„ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ"

(საუბარი ჰომეოპათ გია ნადარეიშვილთან)

ჰომეოპათია ყველაზე ღვთიური მკურნალობაა. იგი ოცდამეერთე საუკუნის მედიცინაა... ასე განმარტავს მას გია ნადარეიშვილი... ექიმი-ჰომეოპათი.

იქნებ, უფრო ზუსტად და ცოტათი უფრო ვრცლად ვისაუბროთ გია ამაზე.

პასუხი: დიახ... ჰომეოპათია ოცდამეერთე საუკუნის მედიცინაა. სიტყვა "ჰომეოპათია" ბერძნულია და იგი "ადამიანის მსგავსს" ნიშნავს... ხდება მსგავსის განკურნება მსგავსით. ყველა დაავადებას აქვს რაღაც მიზეზი. შეიძლება ეს საჭმელში იყოს, შეიძლება წყალში, ჰაერში... ჩვენ მიკროდოზებში ვიღებთ ტოკსინებს, რომელიც შემდეგ გროვდება და იწვევს დაავადებას. თვით ადამიანის ორგანიზმშია წამალი, რომელიც კურნავს ავადმყოფობას.... ოღონდ მას წახმარება ჭირდება. ესაა დამარეგულირებელი თერაპია, რომლის მიზანია, ავადმყოფის რეაქციის გათვალისწინებით, თვითრეგულაციის პროცესებზე ზემოქმედება. ცხადია, მკაცრად ინდივიდუალურად შერჩეული წამლების მეშვეობით. ჰომეოპათია არის მკურნალობის მეთოდი, რომლის დროს წამლები უმცირესი დოზებით იხმარება... მათი დიდი რაიოდენობით მიღება არ შეიძლება.

კითხვა: ჰომეოპათია, როგორც მედიცინა, საერთოდ, ჰომეოპათიური მეთოდით მკურნალობა, რამდენი ხანია რაც არსებობს...

პასუხი: პირველი ჰომეოპათიური წამალი ჰიპოკრატემ დაამზადა და გამოიყენა. სხვათა შორის, იგი ქალზე გამოსცადა. მე-15 საუკუნეში ამ მეთოდს ფართოდ იყენებდა პარაცელსი. მაშინ ჰომეოპათია, როგორც დასახელება არ არსებობდა. შემდეგ მე-17 საუკუნეში გენემანმა დაიწყო მისი გამოყენება და სწორედ იგი ითვლება ჰომეოპათიის ფუძემდებლად. თავისთავად ცნება "ჰომეოპათია" წარმოიქმნება ორი ბერძნული სიტყვისაგან "მსგავსი" (homoios) და "ტანჯვა, ავადმყოფობა" (pathos). მისი არსი მინერალური, მცენარეული, ან ცხოველური წარმოშობის პრეპარატებით მკურნალობაა. იგი ან სრულებით კურნავს, ან ეჭვგარეშე გაუმჯობესებას ახდენს სრულიად უიმედო ავადმყოფის მდგომარეობაზეც კი. მაგრამ ეს, უბრალოდ, ორგანიზმის ამა თუ იმ "მტკივნეულ წერტილზე ზემოქმედება არ არის. ბოლოს და ბოლოს ამას კლინიკური მეთოდიც შესძლებს. ჰომეოპათიის მკურნალობა იწყება პაციენტის პიროვნებისადმი ინტერესით. მისი ყურადღების ცენტრში არის სული და არა მხოლოდ შიშველი ანატომია. ეს საერთოდ უარყოფილი იყო საბჭოთა მედიცინაში. მაგრამ ზუსტად ავადმყოფის ინტერესებმა, მისმა ტანჯვამ მისცა სათავე ჰომეოპათიის სწავლებას. ერთხელ გერმანელმა ექიმმა სამუელ გენემანმა საკუთარ თავზე ცდის დროს შეამჩნია, რომ ორგანიზმზე იმ ნივთიერების ზემოქმედებისას, რომელსაც შეიცავს ქინაქინის ხის ქერქი, ვითარდება მალარიის გამომჟღავნებასთან მიახლოებული სიმპტომები. ამის შემდგომ გენემანმა შეცვალა მუშაობის პრინციპი. მან შეიცნო, რომ ავადმყოფობის მკურნალობა შეიძლება იმ

ნივთიერებათა უმნიშვნელოდ მცირე დოზით, რომლებიც დიდ დოზებში მოცემული დაავადების მსგავს სიმპტომებს იწვევენ. გენემანმა თავისი სწავლება გამოიმუშავა მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე და იგი ათეული წლების განმავლობაში წარმატებით ვითარდებოდა. მაგალითისათვის საკმარისია ითქვას, რომ 1968 წელს სანკტ-პეტერბურგში დაარსებულ იქნა ექიმ-ჰომეოპათთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის წევრები აქტიურად და ეფექტურად მუშაობდნენ ამ დარგში. ჰომეოპათიაში მოქმედებს მხოლოდ თავისებური პრინციპები და მიდგომა. მაგალითად, განკურნების პროცესი იწყება უკანასკნელი, ე.ი. ყველაზე "ახალი" დაავადების მკურნალობით. ვთქვათ, თავი იჩინეს თირკმელებმა და ავადმყოფი სწორედ ამ მიზეზით მივიდა ჰომეოპათთან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არის კიდევ ძველი დაავადებების მთელი კომპლექსი. ექიმი ჰომეოპათი იწყებს ყველაფრის მკურნალობას, მაგრამ ამას აკეთებს მკაცრი თანმიმდევრობით. იწყებს უკანასკნელით. და... ხდება საოცრება. უკან იხევს ერთი დავადება, შემდეგ მეორე და ა. შ. რა არის ეს? ამის ახსნა მეცნიერებას არ შეუძლია. ექიმ-ჰომეოპათების მტკიცებით, აქ მოქმედებს ბუნებით მინიჭებული ღვთაებრივი ძალა. ჰომეოპათია არის ფიზიოთერაპია. მისი მთავარი პრინციპია – მსგავსის განკურნება მსგავსით. ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა, აქვს განკურნების უნარი. ექიმ ჰომეოპათის მისია კი იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდუალურად შეარჩიოს საჭირო საშუალება და დოზა. აუცილებელია იცოდე ჰომეოპათიაში გამოყენებული პრეპარატების მატერია, არსი. ასევე გასათვალისწინებელია პაციენტის სულიერი პრობლემები. თუ პრეპარატი ხსნის ფიზიკურ ტკივილს, მაგრამ ფსიქიკური მდგომარეობა უარესდება, ესე იგი – წამალი არასწორადაა შერჩეული. მაგრამ ჰომეოპათია – არის არა მხოლოდ ადამიანის ორგანიზმის მკურნალობის მეთოდოლოგია. იგი წარმოაჩენს უნიკალურ საშუალებას უწამლოს ცხოველურ სამყაროს, ეკოსისტემებს, ერთი სიტყვით, მთელ გარშემო მდებარე სამყაროს. ჰომეოპათიური ხერხები დღესაც შედეგიანად გამოიყენება დასავლეთის რიგ ქვეყნებში მიწის ნაკვეთების განაყოფიერებისას, მავნებლებთან ბრძოლაში და ა.შ. და ყოველივე ეს ქიმიის ყოველგვარი გამოყენების გარეშე. შედეგები გასაოცარია.

კითხვა: თქვენ ბრძანეთ, რომ ჰომეოპათია სავსებით უარყოფილი იყო მედიცინაში.

პასუხი: დიახ, 1917 წლის ტრაგიკულად ცნობილი მოვლენების შედეგად, ჰომეოპათია, როგორც მეცნიერება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კანონგარეშე იქნა გამოცხადებული. განუწყვეტელმა დევნამ ამ სწავლებას ნიადაგი თითქმის გამოაცალა და ექიმები იატაკქვეშეთში აღმოჩნდნენ. 50-იან წლებში ჰომეოპათიამ ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა.

კითხვა: როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ეს...

პასუხი: ამაზე თვითონაც ვერ გიპასუხებენ.

კითხვა: საქართველოში თუ არსებობდა ჰომეოპათიური მედიცინა.

პასუხი: რასაკვირველია არსებობდა... მაგრამ ჩვენშიაც იგივე ბედი ეწია მას, რაც მთელს საბჭოთა კავშირში. ამჟამად, შეიძლება ითქვას, 5-6 წელიწადია, რაც ეს საქმე აღორძინდა. ახლა ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი, დაკვირვებული, ასევე გამოცდილი ჰომეოპათები: გოგიბერიშვილი, სავანელი, ალოშვილი და სხვები...

კითხვა: მათ შორისაა გია ნადარეიშვილიც. გია, ცოტა რამ თქვენს შესახებაც გვიამბეთ...

პასუხი: 40 წლისა ვარ. მედიცინა და კერძოდ ჰომეოპათია ბავშვობიდანვე მაინტერესებდა. ეს ალბათ, გენეტიკურად, ზაზა ფანასკერტელისაგან გადმომეცა. დედის მხრიდან (დედაჩემი ფანასკერტელის ქალია) მისი ჩამომავალი ვარ... ჩვენს გვარს, როგორც ხედავთ, მკურნალობის ნება და უფლება საუკუნეებიდან მოჰყვება. იგი ღვთისაგან გვაქვს მონიჭებული. დავიბადე ქარელში... ახლა იქ მხოლოდ ჩემი წინაპრების საფლავებია. კოშკების უბანში არის ეკლესია. მის ეზოში სულ ციციშვილებია დამარხული. ჩვენი კი იქ აღარაფერია.

კითხვა: როგორც ჩანს, თქვენში, სწორედ ციციშვილების სისხლმა გაიღვიძა...

პასუხი: ალბათ... ეს საქმე, რომელსაც ადამიანთა მკურნალობა ჰქვია, ჩემი მარტო პროფესია კი არაა, ბედია...

გზაა... ცხოვრების უმთავრესი მოწოდებაა... ვსწავლობდი გერმანიაში... ამ ქვეყანაში ძალიან დიდადაა გავრცელებული ჰომეოპათია... საერთოდ ევროპაში. ხშირად ჩავდივარ, ლექციებსაც ვკითხულობ... გერმნელებს უკვირთ, საქართველოში ჰომეოპათიის სკოლა რომ არ გვაქვს. მოსწონთ ჩვენი დაკვირვებები და მეთოდები. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ... ცხადია, დღესდღეობით ბევრი რამ გვაკლია, არ გვყოფნის ინფორმაციული ცოდნა, მაგრამ თვითონ ვახერხებთ ახალი ვთქვათ. ეს საინტერესოა და ევროპელებსაც, სწორეო ამიტომ ვაინტერესებთ. ხომ ნახეთ რამდენი ხალხი გველოდება... სულ ასეა. დღეში 100 კაციც თავისთავად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

კითხვა: ვხედავ, ძალიან ვიწროდა ხართ... ეს უსათუოდ გიძნელებთ ნორმალურ მუშაობას...

პასუხი: – რა თქმა უნდა. მაგრამ ვითმენთ... უკვე მივაღწიეთ იმას, რომ მთელი ეს სართული მოგვცეს. მიმდინარეობს რემონტი... შევქმენით ლაბორატორია, ტერიტორია ფიზკულტურის ინსტიტუტმა მოგვცა. სპორტსმენებსაც ძალიან სჭირდებათ ჩვენი დახმარება.

კითხვა: აფხაზეთის ომის დროს თუ გქონდათ კავშირი მებრძოლებთან.

პასუხი: დიახ. კახი ასათიანის ბატალიონთან. ხშირად ვხვდებოდით გია ყარყარაშვილს. ძალიან ბევრ წამლებს ვაწოდებდით... მეც რამდენჯერმე ვიყავი სოხუმში... ჩემი მოწაფეები ბევრნი იყვნენ კახის ბრიგადაში.

კითხვა: მაინც რა სხვაობაა გერმანელებისა და თქვენს წამლებს შორის.

პასუხი: ყველაფერს ვერ აგიხსნით... მე წამლების მიწოდების პროცესი სხვადასხვანაირი მაქვს. სხვა სიხშირით ვნიშნავ... თითოეული ავადმყოფის მიხედვით...

კითხვა: ბევრი სახის ბალახებს იყენებთ?

პასუხი: დიახ, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ჰომეოპათიაში, საერთოდ, ბალახი ცოტაა საჭირო. ერთი წვეთით მთელი ქვეყნის დაკმაყოფილება შეიძლება. საზღვარი აღარ აქვს ადამიანთა ტანჯვას. თანამედროვე მედიცინას, რა თქმა უნდა, ბევრი ძალუძს, მაგრამ ყოვლისშემძლე არ არის. ჰომეოპათია ბევრ შემთხვევაში ეხმარება მას. ჰომეოპათიაში შედის ყველაფერი: გველისა და ფუტკრის შხამი, მცენარეები, მინერალები, მეტალები და, საერთოდ, რაც ჩვენს გარშემოა... ქიმიურის გარდა.

კითხვა: პრობლემები თუ გაქვთ.

პასუხი: – წამლები გვაკლია. ზოგ წამალს აქ ვამზადებთ, ზოგი საზღვარგარეთიდან ჩამომაქვს. მაგრამ ეს გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საზღვარგარეთ კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ჰომეოპათიის წამლები პირდაპირ აფთიაქში იყიდება... ასეა ყველგან – გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში... იქ სპეციალური ქარხნებია, სადაც ამ წამლებს ამზადებენ. არ გვაქვს ლაბორატორია, მაგრამ გვაქვს იმედი, რომ ყოველივეს თანდათან მოვაგვარებთ. ასევე, პრობლემაა ისიც, რომ დღესდღეობით ცოტანი ვართ... ათამდე ჰომეოპათი თუ იქნება საქართველოში. მაგრამ, ვფიქრობ, თანდათან ამასაც მოევლება. აღარ ვლაპარაკობ გარედან ხელის შემშლელ პირობებზე... ეს განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლების დროს ხდებოდა... ახლა შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ დამხმარე ცოტა გვყავს. საზღვარგარეთ, ვთქვათ, ინდოეთში 300 ათასი ჰომეოპათია, გერმანიაში 200 ათასი. არსებობს ცენტრები, სადაც უამრავი ჰომოეპათი იყრის თავს და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენც გვაქვს ჩვენი დაკვირვებები და გამოცდილებები... საზღვარგარეთ ძალზე დაინტერესებით მისმენენ, როცა ამაზე ვსაუბრობ.

კითხვა: ძირითადად, რომელი დაავადებების მკურნალობა უფრო ეფექტურია ჰომეოპათიური მეთოდით...

პასუხი: პრაქტიკულად არცერთი დაავადება არ არსებობს, რომლის მკურნალობაც ჰომოეპათიური მეთოდებით არ შეიძლება. მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანს. რაც უფრო ხშირი კონტაქტი გაქვს ამა თუ იმ დაავადებასთან, მით უფრო მეტ გამოცდილებას იძენ. მე თავიდან უარს ვეუბნებოდი ისეთ ავადმყოფებს, რომელთაც აწუხებდათ, მაგალითად, დიაბეტი. მაგრამ შემდეგ

წამალი გამოვცადე და მივიღე შედეგი. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ამ დაავადებას ვკურნავ.

კითხვა: გიცდიათ თუ არა ისეთი წამლების დამზადება, რომელთაც ონკოლოგიური დაავადებების დროს გამოიყენებდით.

პასუხი: დიახ, ჩემთან ხშირად მოდიან ასეთი ავადმყოფები. შედეგებიც მაქვს. სხვათა შორის, ონკოლოგიურ ცენტრში ჯანმრთელობის სამინისტრომ თანხაც გადაგვირიცხა აპრობაციისათვის. მაგრამ ეს თანხა დღეს აღარაფერს აღარ ნიშნავს.

კითხვა: თქვენთან, ყოველდღიურად, დილიდან თითქმის ღამემდე უამრავი ავადმყოფი მოდის. მე ვაკვირდებოდი, როგორი მშვიდი, ყურადღებიანი სახით უსმენთ და ესაუბრებით ყველას. თქვენი პროფესია განიჭებთ სიამოვნებას?

პასუხი: რასაკვირველია. სხვანაირად ალბათ, შეუძლებელია... დღის განმავლობაში რომ 30 კაცი მაინც გიხდის მადლობას, განა ეს ბედნიერება არაა? მე გამოვნახე ჩემი ადგილი ცხოვრებაში. ჩემი საქმე შედეგს იძლევა. მე შემიძლია რეალურად მივეხმარო ადამიანს. დღეში ასზე მეტი გაჭირვებული მაინც მოდის. უმეტესობას შველის ჩემი წამალი. ბევრს მატერიალურად უჭირს, ან არიან თითქმის დავრდომილნი, ასაკოვანნი, მათ დაბრკოლება არ ექმნებათ... უფასოდ ვღებულობ. ხშირად ვაკითხავ უპატრონო ბავშვთა სახლებს. რამდენიმე თვის წინ ჩემთან მოიყვანეს 4 წლის ბავშვი. ორივე თვალში რინო-ლასტომა (სიმსივნე) ჰქონდა. ნახევარი წელიწადი ვმკურნალობდი. გაუარა, ახლა კარგადაა. განა ეს ბედნიერება არაა?

კითხვა: სპონსორი თუ გყავთ...

პასუხი: გვეხმარებიან ბიზნესმენები. დიდი მადლობელი ვარ თვითმფრინავების ფირმა "ეარ ჯორჯია"-სი. ეს რომ არა, გერმანიაში ვერ წავიდოდი. ასევე გვეხმარება ფირმა "სამგორი"... სხვებიც.

კითხვა: სამწუხაროა, რომ ჰომეოპათიის შესახებ საქართველოში ძალიან ცოტა ლიტერატურა არსებობს.

პასუხი: დიახ. მაგრამ ეს ნაკლი, როგორმე უნდა ამოვავსოთ. ვთარგმნეთ ერთი წიგნი, რომელიც მალე გამოვა. ესაა "საოჯახო ჰომეოპათია". ჰომეოპათია საერთოდ ღრმა ფილოსოფიური და, რაც მთავარია, **ყველაზე ღვთიური მკურნალობაა**. ათონის მთის მონასტერმა გამოსცა წიგნი ერდიქტი. მასში სიტყვასიტყვით წერია, რომ ჰომეოპათია ყველაზე ღვთიური მკურნალობაა. არავითარ ქიმიურ შემადგენლობას არ შეიცავს. რომ ავიღოთ, ვთქვათ, ნატრიუმი, ანაც აურუმი, ჩვენს წამალში იგი აღარც ნატრიუმია, აღარც აურუმი. რჩება მხოლოდ ამ ნივთიერებათა ხსოვნა და ადამიანი, როცა იღებს მას, ხდება ჰორმონიზაცია, რის შედეგადაც ორგანიზმი თვითონ კურნავს თავის თავს. ეს ძალიან ძლიერი მეთოდია. ესაა 21-ე საუკუნის მედიცინა.

საუბარი საკმაოდ ვრცელი, მაგრამ მაინც ზოგადი გამოგვივიდა. ყველაფერზე ძნელია ერთ საჟურნალო წერილში პასუხის გაცემა. კითხვა კი მაინც უამრავია. და მაიხც, გვინდოდა გვეკითხა კიდევ ერთი რამ: "ჰომეოპათიის საშუალებით ერს თუ შეიძლება, რომ ვუშველოთ, ვუმკურნალოთ"... პასუხი ასეთია:

უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, გია ნადარეიშვილი ჰომოეპათიის კურსს მალე ჩვენს სასულიერო აკადემიაში წაიკითხავს. ხოლო წამლებს, რომელსაც მისი მითითებით დაამზადებენ, ეკლესია უფასოდ გასცემს. ასეთია ნაწილობრივი პასუხი კთხვაზე, რომელიც მისთვის ჯერ არ დაგვისვამს...

ალბათ, "ყველაზე ღვთიური მკურნალობა – ჰომეოპათიაც" წამოეშველება ჩვენს ერს...

საუბარი ჩაიწერა ნანა კობალაძემ

გამოსათხოვარი

დედა მარიამი

ამ სახელით ცოტა ვინმე თუ იცნობდა მას.. მძიმე სენით შეპყრობილი ამ სოფლიდან გასვლამდე სულ ორიოდე თვით ადრე აღიკვეცა მონაზვნად. ერში ყველა ლიზიკოს ეძახდა... იყო მშვენიერი, ჭკვიანი, კეთილშობილი. ბოლომდე, ვიდრე ფეხზე დგომა შეეძლო, მუშაობდა ტელესტუდიაში. წლების მანძილზე მაყურებელი განუწყვეტლად ადევნებდა თვალს გამორჩეულად საინტერესო გადაცემებს, რომელსაც ლიზიკო ლაღიძე აწერდა ხელს, როგორც ავტორი და როგორც რედაქტორი. მაშინაც, სულ თავიდანვე ქრისტესკენ მიილტვოდა. ამზადებდა ნარკვევებს ქართულ ტაძრებზე. იღვწოდა როგორც შეეძლო, როგორც მაშინ იყო შესაძლებელი... შემდეგ კი, სწორედ მისი მოწადინებით დაიწყო სადღესასწაულო წირვა-ლოცვების პირდაპირი გადაცემები სიონის ტაძრიდან...

გზა, რომელიც მან უმწიკვლოდ განვლო, იყო აღსავსე მოყვასისადმი სიყვარულით, სულიერებით, თანაგრძნობით, თანადგომით...

გული მუდამ საფარის მონასტრისაკენ მიუწევდა, სადაც თითქმის ყოველ კვირას თავის მოძღვართან (მეუფე სერგისთან) ჩადიოდა. მარად ერთი ამაღლებული წუთისკენ მიისწრაფოდა, ოღეს შეუდგებოდა გზასა ქრისტესსა.

აისრულა ეს დიდი ნატვრა. განწმედილი და განათებული წარსდგა მისი კეთილი სული უფლის წინაშე.

მწარე ტკივილი მაინც წაჰყვა დედა მიარიამს... მან ვერ იხილა დამშვიდებული თავისი მთავარი სალოცავი ღვთისადმი. აშლილი, აწეწილი, კვლავაც ტკივილით სავსე დატოვა თავისი სამშობლო...

მაგრამ გვწამს, რომ მისი წმიდა და მართალი ლოცვა ზეცის სიმაღლიდან არ მოაკლდება საქართველოს, არ მოგვაკლდება ჩვენ.

განშორების დღეს, მისმა მეგობრებმა ტელევიზიის ეკრანიდან უთხრეს მას, ჩვენ გვინდოდა დღეს ყველაზე უკეთესი მუსიკა შეგვერჩია შენთვის, მაგრამ ვერ შევძელით... ყველაზე ლ. ბაზი სიტყვები გვეთქვა, ვერც ეს მოვახერხეთო... ეს იყო ტკივილი, რომელიც არა სიკვდილით, არა აღარყოფნით, არამედ სამუდამო განშორებით გამოიხატა.

მსუბუქი ყოფილიყოს შენი სამშობლოს მიწა შენთვის, დედაო მარიამ... მშვენიერო, კეთილო, ნათელო...

ილოცე ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი მომავლისათვის.

განგისუენოს უფალმა ადგილსა მწვანილოვანსა, ადგილსა ნათლისასა...

აფხაზეთი... უფალო ძალი ერსა ჩუენსა მოეც

ისტორიის მოპარვა

მეფე ლეონ მეორე

"დამოუკიდებელი" აფხაზეთის ხელისუფლებას ლეონ მეორის ორდენი დაუწესებია. დაუჯილდოებია კიდეც ამ ორდენით ზოგიერთი, ვინც მეტად გულმოდგინედ იბრძოდა საქართველოს დაშლისათვის. ისე კი დიდი დაუნდობელი რამაა ისტორია: იმათ, ვინც საქართველოს დანგრევისათვის თავს არ ზოგავდა, აჯილდოებენ იმ კაცის ორდენით, ვინც არაბთა შემოსევის შედეგად დაქცეული საქართველოს ხელახალ აღორძინება-გაერთიანებას შეალია მთელი ცხოვრება.

მაინც ვინ იყო ლეონ მეორე და რა ვიცით მასზე?

ერთადერთი წყარო მისი საქმიანობის გასაცნობად "ქართლის ცხოვრებაა". სხვა მატიანე არ არსებობს. თუმცა მაინცდამაინც სიტყვაუხვი არც ქართველი ეამთააღმწერელია. "მატიანე ქართლისაა" რამდენიმე სტრიქონით კმაყოფილდება.

"ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკუიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაუდგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე, და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა".

რაკი ლეონ მეორე ლეონ პირველის ძმისწულია, ცოტა რამ ლეონ პირველზეც ვთქვათ.

ლეონ პირველი აფხაზეთს მმართველად ბიზანტიელებს დაუსვამთ. "ერისთავი კეისრისა" – უწოდებს მას მემატიანე ჯუანშერი. კეისრის ერისთავს უჭირავს ტერიტორია კლისურას (ანუ დღევანდელი კელასურის) ჩრდილოეთით მდინარე დიდისა ხაზარეთისა.

("ქართლის ცხოვრებაში" ორი ჰიდრონიმია მოხსენებული – მდინარე დიდისა ხაზარეთისა და მდინარე მცირისა ხაზარეთისა. ჩვენ არ ვიცით, რომელ მდინარეებს ერქვათ ეს სახელები. არის გამოთქმული სხვადასხვა ვარაუდი, მაგრამ უტყუარი და დამაჯერებელი არცერთია. უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ ორივე მდინარე დიდი ხაზარეთისაც და მცირე ხაზარეთისაც ჩრდილოეთ კავკასიაშია.

იმჟამად, როცა აფხაზეთის ერისთავად ლეონ პირველი დასვეს, ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე ბიზანტიის ხელშია. ეს ტერიტორია "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ხშირად არის სადაო საქართველოსა და ბიზანტიას შორის, ამ მიწა-წყლის ფლობა ბიზანტიას სჭირდება იმიტომ, რომ ჩრდილოეთი კავკასია ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდეს და არც ხაზარებს მისცეს შავ ზღვაზე ნავარდის საშუალება. მართალია, ტერიტორია ბიზანტიას უჭირავს, ერისთავსაც კეისარი სვამს, მაგრამ ბიზანტიელებმა იციან, რომ ეს მიწა-წყალი ქართულია, საქართველოს ნაწილია, ისინი ლეონ პირველს აფრთხილებენ – "კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა". ეს მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილით არ თქმულა. იგი აღიარებაა იმისა, რომ ბიზანტიას დროებით უჭირავს ტერიტორია კლისურიდან (კელასურიდან) დიდი ხაზარეთის მდინარემდე.

მაშინ საქართველოს დიდი გასაჭირი ადგა. არაბთა შემოსევებმა გააპარტახეს იგი, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც. მურვან-ყრუმ ცხუმი მოაოხრა. ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა. მისი ჯარი უმრავლესი ყოფილა "ჭალაკთა ეგრისათა". მაგრამ ყრუმ სოსუმს იქით წასვლა ვეღარ გაბედა. მაშინ ბიზანტიას უნდა შებმოდა უშუალოდ. როგორც ჩანს, იმხანად ბიზანტიასთან ომი ამ რეგიონში არაბთა გეგმაში არ შედიოდა.

რაკი საქართველოს ეს ნაწილი ბიზანტიელების მიერ არის დაცული, ქართლის მეფეები – მირ და არჩილ იქ არიან თავშეფარებულნი. სამივე ერთად, ქართლის მეფენი მირ და არჩილ, აფხაზეთის ერისთავი ლეონ, ელჩს აგზავნიან ბიზანტიის იმპერატორთან. აუწყებენ ყველაფერს. შემწეობას ითხოვენ. მაგრამ ბიზანტიის კეისარს იმჟამად სხვა არაფერი ძალუძს, გარდა სიტყვიერი ნუგეშისცემისა და მომავლის იმედით გამხნევებისა.

ფრიად მნიშვნელოვანია, რასაც ამის მერე გვიყვება ჯუანშერი.

ქართლის მეფე მირი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ძმას არჩილს ანდერძი დაუტოვა: არ მყავს მემკიდრედ ვაჟი. მყავს შვიდი ასული. გაათხოვეთ ისინი. "განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ თაკუერი მქონდა. მომიცია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი. არგუეთი და გურია".

დაკვირდით გულისყურით ამ სტრიქონებს. ქართლი ერთი ქვეყანა არ არის. ბევრია – "ქუეყანანი ქართლისანი". არც მარტო აღმოსავლეთ საქართველოა ქართლი, "ქუეყანანი ქართლისანის" ცნებაში ისევე შედის ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია, როგორც თავად ქართლი (ერთი პროვინციის მნიშვნელობით). "ქუეყანანი ქართლისანი", ანუ მარტივად ქართლი, ფართო შინარსის ცნებაა. იგი აღნიშნავს იმასაც, რასაც დღეს დასავლეთ საქართველოს ვუწოდებთ და იმასაც, რასაც აღმოსავლეთ საქართველო ჰქვია. აფხაზეთიც "ქუეყანანი ქართლისანიში" შედის. ამას მალე დავინახავთ.

არჩილი ძმის ანდერძის შესაბამისად მოიქცა.

მირის ერთი ასული გუარამ კუროპალატის შვილს მიათხოვა. გუარამ კუროპალატი კლარჯეთისა და ჯავახეთის მფლობელია.

მეორე ასული იმ პიტიახშს გააყოლა ცოლად, რომელიც თრიალეთის, ტაშირის, აბოცის პატრონი იყო.

მესამე ასული ნერსეს ნერსესიანს მისცა. ეს ნერსესი ვახტანგ გორგასლის ნათესავი ყოფილა.

მეოთხე ასული ადარნასე ადარნასიანმა შეირთო.

მირის მესამე და მეოთხე ასულს არჩილმა ზენა სოფელი, ანუ ქართლი გაუყო. აქ უკვე ვიწრო მნიშვნელობით იხმარება ქართლი. მას მეორე სახელიც ჰქონია – ზენა სოფელი.

მირის მეხუთე ასული ვარზმან ერისთავის თანამეცხედრე გახდა. მას ერგო ტერიტორია კოტმანიდან ქურდისხევამდე.

მეექვსე ასულზე კი ჯუანშერ ჯუანშერიანმა იქორწინა. მას წილად ხვდა ჯუარი, ხერკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ზევი და ტფილისი.

როგორც ხედავთ, მთელი საქართველო განაწილდა არჩილსა და მირის ქალიშვილებს შორის. მაგრამ მეშვიდე ასულს რაღა ერგო? იგი ვის მიათხოვა ბიძამ?

მირ მეფის მეშვიდე ასული გურანდუხტ სწორედ იმ ლეონს გააყოლა, რომელიც ბიზანტიის კეისარმა აფხაზეთის ერისთავად დასვა. მართალია, აფხაზეთს დროებით ბიზანტია ფლობს, მაგრამ ეგიც "ქუეყანანი ქართლისანში" შედის და ისევე ექვემდებარება მირის ანდერძს, როგორც საქართველოს სხვა ნაწილები.

იცით, რა უთხრა მეფე არჩილს ლეონ პირველმა აფხაზთა ერისთავმა, როცა გურანდუხტ მირის ასულს ირთავდა? მართალია, კეისარმა მემკვიდრეობით მომცა ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე, მაგრამ "**არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს**". ხოლო "შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნიესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა".

როგორც ხედავთ, ლეონ პირველი, აფხაზთა ერისთავი, საქართველოს ნაწილად თვლის ტერიტორიას კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე. თავისთავს კი საქთველოს სამეფო კარის ქვეშევრდომად. ეს სიტყვები არ გახლავთ удобная дипломатическая форма, როგორც ამას წერს ზურაბ ანჩაბაძე ("Из истории средневековой Абхазий"), იგი ერთგულების დადასტურებაა.

მეფე არჩილს დიდად გახარებია ლეონის სიტყვები და ორივეს საშინელი ფიცი და აღოქმა დაუდვიათ. "**არა იყოს მტრობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (ემორჩილებოდეს) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა**".

არსებობს რაიმე ცნობა ჯუანშერის საწინააღმდეგო, დამადასტურებელი იმისა, რომ ქართველი მემატიანე მართალს არ ამბობს? სრულებით არაფერი. ვიმეორებ: სრულებით არაფერი, არც ბიზანტიურ წყაროებში, არც სომხურში, არც სხვაგან სადმე. აფსუა-ხალხს კი მატიანე არა აქვს. მან წერა-კითხვა გუშინ ისწავლა. აფსუა-ენაზე პირველი თხზულების დამწერი ჩვენი თანამედროვე იყო. აგერ ახლა, 1960 წელს გარდაიცვალა. ჩვენ კი ათასი წლის წინანდელ ამბებზე ვსაუბრობთ.

ჯუანშერი კიდევ იმიტომ არის სანდო, რომ იგი თავად იყო მოწმე და მონაწილე იმ ამბებისა, რასაც გვაუწყებს. იგი მემატიანეც იყო და დიდი სახელმწიფო მოხელეც. ჯუანშერი მეფე მირის მეექვსე ასულის ქმარია და ქვისლი ლეონ პირველისა. რა უფლებით შეიძლება ასეთ კაცს უნდობლობა გამოვუცხადოთ?

იმით, რაც ჯუანშერმა დაწერა, სრულიად მკაფიოდ ჩანს შემდეგი:

1. არაბთა შემოსევის შედეგად, ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა, მაგრამ არც ქართველი ხალხი და არც სამეფო კარი ერთიან ეროვნულ შეგნებას არ კარგავს. პირიქით, კიდევ უფრო მძაფრდება იგი.

2. სამეფო კარი ყველა ღონეს ხმარობს, რაც კი შესაძლებელია, მთელი ქართული ტერიტორია სამეფო კარის ზედამხედველობის ქვეშ იყოს (მირის ქალიშვილებს შორის ტერიტორიის განაწილება).

3. აფხაზთა ერისთავი, რომელიც იმხანად, ბიზანტიის ქვეშევრდომია, ქართული სამეფო კარის პოლიტიკას უწყობს ხელს და მას ემორჩილება.

4. ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე საქართველოს ნაწილია, ისიც "ქუეყანანი ქართლისაჲნი" შედის. მართალია, დროებით ბიზანტიის მფლობელობაშია, მაგრამ არც ბერძნები უარყოფენ იმას, რომ ეს მიწა-წყალი ქართულია.

ამ შეგნებითა და მიმართულებებით მიღვაწეობს ლეონ მეორეც.

ვიცით, მისი ვინაობა დედის მხრით (ხაზართა მეფის შვილიშვილია). ხოლო მამის ხაზით, იგი ლეონ პირველის ძის ძეა. ლეონის ვინაობაზეც სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ, საუბედუროდ, არცერთი უცდომელი და სარწმუნო. მაგრამ ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ ლეონ მეორე დასავლურ ქართულ სახელმწიფოს ააღორძინებს. მემატიანის სიტყვით, როგორც კი ბერძნები დასუსტდნენ, მაშინვე ისარგებლა მან და ბიზანტიის ქვეშევრდომობას თავი დააღწია. დედით ხაზარი არც ხაზართა სამეფოს მიმხრობია. გამოყენებით კი გამოიყენა ხაზართა ძალა, დედის ნათესავები და საკუთრივ ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. როგორც ქართულ საისტორიო მეცნიერებაში უთუოდ და უთუოცოდ დადგენილია, ლეონ მეორის აფხაზთა სამეფო, ანუ დასავლეთ საქართველოს სამეფო მოიცავდა, დღევანდელი პროვინციების მიხედვით თუ ვიტყვით, საკუთრივ აფხაზეთს, სამურზაყანოს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, იმერეთს, გურიას, აჭარას (ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, რომ მაშინდელ დასავლეთ საქართველოს სამეფოში ლაზეთიც შედიოდაო, მაგრამ ეს საკამათოა).

დედაქალაქი კი ქუთაისი იყო. ეს იმას ადასტურებს, რომ ლეონ მეორე ენით, ცნობიერებით, შეგნებით, მოღვაწეობით ქართველი იყო. თან თავდადებული და თავგანწირული ქართველი.

არც აფხაზთა მეფის გვირგვინი დაუდგამს მას თვითნებობით. როცა ლეონ პირველს მეფე მირის ასული გურანდუხტი მიათხოვეს, გვირგვინიც გადასცეს. "**მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გუირგუნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისასაუის**" (იმ ეპოქაში სამეფო ინსიგნიებს ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორისაგან იღებდნენ). მაშასადამე, ლეონ მეორემ სამეფო გვირგვინი, ანუ მეფე მირის გვირგვინი, დაიდგა, როგორც ქართლის მეფის მემკვიდრემ.

გვირგვინის გადაცემაც იმას ადასტურებს, რომ ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე ქართულია. მისი მმართველიც პოლიტიკურად ქართველია. სხვანაირად უცხო ქვეყნის მმართველს არჩილი საქართველოს მეფის გვირგვინს არ გადასცემდა. არჩილ მეფე ხომ ქართული ეკლესიის მიერ წმიდა მოწამედ არის შერაცხული. დასავლეთ საქართველოს მფლობელიც იმის მერე გახდა, რაც არჩილის შვილები იოვანე და ჯუანშერი იმ სოფლად განვიდნენ. "მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მიიცვალა". როცა არჩილი აღესრულა, მისი ორი ვაჟიდან ერთი, იოვანე, ეგრისს წავიდა და იქ ხელისუფლობდა, ხოლო მეორე, ჯუანშერ, ქართლ-კახეთში დარჩა და აქ მეფობდა. ასე რომ, არჩილის შვილები მთელ საქართველოს ფლობდნენ, ერთი აღმოსავლეთს, მეორე დასავლეთს. იოვანეს სიკვდილის მერე ერეო დასავლეთ საქართველო ლეონ მეორეს. იგი ყველა წესისა და კანონის დაცვით ადის დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე. ლეონ მეორე მეფე არჩილის დასტურით არის ხოსროიანთა დინასტიის ქართული სამეფო კარის კანონიერი მემკვიდრე. არჩილი არ შემცდარა. მისმა გამჭრიახობამ და წინასწარმეტყველებამ (მეფის გვირგვინი რომ გადასცა ლეონ პირველს) გაამართლა. ლეონ პირველი და, მით უფრო, ლეონ მეორე ჭკვიანი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწეები აღმოჩნდნენ. ლეონ მეორემ მძლავრი დასავლურ-ქართული სახელმწიფოც ჩამოაყალიბა და მომავალში საქართველოს სამეფოს ხელახალ გაერთიანებასაც ჩაუყარა საფუძველი. დავითისა და თამარის დიდი საქართველო ლეონ მეორის ღვაწლითაც იკვებება.

უსამართლობა, შეურაცხყოფა და თავხედობაა ლეონ მეორის ორდენით საქართველოს მტრებს რომ აჯილდოებენ, მაგრამ ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. ვისაც სხვისი მიწა-წყლის მოპარვა სურს, იმას არც ისტორიის მოპარვის შერცხვება. აფსუების დამზმარენი კი ერთ რამეს ნუ დაივიწყებენ: ბიზანტიასაც სურდა აფხაზეთის მითვისება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პირიქით: აფხაზეთი გახდა საქართველოს ხელახალი აღორძინების მოთავე, ხოლო ბიზანტიის იმპერია უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. აჯობებს მათ საბედისწერო დასასრულზე იფიქრონ და თავი ანებონ სხვისი ტერიტორიის მითვისებას.

აკაკი ბაქრაძე

საეკლესიო ცხოვრება

ქრისტეს აღდგომის წინა დღეებში საქართველოს ეკლესიაში სამი ახალი ეპისკოპოსის ხელდასხმა მოხდა. ესენია:
შემოქმედელი ეპისკოპოსი იოსები
ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსი ესაია
ბორჯომისა და ახალქალაქის ეპისკოპოსი სერაფიმე

ვაქვეყნებთ სიტყვებს, რომელიც მათ სახელდების დღეს წარმოსთქვეს

მღვდელ-მონაზონ ესაიას სიტყვა

უპირველესად ყოვლისა, ვმადლობ უფალსა ჩვენსა მონიჭებული მადლისა და წყალობისათვის. გმადლობთ თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, მამობრივი ზრუნვისა და სიყვარულისათვის, რომელმაც ჯერ ეკლესიაში მომიყვანა, ხოლო შემდეგ ღვთისმსახურების გზაზე დადგომა შემაძლებინა და დღევანდელ დღეს მომასწრო.

გმადლობთ მეუფენო, მოძღვარნო და ყოველნო მორწმუნენო, თანადგომისა და გამხნევებისათვის. რომ არა თქვენი სიყვარული, დღეს, ალბათ, აქ, თქვენს წინაშე, წარდგომას ვერ შეეძლებდი.

მონასტერში ყოფნის დროს, განმარტოების სურვილი დამებადა. ჩემი მომავალი ცხოვრება უფრო მყუდრო ადგილას მესახებოდა. განსაკუთრებით ხშირად აფხაზეთზე ვფიქრობდი. მინდოდა, როცა იქ დაბრუნებას შევძლებდი, რამდენიმე ძმასთან ერთად სამოღვაწეოდ უდაბურ ადგილას დავმკვიდრებულიყავი, მაგრამ გამოუკვლეველ არიან გზანი შენნი, უფალო! მისი ნებით ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართა.

მიფიქრია იმაზეც, ბრძოლის ველზე მეთაური ყველაზე ძნელი დავალების შესასრულებლად ვის გაგზავნიდა და ვის სიცოცხლეს დასდებდა სასწორზე. რა თქმა უნდა, იმას, ვისი განსაკუთრებული ნდობაც ექნებოდა. დღეს თქვენი მხრიდან, თქვენო უწმიდესობავ, ჩემს მიმართ სწორედ ამგვარი ნდობა იქნა გამჟღავნებული. მესმის და ღრმად განვიცდი ამას. დიდად გმადლობთ.

დღევანდელი დღე ჩემთვის დასასრულია მყუდრო მონასტრული ცხოვრებისა და იმგვარი გზის დასაწყისია, რომელიც ღვთის წინაშე არა მხოლოდ საკუთარ სულზე, არამედ სხვათა სულებზე პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ამ პასუხისმგებლობაზე დაფიქრებამ არ შეიძლება ადამიანი არ აღელვოს, მაგრამ მღელვარებას — ამ ნდობით გამოწვეული სიხარულიც ახლავს;

თუმც ნიქოზსა და ცხინვალს კარგად არ ვიცნობ, ერთი რამ მტკიცედ ვიცი: მომხდარი მოვლენების შემდეგ ამ მხარეს განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება. აქ მსახურება სასულიერო პირისაგან დიდ ძალისხმევასა და რჯულებას მოითხოვს. შევეცდები სამწყოს გატანჯულ სულსა და სხეულს ქრისტესმიერი სიყვარულით ვუმკურნალო და ყველაფერი ვიღონო იმისათვის, რომ ამ მხარეში ეკლესიური ცხოვრება კვლავ აღორძინდეს. არსებული კრიზისის დაძლევა ხომ მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოების მეოხებითაა შესაძლებელი.

ბერად აღკვეცისას თუ დიაკვნად და მღვდლად კურთხევისას, უწმიდესისაგან სულ ერთსა და იმავე რჩევას ვიღებდი: ახლა უფრო მეტი თავმდაბლობა და მორჩილება გმართებს, რადგან ეს თვისებები, რომელიც ქრისტიანის ძვირფასი სამკაული და სულიერი წარმატების გვირგვინია, ხარისხის პროპორციულად უნდა იზრდებოდეს.

თქვენო უწმიდესობავ, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, მამანო და დედანო, ძმანო და დანო, სულიერ თანადგომასა და ლოცვებში მოხსენიებას ვითხოვ თქვენგან, რათა უფალმა მომცეს ძალა ჩემთვის ბოძებული ჯვრის თავმდაბლობით და მორჩილებით ზიდვისა.

იღუმენ სერაფიმეს სიტყვა

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, მეუფენო, მამანო, დედანო, ძმანო და დანო!

ვდგავარ ამ წმიდა ტაძარში თქვენს წინაშე და ჩემს თავს ვუსვამ კითხვას: რა უფლებით, რა კადნიერებით ვიღებ ამ დიდ ჯვარს? საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ყოველთვის მოღვაწეობდნენ დიდი მღვდელმთავრები — სულიერი მამები ერისა, რომელთა გვერდითაც მე ჭეშმარიტად მტვერი და ნაცარი ვარ. მაშ, თუ ვიცი ჩემი ულირსობა, რატომ არ ვაცხადებ უარს, რატომ არ ვბრუნდები ფარავნის ტბაზე, სადაც მშვიდად და წყნარად გავაგრძელებდი მოღვაწეობას ჩემს პატარა მონასტერში...

ერთადერთი მიზეზი ჩემი თანხმობისა არის მორჩილება მისი უწმიდესობისა და წმიდა სინოდის წინაშე.

სერაფიმე საროველი ბრძანებს: მორჩილება მარხვასა და ლოცვაზე მეტიაო.

იერარქია უფალმა არა მხოლოდ სასუფეველში, დედამიწაზეც დაადგინა. იგი მორჩილებას გულისხმობს. მღვდელმთავარი კათოლიკოს-პატრიარქსა და წმიდა სინოდს უნდა ემორჩილებოდეს, მოძღვარი მღვდელმთავარს, ბერ-მონაზონი და ერისკაცი — მოძღვარს.

გარდა ამისა, ყოველ ადამიანს მორჩილება და პატიოსნება მართებს ერის საშსახურში. როცა იერარქია ირღვევა, სულიერებისა და სიმშვიდის ნაცვლად, ერში შფოთი და მღელვარება ისადგურებს; ვინც ეკლესიას არ ემორჩილება, იგი ძე შეცთომილია, რომელსაც აუცილებლად მოიტაცებს ცხვრის ჭურქში გახვეული მგელი.

ერის კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ ლოცვასა და შრომაზეა დამოკიდებული.

"რომელნი ესავენ უფალსა, ვითარცა მთაჲ სიონი, არა შეირყოს უკუნისამდე,

რომელი დამკვიდრებულ არს იერუსალიმს" (ფს. 124.1) – გვასწავლის დიდი მეფე და წინასწარმეტყველი დავითი.

ვერ გაძლიერდება და ვერ გაბრწყინდება სრულიად საქართველო, თუ მთელი ერი არ შესთხოვს შემწეობას უფალს და თვითოეული ქართველი არ იშრომებს პატიოსნად და დაუღალავად.

გულსატკენი და დასანანია, რომ ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ან საერთოდ არ ეკარება ეკლესიას, ან იშვიათად შემოდის ეკლესიაში, სანთელს აანთებს და შინ ვალმოხდილივით ბრუნდება. ამ ადამიანებმა არ იციან მადლი და ძალა უფლის წმიდა და პატიოსან სისხლთან და ხორცთან ზიარებისა და მოუნანიებელი ცოდვებით დამძიმებულნი ატარებენ თავიანთ ცხოვრებას. ობობას ქსელის მსგავს საცდურში გახლართულნი, ადვილად ტყუვდებიან და დაბრმავებულნი, ბოროტებისა და ძალადობის მსახურნი ხდებიან. გამოსავალი ერთია – ეკლესიაში მისვლა, შემეცნება იმისა, რას წარმოადგენს მართლმადიდებლური სარწმუნოება, რას გვაუწყებენ წმიდა მამები, რას გვასწავლის თავის ქადაგებებსა და ეპისტოლეებში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი მოძღვარი. ის, ვინც ჭეშმარიტად ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, აუცილებლად იპოვის სიმშვიდესა და სიხარულს და განსაცდელსაც სიმდაბლით მიიღებს, რამეთუ გულით შეისმენს უფლის სიტყვებს: "რომელნი სთესვიდენ ცრემლით, მათ სიხარული მოიმკონ" (ფს. 125,5).

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ახალი სენი შემოიჭრა – მწვალებლობა. ქართველები, რომელნიც ორი ათასი წლის მანძილზე ჭეშმარიტ რწმენას ემსახურებოდნენ, დღეს კათოლიკები, ბაპტისტები, იეღოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, ბუდისტები და კრიშნაიდები ხდებიან. ხშირად ჰუმანიტარულ დახმარებას ამოფარებული უცხოელები თავიანთ ცრუ სარწმუნოებას ქადაგებენ და ზოგიერთ ქართველს ლუკმა-პურის ფასად ყიდულობენ. გავიხსენოთ რას ბრძანებს პავლე მოციქული: "ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყვარულსა მის ქრისტესა. ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშუელობამან ანუ ურვამან ანუ მახვილმან"... (რომ. 8, 36). ეპისკოპოსი გაბრიელი მე-19 საუკუნეში ქადაგებდა:

"არ არის არცერთი შეკითხვა მწვალებლების, რომელსაც ჩვენ ვერ გავსცემთ პასუხს, რამეთუ ჭეშმარიტ რწმენაში, ჭეშმარიტ ეკლესიაში ვართ. ერთადერთი კითხვა მწვალებლებისა, რომელიც უპასუხოდ რჩება, ესაა: რატომ, თქვენ, მართლმადიდებელნი არ ქადაგებთ ისე, როგორც ჩვენ?"

დიახ, ზოგჯერ მწვალებლები ჩვენზე მეტ გულმოდგინებას იჩენენ სამსახურებში, სკოლებსა და სახლებში. თვით საბავშვო ბაღებშიც კი იჭრებიან და ადამიანების გადაბირებისათვის ყოველ ღონეს ხმარობენ. დღეს იმასაც კი გაიგონებთ, რომ საქართველოში ყველა რელიგიას ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს.

ჰოი, უგუნურებავ და სირცხვილო ქართველი კაცისა, რომელიც ჭეშმარიტი ღვთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ჩვენი წმიდა მამების პატივისცემასა და სიყვარულს დაკარგავს.

როგორ წარმომიდგენია მე ეპისკოპოსის ღვაწლი? პირველ რიგში ეპარქიაში მართლმადიდებლობის გავრცელება და ქადაგება, დაუღალავი შრომა ეკლესიების და მონასტრების აღდგენისათვის. დანარჩენ ღვთისმსახურებთან ერთად, მოთმინებითა და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობა სამწყსოსთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი უქმად გატარებული დღის გამო უფალი პასუხს მოგვთხოვს.

სახარებაში უფალი ბრძანებს: "სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ, ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რათა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თჳსსა" (მათე 10,2).

ჩემს დღევანდელ სასულიერო მდგომარეობას ყველაზე უკეთ პავლე მოციქულის სიტყვები გამოხატავს: "ოდეს იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდი, ვითარცა ყრმა, შერაცხულ ვიყავ ვითარცა ყრმა, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისა იგი" (კორ. 13,2).

როგორც ყრმა, რომელიც ხდება მამაკაცი, შემწეობასა და დამოძღვრას თქვენგან ვითხოვ, თქვენო უწმიდესობავ! მორჩილებით ვხრი თავს და ვიღებ ამ უმძიმეს ჯვარს... თქვენი ლოცვით, მღვდელმთავარნო, მოძღვარნო და ამ წმიდა ტაძარში მვედრებელნო, შემძლებინოს უფალმა მისი ზიდვა.

უფალო, გამაძლიერე მე ულირსი სერაფიმე.

"კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენი". ამინ!





14 მარტს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის რეზიდენციაში მოეწყო გელათის აკადემიის დამფუძნებელთა ჯგუფთან შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქუთაისის მერი, ბატონი თემურ შაშიაშვილი. მას თან ახლდნენ სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების რექტორები – მაგალი თოდუა და არჩილ კოსტავა, პრორექტორი კარლო მგალობლიშვილი, მწერალი აკაკი ბაქრაძე, პროფესორები: დამანა მელიქიშვილი, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, მწერალი მიხეილ ქურდიანი და სხვა.

გთავაზობთ ამ შეხვედრის მოკლე შინაარსს:

მისი უწმინდესობა: დიდად მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა... მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა დგას ჩვენს წინაშე, ღვთის მადლით, თუ ეს განხორციელდება... რწმენა და მეცნიერება ადამიანისათვის ორივე საჭიროა. თუ მეცნიერება ვითარდება და სულიერება არა, არ ვარგა და პირიქით... სწორედ ეს მოხდა ჩვენს საუკუნეში. ჩვენ ყველანი ამისი მოწმეები ვართ. დიდი ცოდნა და ძალა დაგროვდა უზნეო ადამიანთა ხელში. ამიტომ, უკვე რამდენიმე წელია, გაჩნდა აზრი, რომ გელათის აკადემიას დაუბრუნდეს თავისი ფუნქცია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, "მეორე ივრუსალიმად" და "სხუად ათენად" მოიხსენიებს გელათს მემატიანე. ღვთის მადლით, გაიხსნა გელათის სასულიერო აკადემია; გაიხსნა სხვა აკადემიებიც... მაგრამ ამით არ ამოიწურა აზრი, რომელიც იმთავითვე უნდა ყოფილიყო ჩადებული მასში.

იმერეთი და ქუთაისი, როგორც ცნობილია, გამორჩეულია თავისი ტრადიციებით... ალბათ, რაღაც ერთობლივი ღონისძიება უნდა ჩატარდეს. მოგეხსენებათ, მრავალი უნივერსიტეტი იხსნება და შემდეგ იხურება.

გელათის აკადემია აღარ უნდა დაიხუროს. მის აღორძინებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა მეცნიერებმა. მადლობა ღმერთს, ვიცი, რომ ისინი არ დაიშურებენ თავს. მივცეთ შინაარსი გელათის აკადემიას. მე ვფიქრობ, ხელისუფლება ამაში დაგვეხმარება...

თემურ შაშიაშვილი: უპირველესად, მადლობა გვინდა მოგიხადოთ, რომ გამონახეთ დრო ჩვენთან შესახვედრად. ახლა მარხვაა და ვიცით, რომ მარხვაში მიღებები ნაკლებად გაქვთ. ჩვენ ძალიან გვინდოდა თქვენთან მოსვლა.

ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, თქვენ არნახული ძალისხმევა მოანდომეთ სასულიერო აკადემიის გახსნის საქმეს. მაშინ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამას, მაგრამ დრომ თქვენი სიმართლე დაადასტურა. დიდი წინააღმდეგობა შეხვდა გელათის სასულიერო აკადემიის გახსნასაც, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იგი არსებობს.

მინდა გაუწყოთ... ამ დღეებში იმერეთის ტელევიზია იწყებს გადაცემებს. პირველი ინფორმაცია საპატრიარქოში ჩვენს შეხვედრას დაეთმობა.

გელათის სასულიერო აკადემია არის უმაღლესი ცენტრი, დაარსებული დავით აღმაშენებლის მიერ და აღდგენილი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

მაგალი თოდუა: – ჩვენ გვინდა წარმოვიდგინოთ ერთგვარი სქემა... გელათის აკადემიის პროექტი. ეს იქნება ბიბლიოლოგიური და ქართველოლოგიური კვლევის სამეცნიერო ცენტრი... იდეა ამ ცენტრის შექმნისა, დაიბადა უნივერსიტეტში. მას უნდა ჰქონდეს ორი მიმართულება – სასულიერო და სამეცნიერო... როგორც თავიდანვე იყო რწმენისა და ცოდნის ერთიანობა. აი, ეს უნდა აღდგეს ახლა. დღეს ხდება ამ იდეის კურთხევა და ეს ჩვენ დიდად გვახარებს.

აკადემია აგებული იქნება შემდეგ პრინციპზე:

1. აქ იქნება უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, რომელიც მოამზადებს ღვთისმეტყველებისა და კულტურის მსახურებს.

2. შეისწავლის ბიბლიას და მასთან დაკავშირებულ დისციპლინებს: ძველ ქართულ

ენას, საქართველოს ისტორიას, ხელოვნებას, არქეოლოგიას, საქართველოს სამართალს, ჰიმნოგრაფიას, ფილოსოფიას და ა.შ.

ამოსავალი ყოველთვის იქნება ბიბლია. ბიბლიასთან ხომ დაკავშირებულია, როგორც თეოლოგიური, ისე საბუნებისმეტყველო საკითხები და საერთოდ, ყველაფერი. შედგება ბიბლიის კორპუსი, რომელიც გულისხმობს მის კრიტიკულ-აკადემიურ ტექსტს (ხელნაწერთა ვარიანტები, ლექსიკონები, ამოუწურავი კომენტარები). გამოიცემა ენციკლოპედია, ლექსიკონები, ბიბლიის სიმფონია; შეისწავლება ქართული ენა, სტილი, სინტაქსი... ეს ცხადია, ისედაც ხდება, მაგრამ აქ იქნება ცენტრი, სადაც ყოველივე ერთი სამეცნიერო ბირთვისა და ერთი მეთოდით – თეოლოგიის თვალით შეისწავლება.

დიდი ადგილი დაეთმობა ჩვენი სასულიერო მემკვიდრეობის შესწავლასა და ახალ ქართულზე გადმოთარგმანებას, აკადემიური ტექსტების გამოცემას... ძველი და ახალი აღთქმის კომენტარებს, ქრისტიანული კულტურების კვლევას, ქრისტიანული ხელოვნების ძეგლების შესწავლა-გამოცემას.

აკადემიას ექნება გამომცემლობა. გამოვა წიგნები, ჟურნალი, გამოიცემა წელიწდეული.

არჩილ კოსტავა: – გელათის ტერიტორიაზე განლაგებულია ობსერვატორია. უნდა აღვადგინოთ იგი.

ნებისმიერს, ყველაფერს ახასიათებს სიბერე... ბერდება საეკლესიო ნაგებობაც. იგი მოითხოვს შესწავლას. პირველი იქნება ბაგრატის ტაძარი... საქმეში უნდა ჩავრთოთ არქეოლოგები. იაპონელები გათხრებს დისტანციური კვლევის მეთოდით აწარმოებენ. ჩვენ ფართოდ დავნერგავთ მას.

დიდ ყურადღებას მივაქცევთ სახელმძღვანელოების გამოცემას სასულიერო აკადემიის მსმენელთათვის. ყოველივეს თქვენთან ერთად განვიხილავთ.

ცხადია, არსებობს სამეცნიერო აკადემია, მაგრამ ჩვენი მუშაობის მეთოდი სხვანაირი იქნება.

მისი უწმიდესობა: არავითარი დაპირისპირება არ შეიძლება. დღეს მათ, მართალია, უჭირთ, მაგრამ ბევრი გააკეთეს. მუდმივი კონტაქტი უნდა იყოს ამ ორ აკადემიას შორის. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ერთსა და იმავე საკითხზე ერთიც მუშაობდეს და მეორეც... სასურველია, შეიქმნას სასწავლო კინოფილმები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო პროგრამას. მე ამაზე ძალიან ხშირად ვლაპარაკობ. ეს ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია. თუ თავის დროზე არ ჩავთესეთ კეთილი თესლი, მერე გვიან იქნება. უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნების სასკოლო პროგრამებს, ძველად როგორი იყო და როგორია დღეს. ჩვენი სასწავლებლები ინკუბატორივითაა... ჩვენ მანქანას ვზრდით და არა ადამიანს. ფსიქოლოგები, პედაგოგები ინდივიდუალურ დაკვირვებას უნდა ახდენდნენ ბავშვებზე. უნდა გაირკვეს, რისი ნიჭი აქვს ამა თუ იმ ბავშვს. დღეს რომ სამედიცინოზე ვერ მოეწყო და მერე პედაგოგიურზე წავიდა, ეს არ შეიძლება... ეს ფუჭად დაკარგული დროა.

შუა საუკუნეებიდან, განსაკუთებით კი ამ ბოლოს, გაიმიჯნა ცოდნა და რწმენა... ალბათ, ხელოვნურად. უხეშმა რაციონალიზმმა და ლიბერალიზმმა მიიყვანა ადამიანი კომუნიზმის იდეამდე. უნდა მოხდეს ცოდნისა და რწმენის დაახლოება. შენ მონა კი არ უნდა იყო ღვთისა, არამედ, მეგობარი. მორწმუნეს უნდა ჰქონდეს ცოდნა და ის გახდება მეგობარი ღვთისა. ყველა ლექტორს, მასწავლებელს ღმერთთან უნდა მიჰყავდეს ადამიანი.

დიდად სასურველი იქნებოდა, თუ აკადემიაში ქართველოლოგებს მოვიწვევდით. მინდა გკითხოთ... ხომ არ შეიძლებოდა, რომ საერთაშორისო ცენტრი ჩამოვაყალიბოთ, ვთქვათ, ბათუმში. გამოინახოს კარგი შენობა, შევუქმნათ მას პირობები... წელიწადში ერთხელ მაინც, საქართველოში, სასურველია, ზაფხულობით ჩატარდეს ქართველოლოგთა კონფერენცია. გელათის აკადემიის ცენტრმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ გავზარდოთ ახალი ქართველოლოგები.

მიხეილ ქურდიანი: – დიდ პატივს გცემთ. გაოცებული ვარ საკითხებით, რომელსაც თქვენ აყენებთ. თქვენ ბრძანეთ საოცარი რამ: უნდა შეიქმნას ბათუმის ზაფხულის სკოლა, სადაც შეიძლება ჩამოვიდნენ, ჩამოიყვანონ მოწაფეები. ამ დროს ყველა იქნება თავისუფალი და შეეძლებათ ქმედითი დახმარება.

თეიმურაზ შაშიაშვილი: – მე გაძლევთ პირობას, რომ ამ დიდ საქმეს მოვუძებნით ზნეობრივ გზას. გელათის აკადემია ზნეობაზე აშენდება.

მისი უწმიდესობა: – დღევანდელი დღე ისტორიული დღეა. თითქოს დიდი დავითი მოვიდა ჩვენთან და მოიტანა იმედი. ეს მაფიქრებინებს, რომ საქართველოს მომავალი ნათელია.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს, აგრეთვე, უნივერსიტეტის პრორექტორმა კარლო მგალობლიშვილმა, პროფესორებმა: დამანა მელიქიშვილმა, მზექალა შანიძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ, მწერალმა აკაკი ბაქრაძემ.

25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წინა დღეს, საპატრიარქოს რეზიდენციაში აკადემიის დაფუძნების აქტს ხელი მოაწერეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ-გიორგი შევარდნაძემ.

ფერისცვალების ტაძარი თაბორის მთაზე

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო,
და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაჲ შენი...
ძალისაებრ მათისა, და გამოგვიბრწყინვე ჩუენცა
ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი,
მეოხებითა ღვთისმშობელისაჲთა,
ნათლისა მომცემელო უფალო, დიდება შენდა...
(საგალობელი)

ოდესღაც ეს გორაკები ტყით ყოფილა დაფარული... ბილიკიც ადიოდა... ვიწრო, საცალფეხო. მაღლა კი, მთელი დიდებულებით, მთაზე, რომელსაც თაბორი ჰქვია, იდგა ციხე. ახლა აქ არც მცენარეული სიმწვანეა (მხოლოდ აქა-იქ თუ მძლავრობს სიცოცხლე), არც ციხე. არქეოლოგებმა ამ ციხის მხოლოდ ნანგრევები-ღა იპოვეს. ისიც ცოტა. ნახმლევი და ნახანძრალია ეს ადგილი... ისევე, როგორც მთელი თბილისი... ყველაზე მეტად, მისი ძველი უბნები. თაბორის მთაზე ოდესღაც ეკლესიაც მდგარა... ალბათ, ფერისცვალების.

"და წარიყვანნა იესო პეტრე, იაკობ და იოანე და აღვიდა
მთასა ლოცვად. და იყო ლოცვასა მისსა ხილვაჲ პირისა
მისისაჲ სხუა და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე"
(ლუკა. 9.28-29)

გვამცნობს წმიდა სახარება და გვწამს, "სწორედ იმ დროს, პირველი ათასწლეულის დასაწყისში, ისე, როგორც იქ, იმ თაბორის მთაზე, აქაც ხდებოდა სულიერი ფერისცვალება... ლეგენდაც გვაუწყებს: იესო ქრისტემ სწორედ ამ მთაზე აიყვანა მოციქულები და მისი ფერისცვალებაც აქ მოხდაო. ეს ლეგენდა ქრისტეშობის მყინვარწვერისეულ მშვენიერ ლეგენდებს ეხმიანება და ქართველი კაცის მაცხოვრისადმი მარადიულ სიყვარულზე მეტყველებს. ესაა მისტიკა, რწმენა, სულიერი ზეაღსვლა, შობა, ფერისცვალება...

ბილიკი კი ისევ არსებობს. იგი დღევანდელი ბოტანიკური ბაღიდან პირდაპირ ნაციხარამდე ადის. სამანქანო გზაცაა, წავკისის მხრიდან. ეკლესია ცოტათი დაბლა მდგარა. ახლა მისი მცირეოდენი ნაშთიც კი აღარ არსებობს. ყოველი შემთხვევისათვის, ჯერ არაფერი ჩანს. მტრის გამანადგურებელ შემოტევებთან ერთად ქარსა და სეტყვასაც მოუსრავს.

თაბორის მთაზე კი, ვისაც მისი უწმიდესობის რეზიდენციის აივნიდან მისთვის შეუხედავს, წარმოსახული ფიქრით უსათუოდ ეკლესია დაუნახავს. იგი მოითხოვდა მის რეალურ ხორცშესხმას. მის უწმიდესობას უთქვამს: ისე ძალიან მენატრება იმ სიმაღლიდან ეკლესია გადმოგვყურებდეს, რომ ოცნებით ვხედავ აგურს აგური როგორ ემატებაო.

მე მახსოვს, ამ ოციოდე წლის წინ, როცა იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსაყდრდა, ინატრა: ღმერთო, ერთი ეკლესია ამაშენებინეო. მაშინ, იმ საშინელი რეჟიმის ჟამს, მსგავსი ოცნებაც წარმოუდგენელი იყო. მაგრამ აი, ინება უფალმა და დღეს შესაძლებელი შეიქნა ამ ოცნების ხორცშესხმა. საქართველოში შენდება სამების დიდი ტაძარი, რომელიც იესო ქრისტეს ამ ქვეყნად მოსვლის 2000 წლის დიდი თარიღისათვის უნდა გასრულდეს. შენდება სხვა, შედარებით პატარა ტაძრები... და შენდება თაბორის მთის ტაძარიც.

პროექტი ეკუთვნით არქიტექტორებს: ლევან ლომიძესა და გია ცხადაიას. მთავარი კონსტრუქტორია ოთარ წიწილაშვილი, მთავარი ინჟინერი ავთანდილ ღავთაძე. აშენებს ფირმა "ლიბო" ("ლიბო" ძველქართულად ნიშნავს საძირკველს, ბალავარს), რომლის ხელმძღვანელი იოსებ კირცხალია გახლავთ...

თავად მთას თაბორის სახელი, შესაძლოა, ადრევე შეარქვეს, მაგრამ თბილისის მემატიანენი მას IX საუკუნიდან იხსენიებენ. ცნობას კი იმის შესახებ, რომ აქ ნამდვილად ეკლესია არსებობდა, გვაწვდიან ვახუშტი ბატონიშვილი და ჟან შარდენი. მათ რუქებზე აღბეჭდილია მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. ამ ცნობას პლატონ იოსელიანიც ადასტურებს. პროექტი უკვე მზადაა. იგი შეიქმნა 1992 წელს, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების – ჯვარისა და ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის ტრადიციებზე დაყრდნობით. გარეშე თვალისათვის იქნებ ეს ყოველთვის მისაწვდომი არ იყოს, მაგრამ შინაგანად ავტორებისათვის ამოსავალი ეს ტაძრებია.

და აი, 1995 წელს საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა "ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის ფონდი". 1996 წლის 19 აგვისტოს კი ფერისცვალების დღეს, თაბორის მთაზე

საფუძველი ჩაეყარა ტაძრის მშენებლობას. იგი აკურთხა მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, ილია II-მ. ხშირად ამოდის ამ მთაზე, მოსწონს და ნატრობს ტაძრის მალე აშენებას. საძირკველი უკვე ამოყვანილია. უნდა აშენდეს ორი მოცულობის სამონასტრო კომპლექსი. პირველი იქნება ძირითადი ტაძარი ფერისცვალების სახელობისა და მასთან მდებარე მცირე ზომის მონასტერი დარბაზული ტიპის ეკლესიით.

მიმზიდველია ბილიკი, რომელსაც ამ მთაზე მიჰყავხარ... მშვენიერია გზა, რომელიც ეკლესიამდე მიდის. თბილისის ულამაზესი ხედი იშლება აქედან. ამიტომაც... ეს ადგილი საეკლესიო კულტურის ერთ პატარა კერად უნდა იქცეს. აქვე იქნება საზაფხულო სასტუმროც და ბიბლიოთეკაც. ტაძარი 16 მეტრი სიმაღლისა იქნება. ეკლესიის ძირითადი ტაძრის სახე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოძახილს ჯვრისა და ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ფენომენებთან, მათ ტრადიციებთან პოულობს. ეკლესია თავისუფალი ჯვრის ფორმისაა. აშენდება აგურითა და მონოლითით. მოპირკეთდება ბოლნისის ქვით. გადაიხურება ლორფინებით. იგი ორგანულად უნდა შეერწყას ძველი თბილისის სახეს და შეკრას არქიტექტურული სამკუთხედი – ფერისცვალების ეკლესია, ნარიყალა და მეტეხი.

"მოვედით და აღვიღეთ მთად მიმართ უფლისად, და სახით ღვთისა ჩვენისა და ვიხილოთ დიდება ფერისცვალებისა: დიდება, ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ..."

მივყვეთ ამ ხმას და აღვიდეთ ჩვენც სულიერად მთასა ზედა თაბორსა და ვიხილოთ უფალი გაბრწყინვებული, ვითარცა მზე და ვისმინოთ მისი ხმა ზეციური "ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვეყავ. მაგისი ისმინეთ".

ფერისცვალების ჟამი დგას ახლა საქართველოში, მომავლის იმედით სუნთქავს იგი.

გარდამოიხილე და მოჰხედე, უფალო, ერსა ჩუენსა ტანჯულს, მრავალჭირგამოვლილს, კვლავაც განსაცდელის წინაშე მდგომს... შეუნდე ცოდვანი ნებსითნი და უნებლიეთნი და დაუმკვიდრე ნანატრი მშვიდობა ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანას... მიიღე ლოცვად ფერისცვალების ეს ტაძარიც თაბორის მთაზე...

აცხოვნე უფალო, ერი ჩუენი და სამკვიდრებელი ჩვენი.

თ. კობალაძე

ფერისცვალების ტაძრის მშენებელთა ერთი ჯგუფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-სთან ერთად.

X X X

1989 წლის დეკემბერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოში ჩამოყალიბდა განყოფილება, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენდა ახალი ხელნაწერი სახარების დასურათება. სახარება იწერებოდა სპეციალურად ამ მიზნისათვის დამუშავებულ ტყავზე (პერგამენტზე). ხოლო გადამწერი (კალიგრაფი) გახლდათ ირაკლი მახარაძე, ამჯერად ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი. განყოფილება დაკომპლექტდა. მას სათავეში ჩაუდგა მხატვარ-რესტავრატორი იდა თვარაძე, რომელიც 1978 წლიდან იღვწოდა საპატრიარქოში. განყოფილებაში გაერთიანდნენ მხატვრები: გურამ ჟვანია, დავით მორგოშია, შალვა ლეჟავა და ხელოვნებათმცოდნე რუსუდან ვაშალომიძე. მოგვიანებით ჯგუფს შეემატა რესტავრატორი ნინო კიტოვანი.

მინიატურებით შეიმკო იმ პერიოდისათვის გადაწერილი სახარების პირველი თავი — მათეს სახარება. წიგნის მხატვრობა ეკუთვნის გურამ ჟვანიას, ხოლო დანაჩენი მხატვრები შემდეგი თავების მინიატურათა ესკიზებზე მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ამჟამად სახარების დასურათება შეჩერებულია სახარების გადაწერის შეფერხების გამო.

წიგნის მხატვრობის და ხატების რესტავრაციის პარალელურად, განყოფილება ხატწერაზეც მუშაობს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იდა თვარაძე, დავით მორგოშია და გურამ ჟვანია ქართული ხატწერის აღორძინების სათავეებთან იდგნენ და დღესაც თანამედროვე ხატწერის საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებიან.

თავიანთი შემოქმედებით, ღვაწლით, ისინი იშახურებენ, უფრო ახლოს იცნობდეს მათ ქართველი საზოგადოება, მორწმუნენი...

იდა თვარაძე... მისი შემოქმედებითი პორტრეტით გვინდა დავიწყოთ საუბრების ციკლი ჩვენს მხატვრებზე.

რუსუდან ვაშალომიძე

მხატვარი იდა თვარაძე

... სამოცდაათიანი წლების დასასრულს, თეკლათის მონასტერში მორჩილებაში ყოფნის დროს, იდამ დახატა ღვთისმშობელი ყრმით, რომელსაც მახლობელები პირობითად "თეკლათის ღვთისმშობელს" ვეძახდით. ვფიქრობ, ეს მისი ეკლესიაში მოღვაწეობის პირველი მნიშვნელოვანი ტილოა. მნიშვნელოვანი თავისი შესრულების სიღრმით, დედა ღვთისმშობლის პიროვნული განცდით, ღვთივსულიერი სიმშვიდის გადმოცემით... იდასეული თეკლათის ღვთისმშობელი საქართველოში დაბრძანებული ღვთისმშობლის დიდებული, უავტორო ხატების ღვთიურ გამოსახულებათა მთელი რიგის ბუნებრივ განგრძობას წარმოადგენს, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედებაა განგრძობა ქართული იკონოგრაფიისა და კედლის მხატვრობის... განსხვავებით მისივე უფრო ადრეული ღვთისმშობლის სახეებისაგან, რომლებიც უფრო მანერულნი და უფრო სუბიექტურად მოდერნისტული სტილით, უფრო თანამედროვე ჟღერადობით არიან შექმნილნი, იდასეული "თეკლათის ღვთისმშობელი" იმდენად ტრადიციული და კანონიკურია თავისი შესრულებითა და სიღრმით, რომ ავტორი ჩაკარგულია ხატში. შეიძლება ითქვას, რომ აღარ არსებობს. არსებობს მხოლოდ ღვთისმშობელი ყრმით, დედური და ღვთიური სიყვარულით... დედური სითბოს ღვრით...

ამით დასრულდა თითქოს მთელი ციკლი ღვთისმშობლებისა, რომელიც იდამ დაიწყო ჯერ კიდევ ახლად წამომდგარმა სკოლის მერხიდან.

... რამდენიმე წელიწადში მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში უბრალო სიპ ქვაზე, რომელიც ერთ ხელისგულზე დაეტევა, იდამ დახატა ქვის ორივე მხრით ორი წინასწარმეტყველი, ორი ბიბლიური პორტრეტი ქრისტიანულ სამყაროში აღიარებული, ეკლესიური რწმენის დიდი კორიფეებისა: ელია წინასწარმეტყველისა და ფსალმუნთა ავტორის, მეფის, წინასწარმეტყველ დავითის...

ეს დიდი კრიალათვალება გვირგვინოსანი ქნარით შესანიშნავი სახეა წმიდანთა ქართულ გალერეაში.

რამდენიმე წლის შემდეგ კი მერაბ კოსტავას ლექსების ხელნაწერი კრებულისათვის ხატავს მერაბ კოსტავას გრაფიკულ პორტრეტს, უკვე ტრაგიკულად დალუპული მერაბის პორტრეტს, რომელიც მერაბის სულია უფრო, ვინემ მიწიერი პორტრეტი, და რომელიც ცოტას შეუძლია, რომ იცოდეს.

იდა თვარაძე, შეიძლება ითქვას, შემოქმედია მომადლებული ღვთისაგან. იგი მოქანდაკედ არის დაბადებული, მაგრამ მხატვრობის გზით წავიდა მოლიანად; თუმცა, მისი ნახატების მიღმა ზოგჯერ მაინც იგრძნობა მოქანდაკე-მხატვარი.

იდა თვარაძის პიროვნება სრულიად უჩვეულოა, ამასთან უშუალო.

იგი მე ვაგონებს ხან მადაგასკარლებს, ხან გოგენის ტაიტელ ქალებს, რომელთა სხეულის მღვიმეებიდან, როგორც ქვაღორღიან ციხე-კოშკებიდან, იყურება სამყაროს უხილავი, თვითმიუწვდომელი გონება, იყურება მთელი ისტორია ადამიანისა პირველყოფილობიდან სადღეისო ცივილიზაციის ოაზისამდე. ეკლესიური მონაზვნობის მღოცველამდე...

იდას სურათებში გამოხატული სევდა ყოველთვის იყო იდასეული გზა უფალთან მისვლის... მე მეჩვენება, რომ ეს უსაზღვრო სევდაა, რომელიც იდას მიერ ადრეულ დახატულ თვალებში ზღვასავით უძიროდ იდგა, უკანასკნელ წლებში გარდაისახა მის ნამუშევრებში ყვავილებად... და ჩადგა სიხარულიც...

მისი შესრულებული წმ. ილია მართლის ხატებიდან საქართვე-

ია თვარაძე

ვედრება



ეკლის გვირგვინი

კაპადოკიელი

ჯვარი, ანუ ჯავრი

ვედრება

ლოს პატრიარქმა, მისმა უწმიდესობამ, ილია მეორემ დააბრძანა ერთი — თბილისის სიონის, ხოლო მეორე — იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. იდას სურათების გამოფენა კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ბუნებრივია, წარმოუდგენელი იყო და უფალმა არგუნა მას ამგვარი პირველი გამოფენა 1993 წლის ივნისში, ერეკლეს მოედანზე, თეკლა ბატონიშვილის ისტორიულ სახლში. იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით, მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა, ოცამდე ფერწერული ნამუშევრით...

1993 წლის 31 დეკემბერს კი, გერმანიის ქალაქ ბად ონჰაუზენის ერთ-ერთ ეკლესიაში, თავად ეკლესიის მოძღვარმა, პასტორმა სილაშამ დაგვდო პატივი და თანადგომის გრძნობით, წინასაახალწლო ლითურგიის დროს თავისი მრევლის წინაშე წარმოადგინა ტაძარშივე მოწყობილი იდა თვარაძის ხუთიოდე ფერწერული სურათითა და რეპროდუქციებით შედგენილი მცირე გამოფენა. იდა კი ამ დროს ბად ონჰაუზენის გულის ცენტრში ახლად ნაოპერაციევი იყო...

რამდენიმე დღეში ამ გამოფენამ თვით გულისავე ცენტრის ფოიეში გადაინაცვლა პროფესორ რაინერ კორფერის მეუღლის, ქ-ნ ფრედერიკე კორფერის თაოსნობით...

1994 წლის ივლის-აგვისტოში გერმანიიდან დაბრუნებული და გამოჯანმრთელებული იდა თვარაძე ფართო ქართული საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა თავისი შემოქმედების მდიდარი ნაკრებით...

გამოფენას ეწვია საქართველოს პატრიარქი, მისი უწმიდესობა ილია მეორე. უწმიდესმა იდას უწოდა "სულის მხატვარი".

და მაინც, ვფიქრობ, იდას ნათელხილვაში უამრავი სერაფიმ-ქერუბიმია, რომლებიც საქართველოს ეკლესიათა კედლებზე უნდა გადმოსახლდნენ...

დეზიზა სუმბაძე

რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას?

ვისკენ არის მიმართული საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა მზერა?

მართლმადიდებელი ეკლესია პირველი საუკუნეებიდანვე უფრთხილდებოდა თავის ერთიანობას. საეკლესიო კრებებმა და წმ. მამებმა შეიმუშავეს კანონები, რომლებსაც განხეთქილებისაგან უნდა დაეცვათ იგი.

ეკლესია ქრისტეს სხეულია და ის არ შეიძლება დანაწევრდეს. წმ. კვიპრიანე კართაგენელი ამბობს, რომ ყოველივე თავის საწყისს მოცილებული, კარგავს მაცოცხლებელ ფესვებთან კავშირს და ვეღარ შეძლებს ცალკე განაგრძოს არსებობა. მოტეხილი ტოტი მოკვდება. სათავეს მოწყვეტილი ნაკადული მყისვე დაშრება.

ეკლესია არ შეიძლება დაიყოს, დანაწევრდეს ისე, რომ წარმოიქმნას ორი ან რამდენიმე ეკლესია. მართლმადიდებელი ეკლესიის მრწამსში ეს მკაფიოდ არის ნათქვამი: "მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია". ამის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, რადგან არაეკლესიური ადამიანის ცნობიერება უშვებს ეკლესიის გაყოფას იმავე პრინციპით, როგორც შეიძლება დაიყოს, ვთქვათ, პოლიტიკური პარტია, ან ესა თუ ის უწყება.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ რამოდენიმე სასულიერო და საერო პირი უსაფუძვლო მოთხოვნით განუდგა ჩვენს ეკლესიას. სულ უფრო აშკარა ხდება მათი კავშირი უცხოურ სქიზმატურ (ჭეშმარიტ ერთიან ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფ) დაჯგუფებებთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არც ერთი მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია მათ თავის შემადგენლობაში არ მიიღებს. ასეთ სქიზმატურ დაჯგუფებებს ძირითადად წარმოადგენდნენ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან გამოყოფილი ე.წ. "წმ. სინოდები", რომლებიც თავს ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიად" ასაღებენ. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოგაწოდოთ ინფორმაცია მათ შესახებ. მით უფრო, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები აშკარა პარალელს პოულობენ საბერძნეთში უფრო ადრე განვითარებულ მოვლენებთან. ამასთანავე, საბერძნეთის მაგალითი ჩვენ საშუალებას გვაძლევს წინასწარ დავინახოთ ის სავალალო შედეგები, რაც საქართველოს ეკლესიის წიაღში დაწყებულ პროცესებს შეიძლება მოჰყვეს.

დღეისათვის, სრულიად საბერძნეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გარდა, საბერძნეთში მოქმედებს შვიდი ყველაზე აქტიური სქიზმურ-ფრაქციული (სქიზმატი – სქიზმის მომწყობი, მონაწილე; სქიზმა – საეკლესიო განხეთქილება) დაჯგუფება. "ჭეშმარიტი მართლმადიდებლების" (როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ) ე.წ. "ეკლესიები" და მათი "წმიდა სინოდები". მათეანელები, აკაკიოს-ავქსენტიოსის ფრთა, "წმიდა კიპრიანეს სინოდი" და ა.შ.

უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, თუ რას წარმოადგენს ეს ე.წ. "ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა" დაჭგუფებები, გავაკეთებთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს მათ შესახებ.

1924 წლის კალენდარული რეფორმა საბერძნეთში ხელსაყრელ ნაბიჯად იქცა იმ ძალებისათვის, რომელთაც საბერძნეთის ეკლესიაში არეულობისა და სქიზმის შეტანა სურდათ. მათ მშვენივრად ისარგებლეს ზოგიერთი ბერისა (რომლებიც "ზილოტებს" – მოშურნეების – სახელით დღესაც არიან ცნობილნი) და საზოგადოების საღვთისმეტყველო საკითხებში გაუცნობიერებლობით და დაპირისპირების ტალღა ააგორეს. ისინი არაპროფესიულ დონეზე განიხილავდნენ კალენდარულ საკითხებს, და ამასთან, საეკლესიო-ეორტალოგიურ (ეორტალოგია ღვთისმეტყველების დარგია, რომელიც შეისწავლის მართლმადიდებლურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ საკითხებს) ტრადიციას უთანაბრებდნენ საეკლესიო დოგმატს. სინამდვილეში კი, არ შეიძლება დღესასწაულებთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები დოგმატის ხარისხში იქნეს აყვანილი. დოგმატი არის მარადიული, უცვლელი კატეგორია, ღვთის მიერ განცხადებული საიდუმლოება, რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანის დაკავშირება ღმერთთან და ზიარება მარადიულ ცხოვრებასთან. კალენდარული საკითხი კი ამ რანგში არ განიხილება. ამიტომაც არ შეიძლება იგი იქცეს დაპირისპირების მიზეზად და ამის გამო დაირღვეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი – ეკლესიის მთლიანობა. (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ იღებს ე.წ. ახალ სტილს, მაგრამ ამავე დროს არ მიაჩნია ეს საკითხი დოგმატური მნიშვნელობის მქონედ და ამიტომ არ თვლის, რომ ახალ სტილზე გადასულ ეკლესიებთან უნდა გაწყდეს ლოცვით-ევქარისტიული კავშირი. ამ ნიადაგზე ლიტურგიული კავშირის გაწყვეტა არ მომხდარა ძველი და ახალი კალენდრის მიმდევარ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის).

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ შემთხვევას ეკლესიის ისტორიიდან: II საუკუნეში მიუხედავად იმისა, რომ აზიისა და დასავლეთის ეკლესიები სხვადასხვა დროს დღესასწაულობდნენ აღდგომას, წმ. პოლიკარპე სმირნელმა და ეპისკოპოსმა ანიკიტემ არ დაარღვიეს ერთობა და ერთად შეასრულეს ლიტურგია (აღდგომის აღნიშვნის დროის საკითხი საბოლოოდ მოგვარდა I მსოფლიო კრებაზე).

საბერძნეთში კი XX საუკუნის 20-30-იან წლებში მოვლენები ასე განვითარდა:

როგორც ვთქვით, არეულობის მოსურნე ძალებმა, ზილოტი ბერების მეშვეობით, ძველი სტილის დაცვის საბაბით დაიწყეს საბერძნეთის ყველა კუთხეში საზოგადოებრივი აზრის მომზადება ეკლესიაში განხეთქილების შესატანად. სამწუხაროდ, ეს ბერები აღმოჩნდნენ ბრმა იარაღი, ზოგიერთი პირის პატივმოყვარული და მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად, რომელთაც შემდგომში შექმნეს ე.წ. "სინოდები".

მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს კანონიკური წესი (II მსოფლიო კრების VI კანონი) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოადგინონ უკმაყოფილოებმა და მამხილებლებმა თავიანთი საჩივარი. ზილოტებს ეს წესი არ დაუცავთ და საერთოდ, მოქმედებდნენ საეკლესიო დადგენილებების სრული დარღვევით.

ზილოტი ბერებისაგან განსხვავებით, სხვაგვარად მოიქცნენ ათონის მთის მონასტრების ბერები. მათ წმინდა მთის ძმობის (კინოტის) სახელით წერილობით წარუდგინეს დასაბუთებული თხოვნა მსოფლიო პატრიარქს (რომლის სულიერი ზედამხედველობის ქვეშაც ისინი არიან) ძველი კალენდრის შენარჩუნების თაობაზე, რაზეც თანხმობა მიიღეს. შევნიშნავთ იმსაც, რომ საბერძნეთში ათონის მთის გარდა, არის ტაძრები, სადაც ძველ კალენდარულ სტილს იცავენ. ასე რომ, აქ არის როგორც ახალი, ისე ძველი სტილის მიმდევრობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ან ერთი არის მწვალებელი, ან მეორე.

ე.წ. "მოშურნენი" კი არ ცხრებოდნენ.

საბერძნეთში 11 წლის განმავლობაში მზადდებოდა ნიადაგი განდგომილ მღვდელმთავართა შეთქმულებისათვის, რამაც საბოლოო სახე 1935 წელს მიიღო. აღდგომიდან მცირე ხნის შემდეგ, ათენის გარეუბანში, კოლონოსში მდებარე ტაძარში, ათენის ოფიციალური ეკლესიის ნებართვის გარეშე, თანამწირველობისათვის შეიკრიბა საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავართა ნაწილი. მათ მიიღეს საპროტესტო დეკლარაციები, რომლებშიც დანაშაულებრივად სცნეს სრულიად საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია, განუდგნენ მას ახალ სტილზე გადასვლის გამო და საჯაროდ გამოაცხადეს თავი ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიად".

უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო კანონები კრძალავენ დაუმორჩილებლობას საკუთარი ეპისკოპოსის მიმართ, მისი ნებართვის გარეშე კრების მოწყობას და ცალკე საკურთხევლის აღმართვას (მოციქ. 31-ე კანონი, ანტიოქ. მე-5 კანონი.) ამის მოქმედი სასულიერო პირები, თუ არ შეინმენენ ეპისკოპოსის ერთ, ორ, ან სამ შეგონებას, შესაბამისი კანონების მიხედვით განიკვეთებიან ეკლესიიდან, ხოლო მათი მიმდევარი ერისკაცები ისჯებიან უზიარებლობით. ასევე განკვეთით ისჯებიან ისინი, ვინც ადგილობრივ ეპისკოპოსს განუდგებიან სინოდის დადგენილების გარეშე (ორგზისი კრების კანონებით №13, 14, 15).

ცხადია, შეთქმულებაში მონაწილე მღვდელმთავრებმა და მათმა თანამოაზრეებმა თავიანთი მოქმედებით თვითონ განაშორეს თავი ეკლესიას.

ამის შემდეგ უკვე აზრიც აღარა აქვს საუბარს მათ მიერ კანონთა მთელ რიგ სხვა დარღვევებზე, მაგრამ მაინც საინტერესოა გავეცნოთ ამ ცოთმილებებს, თუნდაც იმიტომ, რომ დავინახოთ, თუ როგორ არღვევენ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა კანონებს ის ადამიანები, რომლებსაც თავი მოაქვთ საეკლესიო ტრადიციის უმკაცრეს დამცველებად.

შეთქმულებაში მონაწილე მღვდელმთავრების მოქმედებას საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან წესისამებრ მოჰყვა მათ მიმართ კანონიკურად გათვალისწინებული სასჯელი — ეკლესიიდან განკვეთა; მაგრამ რადგანაც შეთქმულები საბერძნეთის მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას ანგარშს აღარ უწევდნენ, მათ განკვეთა არად ჩაგდეს და დააარსეს ე.წ. "ჭეშმარიტი ეკლესია", რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამი განკვეთილი ცრუ "მღვდელმთავარი". იმისათვის რომ ჩამოეყალიბებინათ საკუთარი "წმინდა სინოდი", მათ მაშინვე "მღვდელმთავრად" აკურთხეს ასევე განკვეთილი და არეულობაში მონაწილე ოთხი სხვა "სასულიერო პირი", რისი უფლებაც არანაირად არ ჰქონდათ. რადგანაც, როგორც ერთნი, ისე მეორენი, განკვეთის გამო უკვე აღარ იყვნენ სასულიერო პირნი, არამედ გახდნენ საერონი.

ასეთი სიცრუით შეიქმნა კალენდარული რეფორმიდან მე-11 წლისთავზე "ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია", რომლის პირველი მამამთავარი გახდა ფლორინის ყოფილი ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი. ახლად ხელდასხმული ოთხი "მღვდელმთავრიდან" ერთ-ერთი, მათეოსი უკვე 1937 წელს გამოეყო ქრიზოსტომოსის დაჯგუფებას, თუმცა თავად იგი თავის დროზე "ქიროტონიზებული" ("ხელდასხმული") იყო სწორედ ფლორინის დაჯგუფების წინამძღოლის მიერ. ასე რომ, მათეოსი განუდგა თავის "ხელდამსხმელსაც" და მარტომ აწარმოა მთელი წყება ანტიკანონიკური ხელდასხმებისა, რაც სრული დარღვევაა. მოციქ. I კანონის, რომელიც ამბობს, რომ "ეპისკოპოსი ხელდასხმული უნდა იყოს ორი ან სამი ეპისკოპოსის მიერ". ასე არაკანონიერად შეადგინა მან 13 "მღვდელმთავრისაგან" დაკომპლექტებული "ჭეშმარტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა წმ. სინოდი", რომელსაც სხვაგვარად მათეანელებს, ანუ კერატეას დაჯგუფებას უწოდებდნენ (კერატეას რეზიდენციის მიხედვით).

მათეანელები აღიარებენ მხოლოდ მათ მიერ "ქიროტონიზებულ" ("ხელდასხმულ") სამღვდელოებას, უპირისპირდებიან ყველას — როგორც კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას, ასევე სხვა "ჭეშმარიტთა დაჯგუფებებს" და არ ცნობენ მათი საიდუმლოებების მადლმოსილებას. აქვთ საკუთარი წესდება, პრესა, გამოსცემენ ბიულეტენს — "ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა მაცნე", ჰყავთ "მრევლი", აქვთ "ეკლესია-მონასტრები".

ფლორინის ქრიზოსტომოსის დაჯგუფებასთან დაკავშირებული მოვლენები კი ასე წარიმართა: 1955 წელს ქრიზოსტომოსი გარდაიცვალა და "სინოდის" სადავეები, იმ დროს არქიმანდრიტის ხარისხში მყოფ აკაკიოს პაპასს ჩაბარდა. ამ დროიდან დაჯგუფებასაც აკაკიანელები" ეწოდა (ბერძნებს სათვალავი რომ არ არეოდათ, "სინოდებს" მათი მამამთავრების სახელებს არქმევდნენ).

მღვდელმთავრის გარეშე სინოდი, ცხადია, არასერიოზულ შთაბეჭდილებას დატოვებდა და აკაკიოსიც ყველანაირად ცდილობდა და ეძებდა გზებს, რათა მსოფლიოს სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური (მათ შორის რუსეთის საზღვარგარეთული) ეკლესიების მღვდელმთავრებისაგან მიეღო ხელდასხმა. 1960 წელს ამაზე დაითანხმა რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის (русская зарубежная церковь) ერთ-ერთი ეპისკოპოსი სერაფიმე. არქიმანდრიტი აკაკიოსი გაემგზავრა ამერიკაში და ჩიკაგოს მთავარეპისკოპოს სერაფიმესა და რუმინელი ეპისკოპოს თეოფილოსის მიერ, გასაიდუმლოებულ ვითარებაში, "ქიროტონიზებულ" იქნა ტალანტიონის ეპისკოპოსად. შემდეგ აკაკიოსმა საბერძნეთში მოიწვია რუსეთის საზღვარგარეთული ეკლესიის — ჩილესა და პერუს მთავარეპისკოპოსი ლეონტიოსი და მასთან ერთად შეასრულა ახალი "ქიროტონიების" მთელი წყება (რუსული ემიგრანტული ეკლესია XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოშორდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული რადიკალურობით და საკმაოდ პოლიტიზირებულია. მას არ ცნობს არცერთი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. მათ შორის მოსკოვის საპატრიარქოც.)

აქაც ძალიან ბევრ და უხეშ კანონიკურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი: ჯერ ერთი, მოციქულთა 35-ე კანონი ეპისკოპოსს უკრძალავს თავისი სამრევლოს გარეთ ხელდასხმას იმ ადგლების განმგებელი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. მეორე, კანონები ასევე მოითხოვენ ეპისკოპოსის ხელდასხმისას სინოდის თავმჯდომარისა და ამ ოლქის ყველა ეპისკოპოსის თანხმობას (წერილობითს მაინც) (I მსოფლ. კრების მე-4 კანონი, კართაგენის მე-13 კანონი, I მსოფლ. მე-6 კანონი), რაც არ შესრულებულა. როდესაც მთავარეპისკოპოსი სერაფიმე აკაკიოსს "აკურთხებდა", მას არ ჰქონდა აღებული ხელდასხმაში მონაწილეობის უფლება თავისი მიტროპოლიტისა და სინოდისაგან (русская зарубежная церковь), რაც ნათლად ჩანს სერაფიმეს მიერ ავქსენტიოსისადმი (აკაკიოსის შემდგომ ამ დაჯგუფების მეთაურის) მიწერილ ვრცელ წერილში; ეს კი სერიოზული დარღვევაა. მესამე, საოცარია, რომ აკაკიოსის ხელდასხმაში სერაფიმეს გარდა მონაწილეობას იღებდა რუმინელი ეპისკოპოსი, რომელიც ახალი სტილის მიმდევარი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დედა ეკლესიას ფლორინის დაჯგუფება სწორედ ახალ სტილზე გადასვლის გამო განუდგა და ეს ჩაუთვალა მას მომაკვდინებელ ცოდვად. მაგრამ როცა აკაკიოსს დასჭირდა და თანაც სხვა მაკურთხეველი ვერ ნახა, ყურადღება აღარ მიაქცია მათი "ფრაქციისათვის" სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ ასე მნიშვნელოვან საკითხს — ახალი სტილის მიმდევართაგან მიიღო

კურთხევა და ალოგიკურ სიტუაციაში ჩაიგდო თავიც და თავისი დაჯგუფებაც.

აკაკიოსი გარდაიცვალა 1963 წელს. "სინოდის" თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ავქსენტიოსი და ამ პერიოდიდან დაჯგუფებასაც უკვე ავქსენტიანელების "ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა ეკლესიის წმიდა სინოდი" ეწოდა.

რაკი რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის წარმომადგენლები (თავის უმაღლეს იერარქთაგან უნებართვოდ) გარკვეულ მონაწილეობას მაინც იღებდნენ ფლორინის დაჯგუფების მეთაურთა კურთხევებში, ამ ეკლესიის მიტროპოლიტმა ფილარეტმა გადაწყვიტა 1969 წელს კანონიკურად ეცნო "ყოფილი ფლორინის" (იმჟამად კი ავქსენტიანელების სახელით ცნობილი) დაჯგუფების "ეპისკოპოსთა" ქიროტონიები. (საერთოდ зарубежная церковь "მათეანელების" გარდა მფარველობდა ყველა ძველკალენდარულ (ანუ განდგომილ) დაჯგუფებებს და ამით ცდილობდა თავისი გავლენა გაევრცელებინა მათზე ("მათეანელები" კარჩაკეტილნი იყვნენ და გაურბოდნენ სხვებთან ურთიერთობას)).

1974 წელს ავქსენტიოსის "სინოდმა" ცირკულარით აღიარა საბერძნეთის ოფიციალური ეკლესიის საიდუმლოებათა მადლმოსილება. ამ ფაქტმა ერთის მხრივ გამოიწვია რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის წინამძღოლის ფილარეტის უკმაყოფილება, რომელმაც 1975 წელს შეწყვიტა ავქსენტიანელებთან ურთიერთობა (თუმცა არა ყველასთან), მეორეს მხრივ კი არეულობა მოხდა თვით ავქსენტიანელების ბანაკში, ვინაიდან ყველა "მღვდელმთავარმა" ხელი არ მოაწერა ცირკულარს. ამას მოჰყვა ამ უკანასკნელთა გამიჯვნა და იზოლირება. რასაც დაემატა ისიც, რომ მათეანელთა დაჯგუფება დატოვა "ეპისკოპოსმა" კალისტოსმა, რომელიც შეუერთდა ავქსენტიანელებს. თავის მხრივ ავქსენტიანელებიდან წასული ერთ-ერთი "მღვდელმთავარი" მათეანელთა წევრი გახდა. მომდევნო წლებში მოშხდარ გაყოფებების, დაჯგუფებების, "განკვეთების" და ახალი "ეპისკოპოსების ხელდასხმის" შედეგად გაჩნდა ახალი ე.წ. კალისტოსის "სინოდი", რომელმაც არ სცნო ავქსენტიანელთა ახლად ჩატარებული "ქიროტონიები" და დაგმო მათი "სინოდი". თავის მხრივ ავქსენტიანელებმა იგივე ზომებს მიმართეს კალისტოსის "სინოდის" წინააღმდეგ.

ფაქტების მოტანა სქიზმატური "სინოდების" ცხოვრებიდან მრავლად შეიძლება. მკითხველს თავს აღარ მოვაბეზრებთ მათი ჩამოთვლით. ვფიქრობთ, ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ესეც საკმარისია. მხოლოდ ერთ დაჯგუფებაზეღა შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

70-იანი წლებიდან "ძველი სტილის დამცველთა" ასპარეზზე გამოდის კიდევ ერთი "წმ. სინოდი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა კიპრიანე. კიპრიანემ და მისმა მიმდევრებმა საბერძნეთშიც და საზღვარგარეთაც განსაკუთრებული აქტიურობა 90-იანი წლებიდან დაიწყეს. მათი დაარსება კი ასე მოხდა:

საბერძნეთის ოფიციალური წმიდა სინოდის მიერ სერიოზულ კანონიკურ დარღვევათა გამო კიპრიანე განკვეთილ იქნა. განკვეთილი კიპრიანე გადავიდა ძველი სტილის დამცველთა ერთ-ერთ დაჯგუფებაში, მაგრამ მალე აქედანაც განკვეთეს. შემდეგ ის გადადის სხვა დაჯგუფებაში, საიდანაც ასევე განკვეთეს. ბოლოს მან გადაწყვიტა თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი "ეკლესია" ჩამოეყალიბებინა, თავი გამოაცხადა "დაპირისპირებულთა" დაჯგუფების წინამძღოლად და "წმინდა კიპრიანეს სინოდი" შექმნა. ათონელი მამები მის შესახებ წერენ:

"კიპრიანე განასახიერებს დალუპვის ტრაგიკულ მაგალითს, რადგან არის სქიზმის მოთავე და მრავალგზის განკვეთილი მრავალთაგან" (ათონის მთის კინოტის ოქმი №Ф2/5В/1123).

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საბერძნეთის ეკლესიის შემადგენლობაშია, ხოლო სქიზმატურ ჯგუფებს მხარს უჭერს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ განხეთქილებაში მყოფნი ხშირად იშველიებენ სჯულის კანონს, თვითონ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ მას. სახეზეა ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა. ამასთან სქიზმატებს შორის 30-იან წლებში დაწყებული დაქაქსულობისა და დაშლის პროცესი სულ უფრო ღრმავდება და მწვავდება. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ თუ თავიდან განხეთქილებაში მყოფნი ერთ დაჯგუფებაში ერთიანდებოდნენ, შემდეგ ისინი ორად გაიყვნენ, მერე – ოთხად, ახლა კი მამამ რიცხვმა შვიდს მიაღწია; ბერძნული დიასპორის სქიზმატურ დაჯგუფებებში საქმე კიდევ უფრო რთულადაა და დაქუცმაცებულობისა და დაშლის პროცესი უფრო შორსაა წასული. სოკოებივით მრავლდება მცირერიცხოვანი "დამოუკიდებელი" სამწყსოები, რომელთაც ერთი ან ორი "გაბუტული" სასულიერო პირი ხელმძღვანელობს. რა თქმა უნდა, ამ "ეკლესიებში" მადლის არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია. არადა, ისინი სწორედ გაღმა შედავების პრინციპით მოქმედებენ და აქეთ სდებენ ბრალს ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიას უმადლობაში. ბუნებრივია, ყოველივე ეს ახდენს მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრეტიზაციას, არეულობა შეაქვს მორწმუნეთა შორის, არღვევს ერის მთლიანობას, აბნევს მრევლს, რომელსაც უჭირს გაერკვეს მომრავლებულ "იურისდიქციებში" და "ეპისკოპოსებში". ხშირად არამცთუ მრევლი, არამედ სპეციალისტებიც ვერ ასწრებენ თვალი მიადევნონ სქიზმატების წიაღში მიმდინარე პროცესებს. მითუმეტეს, რომ რიტუალსა და დოგმატურ სწავლებებში მათ შორის განსხვავება თითქმის არ არის.

საზოგადოებისათვის ვფიქრობთ საინტერესოა, იცოდეს ის ფაქტი, რომ "ავქსენტიანელების სინოდის" სამმა "ეპისკოპოსმა" მილოცვა გამოუგზავნა ქართველ განდგომილ ბერებს საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების მოწყობისათვის (იხ. "ივერიის გაბრწყინება" №18). საინტერესოა ასევე რუსული ემიგრანტული ეკლესიის როლი ამ პროცესებში. ემიგრანტული ეკლესიის ამჟამინდელი მმართველი წრეები, განსაკუთრებით კი მათი წინამძღოლი – ვიტალი, არიან რუსული იმპერიული აზროვნების ტიპიური წარმომადგენლები, რომელთაც საერთოდ მივიწყებული აქვთ სასულიერო პირის დანიშნულება და ყველგან თავიანთი გავლენის გავრცელებას ცდილობენ. (იხ. Иеромонах Дамаскин (Христенсен) "Не от мира сего" Москва. 1995). სხვათა შორის ზოგიერთი ის სასულიერო პირი, რომელიც დღეს განხეთქილებას თესავს ჩვენს ეკლესიაში, აშკარა სიმპათიით არის განმსჭვალული რუსი ემიგრანტებისადმი და ალბათ, სიამოვნებით შეეიდოდა მათ დაქვემდებარებაში, (მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ისინი უარყოფენ ამას. (ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს არქიმანდრიტ ლაზარეს (აბაშიძე) სტატიის "მართლა ეკუმენიზმი ყოფს ჩვენ ეკლესიას?" ფრაგმენტი: "ჩვენი გუშინდელი ძმები ისევ იცრუებენ და იტყვიან – "ჩვენ არ ვეძებთ სხვა ეპისკოპოსს, არამედ უბრალოდ, ვწყვეტთ მოხსენიებას" – მაგრამ ეს ასე არაა! ისინი თავდაპირველად ეძებდნენ და ფიქრობდნენ გადასვლას ბერძენ კვიპრიანეს "იურისდიქციაში", შემდეგ – ბერძენი "ზილოტებისაში", აზრად ჰქონდათ "რუსული ემიგრნატული ეკლესიაც" – და ეს ყველაფერი იდეის დასაწყისშივე (რაც უტყუარადაა ჩვენთვის ცნობილი)". მამა ლაზარე წლების მანძილზე იყო მათთან დაახლოებული პირი და კარგად იცის, თუ რა მიზნები ამოძრავებთ განდგომილთ), მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავენ, რადგან რუსული ემიგრანტული ეკლესია აშკარად ანტიქართული მიმართულებისაა (არ სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მიაჩნია იგი რუსეთის

გუბერნიად, უარყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას და მას რუსეთის ეკლესიის შემადგენელ ნაწილად თვლის. ამჟამად მათი "სამღვდელოება" უკანონოდ მოღვაწეობს ცხინვალსა და აფხაზეთში და დაკავებული აქვთ ჩვენი ეკლესიები (იხ. გვ. 77); თუმცა ქართველ განდგომილთა ზოგიერთ წარმომადგენელს ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ დიდი თანხები მოთხოვონ ამ უკანასკნელთ (იხ. რუსული საინფორმაციო სააგენტოს "მეტაფრასისი" №6-7, 1997).

ნიშანდობლივია ისიც, რომ 1994 წელს რუსულმა ემიგრანტულმა ეკლესიამ ლოცვით-ევქარისტიული კავშირი დაამყარა კიპრიანეს ბერძნულ სქიზმატურ დაჯგუფებასთან.

მოგეხსენებათ კიპრიანეს დაქვემდებარებაში 1995 წელს "გადავიდა" გლდანის ეკლესიის ყოფილი მღვდელი ვასილ მკალავიშვილი. ამგვარად, მკალავიშვილი სულიერ კავშირშია რამდენჯერმე განკვეთილ "მღვდელმთავარ" კიპრიანესთან და რუს მიტროპოლიტ ვიტალისთან.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ვასილ მკალავიშვილი და ჩვენი ახალგანდგომილი ბერები ერთმანეთთან საერთო ენას ვერ პოულობენ, თუმცა დაპირისპირებისათვის ერთიდაიგივე მიზეზი აქვთ — "ეკუმენისტურ მწვალებლობაში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა". განდგომილთა არაერთსულოვნებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი შეუერთდნენ არა ერთ რომელიმე ბერძნულ სქიზმატურ დაჯგუფებას, არამედ სამ სხვადასხვას. იოანე შეყლაშვილი და ანდრია ბოროდა — ავქსენტიანელების "სინოდს", გრიგოლ კობახიძე — ქრიზოსტომოსის "სინოდს", ვასილ მკალავიშვილი — კიპრიანეს "სინოდს". ამ სინოდებს ერთმანეთან კავშირი არა აქვთ. ჩვენი განდგომილნი კი ყველა ცალ-ცალკე აცხადებს, რომ ერთადერთ "ჭეშმარიტ ეკლესიას" დაუკავშირდა.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ დაშლა-დაქუცმაცების პროცესი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ყველა ჯგუფის სქიზმატური ჯგუფებისათვის, ახლად გაჩენილ ქართველ "რასკოლნიკებში" უკვე დაწყებულია. როგორც ჩანს, მოვლენები ჩვენთან გაცილებით სწრაფად ვითარდება, ამიტომაცაა, რომ იმას, რასაც სხვაგან ათეული წლები დასჭირდა, ის აქ ჩანასახშივე გამოვლინდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღევანდელ მსოფლიოში საეკლესიო განხეთქილებას (სქიზმას) აქტიურად იყენებენ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სქიზმა არის მძლავრი იარაღი მართლმადიდებლობის დასასუსტებლად. ჯერ კიდევ ლენინი წერდა, რომ საჭიროა მორწმუნეთა რიგებში შევიტანოთ განხეთქილება, ეჭვი, უნდობლობა და ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველანაირი საშუალებებიო.

გავიხსენოთ არცთუ ისე შორეული წარსული: როგორც ბოლო დროს გახდა ცნობილი, ამ საუკუნის 20-იან წლებში რუსულ ეკლესიაში მოწყობილი სქიზმა ინსპირირებული იყო ბოლშევიკების მიერ. საიდუმლო დოკუმენტებს, რომლებშიც მოცემული იყო ეკლესიაში განხეთქილების შეტანის ინსტრუქციები, ხელს აწერდნენ ძერჟინსკი, ტროცკი, მოლოტოვი და სხვები (იხ. Иеромонах Дамаскин (Орловский) "Российские мученики и исповедники XX века." Том II. Тверь 1996). ამ სქიზმამ (ე.წ. "Живая церковь") რამოდენიმე წელი იარსება, ის გამოიყენეს ეკლესიისათვის სახელის გასატეხად, მის დასაბაბუნებლად. ბევრი "ჟივოცერკოვნიკი" ისე ჩავიდა საფლავში, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ვისი ინსპირაციით მოწყობილ სცენარში იღებდა მონაწილეობას. ეს მწარე გამოცდილება უნდა გაითვალისწინონ დღევანდელმა ქართველმა სქიზმატებმა.

იმ ანტიეკლესიურ და ანტიქართულ ძალებს, რომლებიც მართავენ ამ პროცესებს და დაინტერესებულნი არიან ეკლესიაში შფოთისა და არეულობის შეტანით, სინამდვილეში ეკლესიიდან განდგომის რელიგიური საფუძველი სრულებით არ აღელვებთ. ხვალ რომელიმე სხვა დაჯგფებამ საეკლესიო სქიზმა რომ მოაწყოს მართლმადიდებლობისათვის მიუღებელი რაიმე "ლიბერალური", ანუ ახლანდელი ოპოზიციონერების საპირისპირო მოთხოვნით, ისინი მათაც სიამოვნებით დაუჭერენ მხარს. ეს იმიტომ, რომ ამ ადამიანებისათვის მთავარი ეკლესიის დასუსტებაა, ხოლო რა საბაბით განახორციელებენ ამას, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს.

საგულისხმოა ათონის წმიდა მთის ბერთა პოზიცია საქართველოში მომხდარი მოვლენებისადმი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის გამოგზავნილ ორ წერილში მათ ერთხმად გამოთქვეს მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიისადმი და დაგმეს განხეთქილების მცდელობა.

სულიერობით გამორჩეული ათონის ბერები მსოფლიო ეკლესიის მოვლენებს ფხიზლად ადევნებენ თვალყურს და ეკუმენური მოძრაობისადმიც კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ წინააღმდეგნი არიან ამ ეტაპზე ამ მიზეზით ყოველგვარი შფოთისა და არეულობის შეტანისა, რადგან ეს არღვევს ეკლესიის მთლიანობას.

გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ეკლესიის გუშინდელმა წევრებმა სწორედ განხეთქილების გზა აირჩიეს. სხვადასხვა ქვეყნებში სქიზმები მრავლად მოუწყვიათ, მაგრამ განდგომილთა არცერთ დაჯგუფებას ამ მეთოდით სარწმუნოებრივი პრობლემები ვერ გადაუჭრია, პირიქით, სადაო საკითხები უფრო გამრავლებულა და რაც მთავარია, თვითეული ასეთი დაჯგუფების შიგნით ყოველთვის დამდგარა ახალი სქიზმის საშიშროება. ვინაიდან მან, ვინც ერთხელ არაფრად ჩააგდო ეკლესიის წმინდა ერთობა, ერთხელ დასძლია თავის თავში ეკლესიის ერთგულება, ის ყოველი ახალი მცირე საბაბის გაჩენისას ასევე იოლად გადადგამს მსგავს ნაბიჯს. ამაზე მეტყველებენ სტატიაში მოტანილი ფაქტებიც. განდგომილი ქართველი ბერები და საერონი უნდა დაფიქრდნენ ვის არჩევენ თავიანთ დედა ეკლესიას, ვისკენ მიისწრაფიან, იციან კი წარსული და აწმყო იმ "ეკლესიებისა", რომელთა მიმართაც ასეთი ნდობით მიილტვიან. ბევრ მათგანს სულ მალე გაწბილება ელის, რადგან ამ ახალ "სინოდებში" ვერ აღმოაჩენენ იმას, რასაც ეძებენ. გონიერი სხვის შეცდომებზე სწავლობს, უგუნური კი — თავისაზეც ვერა. ჩვენმა თანამემამულეებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ თუ განხეთქილება მტკივნეულია ჩვენზე უფრო დიდი და ძლიერი ქვეყნებისთვისაც კი, მაშინ რაღა უნდა ითქვას საქართველოზე, თანაც მისი დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენს ქვეყანას ხომ ჯერ კიდევ არ მოუშუშებია საერო ცხოვრებაში მომხდარი ურთიერთდაპირისპირებების შედეგები. ნუთუ იგივე გველის ეკლესიაშიც?

და მაინც, გამოვთქვამთ იმედს, რომ ის რაც ამჟამად საქართველოს ეკლესიაში ხდება, მხოლოდ დროებითი განსაცდელია, რომელიც ღვთის მადლით, მალე განქარდება.

ზურაბ ცხოვრებაძე
ნანა ბალათურია

მასალების თარგმანი მოგვაწოდა ირინა ბარამყანიძემ

P. S. **ბერძნულ სქიზმატურ ჯგუფებთან დაკავშირებით სიტუაცია საერთოდ სწრაფად იცვლება, ამიტომ ზოგიერთი დეტალი დღეს შეიძლება უკვე სხვაგვარად გამოიყურება, ამან კი ჩვენს წერილში ასახვა ვერ ჰპოვა, მაგრამ ვფიქრობთ, ამით დიდად არაფერი იცვლება და მოვლენის არსს მკითხველი ისედაც მიხვდება.**

JVARI VAZISA

His Holiness and Beatitude Ilia II, the Catholicos-Patriarch of all Georgia annointed the myrrh of the Georgian Orthodox Church at Easter, on April 20.

The Georgian Orthodox autocephalous church prepares the myrrh since the first day of the foundation of that church (Vc.).

The myrrh was consecrated on April 3, 1980 last.

This issue of the journal begins with that very important note.

The joint order of His Holiness and Beatitude Ilia II, the Catholicos-Patriarch of All Georgia, and of the president of the Parliament of the Republikc of Georgia, the leader of the Georgian Government Eduard-George Shevardnadze is published on the next page on founding Gelati Academy of Sciences in Kutaisi. This revives the tradition of that Academy, founded by the Great King David Agmashenebeli, canonised by the Georgian Church.

The regulations and the list of the founders of that Academy are published.

Letters, epistles - under that heading the addresses of His Holiness and Beatitude Ilia II to the mayor of Tbilisi Mr. N. Lekishvili and to the Main Architect of Tbilisi Mr. M. Chkhenkeli to allow and help in the construction of the new bell tower for the Qashueti monastery, and an address to reburry the remains of the great philanthropist Mr. David Sarajishvili who rebuilt that monastery, in its yard are published.

In April, 1922, by instigation of the communist government the ancient Georgian territory was given as a gift to the Osses and thus they created the so called "South Ossetian Autonomous Region". "South Osseti" never existed before that time, neither as a geographical, nor as a political reality. Osses lived in the Northern Caucasus. The natural demarcation line between the Osses and the Georgians is the Caucasian Range. "South Osseti" is a result of the Lenin policy: "divide and rule". It was an evil scheme that was designed to lead to the evil results. Other regions of Georgia were treated likewise. It is not only Inner Kartli, nor only Abkhazia, that such explosive ideas were sown...

The Georgian scientists had no right to utter a word and the truth. The generations were educated thus... but now is the time to declare the turth.

The population of Georgia and Osseti collaborated for many centuries, they lived as good neighbours mainly... During the last centuries some Osses came to live to Georgia in the Tskhinvali region (called "South Osseti" during 1922-1989). They were allowed to live there if they would be content with the statute of "guests". Georgian kings didn't object to their settlement in Georgia, local Georgian inhabitants of that district did the same...

Today these neighbours, both Christian nations, having lived as friends in former days, are enemies, the blood was spilt... The Georgians are ousted from their homes from the land that was the property of the heirs of kings of Georgia... The indigenous population of this region became refugees in their home-country... The interrelations are tense not in Tskhinvali district only, but in Tbilisi, Kakheti, Highland Cartly, were Osses live. Many Osses left Georgia and moved to live to the North Caucasus... This is a very complex process... People suffer at both sides.

The enemy snatches our land from us, the land where our mother tongue was invented, where the cradle of the Georgian nation was, where Georgian statehood was formed...

The enemy snatches that land from us, where leaders of 1659 year Kakheti revolt, canonized heroes Shalva, Elizbar Eristavis and Bidzina Cholocashvili have found their eternal repose.

The enemy snatches that land where unique Georgian Christian churches and monasteries are... There is nothing non-Georgian there...

The scenario of the enemy is the same in Abkhazia, in the Tskhinvali district... And the people desire peace...

The fight for Georgia's freedom and independence is not yet over. Many obstacles loom in future, but we believe in the triumph of the truth with the help of the great power of the Lord... The fight for the return of our indigenous land and for peace of its inhabitants (Georgians, Osses or others) is a sacred war and blessed by the Lord...

The great part of this issue is dedicated to this acute problem. The reader will see the papers of the Georgian clerics and scientists (Osses among them), on the history of that region, its cleric life, architecture, church frescoes and contemporary situation... The author's attitudes differ, but we publish them to enable a reader to have a multilateral view.

The reader of these articles will learn such important themes and problems as the history of the settlement of the Osses in Georgia's Internal Cartli, ossification of the Georgians in XIX c. by religious way _ the author is archbishop Anania Japaridze working intensely on the history of the church in Georgia, The reader will learn the interrelation between Georgians and Osses, of the settlements of the Osses, of the cleric architecture and toponimics in this region, the views about the native land of the Osses in former times, the notes of Cornelius Tacitus and Frederick Dubois de Montpereux, tales on the martyrs for Christ, the homily of the great cleric of the last century, bishop Gabriel to Osses.

Among the prominent persons that were born and reared in Inner Cartli and have been pride of All Georgia the first Catholicos-Patriarch Kirion II of the newly revived autocephalous Georgian Orthodox Church has one of the most conspicuous place... His notes are republished here on the beliefs of the Osses from the journal "Mtskemsi" of the 80-es of the XIX c.

The samples of poetry are published _ of Georgian and Oss poets.

"Theology" _ under that heading an excerpt from the book of ighumen Philaret "The Concise Moral Theology" is published.

"From the Past" _ an article about a salient philanthropist David Sarajishvili is published together with the speeches of the Georgian clerics at his funeral. In the same part unknown documents kept in secret funds are published about the Catholicos-Patriarch of Georgia Ambrosi Khelaia. These materials depict the tragic history of Soviet Georgia in the 20-es of XX c... Ambrosi Khelaia's Memorandum to the International Conference and the protocol of his inspection by Soviet authorities are printed...

"Divine medical treatment" _ is the title of the article about the homeopat doctor Georgi Margvelashvili.

Notes on clerics life..., letters, information, news are published at the end of the journal.

„ДЖВАРИ ВАЗИСА"

(„Крест из виноградной лозы")

Перед Святым Христовым Воскресением, в страстной четверг, 20 апреля, Католикос-патриарх Всея Грузии Святейший и Блаженнейший Илия II вместе с Грузинским Первосвященством благословил миро Грузинской церкви.

Грузинсая автокефальная церковь варит миро со дня своего существования (V век). Последнее благословение миро произошло 3 апреля 1980 года.

Этой важной по своей значимости вестью начинается журнал.

На следующей странице напечатан совместный приказ Католикоса-Патриарха Всея Грузии Святейшего и Блаженнейшего Илии II-го и главы государства Гиоргия-Эдуард Шеварднадзе о восстановлении в Кутаиси Гелатской Академии Наук, что даст возможность возобновить традиции Гелатской Академии, основанной великим царем Давидом Агмашенебели (Строителем), причисленным Церковью к лику святых.

Здесь же напечатан устав Академии и список ее основателей.

В рубрике - "письма, эпистолии" - журнал знакомит читателя с обращением Католикоса-Патриарха Всея Грузии Святейшего и Блаженнейшего Илии II-го к мэру гор. Тбилиси - господину Н. Лекишвили и к главному архитектору города господину М. Чхенкели, в котором говорится об их согласии и помощи в деле строительства новой колокольни для Кашветского собора имени святого Гиоргия, а также о перезахоронении останков выдающегося мецената Давида Сараджишвили, на чьи средства был построен собор, во дворе, примыкающем к собору.

Здесь же напечатано совместное обращение молодежных организаций Грузии к главе государства и парламенту о внесении в конституцию страны закона о взаимоотношениях государства и Церкви.

В апреле 1922 года, по указанию Российских коммунистов, часть исконно грузинской земли была подарена осетинам и была создана так называемая "Южно-Оссетинская автономная область".

В истории не существовало "Южной Осетии" ни в географической, ни в политической реальности.

Родина осетин находится на Северном Кавказе.

Естественная граница между Грузией и Осетией проходит по Кавказскому хребту. "Южная Осетия" - плод ленинской национальной политики, которая выражается в формулировке в словах "разделяй и властвуй".

Это был коварный замысел, результат которого когда-нибудь должен был выявиться. Подобные "мины" так же были заложены во многих других частях Грузии, не только в Осетии и Абхазии.

В то время грузинские ученые не смели вымолвить правду. Так выросли поколения. Но вот наконец пришло время раскрыть истину.

Грузию с Осетией соединяли зачастую добрососедские отношения. В последние века в Цхинвальский край осетины заселялись как гонимые, беженцы. Их поселение вместе с народом одобряли и сами Грузинские цари.

А сегодня между двумя единоверными народами зародились ненависть, вражда, пролилась кровь...

С исконно-древней Грузинской земли согнали коренных жителей-грузин и превратили их в беженцев на собственной родине, в своей же стране.

Напряжение взаимоотношений возникло не только в Цхинвальском краю, но почти во всех уголках Грузии: в Тбилиси, Кахети, в нагорной Картли, где в большом количестве живут осетины. Большинство из них покинуло поколениями обжитые места и перешло на Северный Кавказ...

Это сложнейший процесс: измучились люди с обеих сторон.

Враг отнимает землю, где зародился грузинский язык, где находилась колыбель грузинского народа, где возникла грузинская государственность.

Враг отнимает землю, в которой покоятся герои предводители кахетинского восстания 1650 года Элизбар и Шалва Эристави и Бидзина Чолокашвили, зверски замученные вражеской рукой.

Враг отнимает удельную грузинскую землю, на которой с древнейших времен стоят уникальные грузинские христианские монастыри и церкви.

Здесь не существует ничего "негрузинского".

По одному и тому же сценарию борется с нами вражья сила и в Цхинвальском краю, и в Абхазии.

А многострадальный народ жаждет мира, мечтает о покое, о своей крыше над головой.

Борьба за свободу и независимость Грузии еще не окончена. Впереди еще много невзгод и исспытаний, но Велик и Всемилостив Господь Бог наш, и мы веруем в Его милосердие. С Божьей помощью восторжествует справедливость.

Борьба за каждую пядь родной земли и за мирную жизнь всех племен на этой земле священна и благословленна Всевышним.

Большая часть журнала посвящена именно этим остронаболевшим вопросам.

Читатель ознакомится со статьями Грузинского духовенства и Грузинских ученых (среди них и осетинских авторов) о прошлом этого края, о его церковной жизни, архитектуре, фресковом искусстве и о современном положении. Зачастую взгляды авторов на эти вопросы разные, но мы печатаем их для полного представления об этих проблемах.

Из этих статей читатель узнает о таких значительных событиях, как история заселения осетин во внутреннюю Картли, как обосетинивание грузин в XIX веке именно религиозным путем. Автор этой статьи - архиепископ

Анания Джапаридзе, неустанно и много работающий над историей Грузинской церкви. Читатель познакомится с взаимоотношениями грузинского и осетинского народов, с христианской топонимикой этого края, а также с предположением о первоначальном месте жительства осетин, по справкам Тацита и Дюбуа. Читатель прочтет рассказы о мучениках за Христа, познакомится с проповедями епископа конца XIX в. Габриэла, обращенными к осетинам.

Среди многих выдающихся деятелей внутренней Картли, чьи имена узнала вся Грузия, особенно выдающейся личностью является первый Католикос-Патриарх восстановленной автокефальной Грузинской Церкви - Кирион II.

Он был сыном этого края. Предлагаем читателю письма Его Святейшества Кириона II о вероисповедании осетин, населяющих внутреннюю Картли, которые были опубликованы в журнале "Мцкемси" ("Пастырь") в 90-х годах прошлого столетия.

Тут же опубликованы образцы поэзии грузинских и осетинских поэтов.

Под рубрикой "Богословие" помещен отрывок из книги игумена Филарета "Конспект духовного Богословия".

"Из прошлого" - в этом отделе напечатана статья о знаменитом меценате Давиде Сараджишвили, публикуются обращенные к нему прощальные слова Грузинского духовенства.

В этом же отделе читатель познакомится с неизвестными доселе документами, относящимися Грузинскому Католикосу-Патриарху Амвросию Хелая, которые хранились в секретном фонде.

Эти сведения отображают полную трагизма историю советской Грузии в 20-е годы. Среди этих документов-меморандум Амвросия Хелая к конференции в Генуе и протокол допроса Патриарха.

Заключительная часть журнала посвящена новостям церковной жизни, письмам, информации, хронике.



შ ი ნ ა ა რ ს ი

წმიდა მირონის კურთხევა 5

ც ნ ო ბ ე ბ ი , წ ე რ ი ლ ე ბ ი , ე პ ი ს ტ ო ლ ე ნ ი

(ბრძანება გელათის აკადემიის გახსნის შესახებ. ქალაქ თბილისის მერს..., საქართველოს საპატრიარქოს
განცხადება, მის ყოვლადუწმიდესობას ბართლომეოს I, მის უწმიდესობას ალექსი II). 8

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, – ბრძოლა კეთილსა და ბოროტს
შორის დღესაც გრძელდება 12

მარიამ ლორთქიფანიძე – შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის 14

ჯონდო გვასალია – ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან 16

ანანია (ჯაფარიძე) – მთავარეპისკოპოსი მანგლელი – XIX საუკუნე. ქართველთა გაოსება (რელიგიური გზა) 19

ბახვა გამყრელიძე – უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, ვითარცა მტერნი 26

კობა ხარაძე – შიდა ქართლის ეთნიკური შემადგენლობა და გეოგრაფიული სახელწოდებების გავრცელება 28

ვახტანგ ითონიშვილი – ერთხელ კიდევ ოსების შესახებ 32

იოსებ მეგრელიძე – ოსთა სამოსახლოები დიდი ლიახვის ხეობაში 34

პარმენ ზაქარაია – შიდა ქართლის საეკლესიო ხუროთმოძღვრება 37

ანელი ვოლსკაია – ქართული კედლის მხატვრობა ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე 42

ნათელა ფოფხაძე – სად ცხოვრობდნენ ოსები? 44

ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ... უ ფ ა ლ ო ძ ა ლ ი ე რ ს ა ჩ უ ე ნ ს ა მ ო ე ც

ვ. ოდიშვილი – ლექსი, ა. გელოვანი, მ. ელიოზიშვილი, გ. ჩუხრუკიძე,
მორჩილი სიმონი, ვ. აბაევი, ი. ტიგიევა 50

ზურაბ თორია – ნიქოზის ეპარქიაში 70

ესაია (ჭანტურია), ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსი – მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში 76

ლ ა მ პ ა რ ნ ი რ წ მ ე ნ ი ს ა ნ ი

დიდმოწამე რაჟდენი, დიდმოწამენი: ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები 81

კირიონ II, კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად სქართველოისა – (ნ. თალაკვაძის სიტყვა.
კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის წერილები ოსების რწმენა-წარმოდგენების შესახებ) 85

ეპისკოპოსი გაბრიელი – მოძღვრება თქმული ოსთადმი 93

ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა

იღუმენი ფილარეტი – ზნეობრივი ღვთისმეტყველების კონსპექტი 95

პ ო ე ზ ი ა 102

დავით სარაჯიშვილი 106

წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

ამბროსი ხელაია – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. (პუბლიკაციის ავტორი ვ. გურგენიძე)
მოწოდება გენუის კონფერენციისადმი. საქართველოს ჩეკას თავმჯდომარეს. მემორანდუმი. ჩვენება 110

გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს კ ა ც თ ა

საუბარი გია ნადარეიშვილთან 121

გამოსათხოვარი . დედა მარიამი 125

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ... უ ფ ა ლ ო , ძ ა ლ ი ე რ ს ა ჩ უ ე ნ ს ა მ ო ე ც ...

აკაკი ბაქრაძე – ისტორიის მოპარვა. მეფე ლეონ II 126

ს ა ე კ ლ ე ს ი ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა 128

რ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ო ჰ ყ ვ ე ს ს ა ე კ ე ს ი ო გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა ს ?

ვისკენ არის მიმართული საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა მზერა? 136

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 140

რეზიუმე რუსულ ენაზე 145

ჟურნალი დაიბეჭდა საზოგადოება "შ.პ.ს. ლიბო+" და მისი განმგებლის, ბატონ **იოსებ კირცხალიას** ფინანსური შემწეობით. ყოფილიყოს მათთან უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

რედაქტორი: **თინათინ კობალაძე**

სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი **ანანია**, პროტოპროსვიტერი **გიორგი**, **ელდარ ბუბულაშვილი**, **ზურაბ თორია** (პასუხისმგებელი მდივანი) **სერგო ვარდოსანიძე**, მიტროპოლიტი **კონსტანტინე**, **დამანა მელიქიშვილი**, **ზაზა სხირტლაძე**, **ედიშერ ჭელიძე**.

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი. 1996 წ. ერეკლეს მოედანი 1 ტელ. 98-26-34

JVARI VAZISA (The Cross of Vine) N2 1996

Georgian Patriarchate, Tbilisi 1, Erekle's square

Джвари вазиса (Лозовый крест)N2 1996

Грузинская патриархия,

Тбилиси, пл. Ираклия 1

ქართული ანბანი

ა	a	1	ს	s	200
ბ	b	2	ტ	ṭ	300
გ	g	3	უ	u	400
დ	d	4	ფ	p	500
ე	e	5	ქ	k	600
ვ	v	6	ღ	ɣ	700
ზ	z	7	ყ	q̣	800
ჱ	ē	8	შ	š	900
თ	t	9	ჩ	č	1000
ი	i	10	ც	c	2000
კ	ḳ	20	ძ	ʒ	3000
ლ	l	30	წ	ç	4000
მ	m	40	ჭ	č̣	5000
ნ	n	50	ხ	x	6000
ჯ	j	60	ჴ	q	7000
ო	o	70	ჵ	ǯ	8000
პ	p̣	80	ჰ	h	9000
ჟ	ž	90	ჶ	ɜ	10000
რ	r	100